საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№8 (337)
2 - 8 მარტი, 2016


# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru




15 «მოსკოვში რომ გამოვდიოდით, საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ ცხენოსანი მილიცია იცავდა წესრიგს»




ვიტალი ზახარჩენკო (უკრაინის შს ყოფილი მინისტრი):

## იანუკოვიჩის ადმინისტრაციას უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტი ხელმძღვანელობდა 5

2 «საია რესპუბლიკური პარტიის კომკავშირია»

6 დატოვებს თუ არა «ეროვნული ფორუმი» კოალიცია «ქართულ ოცნებას»

10 რაო «დეიდა ნატომ» — გვშია თუ გვეძინება?

«რაც უნდა ელჩმა მიბრძანოს, ბილწი არ შევეკვრი ზავითა» 7

## რატომ უნდა იყარონ კენჭი ცალ-ცალკე «ქართულ ოცნებაში» შეჩურთულმა პარტიებმა?

## ვისი ზრადა ვის პერემოგაშია* 4



* ზრადა უკრაინული სიტყვაა და ნიშნავს ღალატს, პერემოგა — გამარჯვებას.

„მოვა დრო, როდესაც უმრავლესობა უკრაინელებისა, ისევე, როგორც თავის დროზე ქართველების, გააცნობიერებს, რომ არ არსებობს არანაირი მიზეზი, რომელმაც შეიძლება ადამიანის უფლებების დარღვევა გაამართლოს. ალბათ, იმასაც მიხვდებიან, რომ რეცეპტებს, რომლებსაც სააკაშვილი სთავაზობს, ფარდობით ბედნიერებას სხვისი უბედურების ხარჯზე მიაღწიონ, ადგილი ისტორიის სანაგვეზე, ჰიტლერის, პოლ პოტისა და სომოსას რეცეპტების გვერდით უნდა მიუჩინონ. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ სანამ ამას გააკეთებენ, შეიძლება ბევრი სისხლი დაიღვაროს."

## თავდაცვის მინისტრის კანონიზაცია გადაიდო



11

„რომელიმე ჩვენგანს ჰომოსექსუალზე ან ტრანსგენდერზე რომ გვეთქვა, ვოლიერში დავამწყვდიოთო, რა ამბავი ატყდებოდა, წარმოგიდგენიათ? „სიძულვილის ენით ლაპარაკობენო", — ატყდებოდა ჟრიამული ულტრალიბერალურ ფრთაზე. პატრიარქის მიმართ სიძულვილის ენა დასაშვებია? ყველა უმცირესობის ქომაგებო! გაიგეთ, რომ პატრიარქი ყველაზე მეტად არის უმცირესობაში — იგი ერთია, ერთადერთი და, თუ უმცირესობებს ექომაგებით, ერთი ადამიანი რომ ყველაზე მცირეა რაოდენობით, არ გესმით?" 8

9 უნდა გადადგეს თუ არა თავდაცვის მინისტრი გამოძიების დასრულებამდე

12 «სააკაშვილის რეჟიმის ხეს ტოტები კი შეაჭრეს, მაგრამ ფესვები დარჩა»

20 საფრანგეთის საიდუმლო ოპერაცია

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კიევი ყველაზე სახიფათო ქალაქად დაასახელეს

**საერთაშორისო კონსალტინგურმა კომპანია Mercer-მა ბიზნესის წარმოებისა და თანამშრომელთა მივლინებისთვის ყველაზე სახიფათო ქალაქად უკრაინის დედაქალაქი კიევი დაასახელა.**

მეორე ადგილზეა სერბეთის დედაქალაქი **ბელგრადი**, რომელიც, ექსპერტთა აზრით, კორუფცირებულების, ქურდებისა და ვანდალების ბუდეა; მესამეა **ათენი**, რომელიც გადაჭედილია ლტოლვილებით.






### გოგი თოფაძე:

## რესპუბლიკელებს საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება სურთ

**ფრაქცია „ქართული ოცნება — მრეწველების" თავმჯდომარის — გოგი თოფაძის თქმით, მმართველი გუნდის მთავარი შეცდომა კოალიციაში რესპუბლიკური პარტიის არსებობაა, რადგან ეს პოლიტიკური პარტია მართავს პროცესებს და ყოველთვის ცდილობს, საკუთარი წინადადებები პრიორიტეტად აქციოს.**

„ყველაზე დიდი შეცდომა და დანაშაული არის ის, რომ კოლიაციას მართავენ რესპუბლიკელები. მათი პრეტენზიები და ამბიციები კოალიციამ ვერ დააწყნარა. არიან ამბიციურები, სურთ, თავისი გაიტანონ ყველაფერში. მათ სურთ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება საქართველოში, რასაც, ბუნებრივია, ვეწინააღმდეგებით. აქვე ვიტყვი: ჩვენს ფრაქციას არასოდეს უთქვამს, რომ ევროკავშირი არ გვინდა. პოლიტიკური კულტურა, დემოკრატია — მათგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, მაგრამ ჩვენც უნდა დავაყენოთ ისეთი პირობები, რომელიც ჩვენთვისაა მისაღები. ევროპის ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე, ჩვენ რატომ გვაძალებენ?!" — განაცხადა გოგი თოფაძემ.



### ნიკოლოზ მჟავანაძე:

## საია რესპუბლიკური პარტიის კომკავშირია

**არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების" ხელმძღვანელის — ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ხელისუფლებამ იმაზე მაინც უნდა იზრუნოს, რომ თავისი მაგინებლებისგან გათავისუფლდეს.**

„საია ამ ხელისუფლების კრიტიკის მეტს არაფერს აკეთებს. ვინ არის ეს საია? რესპუბლიკური პარტიის კომკავშირი, აქ აწრთობენ მომავალ რესპუბლიკელებს. დღეს მაღალ თანამდებობებზე სწორედ საიას წარმომადგენლები სხედან. არის სოფო ჯაფარიძე — ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში პრემიერის მრჩეველი. მისი მოვალეობაა, უცხოეთში ვიზიტებისას ისაუბროს, როგორ არის დაცული საქართველოში ადამიანის უფლებები. ამის მაგივრად ნაციონალებს უგორებს კოჭს და მაგის წყალობითაა, დასავლეთში რომ სჯერათ, რომ აქ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს დევნიან", — განუცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ გაზეთ „ახალ თაობას".



### თედო ჯაფარიძე:

## ქართველები ოცნებისკენ მიმავალ გზას ბალტიისპირელების ნაკვალევზე მიუყვებიან

**„ბალტიისპირეცის დამოუკიდებელმა ქვეყნებმა პრაქტიკულად დაამტკიცეს, რომ ყველაზე დაუჯერებელი ოცნების განხორციელებაც კი შეიძლება, — განაცხადა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ ბალტიისპირელები ძალიან მკაცრი დამრიგებლები არიან და ზოგჯერ „ვერ ამჩნევენ პროგრესს, ავიწყდებათ, რომ ქართველები მათ კვალში მიჰყვებიან ნატოსა და ევროკავშირისკენ მიმავალ გზებზე", — წერს ლატვიური გამოცემა „დელფი".**

საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ბალტიისპირეთის დამოუკიდებელი ქვეყნების არსებობის ფაქტი და მათი მონაწილეობა ნატოსა და ევროკავშირში, ქართველებისთვის მტკიცებულებაა იმისა, რომ „ერთი შეხედვით დაუჯერებელი ოცნებებიც კი ასრულდება ხოლმე... „ქართველთა მომავალი თაობის გამოწვევა არის „გახდეს" ლატვია, ლიტვა და ესტონეთი, ამასთანავე, ბალტიისპირელები დამრიგებლის როლში კრიტიკულები არიან და ვერ ამჩნევენ საქართველოს პროგრესს — ფაქტობრივად, ივიწყებენ, რომ ქართველები დღეს ადგანან იმავე გზას, რომლითაც ლატვიელები მიდიოდნენ წლების წინათ... რაც შეეხება რუსეთთან მოლაპარაკებებს, ეს ამ ქვეყანასთან ყოველთვის მძიმეა, მაგრამ სხვა ალტერნატივა არ არსებობს. აუცილებელია შეხვედრები და საუბარი, რათა გამოინახოს კომპრომისი, რომელიც საქართველოს შეაძლებინებს, დარჩეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ჩვენ გვინდა, ვიცხოვროთ რუსეთთან, როგორც კარგ მეზობელთან, მაგრამ ჩვენ არ გვსურს რუსეთში ცხოვრება", — განაცხადა თედო ჯაფარიძემ.

ოცნებას კაცი არ მოუკლავს, მაგრამ აქვს კი ბალტიისპირეთის ქვეყნებს მართლაც ისეთი დამოუკიდებლობა, რომელზეც ოცნებობდნენ?!

სინამდვილეში როგორი ვითარებაა ბალტიისპირეთის ქვეყნებში და რატომ გარბიან იქიდან უცხოეთში, ამ თემაზე მასალებს უახლოეს ხანში შემოგთავაზებთ.

### ლევან ვასაძე:

## იმედი მაქვს, რომ ამ საგანს არ მიიღებენ!

**ლევან ვასაძე დარწმუნებულია, რომ საგანი „მე და საზოგადოება" არის დაკვეთილი, ინსპირირებული უცხოური არასამთავრობოების მიერ.**

„ჩვენ არ გვაქვს ეს პრიორიტეტები, ჩვენს ბავშვებს სჭირდებათ უკეთესი განათლება, მეტი მათემატიკა, ფიზიკა, უცხო ენა, ისტორია, იმისთვის, რომ მათ კარგად ჩააბარონ უმაღლესში, იმისთვის, რომ ცხოვრებაში იყვნენ წარმატებულები. ეს საგნები მათ არაფრისთვის არ ამზადებს, არც ერთ უმაღლესში ჩასაბარებლად, არც ერთ პროფესიაში წარმატებისთვის. და, როდესაც სახელმწიფო იღებს თავის თავზე მორალური დიქტატის ფუნქციებს, ის ხდება ტოტალიტარული", — განაცხადა ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ განათლების საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე, სადაც საგნის — „მე და საზოგადოება"— სკოლებში სწავლების შესახებ იმსჯელეს.

ლევან ვასაძის თქმით, სახელმწიფოს ფუნქცია არ არის ბავშვის ზნეობრივი აღზრდა, როგორც კი სახელმწიფო ამაში ერევა, კარგი არაფერი ხდება. „ისტორიის ექსპერტობაც კი არ არის საჭირო, რომ ეს გესმოდეს, უბრალოდ, ორი წიგნი უნდა გქონდეს წაკითხული. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ საგანს არ მიიღებენ. მე



მინდა ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობა და ჩემი შვილების ბედნიერი მომავალი", — განაცხადა ლევან ვასაძემ.



### იან კელი:

## საქართველო მაშინ გახდება ნატოს წევრი, როდესაც თვითონ ნატო იქნება მზად

**საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა იან კელიმ ნატოში საქართველოს გაწევრებაზე ისაუბრა.**

„საქართველო ნატოს მნიშვნელოვანი პარტნიორია, ჩვენ გვჯერა, რომ თქვენი ქვეყანა გახდება ალიანსის წევრი და მესამე მხარეს ვეტოს უფლება არ აქვს ამ გადაწყვეტილებაზე. საქართველო აქტიურადაა ჩართული ნატოს სხვადასხვა პროგრამასა და მისიაში და ყველა ინსტრუმენტი აქვს, რომ რეფორმები გააგრძელოს და ორგანიზაციის სტანდარტები დააკმაყოფილოს. მე კარგად ვიცი ნატოს სუსტი და ძლიერი მხარეებიც, რადგანაც ამ ორგანიზაციაში 3 წელი ვიმუშავე. სისუსტე, ალბათ, ის არის, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად ყველა, 28 წევრის თანხმობაა საჭირო, რაც არ არის მარტივი პროცესი. მაგრამ არსებობს ძლიერი მხარეც — თუ ერთხელ პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ალიანსი ამას მტკიცედ დაიცავს. საქართველო მაშინ გახდება ნატოს წევრი, როდესაც თვითონ ნატო იქნება მზად", — განაცხადა ელჩმა.



### თამაზ მეჭიაური:

## საქართველოში ყველაზე მეტად უმრავლესობის უფლებები იზღუდება, შიშით ვერაფერი უთქვამს, ყველაფერს ფობიას ეძახიან

**საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა ადიგენში განვითარებული მოვლენების კომენტირებისას განაცხადა, რომ საქართველოში ყველაზე მეტად უმრავლესობის უფლებები იზღუდება. და უმცირესობები გაცილებით მეტი უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე უმრავლესობა.**

„საქართველოში ყველაზე მეტად უმრავლესობის უფლებები იზღუდება, ანუ ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის ხალხის. შიშით ვერაფერი უთქვამს უმრავლესობას და ყველაფერს ფობიას ეძახიან. იზღუდება მართლმადიდებლების უფლებებიც იმიტომ, რომ მცირერიცხოვანი რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები რიგ შემთხვევებში ძალიან მკვეთრად აკრიტიკებენ მთავრობას, რასაც არასოდეს აკეთებს მართლმადიდებელი ეკლესია, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რაღაც პოზიციებს არ ეთანხმება. ასე რომ, გაცილებით მეტი უფლებებით სარგებლობენ უმცირესობები, ვიდრე უმრავლესობა", — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «შპიგელი»: გერმანიის სადაზვერვო სამსახურები კეტრინ ეშტონს უთვალთვალებდნენ



**„გერმანიის სადაზვერვო სამსახურები ევროკავშირის ყოფილ უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო ურთიერთობათა საკითხებში — კეტრინ ეშტონს უთვალთვალებდნენ“, — წერს გერმანული გამოცემა „შპიგელი“.** გავრცელებული ცნობით, გერმანული სპეცსამსახურები ეშტონზე თვალთვალს 2009 წლის შემდეგ ახორციელებდნენ. აღსანიშნავია, რომ გერმანიის სადაზვერვო სამსახური აქამდეც არაერთხელ დაადანაშაულეს ევროკავშირის ქვეყნების ლიდერების თვალთვალსა და ამ მხრივ აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის დახმარებაში. ამასთანავე, იგი დაადანაშაულეს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის, სატელეფონო საუბრების მოსმენაშიც. კეტრინ ეშტონი ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტს 2009-დან 2014 წლამდე იკავებდა.

# ვინ უფრო სწრაფად გაანადგურებს ევროპას — მიგრანტები თუ ჰომოსექსუალები

**შტუტგარტში მშობლები სკოლებში ჰომოსექსუალური თემატიკის სწავლების წინააღმდეგ გამოვიდნენ, საქართველოში კი მსჯელობენ, ასწავლონ თუ არა ბავშვებს საგანი „მე და საზოგადოება“.**




ნათქვამია, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ახლა ევროპას, ასიათასობით მიგრანტის შესევასთან ერთად, ლგბტ-თა მხრიდან ოკუპაციაც ელის, ამასთანავე, ჰომოსექსუალები ოკუპაციის დაწყებას სასკოლო მერხიდან გეგმავენ.

გერმანიის ქალაქ შტუტგარტში ლგბტ-აქტივისტებსა და სკოლის მოსწავლეების მშობლებს შორის შეტაკება მოხდა, რომელშიც პოლიციელებიც მონაწილეობდნენ. კონფლიქტი გამოიწვია პროგრამამ, რომლის განხორციელებასაც ქალაქის ხელისუფლება სკოლებში ცდილობს.

ახალი პროგრამის მიხედვით, მოსწავლეებს შეასწავლიან ე.წ. სექსუალურ მრავალფეროვნებას, ანუ იმას, რომ ოჯახური წყვილი, მამაკაცისა და ქალის გარდა, შეიძლება შედგებოდეს ერთნაირსქესიანი პირებისგან.

ამ პროგრამამ აღაშფოთა ათასობით მშობელი, რომლებმაც ქუჩაში საპროტესტო აქცია გამართეს მოტივით, რომ მხოლოდ მშობელს აქვს უფლება, გადაწყვიტოს, რა უნდა ისწავლოს მისმა შვილმა და რა — არა. მშობლების მოთხოვნა კი სამართლიანია, რადგან ერთნაირსქესიანთა წყვილს, რომელსაც ბავშვის გაჩენა ფიზიკურად არ შეუძლია, რატომ უნდა ჰქონდეს სხვისი შვილების სწავლებაზე პრეტენზია?

მაგრამ მშობლების ამ მოსაზრებამ ვერ შეაკავა ლგბტ მოძრაობის აქტივისტები და მათ მშობლების აქციის მიმდინარეობისას მიტინგი მოაწყვეს, მოხდა შეტაკება და დაშავდა 18 ადამიანი.

მშობლებისთვის ყველაზე საშინელი იყო ჰომოსექსუალების ლოზუნგი: **„ჩვენი შვილები ისეთივენი იქნებიან, როგორც ჩვენ ვართ!“** და ადვილი მისახვედრია, რომ „ჩვენს შვილებში“ ისინი ყველა ბავშვს გულისხმობდნენ, რაც მართლაც გენოციდისკენ მოწოდებაა.

ევროპელებს, ერთი მხრივ, მიგრანტები უტევენ; მეორე მხრივ, ლგბტ-თემი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და თავისი იდეოლოგიის დამკვიდრებას ცდილობს. შედეგად ნამდვილი ევროპელი მალე სანთლით საძებარი გახდება. თუმცა ისინი, ვინც რაოდენობით მეტი იქნება, ანუ არაბები, ჰომოსექსუალებს რევერანსებით არ შეხვდებიან და ცერემონიებს არ გაუმართავენ.

იქნება ევროპა, ოღონდ ევროპელთა გარეშე. ვინც ეს მზაკვრული თამაში მოიგონა, აქცენტი გადააქვს ტოლერანტობაზე, თანაგრძნობაზე და მიამიტ ევროპელებს იმას აკეთებინებს, რაც მოესურვება.

აღსანიშნავია, რომ შტუტგარტში ჰომოსექსუალური საკითხების პროგრამით სწავლებას განხორციელების მცდელობის ფონზე საქართველოშიც მიმდინარეობს ანალოგიური პროცესი: ქართულ სკოლებში ახალი საგნის — „მე და საზოგადოების“ სწავლების დანერგვას ცდილობენ, რომელიც, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მოზარდთა სარწმუნოებრივი ცნობიერების აღრევას გამოიწვევს, რადგან მასში ჰომოსექსუალობის თემატიკაა განხილული.



## დეპორტირებული უკრაინელები: ფრანგები ამერიკელების მითითებით გვამცირებდნენ

**უკრაინის 24 მოქალაქე პარიზის შარლ დე გოლის აეროპორტიდან ამერიკელთა მითითებით უკან გააბრუნეს. ტურისტების ჯგუფი კიევიდან პარიზის გავლით ამერიკის ქალაქ მაიამიში უნდა ჩაფრენილიყო, მაგრამ უკრაინელები, მიუხედავად იმისა, რომ ვიზები გაფორმებული ჰქონდათ, აშშ-ში არ შეუშვეს.**

„ასეთი დამცირება არასდროს განმიცდია. ძალიან უხეშად გვეპყრობოდნენ, თითქოს ბოროტმოქმედები ვიყავით. აეროპორტის პოლიციის განყოფილებაში იატაკზე დაგვყარეს. იქ მხოლოდ 9 სავარძელი იდგა, ჩვენ კი 24 ვიყავით. რამდენიმე საათის განმავლობაში იატაკზე ვიწექით. წყლის დალევის უფლება მხოლოდ 3 საათის შემდეგ მოგვცეს. 24 საათის შემდეგ კი ბადრაგის თანხლებით თვითმფრინავში ჩაგვსვეს და კიევში გამოგვაბრუნეს. აი, ასეთი საქორწინო მოგზაურობა გამოგვივიდა“, — განუცხადა ახალი ამბების ფედერალურ სააგენტოს **ანასტასია სირენკომ,** ტურისტული ფირმა Inteco Tour-ის თანამშრომელმა. სწორედ ამ ფირმის ორგანიზებული იყო ტური აშშ-ში.

„როგორც კი კითხვების დასმა დავიწყეთ, თუ რატომ გამოგვამწყვდიეს პოლიციის განყოფილებაში, გვითხრეს, რომ, თუ არ გავჩუმდებოდით, ბორკილებს დაგვადებდნენ. ხშირად ვმოგზაურობ, მაგრამ ასე არასოდეს მოგვქცევიან არც ფრანგები და არც ამერიკელები“, — განაცხადა პენსიონერმა ქალმა.

ფრანგული პრესა წერს, რომ გადაწყვეტილება უკრაინელი ტურისტების დეპორტაციაზე მიიღეს არა ფრანგებმა, არამედ აშშ-ის უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მითითება მისცეს ფრანგ სამართალდამცველებს, უკრაინელთა დეპორტაცია განეხორციელებინათ.



## ლიტვის აკვაპარკში ამერიკელმა ჯარისკაცებმა ჩხუბი ატეხეს

**27 თებერვალს ლიტვის საკურორტო ქალაქ დრუსინინკაის პოლიციელებს მთვრალი ამერიკელი ჯარისკაცების დაშოშმინება მოუწიათ, რომლებმაც ჩხუბი ატეხეს გამაჯანსაღებელ ცენტრ aqua-ში.**

„გამომტყვრალი ამერიკელი ჯარისკაცები არა მხოლოდ ცინიკურად ეპყრობოდნენ aqua-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და თანამშრომლებს, არამედ დეკორატიული კედელიც დაანგრიეს“, — წერენ ლიტველი ჟურნალისტები.

საკურორტო ქალაქში ლიტველი სამართალდამცველების ჩასვლის შემდეგ სკანდალური ინციდენტი ამოიწურა. ამერიკელმა ჯარისკაცებმა aqua-ს ადმინისტრაციას მატერიალური ზარალი აუნაზღაურეს.

ბალტიისპირეთის პრესა ცოტა ხნის წინათ იუწყებოდა, რომ ნატოს ქვეყნების სამხედროები, რომლებიც ბალტიისპირეთში მსახურობენ, თავისუფალ დროს ისე ვერ ატარებენ, როგორც სურთ. ისინი ჩივიან, რომ ქალაქებში არ არის ღამის ცხოვრება, რესტორნებში კი საშინლად ემსახურებიან.

# სერბები ნატოს წინააღმდეგ

**ბელგრადში, პრეზიდენტის სასახლესთან გაიმართა აქცია „არა ნატოს“, შემდეგ კი დემონსტრანტებმა სერბეთის დედაქალაქში მსვლელობა მოაწყვეს. მათ ხელში სერბეთის დროშები და რუსეთის პრეზიდენტის ფოტოები ეჭირათ.**

1990-იანი წლების ბოლოს სერბები ძალიან დაამცირა „ცივილიზებულმა დასავლეთმა“, რომელმაც მას ძირძველი ტერიტორია (კოსოვო) წაართვა მართლმადიდებლურ სიწმინდეებთან ერთად. 1999 წელს ნატოს თვითმფრინავები რამდენიმე თვის განმავლობაში ბომბავდნენ იუგოსლავიას, რათა სერბების მიწები ალბანელებისთვის გადაეცათ. შედეგად, ათასობით ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, 400-მდე ბავშვი.

ახლა კი, როდესაც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის დანაშაული თითქოს დავიწყებულია, ქვეყნის პრეზიდენტმა **ტამისლავ ნიკოლიჩმა** ხელი მოაწერა ნატოსა და სერბეთს შორის შეთანხმებას, რომელიც ნატოს წარმომადგენლებს ქვეყანაში თავისუფლად გადაადგილების უფლებასა და დიპლომატიურ იმუნიტეტს აძლევს. პრემიერმინისტრმა **ალექსანდრე ვუჩიჩმა** კი განაცხადა, რომ „სერბეთს სჭირდება ნატოსთან თანამშრომლობა“.

ხელისუფლების მოღალატეობრივი გადაწყვეტილებით აღშფოთებული სერბი პატრიოტები პროტესტის გამოსახატავად ქუჩაში გამოვიდნენ.

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ ამერიკელების მიერ ლიბიის დაბომბვის შედეგად დაიღუპა ორი სერბი დიპლომატი, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა გაიტაცეს. ამერიკელმა სამხედროებმა მშვენივრად იცოდნენ სერბი დიპლომატების ადგილსამყოფელი, მაგრამ მათ ხომ სერბეთის მოქალაქეების სიცოცხლე არაფრად უღირთ.






## კუ-კლუქს-კლანელთა მსვლელობა დისნეილენდთან რასისტებისა და მათი მოწინააღმდეგეების შეტაკებისას სამი ადამიანი დაიჭრა

**კალიფორნიის (აშშ) შტატის ქალაქ ანაჰაიმში დისლეილენდთან გამართული მსვლელობისას ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რასისტული ორგანიზაცია კუ-კლუქს-კლანის წარმომადგენლები და მათი მოწინააღმდეგეები, შედეგად დაშავდა სამი ადამიანი, დაკავებულია — 13. იუწყება სააგენტო „ასო შიეიტედ პრესი“.**

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაკავებულია კუ-კლუქს-კლანის 6 წევრი და მათი 7 მოწინააღმდეგე. დაჭრილთაგან ერთი მძიმე მდგომარეობაშია.

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოვა დრო, როდესაც უმრავლესობა უკრაინელებისა, ისევე, როგორც თავის დროზე ქართველების, გააცნობიერებს, რომ არ არსებობს არანაირი მიზეზი, რომელმაც შეიძლება ადამიანის უფლებების დარღვევა გაამართლოს. ალბათ, იმასაც მიხვდებიან, რომ რეცეპტებს, რომლებსაც სააკაშვილი სთავაზობს, ფარდობით ბედნიერებას სხვისი უბედურების ხარჯზე მიაღწიონ, ადგილი ისტორიის სანაგვეზე, ჰიტლერის, პოლ პოტისა და სომოსას რეცეპტების გვერდით უნდა მიუჩინონ. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ სანამ ამას გააკეთებენ, შეიძლება ბევრი სისხლი დაიღვაროს, თუმცა ბოლოს, ალბათ, მაინც სამართლიანობა გაიმარჯვებს ჰააგაშიც, თბილისშიც, ოდესაშიც და კიევშიც.**

# ვისი ზრადა ვის პერემოგაში*

**მიხეილ სააკაშვილმა შეიძლება საკუთარ თავზე თავდასხმის ინსცენირება მოაწყოს, — გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ დასკვნამდე მივიდნენ მკითხველები, რომლებიც გასულ კვირას უკრაინულ მედიაში გამოქვეყნებულ მასალებს გაეცნენ. უფრო მეტად ვისი ეშინია მიხეილ სააკაშვილს — უკრაინელი მინისტრების თუ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორების? რა აკავშირებს ყოველივე ამას ქართულ პოლიტიკასთან?**

უკრაინულმა ინტერნეტგამოცემა „korespondent.net“-მა უცნაური დოკუმენტი გამოაქვეყნა. ის შეიცავს სატელეფონო საუბრების სტენოგრამას, რომელიც თითქოს შედგა ოდესის ოლქის სამძებროს ხელმძღვანელ **ანდრეი პინიგინსა** და ოდესის პოლიციის ერთ-ერთი რაიგანყოფილების უფროს **ვიტალი სიმონენკოს** შორის. დოკუმენტი გაფორმებულია, როგორც უშიშროების თანამშრომლის (ვინმე მაიორ **გრადოვის**) მიერ შედგენილი პროტოკოლი. მისი ავტორი წერს, რომ თანამოსაუბრეები აპირებენ მიხეილ სააკაშვილს მკვლელობას ავტოსაგზაო ინციდენტის მოწყობის გზით და ირწმუნება, რომ ამის დამკვეთი არის უკრაინის შს მინისტრის მოადგილე **სერგეი იაროვოი. ეს დოკუმენტი საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურება და მისი სიყალბე ეჭვს თითქმის არ იწვევს, რადგან „უშიშროების მაიორმა“ თავის პროტოკოლში არასწორად მიუთითა კანონის მუხლი, რომლის საფუძველზეც იწარმოებოდა სატელეფონო მოსმენა** (რეალურ ცხოვრებაში ეს წარმოუდგენელია, სამართალდამცავები ამას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, რადგან შეცდომამ შეიძლება უდიდესი პრობლემები მოუტანოს). ამასთანავე, **ფიგურანტები, გამოცდილი პოლიციელები, წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, არანაირ კონსპირაციას არ იცავენ, საუბრობენ, როგორც დაბალხარისხიანი ჯაშუშური სერიალის პერსონაჟები და ა.შ. უკრაინელი კომენტატორების უმრავლესობა მივიდა დასკვნამდე, რომ ეს პროტოკოლი ყალბია.** გამორიცხული არ არის, რომ ის სააკაშვილის დაქვემდებარებაში მყოფ ერთ-ერთ სტრუქტურაში, მაგალითად, პრესსამსახურში შექმნეს, თანაც დაახლოებულ სამართლდამცავებთან კონსულტაციის გარეშე, რადგან უხეშ შეცდომაზე ნებისმიერი ლეიტენანტი მიუთითებდა.

მოკლედ, ყველამ გადაიხარხარა და დაივიწყა ეს ეპიზოდი, თუმცა ის შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ **სააკაშვილი საკუთარ თავზე თავდასხმის ინსცენირებას ამზადებს, რათა იაცენიუკის მთავრობასთან (განსაკუთრებით კი შს მინისტრ ავაკოვთან) დაპირისპირების მკვეთრი ესკალაცია მოახდინოს.** საზოგადოდ, ტერაქტის იმიტაცია ერთ-ერთი ყველაზე ბინძური პოლიტტექნოლოგიური ხრიკია. მას იშვიათად მიმართავენ, რადგან ალბათობა, რომ გამოძიების პროცესში სიმართლე დადგინდება, საკმაოდ მაღალია. უსინდისო პოლიტიკოსებმა ის შეიძლება მხოლოდ დროის მწვავე დეფიციტის, მოვლენების დაჩქარების აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენონ და, ალბათ, საინტერესო იქნება იმის დადგენა, რატომ ეჩქარება მიხეილ სააკაშვილს. **საუბარი იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი ჩქარობს, თანაც ისე, რომ პოლიტიკურ კონიუნქტურას არ ითვალისწინებს, მას შემდეგ დაიწყო, როცა მან წამოიწყო უშედეგო, აშკარად ნაჩქარევი შეტევა, რომელიც მიზნად იაცენიუკის მთავრობის გადაყენებას ისახავდა (იმ პერიოდში, როდესაც პრემიერი პარლამენტის წინაშე ანგარიშით წარსდგა).** მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი პარტნიორები არ ურჩევდნენ **პოროშენკოს** გარემოცვას იაცენიუკის მთავრობის გადაყენებას და არც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, სააკაშვილი მაინც ჯიუტად მიიწევდა ამ მიმართულებით და საბოლოოდ მარცხი იწვნია.

**სააკაშვილი შეიძლება ჩქარობდეს რამდენიმე მიზეზის გამო და ერთ-ერთი, ალბათ, არის ის, რომ მისი მუშაობა ოდესაში ლოგიკურ ფინალს მიუახლოვდა. მან ანონსირებული რეფორმების გატარება ვერ მოახერხა, მნიშვნელობა არ აქვს საკუთარი უთავბოლობის თუ ოპონენტების წინააღმდეგობის გამო, და ვერ შეძლო ოდესაში კაცთმოძულე ტერორისტული რეჟიმის დამყარება, როგორც თავის დროზე საქართველოში.**

თუმცა ნამდვილად ცდილობს და აი მაგალითიც, რომელმაც შეიძლება ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი გამოცდილება გაგვახსენოს. **ოდესის ოლქის ქალაქ ჩერნომორსკში (ყოფილი ილიჩევსკი) „რეფორმირებულ პოლიციელებს“ სამი დღის განმავლობაში უკანონოდ ჰყავდათ დაკავებული ორი მოქალაქე და მათ უსასტიკესად ეპყრობოდნენ — სცემდნენ, სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებით აწამებდნენ, საფლავს ათხრევინებდნენ და ა.შ.** კიდევ კარგი, რომ ამ ადამიანების ნათესავებმა უშიშროების სამსახურს მიმართეს და მან უკანონოდ დაკავებულების პოვნა შეძლო. ოდესის ოლქის უშიშროების შეფმა **სერგეი ბატრაკოვმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ განცვიფრებული იყო პოლიციელების ცინიზმით, რომლებმაც „მკითხეს, როგორ უნდა გაეხსნათ დანაშაული თუ ეჭვმიტანილებს არ სცემდნენ“. „რას უნდა ველოდეთ ასეთი სამართლადამცავებისგან, — თქვა ბატრაკოვმა, — თუ მათი უფროსი **ლორთქიფანიძის** დაცვის ყოფილი თანამშრომელია (იგულისხმება გიორგი ლორთქიფანიძე, ოდესის ოლქის პოლიციის უფროსი, სააკაშვილის მთავარი დასაყრდენი), 28 წლის უმცროსი ლეიტენანტი, რომელსაც არასოდეს ჰქონია არაფერი საერთო ოპერატიულ მუშაობასთან და კაცმა არ იცის, რა დამსახურებისთვის დანიშნეს თანამდებობაზე“. ბატრაკოვმა ნეგატიურ კონტექსტში ახსენა ამ პოლიციელის მოადგილეც, „აგრეთვე, ლორთქიფანიძის დაცვის თანამშრომელი“ (dumskaia.net). საგულისხმოა (და, ალბათ, სასაცილოცაა, სატირალი რომ არ იყოს), რომ **გიორგი ლორთქიფანიძემ ამ ინციდენტის შემდეგ განაცხადა, რომ უშიშროების მოქმედებას პოლიტიკური სარჩული ჰქონდა. და, როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ გააგდო სააკაშვილმა 26 თებერვალს თათბირიდან უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი და თათბირზე სერგეი ბატრაკოვის დასწრება მოითხოვა.** ყოველივე ამაში ახალი არაფერია, ეს სააკაშვილის რეჟიმის კარგად ნაცნობი ხელწერაა, მაგრამ, საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინაში მას წინააღმდეგობას ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები უწევენ. ცხადია, ანგელოზები არც ისინი არიან, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მათ ჩარევას სასიკეთო შედეგი მოაქვს. **სააკაშვილი ოდესაში ვერც სანიმუშო რეფორმებს ატარებს და ვერც „სრულყოფილ დიქტატურას“ ამყარებს, მიუხედავად ამისა, სურს, უკრაინული პოლიტიკის უმაღლეს ლიგაში გადავიდეს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი მიზეზი გაუმართლებელი აჩქარებისთვის, შესაძლოა, არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მას ვა-ბანკზე წასვლისკენ უბიძგებს.**



**სააკაშვილი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს, მაგრამ ძალიან ეშინია დაკითხვის და, საერთოდ, სამართლდამცავებთან ნებისმიერი ურთიერთობის, რაც ნათლად გამოავლინა 2012-13 წლებში მისი, ნერვული თუ არა, ისტერიკული რეაქციით, როცა ჟურნალისტები მისი შესაძლო დაკითხვით დაინტერესდნენ**

უკრაინას ძალიან ცოტა აკლდა რომის სტატუსის სრულფასოვან რატიფიკაციამდე (სწორედ მის საფუძველზე მოქმედებს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომლის პროკურორები 2008 წლის მოვლენებს იძიებენ), მაგრამ ბოლო მომენტში პრეზიდენტმა პოროშენკომ მიიღო უცნაური, შუალედური გადაწყვეტილება, რომელმაც რომის სტატუტის სრულფასოვანი რატიფიცირება გარკვეული დროით გადაავადა. საერთაშორისო სამართლის უკრაინელი ექსპერტი **ნიკოლაი გნატოვსკი** (შევჩენკოს სახელობის კიევის უნივერსიტეტი) მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს, შესაძლოა, არასწორი კონსულტაცია გაუწიეს და საერთაშორისო სასამართლოს დამახინჯებული სურათი დაუხატეს („ბირჟევოი ლიდერ“). **საინტერესოა, ამის გაკეთება სააკაშვილმა ხომ არ ურჩია; ნაკლებად სავარაუდოა, ვინმე სხვას პროცესის შეფერხება აინტერესებდეს.**

აქ, ალბათ, რამდენიმე სუბიექტური ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ: **სააკაშვილი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს, მაგრამ ძალიან ეშინია დაკითხვის და, საერთოდ, სამართალდამცავებთან ნებისმიერი ურთიერთობის, რაც ნათლად გამოავლინა 2012-13 წლებში მისი, ნერვული თუ არა, ისტერიკული რეაქციით, როცა ჟურნალისტები მისი შესაძლო დაკითხვით დაინტერესდნენ.**

ამასთანავე, ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარე, სჩვევია უმნიშვნელო საფრთხიდან რთული პარანოიდული თეორიების გამოძერწვა. სააკაშვილი ნამდვილად შეიძლება აღიქვამდეს 2008 წლის მოვლენების გამოძიებასთან დაკავშირებულ სიტუაციას, როგორც მის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო შეთქმულებას.

საქართველოს ხელისუფლებისთვის „მთავარი პრიზი“ აგვისტოს ომის გამოძიებაში იმის აღნიშვნაა, რომ ცხინვალის რეგიონში სეპარატისტებმა ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა მოაწყვეს. **თუ საერთაშორისო სასამართლო ამ დასკვნამდე მივა, ეს სამხრეთ ოსურ პროექტს მძლავრად დაარტყამს და იძულებით გადაადგილებული პირების საკითხს თვისობრივად განსხვავებულ ჟღერადობას მისცემს. მიუხედავად ამისა, არაერთი დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ ეს გამოძიება არის „ქუჩა ორმხრივი მოძრაობით“ და შეუძლებელია ერთი მხარე 100%-ით გაამტყუნო, ხოლო მეორე სრულად გაამართლო.** ასე რომ, ჰააგელ პროკურორებს რთული კითხვები, დიდი ალბათობით, ჩვენს ყოფილ მაღალჩინოსნებთანაც ექნებათ, მათ შორის კი „პირველი სამიზნე“ სააკაშვილია.

ვითარებას ჭადრაკის ენით თუ აღვწერთ, **ოფიციალურმა თბილისმა შეიძლება მიიღოს ეტლი (ეთნიკური წმენდის აღიარება) ცხენის სანაცვლოდ (იმის აღნიშვნა, რომ სააკაშვილის ცალკეული მითითებები დანაშაულებრივ ხასიათს ატარებდა), იმის გათვალისწინებით, რომ ეს ცხენი (თუ განტევების ვაცი) იზოლირებულია დაფის შორეულ კუთხეში, სადაც მას ივანიშვილის ხელისუფლება ვერ სწვდება. ზოგს ეს შეიძლება ფრიად პრაგმატულად მოეჩვენოს. ცხადია, სააკაშვილს მსგავსი „ფიგურების გაცვლა“ ხელს არ აძლევს.**

**ჩვენ, ალბათ, ვერასოდეს შევიტყობთ, მიიღო თუ არა სააკაშვილმა მონაწილეობა უკრაინის მიერ რომის სტატუტის რატიფიკაციის შეფერხებაში (ამან შეიძლება ხელი შეუშალოს მის „პაემანს“ პროკურორებთან), მაგრამ აშკარაა, რომ ის აჩქარდა და ცდილობს, რაც შეიძლება მალე, ნებისმიერ ფასად უკრაინის ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ მოთამაშედ იქცეს და, შესაძლოა, ამას მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორად განიხილავს, როგორც, თავის დროზე (2012-13), პრეზიდენტის პოსტს საქართველოში.** უკრაინული პოლიტიკის „მამები“ სააკაშვილს ჯერჯერობით უყურებენ, როგორც ინსტრუმენტს, რომელიც შეიძლება გარკვეული მიზნებისთვის გამოიყენონ, და ხშირად დასცინიან, როგორც კლოუნს, თუმცა, შესაძლოა, ისინი ვერ აცნობიერებენ, რა საშიში შეიძლება იყოს ადამიანი, რომელსაც ამოძრავებს არა მხოლოდ ამბიციები, არამედ უძლიერესი შიში და პრომლებისგან (რეალურია ის თუ წარმოსახვითი) გაქცევის სურვილი.

ყალბი დოკუმენტი მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე სინამდვილეში ძალიან ცუდი სიგნალია. ის შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ სააკაშვილი თავს კუთხეში მიმწყვდეულად გრძნობს (როგორც თავისი წარსულის, ისე აწმყოს მიერ) და ვა-ბანკის გარდა, სხვა გზას ვერ ხედავს. გამორიცხული არაა, საკუთარი თავის მსხვერპლად წარმოჩენა სცადოს და თავდასხმის ინსცენირება მოახდინოს. პრინციპში, როგორც განმუხურის ინციდენტის რეჟისორსა და „მოდელირებული ქრონიკის“ სცენარისტს, ამის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეს.

**მოვა დრო, როდესაც უმრავლესობა უკრაინელებისა, ისევე, როგორც თავის დროზე ქართველების, გააცნობიერებს, რომ არ არსებობს არანაირი მიზეზი, რომელმაც შეიძლება ადამიანის უფლებების დარღვევა გაამართლოს. ალბათ, იმასაც მიხვდებიან, რომ რეცეპტებს, რომლებსაც სააკაშვილი სთავაზობს, ფარდობით ბედნიერებას სხვისი უბედურების ხარჯზე მიაღწიონ, ადგილი ისტორიის სანაგვეზე, ჰიტლერის, პოლ პოტისა და სომოსას რეცეპტების გვერდით უნდა მიუჩინონ. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ სანამ ამას გააკეთებენ, შეიძლება ბევრი სისხლი დაიღვაროს, თუმცა ბოლოს, ალბათ, მაინც სამართლიანობა გაიმარჯვებს ჰააგაშიც, თბილისშიც, ოდესაშიც და კიევშიც.**

***ზრადა** უკრაინული სიტყვაა და ნიშნავს **ღალატს, პერემოგა — გამარჯვებას.**

**გადატრიალებათა მოწყობის ტექნოლოგიები თანდათან იხვეწება, მათ ამა თუ იმ სახელმწიფოს თავისებურებებს არგებენ და არც შეიძლება იყოს ერთი საერთო სცენარი. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას წინ უსწრებს ხანგრძლივი სისტემური სამუშაო. გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი სახელმწიფო ორგანოების სიმტკიცის შესამოწმებლად, განსაკუთრებით სუსტი ადგილების გამოსავლენად. მხოლოდ ამის შემდეგ უტევენ „უნიათო ხელისუფლებას“, ანუ გამოჰყავთ ხალხი ქუჩაში.**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სისხლიანი ევრომაიდანი: საუკუნის დანაშაული

## უკრაინის შს ყოფილი მინისტრი:

# იანუკოვიჩის ადმინისტრაციას უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტი ხელმძღვანელობდა

**„ევრომაიდანი — 2014: ორი წლის შემდეგ“ — ასე ეწოდებოდა მოსკოვში, საინფორმაციო სააგენტო „როსია სეგოდნიას“ პრესცენტრში მოწყობილ მრგვალ მაგიდას, რომელიც უკრაინაში ორი წლისწინანდელ მოვლენებს მიეძღვნა. სხდომაზე დისკუსიის მონაწილემ, უკრაინის შინაგან საქმეთა ექსმინისტრმა ვიტალი ზახარჩენკომ დააანონსა გამოცემა თავისი წიგნისა „სისხლიანი ევრომაიდანი — საუკუნის დანაშაული“.**



„ჩემს წიგნში შევეცადე, გამომეკვლია როგორც მიზეზები, ასევე, ტექნოლოგიები, რომლებმაც გამოიწვია სახელმწიფო გადატრიალება, აგრეთვე, გამეხმაურებინა რიგი იდეებისა, როგორ გამოვიდეთ ამჟამინდელი ჩიხიდან, — განაცხადა ვიტალი ზახარჩენკომ, — მიმაჩნია, უკრაინელმა საზოგადოებამ სრულად უნდა გააცნობიეროს, რაც მოხდა გადატრიალების დროს და მას შემდეგ. ის საზოგადოება, რომელმაც ვერ აღიქვა, რა მოხდა, ბოლომდე ვერ ჩასწვდა დამანგრეველი პროცესების მექანიზმებს, მომავალში ვერ შეძლებს, მართებული რეაქცია ჰქონდეს იმ საფრთხეებზე, რომლებიც მსოფლიოში არსებობს“.

### პრეზიდენტ იანუკოვიჩის ადმინისტრაციას უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების აგენტი მართავდა

წიგნში „სისხლიანი ევრომაიდანი — საუკუნის დანაშაული“ ავტორი აღნიშნავს, რომ მაიდანზე კრიზისის ძირითადი ტვირთი შსს-ს თანამშრომლებს დააწვათ მხრებზე, მაგრამ გადატრიალების ტექნოლოგიებისთვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ პოლიციელთა ძალებით შეუძლებელი იყო. რადიკალებთან და მათ უკან მდგომი უცხოელი აგენტების წინააღმდეგ ბრძოლაში კი უკრაინის სპეცსამსახურებისა და სხვა სამინისტროების დახმარების იმედი მოჩვენებითი აღმოჩნდა.

**ვიტალი ზახარჩენკო: „ფერადი გადატრიალებების ერთ-ერთი ტექნოლოგია არის სხვა ქვეყნების „პროფესიონალი რევოლუციონერების“ მონაწილეობა არეულობებში. როგორც წესი, ისინი რადიკალური მოძრაობების კარგად გაწვრთნილი და მდიდარი გამოცდილების მქონე ხელმძღვანელები არიან სერბეთიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან, სადაც მსგავსი გადატრიალებები წარმატებით განხორციელდა. ასეთი უამრავი სპეციალისტი მოავლინეს კურატორებმა უკრაინაში 2013 წლის შემოდგომაზე**.

როდესაც ეს ჩვენთვის, შსს-თვის შეიქნა ცნობილი, თხოვნით მივმართე უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელ **იაკიმენკოს,** ყველაფერი გაეკეთებინა, რათა ეს პერსონები ქვეყანაში არ შემოეშვა, მაგრამ, სამწუხაროდ, უკრაინის უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის მოხსენებებს, ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ლევოჩკინი** ბლოკავდა. შედეგად, არაფერი გაკეთდა და ეს ფერადი მაიდნების „ქარიშხლები“ უზარმაზარი რაოდენობით ჩამოვიდნენ კიევში. **პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლევოჩკინი დასავლეთის სპეცსამსახურების გავლენის აგენტი აღმოჩნდა. მისი ნახელავია 1 ნოემბრის პროვოკაცია. გადატრიალებისთანავე ლევოჩკინი გამოიძახეს აშშ-ში, სადაც სამომავლო პოლიტიკური მოღვაწეობის მხარდაჭერა მიიღო და გასაკვირი არ არის, რომ განდევნილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დღეს მშვიდად ცხოვრობს კიევში“.**

### პროფესიონალი მზვერავები დიპლომატიური საფარველით

**ვიტალი ზახარჩენკო:** „კრიზისის დაწყებიდან დღე ისე არ გასულა, რომ სატელეფონო ან პირადი კონტაქტი არ მქონოდა დასავლეთის ქვეყნების საელჩოების „შეშფოთებულ“ წარმომადგენლებთან. ასეთ შეხვედრებს ხშირად ესწრებოდნენ პროფესიონალი მზვერავები დიპლომატიური საფარველით. უნდა ითქვას, რომ ისინი ძალიან კარგად მომზადებული და უკიდურესად ცინიკური არიან. ყველაფერს, რაც კიევის ქუჩებში ხდებოდა, ისინი მშვენივრად ხედავდნენ, აცნობიერებდნენ და საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრავდნენ მიზნებს. არ მალავდნენ არც თავიანთ მოღვაწეობას ქვეყანაში და არც განზრახვებს. მათი ძირითადი ამოცანა, როგორც მომეჩვენა, იყო ჩემი პოზიციის დაზვერვა, ჩემი რეაქციისა და საქციელის მიხვედრა სიტუაციის გამწვავებისას“.

**სპეცსამსახურების მოღვაწეობის სხვა საინტერესო ასპექტი იყო ოპოზიციის რიგებში ჩანერგილი თავიანთი აგენტების მეშვეობით საპროტესტო გამოსვლების ხელმძღვანელობა.**

ვიტალი ზახარჩენკოს მონაცემებით, **არსენ ავაკოვი** საკმაო ხნის წინათ გადაიბირა ბრიტანეთის სპეცსამსახურმა. ამის შესახებ ხმები იტალიაში მომხდარი ინციდენტის შემდეგ გავრცელდა, სადაც ავაკოვი, უბრალოდ, თავისი სისულელით, ადგილობრივი პოლიციის თვალთახედვის არეში აღმოჩნდა, როდესაც ავარია გააკეთა (ამას გარდა, ავტომობილით მოძრაობდა იმ დღეს, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ უავტომობილოდ მოძრაობის დღედ იყო გამოცხადებული). იმ მომენტში საერთაშორისო ძებნილი ავაკოვი შეიძლებოდა უკრაინაში გადაეყვანათ, რასაც ყველა ხერხით შეეწინააღმდეგა.

**როცა კარაბინერებთან მოლაპარაკება ვერ შეძლო, ავაკოვის პერსპექტივა სამწუხარო ჩანდა. მაგრამ მის საშველად დროულად გამოჩნდნენ ბრიტანელი კეთილისმსურველები „მი-6“-დან და ბალტიისპირული ფესვების მქონე საინტერესო პერსონაჟი, რომლის როლიც 2014 წლის თებერვალში ინსტიტუტის ქუჩაზე მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებში, როდესაც ხალხი დახვრიტეს, განმსაზღვრელი იყო.** სწორედ ამ ადამიანებმა, შს ყოფილი მინისტრის აზრით, „მოაგვარეს“ ავაკოვის პრობლემა იტალიაში, რომლის შემდეგაც მათი კავშირი ძალიან მტკიცე გახდა და შეიმჩნეოდა მაიდნის მოვლენების დაწყებამდე.

**ნალივაიჩენკოსა** და მის მჭიდრო კავშირზე აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ლაპარაკიც არ ღირს. არის ცნობები, რომ გერმანიის სპეცსამსახურები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ **კლიჩკოსთან.** მაიდნური გადატრიალების მომწყობთა შორის იყვნენ მცირე მასშტაბის ფიგურებიც, მაგალითად, **დანილიუკი,** რომელმაც მეწარმეების გადასახადებითა და თუ სხვა საბაბით შევიწროების საპროტესტო აქციების მოწყობის წარუმატებელი მცდელობების შემდეგ „მი-6“-ის ყურადღება მიიპყრო.

### „ცოცხლი არ აიყვანოთ!“

21 თებერვალს ვიტალი ზახარჩენკო ესაუბრა პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ „ბერკუტი“ და შინაგანი ჯარები გადაესროლათ დონეცკში.

მინისტრი დაცვით გაემგზავრა დონეცკში, კავშირი კი პრეზიდენტთან შეთანხმებით გათიშა.

„ჩვენ ვიყავით რამდენიმე მანქანით, ყველა მხოლოდ ლოკალური რადიოკავშირით. წინა ავტომობილები ზვერავდნენ ვითარებას, ჩვენ მათ მივყვებოდით, — იგონებს ზახარჩენკო. — უპრობლემოდ ჩავედით, მაგრამ ცუდი ამბავი დაგვხვდა: შინაგანი ჯარების ნაწილები და „ბერკუტი“ შეუჩერებიათ და უკან, კიევში დაუბრუნებიათ, შემდეგ კი ნაწილობრივ განუიარაღებიათ. ეს ნიშნავდა იმას, რომ უკრაინის ტერიტორიის ნაწილზეც კი ვერ მოხერხდებოდა ხელისუფლების ლეგიტიმაციის შენარჩუნება. უკვე ცხადი იყო და ეჭვს არ იწვევდა, რომ უკრაინის კანონიერ პრეზიდენტსა და მის გარემოცვაზე ნადირობა გამოცხადდა, თანაც განკარგულებით „ცოცხალი არ აიყვანოთ!“.

დონეცკში ვიქტორ იანუკოვიჩმა და ვიტალი ზახარჩენკომ მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს, უფრო მეტიც — დონეცკიდან გაფრენის მცდელობისას პრეზიდენტი შეიარაღებულ წინააღმდეგობასაც კი წააწყდა, რის გამოც გაფრენა ვერ შეძლო. გადაწყვიტეს, ავტომობილებით ჩასულიყვნენ ყირიმში, თანაც, ცალ-ცალკე, და აზოვის ზღვის სანაპიროზე დათქმულ ადგილას შეხვედროდნენ ერთმანეთს. გზა დაბრკოლებების გარეშე გაიარეს.

### საქართველო და ევრომაიდანი

„რა გავლენა იქონია საქართველომ ევრომაიდანზე?“ — აი, რა უპასუხა ჩვენი კორესპონდენტის ამ შეკითხვაზე ვიტალი ზახარჩენკომ:

„დიახ, საქართველო იყო ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც წარმატებით იქნა აპრობირებული ხელისუფლების შეცვლის ტექნოლოგია. დიახ, მაიდანზე იმყოფებოდნენ „ვარდების რევოლუციით“ ნაკვებნი და ე.წ. მოხალისეები, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები საქართველოდან. ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ, როცა აჩვენებდნენ 19 იანვარს გრუშევსკის ქუჩაზე მომხდარ შეტაკებას, დემონსტრანტებს ხელში ეკავათ ქართული დროშები და მათ შორის მხოლოდ ერთი იყო უკრაინის — დახეული, ხანძარგამოვლილი ბოლოებმომწვარი.

უკვე საიდუმლო აღარ არის, ვინ არის ამ რევოლუციის ავტორი. მინდა შევნიშნო, რომ **გადატრიალებათა მოწყობის ტექნოლოგიები თანდათან იხვეწება, მათ ამა თუ იმ სახელმწიფოს თავისებურებებს არგებენ და არც შეიძლება იყოს ერთი საერთო სცენარი. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას წინ უსწრებს ხანგრძლივი სისტემური სამუშაო. გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი სახელმწიფო ორგანოების სიმტკიცის შესამოწმებლად, განსაკუთრებით სუსტი ადგილების გამოსავლენად. მხოლოდ ამის შემდეგ უტევენ „უნიათო ხელისუფლებას“, ანუ გამოჰყავთ ხალხი ქუჩაში.**

### უკრაინის შსს-ს ექსმეთაური თბილისში მიემგზავრება

ვიტალი ზახარჩენკომ გვაცნობა, რომ თავისი წიგნის პრეზენტაციას სხვადასხვა ქვეყანაში გეგმავს, ერთ-ერთი იქნება საქართველო.

ვიტალი ზახარჩენკო უკრაინის დამსახურებული იურისტია, ის დაინტერესებულია საქართველოში იუსტიციის სფეროში მიმდინარე რეფორმების გაცნობით. ამ მიზნით 2011 წელს დაგეგმა კიდეც თბილისში ჩამოსვლა. იმხანად ის უკრაინის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურს ხელმძღვანელობდა. 5 ნოემბერი იყო, სამუშაო კაბინეტში საქართველოში მივლინების დეტალებს ვგეგმავდა, როცა ტელეფონი აწკრიალდა... რეკავდა სახელმწიფოს პირველი პირი. ვიქტორი ფიოდოროვიჩი (იანუკოვიჩი) კაბინეტში იხმობდა.

„როცა ყურმილი დავდე, თანაშემწე მეუბნება, „ვგრძნობ, ვიტალი იურევიჩ, რომ ჩვენი თბილისში მივლინება ჩაიშლება“. და ის მართალი აღმოჩნდა. პრეზიდენტმა შსს-ს მეთაურობა შემომთავაზა. 6 ნოემბერს ხელი მოაწერა ბრძანებას, ხოლო 7 ნოემბერს მე შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობასთან წარმადგინეს. ასე ჩაიშალა იმხანად თბილისში ჩემი გამგზავრება, მაგრამ ახლა ხელს არაფერი შემიშლის. **ჩემი წიგნის პრეზენტაციასთან ერთად დიდი სიამოვნებით გავეცნობი რეფორმებს იუსტიციის სამინისტროში“.**

**ბესიკ ფიფია,**
სპეციალურად „საქართველო და მსოფლიოსთვის“

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაფრიდან ჩანს, რომ ბუკა-ალექსიზე თუ ალექსი-ბუკაზე თავდასხმის მოტივაცია პირადულშია საქმეში. მისი მოკვლა რომ სდომოდათ, ფეხებში კი არა, თავში ესროდნენ. რაც შეეხება ამ საქმის გახსნა-არ გახსნას, თუ არ გაიხსნა, ე.ი. დაზარალებულს არ სურს რაღაც უხერხული მოტივაციის გამო, თორემ ძნელი წარმოსადგენია, სურვილის შემთხვევაში, როცა ამ საქმის თვითმხილველი მოწმეები არსებობენ თავისუფალი დემოკრატების გენმდივნის ძმაკაცების სახით, ვერ დაადგინონ დამნაშავეთა ვინაობა.**

# კენედი მოკლეს, ბუკა დაჭრეს 3,14დარასტებს ძეგლი დაუდგეს...

**საბურთალოს სასაფლაოზე ბუკა პეტრიაშვილზე თავდამსხმელი ისეთი „შაშუბეშა“, ანუ ელამი აღმოჩნდა, რომ თავში კი დაუმიზნა, მაგრამ კოჭებში გაარტყა...**

ბუკა-ალექსის თუ ალექსი-ბუკას თანაპარტიელები მოითხოვენ, რომ სისხლის სამართლის მუხლი (რომლითაც გამოძიება დაიწყო) — სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, გადაკვალიფიცირდეს მკვლელობის მცდელობად. ეს ერთი. მეორე — **თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ირაკლია ალასანიამ ბათუმიდან პირდაპირ ეთერში ჩართვისას „რუსთავი 2“-ის მიერ „აწეულ სატოპკე“ კითხვაზე, ხომ არ არის ეს თავდასხმა ვინმეს მიერ პოლიტიკური დაკვეთაო, ეს „ვინმე“ დააკონკრეტა და განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ აქვს საფუძველი, შემკვეთად ბიძინა ივანიშვილი დაასახელოს.**

ანუ ბატონი ირაკლი დარწმუნებულია, რომ ბუკა-ალექსიზე თუ ალექსი-ბუკაზე თავდასხმა დიდი პოლიტიკიდან მოდის, მაგრამ ჯერ საბუთი არ აქვს, რომ ეს „დიდი პოლიტიკა“ ბიძინა ივანიშვილია?!

ამაზეა ნათქვამი — ობოლო, ვის „მოუხნავ“ მინდორველებსო და — ჩემს გამზრდელსო. მეტი გეკუთვნის, ბატონო ბიძინა, მეტი...

თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენელი **ნინო გოგუაძე** პირდაპირ ამბობს, რომ ბუკა-ალექსიზე თუ ალექსი-ბუკაზე თავდასხმა პოლიტიკური დაკვეთა იყო და გამოძიებისგან, პირველ რიგში, დამკვეთის გამოვლენას მოითხოვს.

ახლა მავანი დამამუნათებს, — ბუკა-ალექსია თუ ალექსი-ბუკა, მაინც ადამიანია და, რაც შეემთხვა, იმაზე ქილიკი რა საკადრისიაო?!

არც მე ვარ მხეცი და არც ბუკას ვერჩი — გამოჯანმრთელებას ვუსურვებ, მაგრამ ზღვარგადასულმა, ყოვლად უსაფუძვლო შეფასებებმა, უბრალოდ, ადამიანური თანაგრძნობის სურვილი დამიჩლუნგა...

**რომელ შეკვეთილ თავდასხმაზე საუბრობენ, ვინ ბრძანდება ასეთი ბუკა-ალექსი თუ ალექსი-ბუკა — პრეზიდენტი კენედი, ინდირა განდი თუ რომის პაპი, მისი უსახური პერსონის მიმართ პოლიტიკური ტერორი რომ შეუკვეთოს ვინმემ?!**

ან რას ნიშნავს განცხადებები და არა მხოლოდ მისი თანაპარტიელების, არამედ მათი იდეოლოგიური ძმების, ნაცების, მხრიდანაც, რომ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური პარტიის ლიდერს ამას უკეთებენ, უბრალო ადამიანებმა რაღა ჰქნან.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების აპოლოგეტობას ვერვინ დამწამებს, მაგრამ მათ გამო დამძიმებული კრიმინოგენური ვითარების თეზას ვერასგზით ვერ გავიზიარებ. ასეც რომ იყოს, ლოგიკაში ვერ ჯდება იმის მტკიცება, რომ საერთო მძიმე კრიმინოგენული ვითარების გამო მოხდა ის, რაც მოხდა.

მიუხედავად უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა, ვერაფრით დამცდება ისიც, რომ ნაცების დრო ჯობდა დღევანდელს — **გაიხსენეთ, ხალხო, რა დღეში ვყავდით ამ ნაძირალა საააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილ-ახალაიებს 9 წლის განმავლობაში, როცა ნახევარი საქართველო ციხეში იყო, ან ციხისა და სამეგრელოს „კასრების“ საშინელი კადრები დაგავიწყდათ?**

ქოცებს თავიანთი ცოდვები ეყოფათ, ამ ხელმოცარული, მხოლოდ თანამდებობებისთვის მებრძოლთა უსაფუძვლო ბრალდებებიც რომ არ დავუმატოთ.



შეცდომები, დანაშაულები კი, იცოცხლეთ, ბევრი აქვთ. ივანიშვილის ხელისუფლების უმთავრესი ცოდვები არის ის, რომ: პირველი — სამართლიანობა არ (დიახ, **არ** და არა — **ვერ**) აღადგინეს; მეორე — პოლიტიკურად მიცვალებული ნაცები, რომლებსაც მხოლოდ ბალზამირება და მიწის მიყრაღა აკლდათ, გააცოცხლეს და ახლა უნამუსოდ გვიკითხავენ მორალს.

**ზემოთ პრეზიდენტი კენედი ვახსენე, რომლის მკვლელობის საქმე, ნახევარ საუკუნეზე მეტია, არ (დიახ, აქაც არ და არა — ვერ) გამოიძიეს. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ლამის დღე არ გავა, ამერიკაში დღისით, მზისით ქუჩაში ვინმე თოფიანი არ გამოვარდეს და ხან სკოლაში, ხან კოლეჯში, ხანაც კაფეში ხოცვა-ჟლეტა არ მოაწყოს — განურჩევლად არ დახვრიტოს ბავშვი თუ მოხუცი, ქალი თუ კაცი. მიუხედავად ამისა, ამერიკის მონა პარტიებს განა დასცდებათ აუგი აშშ-ის მძიმე კრიმინოგენულ ვითარებაზე და იტყვიან, რომ იქ მართლაც არავინ არის დაცული?..**



ვფიქრობ, რიტორიკული კითხვაა. ახლა კი კვლავ საბურთალოს სასაფლაოს „ტერაქტს“ დავუბრუნდეთ...

**ყველაფრიდან ჩანს, რომ ბუკა-ალექსიზე თუ ალექსი-ბუკაზე თავდასხმის მოტივაცია პირადულშია საქმეში. მისი მოკვლა რომ სდომოდათ, ფეხებში კი არა, თავში ესროდნენ. რაც შეეხება ამ საქმის გახსნა-არ გახსნას, თუ არ გაიხსნა, ე.ი. დაზარალებულს არ სურს, რაღაც უხერხული მოტივაციის გამო, თორემ ძნელი წარმოსადგენია, სურვილის შემთხვევაში, როცა ამ საქმის თვითმხილველი მოწმეები არსებობენ თავისუფალი დემოკრატების გენმდივნის ძმაკაცების სახით, ვერ დაადგინონ დამნაშავეთა ვინაობა.**

ისე, ძმაკაცობა სხვაგვარად მესმის — როგორ, ძმაკაცი ჯერ დამიგვებონ და შემდეგ თვალწინ მიკლავდნენ, მე კი ყურებჩამოყრილმა ვუყურო?!

ბუკა-ალექსიზე თუ ალექსი-ბუკაზე მეტად ის მადარდებს, რაც წინამდებარე წერილზე მუშაობისას შევიტყვე: ბათუმში გეების ძეგლი დაუდგამთო, თუმცა გვარწმუნებენ, ძეგლი რომეო და ჯულიეტას ეძღვნებაო. ჯულიეტაში თუ „რუსთავი 2“-ის **„ჯულიეტონა“** იგულისხმება, მაშინ კი, ბატონო... და მეორე, ეს ნაძირალა **ზაზა ბურჭულაძე** სულ გათავხედდა — საკუთარ დედაზე სექსუალური ლტოლვა არ იკმარა და ახლა პატრიარქს გადასწვდა, ვოლიერში უნდა დავამწყვდიოთო.

ღმერთს შენდობას ვთხოვ ამ სიტყვების გამეორებისთვის, მაგრამ ერთი რამ გვახსოვდეს, ქართველნო: თუ ესეც გადავყლაპეთ და მხოლოდ „ფეისბუქის“ ლომურ აღშფოთებას დავჯერდით, ღმერთი ნამდვილად აღარ გვაპატიებს.

**დავით მხეიძე**

# დატოვებს თუ არა «ეროვნული ფორუმი» კოალიცია «ქართულ ოცნებას»

**„ქართულ ოცნებაში“ აზრთა სხვადასხვაობა და დაპირისპირება უკვე აშკარაა. დაიშლება თუ არა კოალიცია უახლოეს მომავალში და დატოვებს თუ არა მას „ეროვნული ფორუმი“? — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, „ეროვნული ფორუმის“ წევრი ანი მიროტაძე ესაუბრა.**



**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ეროვნული ფორუმი“ მალე „ქართული ოცნების“ კოალიციას დატოვებს...**

— „ეროვნული ფორუმის“ ყრილობამდე ამ ინფორმაციას ვერ დავადასტურებ, ვინაიდან არ ვიცი, რა გადაწყდება პარტიის ყრილობაზე. ამჟამად თბილისშიც და რეგიონებშიც მიმდინარეობს მზადება ყრილობისთვის, სავარაუდოდ მარტის ბოლოს თბილისში პარტიის ყრილობაზე ფარული კენჭისყრით პარტიის პოლიტიკური საბჭო მის რიგით წევრებთან ერთად მიიღებს გადაწყვეტილებას, — რას აპირებს ეროვნული ფორუმი 2016 წლის არჩევნებზე. მინდა აღვნიშნო, რომ ეს საკითხი კოალიციის შიგნით რაიმე განხეთქილებას არ უკავშირდება.

**— რამ გამოიწვია ამ ხმების გავრცელება, პარტიის წევრებს შორის უკვე მიმდინარეობს მსჯელობა კოალიციის დატოვების თაობაზე?**

— **საკითხს ასე არ ვსვამთ —უნდა დავტოვოთ თუ არა კოლიცია.** უბრალოდ, ვეკითხებით პარტიის წევრებს, როგორ უნდა მოვიქცეთ 2016 წლის არჩევნებზე. ათი ათასზე ბევრად მეტი წევრი გვყავს. ეს ადამიანები ათი წლის განმავლობაში ჩვენთან ერთად ქმნიდნენ „ეროვნული ფორუმის“ ისტორიას, ამიტომ მათ უფლება აქვთ, მიიღონ მონაწილეობა პარტიის მმართველი პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებებში. შესაბამისად, **ყრილობა უახლოეს მომავალში საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს — რა გზას აირჩევს ეროვნული „ფორუმი“ 2016 წლის არჩევნებში. პარტიის კენჭისყრა ფარული იქნება და არჩევანში ყველა თავისუფალია.**

**2012 წელსაც ვკითხეთ ამომრჩევლებს, რა გვექნა — ხალხთან და ბიძინა ივანიშვილთან ერთად გვებრძოლა მიხეილ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ თუ დამოუკიდებლად და გადაწყვეტილებაც ასე მივიღეთ.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**გამოდით, ცალ-ცალკე გამოდით, რათა ქართველმა ხალხმა დაინახოს, ვინ რა ფერის ბაირაღს აფრიალებთ — „ჩამორჩენილი“ საქართველოს ეროვნულ დროშას თუ „პრადვინუტი“ ლგბტ-პედერასტების „პროგრესულ“ ცისარტყელას. ხოლო, თუ ისევ ბლოკობია-კოალიციურ თამაშებს განაგრძობთ, მომავალი არჩევნები ჩატარდება დევიზით — არც ერთი ხმა იმ საარჩევნო კოალიციას, რომელშიც ქართველთმოძულე რესპუბლიკელები იქნებიან!**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რაც უნდა ელჩმა მიბრძანოს, ბილწთ არ შევეკვრი ზავითა

## რატომ უნდა იყარონ კენჭი ცალ-ცალკე «ქართულ ოცნებაში» შეჩურთულმა პარტიებმა

**მართლაც პარადოქსების ქვეყანაა საქართველო — „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში წარმმართველ ძალად მარად 2-3-პროცენტიანი რეიტინგის მქონე რესპუბლიკური პარტია მოგვევლინა, ანუ პარტია, რომელიც ყოველთვის მიუღებელი იყო ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობისთვის და ახლა, ქოცების ხელისუფლების პირველი ოთხწლიანი ვადის მიწურულს, ეს მიუღებლობა უკვე ბიოლოგიურ ზიზღად ტრანსფორმირდა... მიუხედავად ამისა, რესპუბლიკელები არად აგდებენ ქართველი ხალხის განწყობას და, რაც უფრო ცოტა დრო რჩება არჩევნებამდე, მით უფრო მატულობს მათი პოლიტიკური ამბიციები.**



მოდი, ერთად გადავავლოთ თვალი ამ „უძველესი“ პარტიისა და მისი ლიდერების განვლილ გზას:

რესპუბლიკელი ძმები ბერძენიშვილები, როგორც დისიდენტები, ისე რომ შევიდნენ საბჭოთა სუკის იზოლატორში და იქიდან „სუკებად“, ანუ „კგბ“-ს ნომრიან „სტუკაჩებად“ გამოვიდნენ, არახალია და ამიტომ თავს დიდად არ შევაწყენთ მათი ბიოგრაფიის ამ მონაკვეთზე საუბრით, მით უფრო, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველს, რომელსაც კიდევ ერთხელ სურს, დაწვრილებით გაიხსენოს ეს ამბები, შეუძლია, „დაგუგლოს“ და წაიკითხოს თქვენი მონა-მორჩილის მიერ „საქართველო და მსოფლიოში“ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებული სტატიები: „ბალადა ნასუკარზე“ და „როგორ იქცა სპილო კურდღლად“...

**ყოფილი „სტუკაჩები“, როგორც ცნობილია, ჰოდა, ძმებმა „სტუკაჩებმა“ თავიანთ „მხოლოდ ქაღალდზე არსებულ“ (ლევან ბერძენიშვილის მიერ სუკის იზოლატორში მიცემული ჩვენების მიხედვით) პარტიასთან ერთად იმ ბედნიერ დღემდე მიაღწიეს, როცა სსრკ დაიშალა, მაგრამ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ აღორძინებულ ეროვნულ მოძრაობაში რესპებს, აბა, ვინ მიასუნინებდა და ისინიც მტრად მოეკიდნენ ეროვნულ მოძრაობას — მათ „მხედრიონთან“ ერთად არცთუ უკანასკნელი როლი ითამაშეს ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის დამხობაში; ამიტომ ჯერ კიტოვანიოსელიანის სამხედრო საბჭოში მოხვდნენ, ხოლო შემდეგ, შევარდნაძის მიერ გამართული არჩევნების შედეგად, სადაც არავითარი ბარიერი არ არსებობდა, 2%-იანი რეიტინგის შესაბამისი რამდენიმე მანდატი ერგოთ უზენაეს საბჭოში.**

ეგ იყო და ეგ, **ყველა მომდევნო არჩევნებში ვინმესთან ალიანსის გარეშე რესპუბლიკურ პარტიას საარჩევნო ბარიერი არასოდეს გადაულახავს და მუდამ პარლამენტს გარეთ რჩებოდა.**

თუმცა საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად ყველაფერს კადრულობდნენ — საზოგადოებას ემახსოვრება, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ როგორ მიხოხდნენ და დაუჩოქეს ძმებმა ბერძენიშვილებმა მათზე გამწყრალ ზურაბ ჟვანიას, — არიქა, გვაპატიე, პარლამენტს მიღმა არ დაგვტოვოო...

**„ილია ჭავჭავაძე — მე ასეთ პოეტს არ ვიცნობ“; „ლადო ასათიანის „ჰეი, თქვენ, არაგველებო“ მკვდრადშობილი ლექსია“; „რესპუბლიკურ პარტიას რეიტინგი რომ არა აქვს, ამიტომ არის საქართველო ჩამორჩენილი ქვეყანა და პირიქით: რესპუბლიკელებს მაშინ გვექნება მაღალი რეიტინგი, როცა ქართველი საზოგადოება გაიზრდება“; „სტალინი ვაჟა-ფშაველას ნაბიჭვარი იყო“** — აი არასრული ჩამონათვალი „ნასტუკაჩარი“ **ლევან ბერძენიშვილის** საქართველოს შეურაცხმყოფელი განცხადებებისა...

**„ქართული დემოკრატიის ამოცანა „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენაა“, — ამ ფრაზის ავტორი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და შეთავსებით თავდაცვის მინისტრის ქმარი ის კაცუნაა, რომელიც კომუნისტური პარტიის რიგებში 1989 წლის 13 აპრილს შევიდა, ანუ სისხლიანი 9 აპრილის შემდეგ, როდესაც ლამის მთელი საქართველო კომპარტიისა თუ კომკავშირის მანდატებს საჯაროდ, დემონსტრაციულად ხევდა და წვავდა — ხომ წარმოგიდგენიათ, დღეს დემოკრატიული იდეალებისთვის „მებრძოლი“ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი როგორ კარიერას უმიზნებდა იმხანად?**

სსრკ რომ არ დანგრეულიყო, დღეს ევროკავშირის დროშა კი არ იფრიალებდა მის კაბინეტში, არამედ დიდი ლენინის სურათის ქვეშ იქნებოდა წამოპლაკული!

**თინა ხიდაშელი?**

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი და შეთავსებით პარლამენტის თავმჯდომარის ცოლი აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს ნატოში შესვლის სანაცვლოდ. აი თინას კიდევ ერთი „მარგალიტი“: „კოჰაბიტაცია საქართველოს მოსახლეობის დაკვეთა იყო“...**

ცოლ-ქმარი შვილებს პატრიოტობას კი არ ასწავლის, არამედ ე.წ. თავისუფალ ადამიანებად ზრდის, რათა მერე თვითონ გადაწყვიტონ, სამშობლოზე ილოცებენ თუ მამონაზე. ეს ბუდარიხა დედაკაცი სხვის მამლუქ შვილებს კი უცხო მიწაზე თავგანწირვისკენ მოუწოდებს!

აი რას ამბობს ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატი **თამარ კორძაია: „ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება პროგრესის გზაზე წინგადადგმული ნაბიჯია“(!); კორძაიას ამ „ფრთიანი ფრაზის“ გამო ვაჟკაცი „ნახალოვკელები“, რომ იტყვიან, იდაყვებს იჭამენ, — ეს რა დაგვემართა, როგორ შემოგვიცურეს ეს ბუდარიხა დედაკაციო.**

რესპების ნულოვანი რეიტინგი საქართველოში ნიშნავს მაღალ რეიტინგს ამერიკაში, ამიტომ ოკეანისგაღმელი მფარველ-დამფინანსებლები ყოველთვის უზრუნველყოფდნენ მათ არსებობას პარლამენტს მიღმა და ცდილობდნენ მათი რეიტინგის ამაღლებას, მაგრამ „უმადურ“ ქართველებს ვერაფრით შეგვაყვარეს რესპები.

საზოგადოებას შევახსენებ **ირაკლი ალასანიას** მიმართ მოლოდინს, რომ აშშ-დან დაბრუნებული ეროვნულ ოპოზიციას ჩაუდგებოდა სათავეში, მაგრამ სულ ტყუილად — იმხანად 80%-იანი რეიტინგის მქონე ალასანია, როგორც კი ჩამოვიდა, რესპუბლიკელებს ჩაეხუტა. უფრო სწორედ, ამერიკელებმა ჩაახუტეს იმ იმედით, რომ ირაკლი ალასანიას მაღალი რეიტინგით ამოქაჩავდნენ რესპების დაბალ რეიტინგს, მაგრამ მოხდა პირიქით — რესპებმა დაქაჩეს ალასანია და ახლა ის ერთი რიგითი პოლიტიკოსია.

ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით დათრგუნვილმა ქართველმა საზოგადოებამ კბილთა ღრჭენით მიიღო სამების აღმშენებლის რესპუბლიკური არჩევანი. ეროვნულმა ბიძინამ ანტიეროვნული, პოლიტიკურად მიცვალებული რესპები დასავლეთისთვის თვალის ასახვევად გააცოცხლა, დაიყენა გვერდით და, დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ მოიცილებს თავიდანო.

ამასობაში **ოთხი წელიწადი გავიდა და ისე ჩანს, რომ ბიძინამ თვალი, დასავლეთს კი არა, ჩვენ, ქართველებს, აგვიხვია და ქართველთმოძულე და ქართველების საძულველ რესპებს მიუგდო სამართავად ჩვენი სამშობლო.**

რესპებთა ლიდერების ზემოაღნიშნული „მარგალიტებიდან“ გამომდინარე, ე.წ. კოჰაბიტაცია არა იმდენად გარედან ზეწოლის შედეგი მგონია, რამდენადაც ცოლ-ქმარ ხიდაშელ-უსუფაშვილისა და ნასუკვარი ძმების მიერ კოალიციის შიგნით ლობირებისა.

**ნაცები, რომლებიც, რესპებისა არ იყოს, პოლიტიკური გვამები იყვნენ, რესპებმა გადაარჩინეს და მათ ერთად მიიღეს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც ჩვენმა უწმინდესმა პატრიარქმა საქართველოს დამღუპველი კანონი უწოდა. და, თუ ქართველმა საზოგადოებამ წაუყრუა, არჩევნების შემდეგ ერთნაირსქესიანთა ქორწინებასაც დაგვიკანონებენ, მაგრამ...**

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო და საბედნიეროდ გამოჩნდა კაცი **გოგი თოფაძის** სახით, რომელსაც ეყო ვაჟკაცობა და რესპებს მიახალა: „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!“; შემდეგ კი ქალბატონ მინისტრს, რომ იტყვიან, ყველაფერი ამოულაგა საგარეჯოს შუალედური არჩევნების გაყალბების ჩათვლით, რასაც მოჰყვა უმცროსი ნასუკარის — **დავით ბერძენიშვილის** ისტერიკა პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან, — თინა ხიდაშელზე აშკარად ორკესტრირებული კამპანია — ეს არის ანტიეროვნული შეტევა საქართველოს დასავლურ, ევროატლანტიკურ არჩევანზეო.

მართლაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს — ჯერ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ატეხეს განგაში, — არიქა, ჩვენ თუ აღარ ვიქნებით მინისტრები, დაიღუპება საქართველოო, და ახლა იმავეს ამბობენ თინა მინისტრზეც.

არ ვიცი, პატარა ნასუკარი ვის ორკესტრზე ლაპარაკობს, მაგარმ თინა ხიდაშელის ორკესტრირებული დაცვა რომ დაიწყო „ტვ პირველის“ ეთერში, ეს ნაღდია.

ჯერ იყო და **ინგა გრიგოლიამ** „გულის ამაჩუყებელი“ რეპორტაჟები შემოგვთავაზა მუხროვანის სამხედრო ბაზიდან, სადაც ნატოს ჯარისკაცი ქართველები რაღაცებს მიედმოედებოდნენ და ირიბად იცავდნენ თავიანთ ქალბატონ მინისტრს. **არადა, არც გოგი თოფაძეს და უფრო ადრე არც ირმა ინაშვილს ძვირი არ დასცდენიათ ქართულ ჯარზე და, თუ ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს თინა ხიდაშელი და ქართული ჯარი ერთი და იგივე ჰგონიათ, კარგად ყოფილა მათი საქმე.**

შემდეგ ქართული ჟურნალისტიკის პრიმადონა გრიგოლიამ მის მიერვე არაერთხელ ხაზგასმული პოსტულატი დაივიწყა, რომ ჟურნალისტმა, მით უმეტეს, ტელეწამყვანმა, თავისი აზრი არ უნდა გამოხატოს და მხოლოდ კითხვები უნდა დასვასო. ჰოდა, გამოხატა კი არა, ლამის საცვლებიდან ამოხტა, — მე ევროატლანტიკური გეზის მომხრე ვარ და მაგრად „მევასება“, თავდაცვის მინისტრი რომ ქალიაო (საკუთარი პოზიციის გამოხატვას არც მაშინ ერიდება ტელეპრიმადონა, როდესაც საქმე ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და ერთნაირსქესიანთა ქორწინებს ეხება).

ის კი ვერ შენიშნა, ხიდაშელის განცხადება, სუსი რომ გვითვალთვალებდეს, ბუკა პეტრიაშვილს ვერავინ დაჭრიდაო, ტიპურ-კლასიკური ოპოზიციონერის განცხადება რომ იყო. არადა ეს ქალბატონი ხელისუფლებაში პრემიერის შემდეგ ყველაზე წონიანი მინისტრია.

**ისიც ბლეფია, რომ „ღია საზოგადოება საქართველოს“ (რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სოროსის ფონდი, რომლის ძუძუ არა ერთხელ უწოვია თინა მამიდას) მიერ შეტანილი სარჩელის გამო დაიწყო გამოძიება საგარეჯოს არჩევნებზე. ბლეფია იმიტომ, რომ, როგორც დაიწყო, ისევე დამთავრდება, არა ახლა თინა მამიდას გაამტყუნებენ ან რესპუბლიკურ პარტიას, რომელიც დასავლელი ნეოლიბერალების მეხუთე კოლონაა საქართველოში!**

„საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულმა გოგი თოფაძის ინტერვიუმ ისეთი დაკა-დაკა გამოიწვია „ქართულ ოცნებაში“, რომ კოალიცია, ფაქტობრივად, აღარ არსებობს და ძალიანაც კარგი ქვეყნისთვის.

**უკეთესი კი ის იქნება, რომ კოალიციაში შემავალმა თუ მის გარეთ არსებულმა პარტიებმა ცალ-ცალკე, ყოველგვარი ბლოკებისა და აგურების გარეშე, იყარონ კენჭი და რა რეიტინგიც ექნებათ, იმ რაოდენობის მანდატები მიიღონ ან, მარად 2-3 %-იანი რესპების მსგავსად, პარლამენტს გარეთ დარჩნენ.**

**გამოდით, ცალ-ცალკე გამოდით, რათა ქართველმა ხალხმა დაინახოს, ვინ რა ფერის ბაირაღს აფრიალებთ — „ჩამორჩენილი“ საქართველოს ეროვნულ დროშას თუ „პრადვინუტი“ ლგბტ-პედერასტების „პროგრესულ“ ცისარტყელას.**

ხოლო, თუ ისევ ბლოკობია-კოალიციურ თამაშებს განაგრძობთ, მომავალი არჩევნები ჩატარდება დევიზით — არც ერთი ხმა იმ საარჩევნო კოალიციას, რომელშიც ქართველთმოძულე რესპუბლიკელები იქნებიან!

ამ შემთხვევაში ვერც ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი უშველის კოალიცია „ქართულ ოცნებას“, რადგან ბოლო ხანს ამდენი უნამუსობის შემხედვარე ქართველი ხალხი მართლაც გაიზარდა და ხვალ იმას აღარ შეჭამს, რასაც გუშინ სიამოვნებით მიირთმევდა...

**დავით მხეიძე**

ერთხელ საქართველოში
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რომელიმე ჩვენგანს ჰომოსექსუალზე ან ტრანსგენდერზე რომ გვეთქვა, ვოლიერში დავამწყვდიოთო, რა ამბავი ატყდებოდა, წარმოგიდგენიათ? „სიძულვილის ენით ლაპარაკობენო“, — ატყდებოდა ჟრიამული ულტრალიბერალურ ფრთაზე. პატრიარქის მიმართ სიძულვილის ენა დასაშვებია? ყველა უმცირესობის ქომაგებო! გაიგეთ, რომ პატრიარქი ყველაზე მეტად არის უმცირესობაში — იგი ერთია, ერთადერთი და, თუ უმცირესობებს ექომაგებით, ერთი ადამიანი რომ ყველაზე მცირეა რაოდენობით, არ გესმით?**

# თავდაცვის მინისტრის კანონიზაცია გადაიდო

**ჯერ კიდევ სააკაშვილის ზეობისას თინა ხიდაშელს „ბოკერია კაბაში“ შეარქვეს, ოქრუაშვილმა „პირდაუბანელი ქალი“ უძახა, ხალხში პოპულარობით არც მაშინ სარგებლობდა და არც ახლა, მაგრამ რად გინდა! უეცრად გამოფხიზლებულმა და პოლიტიკაში მოსულმა ბიძინა ივანიშვილმა მისი ლანძღვა-განქიქებით გართული რესპუბლიკელები „მყისიერად“ საკუთარ კოალიციაში შეიყვანა; არც ამას დასჯერდა და ურეიტინგობით განთქმული პარტია მთელ საქართველოს წამოასვა კისერზე. პარლამენტის თავმჯდომარის პოსტით დაწყებული, კომიტეტების თავმჯდომარეებით გაგრძელებული და მინისტრების პორტფელებით დასრულებული, თანამდებობები ფულივით ჩაუკუჭა ჯიბეში, თუმცა არც პირდაპირი გაგებით დაუკლია ფული და ახლა, ამ წინასაარჩევნოდ, ყველას გვირჩია, რესპუბლიკელების კრიტიკას მოეშვითო.**



**ხიდაშელი რომ არც კუტუზოვია, არც ნაპოლეონი და არც სუვოროვი, თავადაც კარგად იცის, მაგრამ გოგი თოფაძის ნათქვამი მაინც ემცხეთა. არადა, რა თქვა თოფაძემ ტყუილი?! საგარეჯოს შუალედური არჩევნები თინამ თავის მოგვარე თამარ ხიდაშელს დესანტად გადასხმული საკუთარი ხელქვეითების ხმებით რომ მოაგებინა? განა ეს ისედაც ცნობილი არ იყო? იყო, მაგრამ თუ მანამდე ამას არასაპარლამენტო ოპოზიცია და ჟურნალისტები ამბობდნენ, ახლა ეს მმართველი კოალიციის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ განაცხადა.**

ამის შემდეგ რესპუბლიკელების თანამოაზრედ აღიარებულმა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ საგარეჯოს არჩევნების გაყალბების თაობაზე უმრავლესობის წევრის გოგი თოფაძის მიერ გაკეთებული განცხადებებით დაინტერესება პროკურატურას სთხოვა.

აქ კი იფეთქა ვეტერანმა რესპუბლიკელმა დავით ბერძენიშვილმა და საქვეყნოდ დაადანაშაულა „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ — „პროკურატურას მიმართა და ერთ საათში პროკურატურა გამოეხმაურა. რაღაცა მოულოდნელი და უცნაური დაახლოებაა პროკურატურისა და „საერთაშორისო გამჭვირვალეობის“. **ღალატობს ალღო პოლიტიკური ინტრიგების ოსტატს, არადა, ყურადღებით რომ წაეკითხა „მერაბიშვილის კაპიტნის“ წერილი, გაიგებდა, სინამდვილეში რასაც ითხოვდა ეკა გიგაური. „საზოგადოებას უნდა ჰქონდეს გამოძიების მიერ დადგენილი უტყუარი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თოფაძის განცხადება არ შეესაბამება სიმართლეს და საქმე გვაქვს ცილისწამებასთან“, ანუო, გამოიძიეთ და გვითხარით, რომ ხიდაშელს საგარეჯოს არჩევნები არ გაუყალბებია და ეს თოფაძის ცილისწამებააო.**

ბერძენიშვილმა პროკურატურას საქმის აღძვრა დაუწუნა, „არაღძვრა უფრო ჭკვიანური იქნებოდაო“, მერე და მერე კი „თავისუფალი დემოკრატების“ ტაქტიკაზე გადავიდა და ხიდაშელის კრიტიკა პროდასავლურ კურსთან დაპირისპირებად მონათლა.

მეორე ძმა – ბერძენიშვილი კიდევ უფრო შორს წავიდა: „ეს იმის ინტერესში შედის, რომელსაც არ სურს, საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე რაიმე წარმატება ჰქონდეს... ფიქრი, რომ ბარემ ხიდაშელი გადადგეს, ასეთ სისულელეებს ნუ ელოდებიან, რადგან ასეთ რაღაცას ადგილი არ ექნება. არც თინა და არც თამარ ხიდაშელი არ გადადგებიან, რადგან მათ დიდი საქმეები აქვთ გასაკეთებელი“.

**„დიდი საქმეები“ რაც არის, ჩვენს საზოგადოებას კარგად მოეხსენება – მიწის უცხოელებზე გაყიდვა, ანტიდისკრიმინაციული კანონის ბოლომდე მიყვანა და „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა. აი, ამიტომ არიან შეუცვლელები!** თანაც, თურმე თინა ხიდაშელის გარეშე საქართველოს პროდასავლური კურსი საფრთხის ქვეშაა! თვითონ თავდაცვის მინისტრმაც დაიჯერა ეს, როგორც ჩანს, რადგან მთელი რიხით განაცხადა: „ეუთოში რუსეთის ელჩს, ისევე როგორ მის ბევრ კოლეგას არ მოსწონს, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სრულიად ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი სწრაფვა, რომ საქართველო დააბრუნოს ევროპულ ოჯახში და იყოს იმ უსაფრთხოების სისტემის წევრი, რაც შექმნილია სამყაროში ნატოს სახით. მან ეს ვერ დაფარა, ღიად ისაუბრა და მისაყვედურა, რომ ჩემი ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით არარეალისტური გეგმები, მიზნები და ამოცანები მაქვს და ერთგვარად დამპირდა, რომ 2016 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ეს ყველაფერი შეიცვლება“.

**მაშ, პირადად მე მითხრაო, რომ „არარეალისტური გეგმები, მიზნები და ამოცანები მაქვსო“ და, აბა, მე თუ არ ვიქნები, ამ მიზნებს და ამოცანებს ვინ შეასრულებსო? ვინ იქნება ქვეყნის პროდასავლური კურსის გარანტიო? ვინ იქნება ნატოს და ამერიკის ცუნცულაო? ვინაო?**

ქვეყნის პროდასავლური კურსის კიდევ ერთ გარანტს – ბუკა პეტრიაშვილს „დღისით მზისით“ თავდასხმა მოუწყვეს და ატყდა ერთი ამბავი. ყველაზე გამორჩეული „მოდელირებული დეიდა“ **ნათია კობერიძე** იყო. მან სოციალურ ქსელში ისეთი კომენტარი გამოაქვეყნა, რომ ბალღამით ცნობილ **თეა თუთბერიძეს** გადააჭარბა: „ბუკას და ეკას რომანით ბინძურ მანიპულაციას ბიძინა პირადად ცდილობდა. ეკამ თავად აღიარა, რომ რაღაც ვიდეო ჰქონდათ ქოცებს და მისი ყოფილი კაცისთვის ჩვენებით აშანტაჟებდნენ. ეკა და ბუკა არ გატყდნენ. ბუკა ოპოზიციაში წავიდა, ეკამ პირველი არხის ბიძინაპოლიტიკას უთხრა უარი. ბიძინა არ გაჩერდა და ახლა ბუკა სასიკვდილოდაც გაიმეტეს.

ბიძინა პირადად არის ამაში ჩარეული. პირადი ცხოვრებით შანტაჟის მცდელობები ალასანიას, გვარამიას და სხვათა მიმართაც სცადეს.

ბიძინა ციხეში უნდა დალპეს“!

**ეს რომ ვინმეს მიშაზე ეთქვა (გინდ — სააკაშვილზე და გინდ — თავხელიძეზე), ხომ დაიხოკავდა ღაწვებს „მოდელირებული დეიდა“ და იკივლებდა, „სიძულვილის ენას იყენებენო“!**

სიძულვილის ენის კიდევ ერთი გამოხატულება მწერლად წოდებული **ზაზა ბურჭულაძის** გამონათქვამია, რომელიც „მძიმე კაცთან“ სეირნობისას გააკეთა: „ღმერთი არ მწამს და მე საერთოდ არ მჯერა იმ ინსტიტუციის, რომელიც ამბობს, რომ სამყარო შეიქმნა ექვს დღეში. ქართველების გამკვირვებია, რომ ქალაქში გამოსული მძიმე ცხოველები ჩვენ დავაძინეთ და დავხოცეთ, როდესაც მთავარი მტაცებელი არის თავისუფალი. მე მგონი, სასწრაფოდ უნდა მოვათავსოთ პატრიარქი ვოლიერში“.

**რომელიმე ჩვენგანს ჰომოსექსუალზე ან ტრანსგენდერზე რომ გვეთქვა, ვოლიერში დავამწყვდიოთო, რა ამბავი ატყდებოდა, წარმოგიდგენიათ? „სიძულვილის ენით ლაპარაკობენო“, — ატყდებოდა ჟრიამული ულტრალიბერალურ ფრთაზე. პატრიარქის მიმართ სიძულვილის ენა დასაშვებია? ყველა უმცირესობის ქომაგებო! გაიგეთ, რომ პატრიარქი ყველაზე მეტად არის უმცირესობაში – იგი ერთია, ერთადერთი და, თუ უმცირესობებს ექომაგებით, ერთი ადამიანი რომ ყველაზე მცირეა რაოდენობით, არ გესმით?**

არ ვიცი, ზაზა ბურჭულაძის თანამოსაუბრეს „მძიმე კაცი“ რატომ ჰქვია, მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რომ პატრიარქი ერთი კია, მაგრამ მისი ავტორიტეტი სიძულვილის ენაზე მოლაპარაკე ყველა ამ ვითომ დემოკრატს გადასწონის და სწორედ ეს აგიჟებთ, თან ნაადრევი გაზაფხულიცაა და ამ დროს იცის გამწვავება სულიერმა დაავადებებმა. ვაიმე, ესეც სიძულვილის ენა ხომ არ არის?

ავტორიტეტზე მოგახსენებდით. ბურჭულაძემ იქვე ასეთი აზრი გამოთქვა (კაზმული სიტყვის „ოსტატის“ სტილი დაცულია):

„— იცი, რა არის, პატრიარქი რაღაცნაირი ის გახდა ამათი, როგორ ვთქვა, სახე იმდენად არა, რამდენადაც მმმმ, ალბათ, ავტორიტეტი. ხო, ის უზენაესი ავტორიტეტია, რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებიან.

— ვისი ბრალია ეს, რატო მივიღეთ ესეთი ფორმის რელიგია?

— იცი, რა არის? შარშან, მოკლედ, შევხვდი დიდ კაცს – ვერნერ ჰერცოგს, ბევრი ვილაპარაკეთ და ბოლოს მკითხა, რომ რა ხდებაო თქვენთანო, საქართველოშიო. მე ვუთხარი, სტატისტიკა აჩვენებს, რომ 87% დაახლოებით მოსახლეობის არის მორწმუნე-მეთქი და არც დაფიქრებულა, პირდაპირ მოაყოლა, რომ ეს, ალბათ, იმიტომ რომ მძიმე საბჭოთა გამოცდილება გქონდათო. ალბათ, ესეც არის. იმიტომ, რომ რაღაცა ზემდგომი იყო ყოველთვის — ალფა-მამრი, რომელიც მართავდა შენს ბედს და წყვეტდა შენს ყოფას, შენს ქცევას, შენ ნორმებს გიდგენდა, წესებს და ასე შემდეგ“.

**ვერნერ ჰერცოგი** მართლაც დიდი შემოქმედია, მაგრამ ზაზა ბურჭულაძისგან თუ აპირებს გაიგოს, რა ხდება საქართველოში, სერიოზულ შარშია და ვერ გაუგია. ამის მიუხედავად, მან, ბურჭულაძისგან განსხვავებით, სწორი დასკვნა გამოიტანა. რელიგიის სრული აკრძალვიდან მის დაშვებამდე და დევნის შეწყვეტამდე გზა რთულია და სწორედ ჩვენი პატრიარქი ახერხებს, რომ ამ ორ უკიდურესობას შორის ოქროს კვეთის წერტილი დაძებნოს, მაგრამ **ბურჭულაძისთვის ხომ ეს არ არის მთავარი — ავტორიტეტი სძაგს, თან „ალფა-მამრი“ ეჩვენება. ეჰ, სად არის სამართალი, თორემ ბურჭულაძის გვერდით ერთი „ალფა-მამრი“ რომ ყოფილიყო, საკუთარ დედაზე იმას არ დაწერდა, რაც დაწერა!**

სოციალურ ქსელში **არჩილ გამზარდია** ასე გამოეხმაურა ბურჭულაძის „სიბრძნეს“: „აი, რა ბანძი უნდა იყოს ტიპი, რომელსაც მწერლობის ამბიცია აქვს, მაგრამ მას იცნობენ, როგორც ტიპს, რომელიც უგზო-უკვლოდ იგინება. ახლა პატრიარქს ესხმის, თან იწონებს თავს, ათეისტი ვარ და ესაა ცივილურობაო... ის მაინც თუ გაუგია, ევროპის უდიდესი ნაწილი ყოველი სადილობისას რომ უფალს მადლობს და ოჯახურად ლოცულობს, რელიგიური მიმდინარეობებისადმი თუ მორწმუნეებისადმი კი ტოლერანტულია. ან ის მაინც უთხარით ზაზა ბურჭულაძეს, პატრიარქს ასე უნიჭოდ თეა თუთბერიძეც კი აღარ ლანძღავს და უკვე სხვა ფსევდოლიბერალებიც კი გოიმობად თვლიან, პატრიარქის გინებით საკუთარი თავის არსებობა გააგებინოს სხვებს“.

**გამზარდიას (ჩემსავით) ტყუილად როდი გაახსენდა თეა თუთბერიძე; ყველა ეს პერსონა, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი, ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ გარჩევა გაგიჭირდება. ისინი რესპუბლიკური პარტიის პიონერიასა და კომკავშირში — „თავისუფლების ინსტიტუტსა“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ არიან დაფრთიანებულნი; ან ბურჭულაძესავით, „თავისუფალი მსმენელები“ იყვნენ და რაც მოისმინეს და ისწავლეს, წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს.**

მათზე წერა და ლაპარაკი უაზრო იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: **ბიძინა ივანიშვილის ხელდასხმით ისინი მეტასტაზებივით მოედნენ ყველა სახელისუფლო რგოლს. საგარეჯოში ერთმა ხიდაშელმა მეორე ხიდაშელი მანიპულაციებით გაათრია მაჟორიტარად, ანა დოლიძე თავდაცვის მინისტრობიდან უზენაეს სასამართლოში მიავლინეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თავადაც კომკავშირგამოვლილია და ა.შ და ა.შ. სია გრძელია, თანამდებობები — ბევრი.**

ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირმა თავისი ცოლის შესახებ განაცხადა, რომ იგი (თინა ხიდაშელი) მართალია სინდისთან, კანონთან და საკუთარ ამომრჩეველთან. აი, ქმარიც ასეთი „გამპრავებელი“ უნდა!

**„ბოკერია კაბაში“ ყველა რესპუბლიკელზე უტიფარი რომ არის, ამას ყველა ხედავს და მის დაბალანსებას უკვე ვერც უსუფაშვილი ახერხებს და ვერც ვეტერანი თანაპარტიელები. პირიქით, დაუკრეფავში არიან გადასული და სულ უფრო მეტის უფლებას აძლევენ საკუთარ თავს!**

თუმცა მთავარი პრობლემა ის არის, რომ გუშინდელი „ნაციონალები“, ულტრალიბერალური ყაიდის ე.წ. არასამთავრობოები და რესპუბლიკელები უკვე კოლექტიურ „ბოკერიად კაბაში“ ჩამოყალიბდნენ და სულ უფრო თავხედურად უტევენ მათთვის მიუღებელ მართლმადიდებლობას და ქართულ ღირებულებებს. თან ამ შეტევაში იმ იარაღს იყენებენ, რომელიც სხვას აუკრძალეს — სიძულვილის ენას!

არადა, არაფერია უცნაური იმაში, რომ გძულდეს ის, რაც საძულველია: **შენი სამშობლოს მაგინებელი და მოძულე უნდა გძულდეს, ამას ვერავინ აგიკრძალავს, თვით კოლექტიური „ბოკერია კაბაში“!**

**თამარ დავითულიანი**

„არჩევნების ღამესვე საჯაროდ განვაცხადეთ, რომ მუხროვანში, კონკრეტულად უჯარმის მე-13 უბანზე, ჯარისკაცების ასმა პროცენტმა ხმა სახელისუფლო კანდიდატს მისცა, რაც თავისთავად ძ ეჭვს და ალიან ბევრ კითხვას ბადებს. ამას გარდა, კონკრეტული ინფორმაცია გვაქვს იმის თაობაზე, თუ როგორ მიიღო ჯარმა ამ არჩევნებში მონაწილეობა. ჩვენ ვიცით, რომ გამოიყენეს „კარუსელი“ და ჯარისკაცების ნაწილმა ხმა მისცა როგორც სამხედრო უბანზე, ასევე საერთო სიითაც“.

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უნდა გადადგეს თუ არა თავდაცვის მინისტრი გამოძიების დასრულებამდე

**საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საგარეჯოში ჩატარებული შუალედური არჩევნების საქმეზე გამოძიება დაიწყო. ამის საფუძვლად იქცა პარლამენტარ გოგი თოფაძის განცხადება, რომლითაც მან თავდაცვის მინისტრი, ფაქტობრივად, არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა. გოგი თოფაძემ განაცხადა, რომ თინა ხიდაშელმა არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მიზნით მუხროვანის სპეცუბანზე რეგისტრირებული ამომრჩევლების — სამხედრო მოსამსახურეების — რაოდენობა სპეციალურად გაზარდა.**
**გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.**

პარლამენტარმა **გოგი თოფაძემ** პირველად სწორედ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში ისაუბრა საგარეჯოს არჩევნებში თავდაცვის მინისტრის მიერ შეტანილ „წვლილზე“: „წესით და რიგით, ხიდაშელმა, მინისტრის კაბინეტში კი არა, დაკითხვებზე უნდა იაროს“, — განაცხადა თოფაძემ. მალე პროკურატურას აღნიშნული საკითხით დაინტერესება მოსთხოვა **არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“.** ორგანიზაციის ხელმძღვანელ **ეკა გიგაურის** განცხადებით, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, საქმე ცილისწამებასთან გვაქვს თუ არჩევნების გაყალბებასთან.

„სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტის წევრისა და ფრაქციის თავმჯდომარის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, გამოძიება არ დაინტერესებულა საგარეჯოს ოლქში არჩევნების შესაძლო გაყალბების ფაქტით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მტკიცებულებებისა და დოკუმენტების არსებობაზეც იყო საჯაროდ საუბარი. არჩევნების გაყალბება სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს. სისხლის სამართლის კოდექსის არაერთი მუხლით არჩევნების გაყალბება და საარჩევნო უფლების განხორციელებაში ხელის შეშლა დასჯადია...

ფრაქციის თავმჯდომარისა და საქართველოს პარლამენტის წევრის განცხადებების იგნორირება ყოვლად დაუშვებელია“, — ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში (სტილი დაცულია — რედ.)

ჩვენ დავუკავშირდით „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელობას, მაგრამ ამ საკითხზე დამატებითი კომენტარისგან რატომღაც თავი შეიიკავეს.

რესპუბლიკელები კი ამ ყველაფერს ხელისუფლებაში მყოფი პროდასავლური ძალების დასასუსტებლად მიმართულ კამპანიად მიიჩნევენ. „თოფაძე, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელია, ცრუ ბრალდებებით გამოდის თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ. ხელისუფლებიდან გაგდებული ბრეგაძე უხამსი ბრალდებებით გამოდის თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ. არჩევნებში დამარცხებული ირმა ინაშვილი ასევე დაუსაბუთებელი ბრალდებებით გამოდის და ითხოვს თავდაცვის მინისტრის უფლებამოსლების შეჩერებას. ეს ყველაფერი, ნებსით თუ უნებლიეთ, საქართველოს პროდასავლური კურსის ინტერესებს არ ემსახურება“, — აცხადებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბერძენიშვილი.**

2016 წლის 31 ოქტომბერს საგარეჯოში გამართულ შუალედურ არჩევნებში რესპუბლიკელების კანდიდატმა **თამარ ხიდაშელმა** 559 ხმით მოუგო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატს — ირმა ინაშვილს, რომელმაც არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე დაიწყო გაყალბებაზე საუბარი. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების, თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრების გადადგომის მოთხოვნით ინაშვილმა თანამოაზრეებთან ერთად შიმშილობაც გამოაცხადა. გოგი თოფაძის განცხადების შემდეგ კი ირმა ინაშვილი საქართველოს პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილს მოუწოდებს, გამოძიების დასრულებამდე თავდაცვის მინისტრი თანამდებობიდან გადააყენოს, რაც მოწმეებზე ზეგავლენის შესაძლებლობას გამორიცხავს.

## „თავდაცვის მინისტრი, თუ მას ღირსება აქვს, თანამდებობიდან უნდა გადადგეს“

**ირმა ინაშვილი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი:**

— ეს, ერთი მხრივ, სამართლებრივი, მეორე მხრივ კი, ღირსების საკითხია. როდესაც თავდაცვის მინისტრი არჩევნების გაყალბებაშია ეჭვმიტანილი თუ მხილებული, ის



**«გიგა ბოკერიას, «თავისუფლების ინსტიტუტის» ჯგუფსა და რესპუბლიკური პარტიის წევრებს დღემდე მეგობრული ურთიერთობა აქვთ და დღესაც უნისონში მოქმედებენ. მათ გადაწყვეტილი აქვთ, მომავალ პარლამენტში მოხვდნენ და შემდეგ ნაციონალებთან ერთად იმოქმედონ საქართველოს ინტერესების საზიანოდ. ეს პროცესი ,უკვე კარგა ხანია, დაწყებულია»**

თანამდებობიდან უნდა გადადგეს. მოგეხსენებათ, დღეს არ დამიწყია ამ არჩევნების გაყალბებაზე საუბარი. **ჩვენ არჩევნების ღამესვე საჯაროდ განვაცხადეთ, რომ მუხროვანში, კონკრეტულად უჯარმის მე-13 უბანზე, ჯარისკაცების ასმა პროცენტმა ხმა სახელისუფლო კანდიდატს მისცა, რაც თავისთავად ეჭვს და ძალიან ბევრ კითხვას ბადებს. ამას გარდა, კონკრეტული ინფორმაცია გვაქვს იმის თაობაზე, როგორ მიიღო ჯარმა ამ არჩევნებში მონაწილეობა. ჩვენ ვიცით, რომ გამოიყენეს „კარუსელი“ და ჯარისკაცების ნაწილმა ხმა მისცა როგორც სამხედრო უბანზე, ასევე საერთო სიით.** უამრავი კანონდარღვევა მოხდა, არჩევნები გაყალბდა და თავდაცვის მინისტრი, თუ მას ღირსება აქვს, თანამდებობიდან უნდა გადადგეს.

**— პრემიერი გაითვალისწინებს თქვენს მოთხოვნას და გადააყენებს თანამდებობიდან თავდაცვის მინისტრს?**

— ვფიქრობ, რომ არ გაითვალისწინებს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს?! მე ვაყენებ ამ საკითხს და ეს უკვე პრემიერის გადასაწყვეტია, რას იზამს. ჩვენ საგარეჯოს არჩევნების დასრულებისთანავე მოვითხოვეთ თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრების თანამდებობიდან გადაყენება და ეს საკითხი დღის წესრიგიდან დღემდე არ მოგვიხსნია.

**— რა პასუხს გასცემთ დავით ბერძენიშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ თქვენი ცრუ ბრალდებები პროდასავლური კურსის წინააღმდეგაა მიმართული?**

— დავით ბერძენიშვილი თავის ძმასთან ერთად არის „სტუკაჩოვი“ და ცნობილი „სტუკაჩოვების“ გამონათქვამებზე რა უნდა ვთქვა. ჩვენ ვლაპარაკობთ დანაშაულზე და საგარეო ვექტორები არაფერ შუაშია. ჯერ გაირკვეს, არის თუ არა დანაშაული ჩადენილი, მიბრძანდნენ პროკურატურაში, მისცენ ჩვენება და მერე ვილაპარაკოთ, არის თუ არა არჩევნების გაყალბება პროდასავლური კურსი. ეს არის სისულელე და პროვინციული აზროვნება, როდესაც ჩვენ სისხლის სამართლის დანაშაულზე ვლაპარაკობთ და ისინი კი — საგარეო ვექტორზე.

## „გამოძიების დასრულებამდე თავდაცვის მინისტრს უფლებამოსილება უნდა შეუჩერდეს“

**თავდაცვის მინისტრის გადადგომას დიასპორის მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძეც მოითხოვს:**

— პროკურატურას სიმართლის დასადგენად სჭირდება მოწმეები, რომლებიც ან დაადასტურებენ, ან უარყოფნ თინა ხიდაშელის მონაწილეობას არჩევნების ფალსიფიკაციაში. მოწმეების უმრავლესობა კი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელია და უშუალოდ ექვემდებარება ხიდაშელს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად, მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებზე მას სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია.

როდესაც სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაიწყო გამოძიება, მინისტრმა **დავით კირვალიძემ** ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგა და დაკავებული თანამდებობიდან წავიდა. ანალოგიურად მოიქცა თავდაცვის ყოფილი მინისტრი **ირაკლი ალასანიაც.** ქალბატონი **თინა ხიდაშელი ძალიან უთავმოყვარეოდ იქცევა, მისთვის მხოლოდ თანამდებობაა პრიორიტეტული და საზოგადოების სამართლიან მოთხოვნას არაფრად აგდებს. თუ თავდაცვის მინისტრი თანამდებობიდან არ გადადგება, გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება მაინც უნდა შეიჩეროს, მაგრამ, როგორც ვხედავ, ის მსგავსს არაფერს აპირებს, პირიქით** — რესპუბლიკელები საუბრობენ, თითქოს ეს ყველაფერი ქვეყნის პროდასავლური კურსის წინააღმდეგაა მიმართული. ნუ ეფარებიან პროდასავლურ კურსს, არანაირი კავშირი მათ ნატოსთან, ევროკავშირთან და არც რომელიმე საერთაშორისო სტრუქტურასთან არ აქვთ და ნუ აქვთ დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე, რომ საქართველოს ნატოსა თუ ევროკავშირში შესვლა რესპუბლიკელებზეა დამოკიდებული.

რესპუბლიკელები დღესაც ახლოს არიან მიხეილ სააკაშვილთან, რომელიც გვაშანტაჟებდა, რომ, თუ ის არ იქნებოდა პრეზიდენტი, საქართველო იზოლაციაში მოექცეოდა.

**— მიხეილ სააკაშვილთან რესპუბლიკელების ახლოს ყოფნაში რას გულისხმობთ? ამბობთ, რომ მათ დღესაც აქვთ ურთიერთობა?**

**— შემიძლია, დადასტურებული ინფორმაცია მოგაწოდოთ, რომ გიგა ბოკერიას, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ჯგუფსა და რესპუბლიკური პარტიის წევრებს დღემდე მეგობრული ურთიერთობა აქვთ და დღესაც უნისონში მოქმედებენ. მათ გადაწყვეტილი აქვთ მომავალ პარლამენტში მოხვდნენ და შემდეგ ნაციონალებთან ერთად იმოქმედონ საქართველოს ინტერესების საზიანოდ. ეს პროცესი, უკვე კარგა ხანია, დაწყებულია...**

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია კიდევ ერთი საკითხი: რესპუბლიკელებიც და ნაციონალებიც მხარს უჭერენ საქართველოში ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ქორწინების დაკანონებას. რა თქმა უნდა, ამ საკითხის წამოჭრა ჩემი მხრიდან, მით უმეტეს, წინასაარჩევნოდ, მათთვის ძალიან არასასურველი იყო. არჩევნების წინ ხდება ყველა პოლიტიკური ძალის ლუსტრაცია და დავინახეთ, რომ რესპუბლიკელები, რომელთაც მოსახლეობის არანაირი მხარდაჭერა არ აქვთ, აპირებენ, სხვისი ავტორიტეტით მოხდვნენ პარლამენტში, რათა შემდეგ არამხოლოდ ერთნაირსქესიანთა ქორწინება, არამედ სხვა ბევრი ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი საკითხი დააკანონონ.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნატოს ხელმძღვანელობა ნებისმიერი ხელისუფლის პირობებში მართლა გონებასუსტი ბავშვივით გვარიგებდა ჭკუას, — რა „გვჭირდება“ და რა არის ჯერ ჩვენთვის „ნაადრევი“; ანუ, ანეკდოტს რომ დავესესხოთ, ყოველთვის გვკარნახობდნენ „გვშია“ თუ „გვეძინება“ და ამაში ყველაზე მეტად, რაღა თქმა უნდა, ნატოს სპეციალური წარმომადგენელი კავკასიაში, ბატონი ჯეიმს აპატურაი გამოირჩეოდა.**

# რაო «დეიდა ნატომ» — გვშია თუ გვეძინება?

**ნატო-საქართველოს ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა. კერძოდ, უკვე გვითხრეს, რომ კარი, რომელიც აქამდე მთელი 20 წელიწადი ღია იყო, მოულოდნელად ორპირმა ქარმა მიაჯახუნა, ჩაკეტა და ამდენ ხანს სულ ღია მდგომარეობაში არსებული ანჯამები ისე დაჟანგულა, რომ მიხურვის შემდეგ ველარ ბრუნავს და დახურულ მდგომარეობაში გაიჭედა. ამის გამო საქართველოს „ლომის სწორმა“ თავდაცვის მინისტრმა საგანგებო ზომები რომ მიიღო და ნატოში ფანჯრიდან შესვლის გეგმას ამუშავებს , თინა ხიდაშელმა თვითონვე გვითხრა, არ დაუმალავს. გასარკვევი ისღა იყო, როდესაც „ნატო დეიდა“ დაგვიძახებს, მერე უნდა გადავხოხდეთ ფანჯარაში, თუ, როცა მზად ვიქნებით და მოგვინდება, მაშინ უნდა გადავძვრეთ ფანჯრიდან?**




აგერ, ამ ორი დღის წინათ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, ბატონმა იან კელიმ ამაშიც უცებ გაგვარკვია. „საქართველო მაშინ გახდება ნატოს წევრი, როდესაც თვითონ ნატო იქნება მზად ამისთვის“, — განაცხადა ელჩმა და ყველა იმედი მოუსპო მათ, ვისაც ეგონა, რომ ფანჯარაში გადაძრომა „ნატო დეიდას“ მოხმობის გარეშეც შეგვეძლო.

ახლა უკვე ფაქტია: ჩვენ სრულიად მშვიდად ნიჩბებით უნდა ვითამაშოთ ეზოში დაყრილ სილაში და ველოდოთ, როდის დაგვიძახებს „ნატო დეიდა“: „კარგი ახლა, საქართველო, გეყოფა თამაში, ამოდი!“

ამაზე ერთი ძველი ანეკდოტი მახსენდება:

ცოტა გონებასუსტი ბავშვი ეზოში თამაშობს.

დედა ეძახის ფანჯრიდან.

— ამოდი, შვილო, სახლში!

— რატო, დედი, მშია?

— არა, შვილო, გეძინება!

**საქართველოსა და ნატოს დამოკიდებულება ამ ანეკდოტს მხოლოდ იმიტომ კი არ მაგონებს, რომ ჩვენ ეზოში უნდა ვითამაშოთ, ვიდრე „ნატო დეიდა“ ფანჯრიდან დაგვიძახებს, არამედ იმიტომაც, რომ უკვე კარგა ხანია, სწორედ ამ გონებასუსტი ბავშვივით, ჩვენც აქეთ გვასწავლიან და გვეუბნებიან, „გვშია“ თუ „გვეძინება“.**

აბა, გადავხედოთ ჩვენს გავლილ გზას ნატოს ჯერ მუდამ ღია და შემდეგ უცებ მოჯახუნებული კარისკენ:

*** 1995-2000 წლები.** საქართველოსთვის აუცილებელია, რომ ნატოს წევრი გახდეს, ეს მოიტანს თქვენი ქვეყნისთვის დაცულობისა და სიმშვიდის განცდასა და გარანტიას.

*** 2000-2005 წლები.** საქართველოსთვის ჯერ ნატოს წევრობა არ არის საჭირო, საგზაო რუკა უნდა აიღოთ, ე.წ. მაპი. წევრობა ჯერ არაფერში გჭირდებათ.

*** 2005-2010 წლები.** საქართველოს ჯერ მაპი არაფერში სჭირდება. თქვენთვის ის შეფასებები, რომლებიც სამიტზე მოგცეს, მაპ-ზე უკეთესია. ჯერ თქვენ გჭირდებათ „ასპირანტი ქვეყნის“ სტატუსი ნატოში. მაპი რად გინდათ? საერთოდ, არაფერში არ გჭირდებათ მაპი.

*** 2010-2015 წლები.** საქართველოს რად უნდა „ასპირანტი ქვეყნის“ სტატუსი? ჯერ გჭირდებათ „ღია კარის პოლიტიკა“ ნატოში. ეს არის ყველაზე კარგი თქვენთვის.

*** 2015-დან, სავარაუდოდ, 2020 წლამდე.** საქართველოს „ღია კარი“ რისთვის სჭირდება ნატოში? თქვენ ხომ არც ფანჯრიდან გაგიჭირდებათ შემოსვლა, ისეთი მაგრები ხართ! ახლა კარი ღია რომ დაგიტოვოთ, რუსეთი გაბრაზდება და ეს თქვენი უსაფრთხოებისთვისაც ცუდია. მთავარია, თქვენი სწრაფვა ნატოსკენ, თორემ კარი ღია იქნება თუ დახურული, ეგ არაფერი! თქვენ ახლა რაღაც უფრო სხვა გჭირდებათ, მალე მოვიფიქრებთ და გეტყვით, რაც გჭირდებათ, ოღონდ ეს ნამდვილად არ არის არც წევრობა, არც რუკა, არც ასპირანტობა და არც ღია კარი. ითამაშეთ თქვენთვის მანდ ეზოში და ჩვენ ფანჯრიდან გადმოგძახებთ, რაც გჭირდებათ.

აი, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარდა საქართველოსა და ნატოს ურთიერთობა!

ეს ჩამონათვალი პირობითად არის დაყოფილი ხუთწლედებად. რეალურად, ხან 4-წლიანი, ხან 6-წლიანი და ხან კიდევ მეტ-ნაკლები დაყოვნებებით ნატოს სხვადასხვა გენერალური მდივანი გვეუბნებოდა ხოლმე ამ ფრაზებს.

არც იმას აქვს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა, კონკრეტულად ვინ იყო ამა თუ იმ დროს საქართველოს ხელისუფლებაში. **ნატოს ხელმძღვანელობა ნებისმიერი ხელისუფლის პირობებში მართლა გონებასუსტი ბავშვივით გვარიგებდა ჭკუას, — რა „გვჭირდება“ და რა არის ჯერ ჩვენთვის „ნაადრევი“; ანუ, ანეკდოტს რომ დავესესხოთ, ყოველთვის გვკარნახობდნენ, „გვშია“ თუ „გვეძინება“ და ამაში ყველაზე მეტად, რაღა თქმა უნდა, ნატოს სპეციალური წარმომადგენელი კავკასიაში, ბატონი ჯეიმს აპატურაი გამოირჩეოდა.**

დღესაც, ნატოს მოდევნო (ვინ მოთვლის, უკვე მერამდენე მას შემდეგ, რაც ასე მოუთმენლად ველოდებით ჩვენ, გონებასუსტი ბავშვები დეიდა ნატოს დაძახილს) სამიტის წინ სწორედ ჯეიმს აპატურაიმ გვითხრა, რომ თურმე უკვე არც „გვშია“ და არც „გვეძინება“. ალბათ, ჯერ „ფიში უნდა ვქნათ“.

**„ჯერჯერობით, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს არც ნატოს წევრობა გამოადგება და არც საგზაო რუკა. მომდევნო სამიტზე საუკეთესო გზას შემოგთავაზებთ, მაგრამ ეს არც წევრობა იქნება და არც მაპი“, — ისეთი სერიოზულობით განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ, რომ მუდამ ხუნტრუცა თინა მთავარსარდალიც კი დაადინჯა.**

მაგრამ „ქალბატონი შვეიკი“ ხომ ხუნტრუცის გარეშე დიდხანს ვერ ისვენებს და მანაც უმალ გამოაცხო მორიგი „ბრძნული“ განცხადება: **„რუსეთისთვის დიდ პრობლემას წარმოვადგენთ მე და ჩემი მეუღლე“.**

თინა ხიდაშელისგან ასეთ სულელურ განცხადებებს მიჩვეული კი ვართ და ამას წინათ უკვე განაცხადა, რომ თურმე პუტინს ისე ეშინია მისი, მთელი ღამეები „თინა, ატსტან ოტ მენია!“-ს გაიძახის. მაგრამ ამჯერად ფანტაზია კიდევ უფრო გაიშალა და პუტინს ჩვენი თავდაცვის მინისტრი აწი, როგორც ჩანს, მეუღლესთან ერთად მოელანდება.

**ჰოდა, როგორ გგონიათ, რა უნდა იყოს რუსეთის პრეზიდენტის ასეთი შიშისა და კანკალის მიზეზი თინასა და დათოს მიმართ? — სწორედ მათი დაუოკებელი სწრაფვა ნატოსკენ!**

„ეუთოში რუსეთის წარმომადგენელმა მითხრა, შენ და შენი მეუღლე ისე ხშირად საუბრობთ საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ, რომ ჩვენთვის, რუსეთისთვის, ეს უკვე დიდ პრობლემას წარმოდგენსო“, — სრული სერიოზულობით აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი და მეც, ამ საგაზეთო პუბლიკაციის ავტორი, სრული სერიოზულობით ვსვამ კითხვას: **ნუთუ შეიძლება, სახელმწიფო, რომელსაც ამ დონის შტერი თავდაცვის მინისტრი ჰყავს ან ნატოში შევიდეს, ან სადმე რომელიმე ნებისმიერ სხვა სამხედრო გაერთიანებაში? ადამიანს, რომელსაც რომელიმე სახელმწიფოს, მით უფრო, რუსეთის წარმომადგენელი ასე ეკაიფება და ამას ისე სერიოზულად აღიქვამს, რომ მედიასთანაც კი საუბრობს, თუ ვინმე არ დაეხმარა, თვითონ ნამდვილად გაუჭირდება გაერკვეს: „შია“, „ეძინება“, „ეფსია“ თუ „ატაში უნდა“.**

**არა, რამ უნდა მათქმევინოს, რუსეთს ამ „ცოლ-ქმარ შვეიკებზე“ უფრო დიდი პრობლემა არ მისცეს ღმერთმა საქართველოს მხრიდან-მეთქი, ეს ხომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის აშკარა დალოცვა გამოვა?!**

უმჯობესია, ასე ვთქვა; ეს უმაქნისი და ტრაბახა ქალი და მისი პოლიტიკოსის ბუტაფორია მეუღლე, ნეტავ, ყველაზე მცირე პრობლემად მოსჩვენებოდეს მალე რუსეთს და ნეტავ, ისე აეწყობოდეს ჩვენი ქვეყნის საქმე, რომ მალე ამ ბუმბერაზ სახელმწიფოს მართლა სერიოზულად აღექვას ჩვენი სახელმწიფო მოხელეები, რათა საქართველომ რეალურად შეძლოს საკუთარი ინტერესების მინიმუმის გატარება მაინც რუსეთ-ამერიკის დაუნდობელი დაპირისპირების ფონზე!

მანამდე კი, როცა ჯერაც ისეთი სახელმწიფო მოღვაწეები გვყავს სათავეში, მგონი, აზრიც არ აქვს სერიოზულად იმის განხილვას, თუ რას მოგვცემს ჯეიმს აპატურაი და მისნაირები ნატოს უახლოეს სამიტზე. მოდი, ისევ ანეკდოტის ენაზე შევხედოთ ამ ამბავს:

სულელ კაცს ფრინველების ბაზარში თუთიყუშის ყიდვა უნდა. ერთი თაღლითი ვაჭარი შეამჩნევს, რომ სულელია და ძვირფასი თუთიყუშის ფასში ჩვეულებრივ ბუს მიჰყიდის, — ეს განსაკუთრებული, სხვანაირი თუთიყუშია, წაიყვანე და ცოტა ხანში ლაპარაკსაც თვითონ ისწავლისო.

ცოტა ხნის შემდეგ ბუს მყიდველი ისევ გამოჩნდება იმ ბაზარში და თაღლით გამყიდველს, დამალვას რომ ცდილობს, სწორედ მაშინ წაადგება თავს. გამყიდველი საყვედურის ნაცვლად დიდ მადლობას მოისმენს და თვითონაც გაოცდება:

— როგორ, ნუთუ ლაპარაკი ისწავლა?

— არა, ლაპარაკი ჯერ არ უსწავლია, სამაგიეროდ, გაფართოებული თვალებით ყურადღებით მისმენს! — კმაყოფილი ეტყვის თუთიყუშის ნაცვლად ბუს მყიდველი სულელი.

აი, დაახლოებით ასე იქნება ჩვენი საქმეც.

**მოგვცემენ ნატოს სამიტზე „თუთიყუშის“ ნაცვლად „ბუს“ და მე თქვენ გეტყვით, თინა ხიდაშელის მსგავსი „სახელმწიფო მოღვაწეების“ ხელში საყვედურის მთქმელი მაინც იქნება ვინმე თუ რა?!**

პირიქით, „თუთიყუშის“ ნაცვლად მიღებული „ბუთი“ კმაყოფილთა რიგებიც კი დადგება — თუ ვერ ლაპარაკობს, სამაგიეროდ, ძალიან კარგად გვისმენსო.

**«ჯერჯერობით, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს არც ნატოს წევრობა გამოადგება და არც საგზაო რუკა. მომდევნო სამიტზე საუკეთესო გზას შემოგთავაზებთ, მაგრამ ეს არც წევრობა იქნება და არც მაპი», — ისეთი სერიოზულობით განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ, რომ მუდამ ხუნტრუცა თინა მთავარსარდალიც კი დაადინჯა. მაგრამ «ქალბატონი შვეიკი» ხომ ხუნტრუცის გარეშე დიდხანს ვერ ისვენებს და მანაც უმალ გამოაცხო მორიგი «ბრძნული» განცხადება: «რუსეთისთვის დიდ პრობლემას წარმოვადგენთ მე და ჩემი მეუღლე»**

**სად იყო და სად არა, მოულოდნელად შავი ჯიპები მოქანდნენ, ჩვენს ავტობუსს სასწრაფოდ ბუქსირი ჩაუბეს და ძირს დააგორეს. შავი ჯიპებიდან კი მთავრობის სრული შემადგენლობა გადმოვიდა. იქვე იყვნენ პარლამენტარებიც, კომიტეტის წევრებიც და თავმჯდომარეებიც... ამასობაში შავი „რაფის“ მარშრუტკა მოქროლდა, იქიდან შავებში ჩაცმული დიდი ქალი გადმოვიდა, ქერა თმითა და შავი სათვალით. არც დავკვირვებივარ, ვიცანი ეგრევე, ელისოა ტრადიციული პარიკითა და კონსპირაციული ვიზუალით.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველ რესპუბლიკელებს წითელ წიგნში შეიტანენ




**ამ ინფორმაციას საკუთარ ფანტაზიაზე დაყრდნობით ავრცელებს ჩვენი არც ისე სანდო წყარო. უფრო ზუსტად, ამ ინფორმაციის გამავრცელებელი ეყრდნობა პარლამენტარ დავით ბერძენიშვილის განცხადებას: ჩვენ, ქართველი რესპუბლიკელები, ვართ ის იშვიათი ძალა, რომელიც მუდამ განუხრელად უჭერდა მხარს საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს და ჩვენ წინააღმდეგ მიტინგები კი არ უნდა მოაწყოს ზოგიერთმა, არამედ ჩვენნაირ ადამიანებს ქართველი ხალხი უნდა გაგვიფრთხილდესო.**

როგორც მიხვდით, თემა შეეხება ასევე პარლამენტარისა და თანაც მრეწველის — გოგი თოფაძის მიერ რესპუბლიკელების საწინააღმდეგო განცხადებებს და ამის კვალდაკვალ „ქართული ოცნების“ მთავარ ოფისთან გამართულ აქციებს, რომელთა მონაწილენიც მმართველი კოალიციიდან რესპუბლიკელების ჩამოშორებას მოითხოვდნენ.

სწორედ ამან მისცა საფუძველი მავანს, ევარაუდა, რომ გოგი თოფაძეს ბიძინა ივანიშვილი საკუთარ „თოფად“ იყენებს და ბატონი მრეწველი, საკუთარი ნებით კი არა, სწორედ ბიძინას კარნახით მოქმედებს.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ბერძენიშვილის ზემომოყვანილი განცხადებაც, რომ რესპუბლიკელები იშვიათ ფენომენს წარმოადგენენ საქართველოს ფლორასა და ფაუნაში.

ველური ბუნების მიმართ ივანიშვილის ფაქიზი დამოკიდებულების შესახებ კი ყველას კარგად მოეხსენება.

ამიტომ ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტი მივიდა დასკვნამდე, რომ ბრძენი და კეთილი მილიარდერი, როგორც ყოველთვის, აქაც გამონახავს ისეთ გამოსავალს, რომლითაც ყველა კმაყოფილი დარჩება.

კერძოდ, უკვე გადაწყვეტილია, რომ სულ მალე შეიქმნება „საქართველოს რესპუბლიკური ნაკრძალი“, რომელშიც შერეკავენ ყველა ქართველ რესპუბლიკელს და ნებისმიერ მსურველს მათზე ნადირობის უფლება მხოლოდ სეზონურად ექნება.

ამით, პირველ რიგში, გამწარებული ქართველი ხალხის ინტერესი დაკმაყოფილდება, რადგან ფაქტია, თუ რესპუბლიკელებმა კვლავ განაგრძეს ხალხის გაღიზიანება, ისინი შეიძლება ჩაქოლონ. ამიტომ, ასე რომ არ მოხდეს, სჯობს, ცივილიზებულად ინადირონ რესპუბლიკელებზე და მათაც მიეცეთ გადარჩენის შანსი გაქცევის, ხეს ამოფარების ან ბუჩქებსა და ჩირგვებში ჩაძრომის გზით.

ამ პროექტით რესპუბლიკელების ამბიციებიც დაკმაყოფილდება, რადგან ნაკრძალში იქნებიან მოთავსებულნი, მათზე საყოველთაო ნადირობა აიკრძალება (მხოლოდ სეზონურად ინადირებენ) და საქართველოს წითელ წიგნშიც შეიტანენ. ეს კი პირდაპირი განხორციელებაა დავით ბერძენიშვილის სურვილისა: ჩვენ, ქართველი რესპუბლიკელები, იშვიათი ჯიშისანი ვართ და ამიტომ ქართველი ხალხი უნდა გაგვიფრთხილდესო!

როგორც ამბობენ, ეს იდეა უკვე მოწონებულია და სათანადო ადგილიც შერჩეულია. იმასაც ამბობენ, რომ „რესპუბლიკურ ნაკრძალში“ პირველი ბიძინა ივანიშვილი ინადირებს.

**დიდუ აგირაია**

> **ამ პროექტით რესპუბლიკელების ამბიციებიც დაკმაყოფილდება, რადგან ნაკრძალში იქნებიან მოთავსებულნი, მათზე საყოველთაო ნადირობა აიკრძალება (მხოლოდ სეზონურად ინადირებენ) და საქართველოს წითელ წიგნშიც შეიტანენ. ეს კი პირდაპირი განხორციელებაა დავით ბერძენიშვილის სურვილისა: ჩვენ, ქართველი რესპუბლიკელები, იშვიათი ჯიშისანი ვართ და ამიტომ ქართველი ხალხი უნდა გაგვიფრთხილდესო!**

# საიდუმლო ნადიმი ბიძინას სასახლეში და ლირიოდენდრონი

**საზოგადოებისთვის უკვე აღარ არის საიდუმლო, რომ მინისტრთა კაბინეტის წევრები აზრებს ბიძინა ივანიშვილს ეკითხებიან და ხანდახან ფარული შეხვედრებიც იმართება ხოლმე. საგურამოს შემდეგ ახალი საიდუმლო შეხვედრა ამჯერად სოლოლაკის დაკიდებულ ბაღებში შედგა და მას ჩვენი წყარო შეესწრო, ტრადიციულად, შემთხვევით.**

„წყნეთში ვიყავი, ნაღდი სოფლის მაწონი და რძე მომაქვს ხოლმე ნაცნობი ქალისგან, და შინ ვბრუნდებოდი. მოულოდნელად ავტობუსი გაფუჭდა და ზედ სასახლის კართან გაჩერდა. საღამო ხანი იყო, ბოლო რეისს მოვყვებოდი. მძღოლმა გვითხრა, ცოტა დაცდა მოგვიწევს, ვიდრე მორიგე მოვა და შეგიძლიათ სუფთა ჰაერზე გაისეირნოთო. მეც ჩამოვედი და ვერანდიდან ბებერი თბილისის ხედებით ტკბობა დავიწყე. სად იყო და სად არა, მოულოდნელად შავი ჯიპები მოქანდნენ, ჩვენს ავტობუსს სასწრაფოდ ბუქსირი ჩაუბეს და ძირს დააგორეს. შავი ჯიპებიდან კი მთავრობის სრული შემადგენლობა გადმოვიდა. იქვე იყვნენ პარლამენტარებიც, კომიტეტის წევრებიც და თავმჯდომარეებიც. რეზიდენციის წინ ამაღლებული ბორდიური რომ არის, იქ ჩავიმალე. ამასობაში შავი „რაფის“ მარშრუტკა მოქროლდა, იქიდან შავებში ჩაცმული დიდი ქალი გადმოვიდა, ქერა თმითა და შავი სათვალით, არც დავკვირვებივარ, ვიცანი ეგრევე, ელისოა ტრადიციული პარიკითა და კონსპირაციული ვიზუალით. ელისო აქეთ-იქით აცეცებს თვალებს და შენობაში შესაღწევად გზას ეძებს, თუმცა არ ჩქარობს, კაბის უბიდან ბოთლი ამოიღო, პურის ნაჭერი, ყველი და საქმის დაწყებამდე ცოტა წაიხემსა.

ღამის 12 საათი გახდა. ელისომ კაბიდან პურის ნამცეცები ჩამოიბერტყა და ბაღისკენ გაემართა.

უბიდან რაღაც საგანი ამოიღო, თითქოს ანკესს ჰგავდა, მძლავრად მოიქნია და ბაღში ისროლა, თვითონ კი ღობეზე წვალებით აცოცდა. მივხვდი, რომ ექსკლუზივი ხელიდან მეცლებოდა და ის დრო იყო, ელისო თავიდან მომეშორებინა. ის-ის იყო, ბაღში უნდა გადამხტარიყო, კაბის ბოლოში ვეცი და ჩამოგდება დავუპირე. ვერც ხმას იღებს და ჩუმად მიწევს წინააღმდეგობას. მე აქედან ვექაჩები, ის — იქიდან. **მოკლედ, საქმე მის სასარგებლოდ წავიდა და ელისომ ბაღში მოადინა ბრაგვანი. ხმაურზე რეზიდენციიდან ეკამ და მანანამ გამოიხედეს. „რომელი ხარ მანდ?“ — დაიძახა მანანამ, რომელსაც ხელში ვისკის ჭიქა და იმერული ხაჭაპურის ნაჭერი ეჭირა.** ელისო **გა-„სუს“-ული** ზის და ხმას არ იღებს. „რომელი ხარ-მეთქი?“ — დაამატა ეკამ. ბაღში სიჩუმეა. ქალები შეტრიალდნენ შენობაში, ალბათ, იფიქრეს, ნასვამები ვართ და მოგვეჩვენაო.

ელისომაც ამოისუნთქა და კვლავ საქმეს შეუდგა. იქვე დიდი ლირიოდენდრონის ხე დგას, კარგად გაფოთლილი, და მისი ტოტების სიმაღლე პირდაპირ უყურებს იმ ადგილს, სადაც მთავრობის და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრთა ნადიმი იმართებოდა. ელისო ნელი ნაბიჯებით მიიპარა ხესთან და დაიწყო აცოცება. ჯერ ერთი ფეხი ასწია, შემდეგ — მეორე და ასე ერთ მსხვილ ხის ტოტზე მოექცა. ამოიღო ჯიბის კამერა და პირდაპირ ფანჯარას დაუმიზნა. მოკლედ, საქმე დაიწყო. ელისო აზარტშია შესული, დარბაზში კი ლხინი და ჟრიამულია. **ვხედავ, მანანა და ეკა ვალსს ცეკვავენ, გოგი და თინა — ტვისტს, ბიძინა და ირაკლი — ჩა-ჩა-ჩას, ვოლსკი და ჩაფიძე — რუმბას.** გუბაზსაც მოვკარი თვალი, მარტო იდგა და დინჯად მოძრაობდა ცეკვის სტილში.

ამასობაში შუაღამეც მოვიდა, სამი საათია უკვე, სტუმრებმა ნელ-ნელა დაიწყეს დაშლა. ეკა და მანანა დარჩნენ, როგორც ჩანს, სუფრა ჰქონდათ ასალაგებელი. **სუფრის ალაგებამდე ქალბატონებმა ბაღში გასეირნება გადაწყვიტეს და თან ახალდგადარგული ლირიოდენდრონის დათვალიერება მოიწადინეს. სიტუაცია ცოტა დაიძაბა. ეკა და მანანა ხის ძირში ზუსტად იმ ადგილას დადგნენ, საიდანაც კარგად მოჩანდა კენწეროზე მოკალათებული ელისო, თუმცა, მის ბედად, მაღლა არ აუხედავთ.** ერთმანეთში საუბრობდნენ, როგორც შევატყვე, რაღაც საკითხზე ბჭობდნენ და სამომავლო გეგმებს სახავდნენ. მოულოდნელად ტკაცუნის ხმა შემომესმა და დავინახე, როგორც შენელებული კადრი, როგორ მოტყდა კენწეროს ტოტი და როგორ გადმოეშვა მასზე მოკალათებული ელისო. გაუმართლა — სიმძიმის ძალამ ტოტი აუზისკენ მიმართა და ცნობილი ჩიტის პატრონი ბერას აუზში აღმოჩნდა. დაცემის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ წყლის შხეფები ჯი-დი-ესის შენობასაც კი მიესხურა. ხმაურზე ისევ მანანა და ეკა გამოვიდნენ ხალათებით, მიათვალიერ-მოათვალიერეს იქაურობა და, საეჭვო რომ ვერაფერი შენიშნეს, უკან შებრუნდნენ. გალუმპულმა ელისომ, როგორც იქნა, თავი დააღწია აუზს, აი, გადაღებული მასალა კი, როგორც ჩანს, მთლად გაუნადგურდა.

დავინახე, როგორც კი ამოვიდა, სწრაფად გადმოცოცდა ღობეზე გინებითა და ფურთხებით, დაეშვა დაღმართზე, წყაროსკენ და მის მომლოდინე შავ „რაფში“ ჩაჯდა, სიმწრისგან კარი მიაჯახუნა და სინათლის სიჩქარით გაეცალა იქაურობას“.

სპეციალურად ბიძინას ბაღებიდან,

**ელიკო სილაძე**

> **ელისომ ბაღში მოადინა ბრაგვანი. ხმაურზე რეზიდენციიდან ეკამ და მანანამ გამოიხედეს. «რომელი ხარ მანდ» — დაიძახა მანანამ, რომელსაც ხელში ვისკის ჭიქა და იმერული ხაჭაპურის ნაჭერი ეჭირა. ელისო გა-«სუს»-ული ზის და ხმას არ იღებს. «რომელი ხარ-მეთქი?» — დაამატა ეკამ. ბაღში სიჩუმეა. ქალები შეტრიალდნენ შენობაში, ალბათ, იფიქრეს, ნასვამები ვართ და მოგვეჩვენაო**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რა ხდება, ვერ გამიგია: თაღლითობისთვის მსჯავრდებულმა ენუქიძეებმა სასჯელი უკვე მოიხადეს, ჩემთვის, ანუ დაზარალებულისთვის ყადაღის ახსნას კი საშველი არ დაადგა. კურიოზია, მეტი რომ არაფერი ვთქვა. გამოდის, რომ დამნაშავეები ჩვენვე ვყოფილვართ, ჩვენ — დაზარალებულები. მოსამართლე ნათია გუჯაბიძისა და მისდაგვართათვის კანონი არაფერს ნიშნავს, სამართლის ზეობა მათი პროფესიული მიზანი არ არის“**

# «სააკაშვილის რეჟიმის ხეს ტოტები კი შეაჭრეს, მაგრამ ფესვები დარჩა»

**ასე შეაფასა საქართველოს პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა თამაზ დაუშვილმა ჩვენი ქვეყნის სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობა, რადგან საკუთარ თავზე გამოსცადა უკანონობა, რომელმაც მოსარჩელე ადამიანი დამნაშავედ გამოაცხადა. პუბლიკაცია, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ამაზეა.**

მესამე და — სამართალიო. ეს ხალხური სიბრძნე ასე განსჯის: თუ ორ მოპაექრეს (მოთამაშეს) შორის პირველ ორ რაუნდში ვერც ერთი გაიმარჯვებდა ანუ ორთაბრძოლა ფრედ დასრულდებოდა, მესამე რაუნდს უნიშნავდნენ.

გადამწყვეტს.

ხელოვნურად შეთითხნილ „საქმეს“, რომელიც სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაში სამ წელიწადზე მეტხანს გრძელდება, „საქართველო და მსოფლიო“ დღევანდელ პუბლიკაციამდე სამჯერ დაუბრუნდა. სამჯერ! მაგრამ სამართლიან გადაწყვეტას არა და არ დაადგა საშველი.

**ვერა და ვერ მოხერხდა „ქმნა მართლისა სამართლისა“ ერთი კერძო კოლიზიის შემთხვევაში, რომელშიც მოსარჩელის არგუმენტები დადასტურებული და განმტკიცებულია უტყუარი ფაქტებით და, რაც მთავარია, სასამართლოს გადაწყვეტილებებით.**

სააპელაციო სასამართლოს ერთმა შემადგენლობამ ძალაში დატოვა აღნიშნული გადაწყვეტილებები, მეორე შემადგენლობამ გააუქმა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ **ბესარიონ ალავიძემ** რატომღაც მხარი დაუჭირა სააპელაციო სასამართლოს მაინცდამაინც მეორე შემადგენლობის (კოლეგიის თავმჯდომარე **ნათია გუჯაბიძე**) გადაწყვეტილებას, მეტიც: მოსარჩლის ქონებისთვის ყადაღის დადება კანონიერად მიიჩნია.

**ასე გაჭრა და გაკერა მოსამართლე ნათია გუჯაბიძის სამართალმა, რომლის მსგავსი ვაიმოსამართლეებისგან საქართველოს „რეფორმირებული“ სასამართლო სისტემა — პირველიდან უზენაეს ინსტანციამდე — დღემდე ვერ გათავისუფლებულა.**

ჩვენს სასამართლო ოლიმპზე ბოლო ხანს დატრიალებული გაუგებრობების მთელი რიგი, რომელთა სახელგატეხილი (რბილად რომ ვთქვათ) ფიგურანტები რაღაც მანქანებით კვლავ თემიდას ქურუმებად წარმოგვიდგნენ, ადასტურებს სამწუხარო რეალობას: სამართლის დაპურება დამშეულ საქართველოში ძნელი წარმოსადგენი გახდა.

ის „რაღაც მანქანები“ კი გადაღებეს, მაგრამ, როგორც ეტყობა, არც „ამძრავი ღვედები“ შეუცვალეს, არც — საწვავი მარკით „კორუფცია“...

**ახლა კი იმ საკითხის მოკლე შინაარსს გაგაცნობთ, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ კიდევ ერთხელ უბრუნდება: აქა ამბავი საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატის, თამაზ დაუშვილის ქონების დაყადაღებისა უსამართლო სასამართლოს მიერ.**

ამონარიდი თამაზ დაუშვილის წერილიდან:

„ჩვენი ოჯახი ფლობდა მიწის ნაკვეთს მარშალ გელოვანის ქუჩაზე. ჩემთან მოვიდნენ ბიძაშვილები — აკაკი და დავით ენუქიძეები, რომლებსაც უშუამდგომლა კახა არაბიძემ, და შემომთავაზეს ამ ადგილზე საცხოვრებელი სახლის აშენება, სანაცვლოდ 33 პროცენტს დამპირდნენ. 2007 წლის 13 ივლისს ყველა წესის დაცვით დაფუძნდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „არენა სითი“, თავმჯდომარედ აირჩიეს დავით ენუქიძე“.

ენუქიძეებმა რამდენიმე თვეში მოახერხეს ბინების მიღების მსურველთა მიერ შემოტანილი თანხის, დაახლოებით 300 ათასი ლარის, საკუთარ განკარგულებაში აკუმულირება და... ქვაბულის ამოთხრით დამთავრდა ახალი სახლის „მშენებლობა“.

მოკლედ — მიითვისეს.

„ენუქიძეების თაღლითობას სხვებთან ერთად ჩვენც შევეწირეთ, — განაგრძობს თამაზ დაუშვილი, — **ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი 80 000 ლარად გაიყიდა**“.

და დაადგნენ დაზარალებულები სასამართლოს გზას. იჩივლეს. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ **ჯემალ კოპალიანმა. 2012 წლის 20 მარტის განაჩენით დავით და აკაკი ენუქიძეებს მიესაჯათ 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ დაადგინა, რომ ყველა დაზარალებულის (მოსარჩელის) მიერ გადახდილი არც ერთი თეთრი არ მოხმარებია ამხანაგობას და საერთო თანხა სრულად იქნა მითვისებული დავით და აკაკი ენუქიძეების მიერ.**

ამ განაჩენის ძალაში შესვლიდან 3 წელიწადი გავიდა და დაიწყო საქმის სასამართლო განხილვა სამოქალაქო წესით. იმის გამო, რომ სარჩელები შეტანილი იყო ეტაპობრივად, ისინი **სხვადასხვა დროს განიხილა სასამართლოს რამდენიმე შემადგენლობამ და ინსტანციამ,** მათ შორის მოსამართლეებმა: **ლევან გვარამიამ, თამარ ბურჯანაძემ, შორენა ჯანხოთელმა.** მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, ამხანაგობის წევრებისთვის ზარალის ანაზღაურება, ანუ მითვისებული თანხის დაბრუნება დაეკისრა დავით და აკაკი ენუქიძეებს.

ეს გადაწყვეტილება ორჯერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. პირველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს ერთი შემადგენლობა (ადეიშვილი, გიორგიშვილი, ეცადაშვილი) გადაწყვეტილებას ძალაში ტოვებს, მეორე შემადგენლობა (გუჯაბიძე, მესხიშვილი, ნაზღაიძე) — აუქმებს.

ე.ი. **ექვსი სასამართლოს, მათ შორის, სისხლის სამართლისა და სააპელაციო სასამართლოების, გადაწყვეტილებით, დაზარალებული მომჩივნებისთვის თანხის გადახდა დაეკისრათ დავით და აკაკი ენუქიძეებს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს ერთადერთმა კოლეგიამ (გუჯაბიძე, მესხიშვილი, ნაზღაიძე) გააუქმა ეს გადაწყვეტილება და თანხის გადახდა დააკისრა სოლიდარულად ამხანაგობის ყველა წევრს.**

უფრო ზუსტად: სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატამ (გუჯაბიძე, ნაზღაიძე, მესხიშვილი) შვიდი მოსარჩელისთვის თანხის გადახდა სოლიდარულად დააკისრა ამხანაგობის გამგეობის ყველა წევრს (მათ შორის — თამაზ დაუშვილსაც), მიუხედავად იმისა, რომ მათ ენუქიძეების აფერასთან საერთო არაფერი ჰქონიათ. „აკაკი და დავით ენუქიძეები წესითა და კანონით დაფუძნებული ამხანაგობისთვის გვერდის ავლით, თავიანთი ყალბი ამხანაგობის სახელით მოქმედებდნენ და ბინების ყიდვის მსურველებს შეტანილი თანხის დამადასტურებლად ისეთ ფარატინა ქაღალდებს ურიგებდნენ, რომელთაც არავითარი იურიდიული ძალა არ ჰქონდა“.




**თამაზ დაუშვილი** გაოცებულია:

**— რა ხდება, ვერ გამიგია: თაღლითობისთვის მსჯავრდებულმა ენუქიძეებმა სასჯელი უკვე მოიხადეს, ჩემთვის, ანუ დაზარალებულისთვის ყადაღის ახსნას კი საშველი არ დაადგა. კურიოზია, მეტი რომ არაფერი ვთქვა. გამოდის, რომ დამნაშავეები ჩვენვე ვყოფილვართ, ჩვენ — დაზარალებულები.**

**მოსამართლე ნათია გუჯაბიძისა და მისდაგვართათვის კანონი არაფერს ნიშნავს, სამართლის ზეობა მათი პროფესიული მიზანი არ არის.** მთავარია, ხელის მოთბობა, დაინტერესებულ ელემენტებთან კორუფციული გარიგება და ამის წყალობით საკუთარი ჯიბის გასქელება. აშკარაა, რომ ყოფილი რეჟიმის ხეს ტოტები კი შეაჭრეს, მაგრამ ფესვები დარჩა!

„საქართველო და მსოფლიოში“ 2015 წლის 37-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილი ქალბატონ ნინო გვენეტაძისადმი მიმართვით მთავრდებოდა: „ბრძენ ხალხს უთქვამს: სამართალი ურმით დადის და ამიტომ აგვიანებსო. ქალბატონო ნინო, თქვენ, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ხელგეწიფებათ, დაამტკიცოთ როგორც ზოგადად, ასევე, თამაზ დაუშვილისა და სამშენებლო ამხანაგობის წევრების გაჭიანურებული სასამართლო დავის ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტით, რომ ხალხი არ ცდება“.

ვერ დამტკიცდა.

**— ბატონო თამაზ, მაშ, ვერ იზეიმა სამართალმა?**

— ისე იზეიმოს თქვენმა მტერმა და მოშურნემ.

**— ესწრებოდით, ალბათ, უზენაეს სასამართლოში თქვენი სარჩელის განხილვას...**

— არა. იმასაც ვერ გეტყვით, საერთოდ გაიმართა თუ არა სხდომა. ჩემი სარჩელის განხილვა წელიწად-ნახევარი გაიწელა. 6 ათასი ლარი გადამახდევინეს, წარმოებაში რომ მიეღოთ ჩემი განცხადება. კარგად იცით, რა ფასი ედო ამ თანხას 3 წლის წინათ. ახლა იმის ნახევარიღა დარჩა.

ამ ფულის დაბრუნებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელია.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბესარიონ ალავიძემ ზეპირი განხილვის გარეშე არ დააკმაყოფილა ჩემი საკასაციო საჩივარი, რითაც სრულად უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ნორმები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ჩემი სარჩელი განუხილველი დატოვა და სააპელაციო სასამართლოში დააბრუნა, როგორც იტყვიან, ხელმა ხელი დაბანა.

ამ დარღვევას მეორეც დაემატა: 2016 წლის 14 იანვარს გაცემული იქნა სააღსრულებო ფურცელი, რომელსაც რატომღაც ხელს აწერს სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის წევრი ქეთევან მესხიშვილი და არა კოლეგიის თავმჯდომარე ნათია გუჯაბიძე, რაც მისი პირდაპირი მოვალეობა იყო. როგორც ჩანს, მან არ მოინდომა აშკარა უკანონობის თავისი ხელმოწერით დაკანონება. შეეცადა, პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინა.

მაგრამ ეს ჩემს გაჭირვებას არაფერს შველის, რადგან **ჩემი ქონების დაყადაღება ალავიძე-გუჯაბიძის ტანდემის მცდელობით ძალაში დარჩა. დღეს თუ ხვალ მომადგებიან და გამიყიდიან სახლ-კარს. ცარიელზე, ღია ცის ქვეშ მტოვებენ 76 წლის კაცს, რომელსაც ოჯახში 4 არასრულწლოვანი შვილი მყავს და შემოსავლის ერთადერთ წყაროდ დეპუტატის პენსია დამრჩენია.**

უკანონობას, რომელიც ჩემ მიმართ განახორციელეს ალავიძემ და გუჯაბიძემ, ეჭვი არ მეპარება, კორუფციული გარიგება უდევს საფუძვლად. ისეთი ურთიერთობა აქვთ დამყარებული (ლოგიკურად ასე ჩანს), რომ ქოთანს საითაც სურთ, იქიდან მოაბამენ ყურს.

**— ქოთანი ცარიელია?**

— ეგაა საკითხავი და გაარკვიონ იმათ, ვისაც ევალება.

დღეს ყველა, ვისაც რამე საქმე აქვს ან ჰქონია სასამართლოსთან, უკმაყოფილოა ჩვენი მართლმსაჯულებით. არადა, ლამის მთელი მოსახლეობა სასამართლოს კართან დგას.

**შოთა ბერიძე**

**«უკანონობას, რომელიც ჩემ მიმართ განახორციელეს ალავიძემ და გუჯაბიძემ, ეჭვი არ მეპარება, კორუფციული გარიგება უდევს საფუძვლად. ისეთი ურთიერთობა აქვთ დამყარებული (ლოგიკურად ასე ჩანს), რომ ქოთანს, საითაც სურთ, იქიდან მოაბამენ ყურს»**

## ეგვიპტეში ოთხი ქრისტიანი მოზარდი ისლამის შეურაცხყოფისთვის დასაჯეს

**ეგვიპტის ხელისუფლებამ სკოლის მოსწავლე სამ ეგვიპტელს ისლამის შეურაცხყოფისთვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. კიდევ ერთი 15 წლის მოზარდი არასრულწლოვანთა კოლონიაში გაურკვეველი ვადით გაამწესეს. ისინი ეგვიპტელი ქრისტიანები არიან (კოპტები).**

ოთხი მოსწავლე პასუხისგებაში იმ ვიდეოს გამო მისცეს, რომელზეც ერთ-ერთი მათგანი მლოცველ მუსლიმს განასახიერებდა, დანარჩენები კი მის უკან იდგნენ და იცინოდნენ. ეს ვიდეო 2015 წლის იანვარშია გადაღებული. მოზარდების ადვოკატის განცხადებით, ძნელი დასაჯერებელია, რომ მოზარდებს ასეთი სასჯელი შეუფარდეს, რადგან მსგავს შემთხვევაში მხოლოდ ჯარიმაც საკმარისი იქნებოდა.



„საქართველოში, სამწუხაროდ, ვერ ვატყობ, რომ რომელიმე პოლიტიკოსი ან მოქალაქე სახელმწიფოებრივად აზროვნებდეს და უყვარდეს თავისი ქვეყანა. ყველას თავისი თავი უყვარს მხოლოდ“.

შორია გურჯისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «საქართველოს საელჩოები და საკონსულოები მხოლოდ ცეკვა-თამაშითა და შოპინგით არიან დაკავებულნი»

**მანანა ჯინჭარაძე ქართველი ემიგრანტია, რომელმაც საქართველო 2006 წელს დატოვა და ამჟამად იტალიის ქალაქ ფლორენციაში იმყოფება. დაიბადა და გაიზარდა ქუთაისში. ამბობს, რომ ფიცხი, ემოციური, მეაბოხე ადამიანია და 16 წლიდან ეროვნულ მოძრაობაში იყო ჩართული, მერაბ კოსტავას საზოგადოებაში.**



**— ქალბატონო მანანა, რატომ წახვედით საქართველოდან?**

— 1990-იანი წლების ბოლოს შემეძლო ამერიკაში წასვლა, მაგრამ ოჯახმა გადასძლია — პირველ რიგში, **მამამ,** რომლის უდიდესი ხათრი და სიყვარული მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად ჩემი მშობლები ახალგაზრდები იყვნენ, მაინც ვერ გავბედე 15 და 12 წლის ბიჭების დატოვება იმ მომენტში, როცა ყველაზე მეტი ყურადღება უნდა გამომეჩინა, რათა წესიერ ადამიანებად ჩამოყალიბებულიყვნენ. 2006 წელს უფროსი ბიჭი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სასწავლებლად ინგლისში გაუშვეს. სწავლის თანხის დასაფარავად თბილისში სახლი გავყიდე, რადგან სხვა გზა არ მქონდა. **გახარებული ვიყავი, უჭკვიანესი და უთბილესი შვილი მეზრდებოდა, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ჩემი სიხარული — სასწავლებლად წასვლიდან ერთი წლის თავზე ლონდონის ერთ-ერთ ქუჩაში გარდაცვლილი იპოვეს...** მოგეხსენებათ, შემდეგ რა პრობლემებთან მექნებოდა საქმე — ჩამოსვენება, სასამართლოები ლონდონში, ადვოკატები, რომლებიც დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული და ამ ყველაფერს მეორე ბინაც შეეწირა. ბოლო მომენტამდე არ მინდოდა ოჯახის დატოვება, პირველ რიგში, მშობლებისა და ჩემი შვილის საფლავის გამო, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ნორმალური სამსახური და ანაზღაურება მქონდა, იძულებული შევიქენი, წამოვსულიყავი, რადგან მეორე შვილსა და შვილიშვილს პატრონობა სჭირდებოდა...

ევროპა არ არის ამერიკა, სადაც უფრო იოლია თავის დამკვიდრება, ცხოვრება. ევროპა გაცილებით ამბიციურია თავისი კანონებით, ტრადიციებითა და მენტალიტეტით. **იტალიაში საბუთი რომ აიღო და რამეს მიაღწიო, აუცილებლად ან მიწაზე უნდა იმუშაო, ან მომვლელად, ან დამლაგებლად. ემიგრანტებისთვის კანონი მხოლოდ ამ სამ პროფესიაზე მოქმედებს.** პირველი ბარიერი აქაურ დამსაქმებლებთან საერთო ენის გამონახვაა. ერთი ამბავი მახსენდება: ჩემმა დედობილმა ერთ ქალთან მიმიყვანა, — მან ბევრს უშოვა სამსახური და ვთხოვოთ, იქნებ შენც რამე გამოგიძებნოსო. მივედით. — ქალბატონო, სამსახურს ვეძებ, იქნებ რაიმე გქონდეთ, ახალი ჩამოსული ვარ და საარსებოდ მჭირდება-მეთქი. ამხედ-დამხედა ამ ქალმა და შემეკითხა იმერული აქცენტით: — გოგო, საბუთი გააქ? — არა, რა საბუთი, ორი კვირის ჩამოსული ვარ, მხოლოდ ვიზა მაქვს ჯერჯერობით-მეთქი. როცა მკითხა, ენა თუ იციო, ვუპასუხე, — 4 ენა ვიცი, მაგრამ იტალიური არ მისწავლია, არ მეგონა, თუ დამჭირდებოდა-მეთქი. აბა, შენ ვინ მიგიღებს სამსახურშიო და ვიგრძენი, როგორ გამეჩხირა ყელში რაღაც... ამ შეხვედრის შემდეგ მალე ვიშოვე სამსახური, ენაც სამ თვეში ვისწავლე და საბუთიც ერთ წელიწადში გავაკეთე, მაგრამ ამ დიალოგს ვერაფრით ვივიწყებ. ეს ერთგვარი სტიმული იყო. 2011 წლის 1 იანვარი — ეს იყო ემიგრაციაში ყოფნის პირველი დღე ჩემს ცხოვრებაში და, ალბათ, ყველაზე საშინელი. დილის საქმეების დასრულების შემდეგ მითხრეს, შუადღეს 2 საათი დრო გაქვს გარეთ გასასეირნებლადო. გამოვედი, ვათვალიერებ, სულიერი არ ჩანს, ფანჯრები, დარაბები ყველას მიხურული აქვს, ვიფიქრე, ცენტრში გავალ, ახალი წელია, კაფე მაინც იქნება ღია-მეთქი. არა. მოკლედ, შემეშინდა და მეგობარს დავურეკე, — ეს სად ვარ, რა ხდება, ომი ხომ არ დაიწყო-მეთქი. ისეთი განერვიულებული ვიყავი, დედაჩემის ხმის გაგონება მინდოდა. მოკლედ, ტელეფონით დედას რომ დავუკავშირებოდი, 15 კილომეტრი ფეხით გავიარე, თან ცრემლს ვერ ვიკავებდი. დედის ხმის მოსმენის შემდეგ ყველაფერი დამავიწყდა და უკან ისევ 15 კილომეტრის გავლის შემდეგ, როგორც იქნა, მივაღწიე სახლამდე.

**— ალბათ, ძალიან მძიმეა ოჯახისგან მოშორებით ყოფნა....**

**— ჩემთვის სამშობლო ყველაფერია, ჰაერია, რომლითაც ვსუნთქავ. მე ის ბალახი ვარ, რომელიც სხვა მიწაზე ვერ ხარობს. არ შემიძლია საქართველოს გარეშე, ოჯახის, ჩემი ახლობლებისა და მეგობრების გარეშე ცხოვრება. მე აქ ერთი დღეც არ მიცხოვრია, მე აქ, უბრალოდ, ვარსებობ.** შვილიშვილი 5 თვისა დავტოვე და ახლა უკვე 6 წლის ხდება. სკაიპის ბებია ვარ. შვილების გიჟი დედა ვიყავი ყოველთვის, ასე ვთქვათ, „კუდში დავდევდი“, ახლა ტელეფონზე ვარ ჩამოკიდებული. 29 წლის შვილს და ძმისშვილს დღეში რამდენჯერმე ვურეკავ,— სად არიან, რას შვრებიან, რით სუნთქავენ... მშობლებს და ჩემს ძმას, ხომ საერთოდ... დილისა და საღამოს „წნევა“ უნდა ჩავიბარო, ისე ვერ მოვისვენებ.

**— ნოსტალგია ხშირად გეუფლებათ?**

— 5 წელია, ნოსტალგია ვერ გადავლახე. ახალგაზრდობაში თვეების განმავლობაში ვცხოვრობდი მოსკოვში, პეტერბურგში, ყაზახეთშიც კი, მაგრამ იქ ყოველთვის ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად ვიყავი. ეს სულ სხვაა. ახალჩამოსულს ბიძაშვილმა ლეპტოპი მიყიდა — ამის გარეშე ვერ გაძლებო. პრობლემებისგან გონებაგათიშულს მატარებელში დამრჩა. ერთი კვირა გიჟს ვგავდი, ინფორმაციული ვაკუუმის გამო. სასწრაფოდ ახალი კომპიუტრი ვიყიდე, ჩემმა დამსაქმებელმა მითხრა, რა არის, მანანა, ეს ყუთი სულ ჩართული რომ გაქვსო? **ეს „ყუთი“ ჩემი ცხოვრებაა, ამ ყუთში ჩემი სამშობლოა, ჩემი ოჯახი და ჩემი აქ ყოფნაც ამ ყუთზეა დამოკიდებული-მეთქი... და ყველაზე მთავარი: ფლორენციაში არის ქართული მართლმადიდებლური ტაძარი და გვყავს საოცარი მამა ანდრია, რომლის წყალობითაც განვაგრძობ ცხოვრებას...**

**— რატომ ვერ ბრუნდებით სამშობლოში?**

**— 25 წელია, მიგრაცია დაიწყო და ამ წლების განმავლობაში არც ერთ მთავრობას არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ საქართველოში დაებრუნებინათ ემიგრანტები.** როცა ისეთი პატარა და ეკონომიკურად არამდგრადი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ვერ ახერხებს მიგრაციის შეჩერებას და, მით უმეტეს, ვერ უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების უკან დაბრუნებას, იმაზე მაინც უნდა იფიქროს სახელმწიფომ, რომ უცხოეთში გადახვეწილ ადამიანებს, იქ, სადაც არიან, ცოტაოდენი ყურადღება მიაქციოს. **საქართველოს საელჩოები და საკონსულოები მხოლოდ ტურიზმით, კულტურული ცხოვრებით, ცეკვა-თამაშითა და შოპინგით არიან დაკავებულნი, ხელფასს კი ჩვენს ხარჯზე იღებენ.** 5 წლის განმავლობაში რამდენჯერმე მივწერე სხვადასხვა უწყებას — საგარეო საქმეთა სამინისტროს, იმჟამინდელ დიასპორის სამინისტროს. სოციალურ ქსელშიც დავწერე, რომ **ყველაზე დიდი პრობლემები, რომლებიც უცხოეთში ყოფნისას ჩნდება, არის დალუპული ემიგრანტის გადასვენება სამშობლოში, იურიდიული მომსახურება და ამანათები...** ერთი დიდი პრობლემა, როგორც იქნა, გადაწყვიტა ამჟამინდელმა მთავრობამ — დაღუპულის სახელმწიფო ხარჯით გადასვენება. ენით აუწერელი ტკივილია უცხო მიწაზე სიკვდილი, როცა პატრონი არ გყავს, არავის სცალია. კვირაობითა და თვეობით გროვდება ფული, რომ „მაცივრიდან“ სახლში გადავასვენოთ მიცვალებული. ასევეა, იურიდიული მომსახურება, ამანათებზე ხომ, საერთოდ, ქაოსური მდგომარეობაა... ახლა, როგორც იქნა, აქედან ამანათების გაგზავნა გააიაფეს, ისევ მათი ჯიბის გამო, რადგან აღარავინ გზავნიდა, მაგრამ საქართველოდან გამოგზავნა ისევ ოთხი ევრო ღირს. რატომაა ამხელა განსხვავება, გაუგებარია, რატომ არ ერევა სახელმწიფო საქართველოს ფოსტის საქმეში ან ვისაც ეკუთვნის ამ სფეროს მართვა... არის კიდევ ერთი პრობლემა: **ქართველებს, რომლებიც 10-15 წელი აქ ცხოვრობენ და არანაირი ფინანსური თუ სხვა პრობლემები არ აქვთ (ზოგს ხუთი სახლი აქვს ნაყიდი), უკან დაბრუნება არ სურთ, მიეჩვივნენ აქაურ „მონობას“ და მანდ „მუსიკის შეკვეთას“.** და ეს უნდა ითქვას... ემიგრაციის პრობლემა ყველამ ერთად უნდა მოაგვაროს — როგორც მთავრობამ, ისე ოჯახმაც, ერთად უნდა შეუწყონ ხელი, რომ წლობით წასული ადამიანი სამშობლოში დაბრუნდეს...

> **«ქართველებს, რომლებიც 10-15 წელი აქ ცხოვრობენ და არანაირი ფინანსური თუ სხვა პრობლემები არ აქვთ (ზოგს ხუთი სახლი აქვს ნაყიდი), უკან დაბრუნება არ სურთ, მიეჩვივნენ აქაურ «მონობას»**

**— რას ამბობენ იტალიელები ქართველებზე?**

— ხუთი წლის განმავლობაში ორჯერ მოვახერხე საქართველოში ჩამოსვლა და სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ქართველებს მკაცრი ხელი სჭირდებათ. ზედმეტი დემოკრატია აფუჭებს ხალხს. იმას, რომ შუა ქუჩაში არ უნდა იარო, ქუჩაში ნაგავი არ დაყარო, შენს საცხოვრებელ ადგილსა და მიწას მიხედო, მოაწესრიგო, მოუარო, გაალამაზო, გზებზე რომ გამართული მოძრაობა იყოს და არა მანქანების ზედახორა, დიდი პოლიტიკოსობა არ სჭირდება. ეს აღზრდის, შინაგანი კულტურის საქმეა. აი, აქედან უნდა დავიწყოთ საზოგადოების აღზრდა. ზოგადი განათლების დეფიციტი აქვს ჩვენს ახალ თაობას, ელემანტერულ მოთხოვნებს ვერ პასუხობს. საზოგადოებამ უნდა შეიგნოს, რომ ყველა ექიმი და იურისტი ვერ იქნება, ვიღაცის შვილი მიმტანიც უნდა იყოს და ტაქსის მძღოლიც.

რაც შეეხება დღევანდელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციას, ბევრი რამ არ მომწონს, პირველ რიგში, დაუსჯელობის სინდრომი, შერჩევითი სამართალი... რაც შეეხება ეკონომიკას და ლარის კურსს, ეს გლობალური პრობლემაა და, რადგან მიბმული ვართ გლობალურ საფინანსო სისტემას, ამიტომაც განიცდის ლარის კურსი ცვლილებას. იტალია ერთ-ერთი დიდი და განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანაა, მაგრამ სულს ღაფავს... ძირითადად, დანაზოგით ცხოვრობს ხალხი და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ მოხუცებულობის პენსია — 500 ევრო, პენსიონერს ჰყოფნის, ძალიან ცდება. პენსია მხოლოდ გადასახადებში მიდის... და, საერთოდ უნდა ვიცოდეთ, რომ ევროპის სოციალური სფერო, ძირითადად, გადასახადებით ცოცხლობს. სამი ოქროს სიტყვა აქვთ ევროპელებს — იმუშავე, დაზოგე, შეინახე, რამაც გადაარჩინა კიდეც კრიზისის დროს ევროპელები. ქვეყნის პოლიტიკას თითოეული ადამიანი ქმნის, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა. **საქართველოში კი, სამწუხაროდ, ვერ ვატყობ, რომ რომელიმე პოლიტიკოსი ან მოქალაქე სახელმწიფოებრივად აზროვნებდეს და უყვარდეს თავისი ქვეყანა, ყველას თავისი თავი უყვარს მხოლოდ.**

რას შემოვუთვლიდი საქართველოს? პირველ რიგში, მშვიდობასა და გამძლეობას ვუსურვებ ჩემს ქვეყანასა და საყვარელ ხალხს. მინდა, ღიმილი დაუბრუნდეთ ადამიანებს და სიკეთემ დაისადგუროს მათ გულებში, რადგან სიკეთისა და სიყვარულის გარეშე ქვეყანა არ აშენდება.

> **«ფლორენციაში არის ქართული მართლმადიდებლური ტაძარი და გვყავს საოცარი მამა ანდრია, რომლის წყალობითაც განვაგრძობ ცხოვრებას»**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

განათლება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დანაშაულია, რომ განათლების რეფორმის მართვის ჯგუფებში წამყვან თანამდებობებზე ისეთი ოდიოზური ადამიანები არიან, რომლებიც მიზანმიმართულად ანგრევენ ჩვენი მომავალი თაობის აზროვნებას. თამამად ვიტყვი, რომ ეს არის ქვეყნის ღალატი, იმ მოზარდების ღალატი, რომლებსაც ამ სახელმძღვანელოებით უწევთ სწავლა“.



# ბესო შენგელია: წარმოუდგენელია, სიყალბეზე აღზრდილი თაობა ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელი იყოს

**რა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას სასკოლო განათლების სისტემა, როგორ ხდება სახელმძღვანელოებზე გრიფის მინიჭება, არის თუ არა დღეს სკოლა ზოგადი განათლების მიღების საშუალება? ამ საკითხებზე გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „აპრიორის“ თავმჯდომარე ბესო შენგელია.**

**— „დაიოშ! მერე აბხაზებმა რომ დაგიჭირონ და გაგჟიმონ?**
**— რათ უნდა დამიჭირონ?**
**— როგორ რათ?! ქართველი ხომ ხარ?**
**— ხო, მერე?**
**— მერე მაგათ ქართველები არ ევასებათ“, — ეს არის ამონარიდი ქართული ენისა და ლიტერატურის მე-9 კლასის სახელმძღვანელოდან, რომელსაც გრიფი განათლების სამინისტრომ 2012 წელს მიანიჭა და რომლითაც სწავლება დღესაც მიმდინარეობს. ამავე წიგნში ასეთ ტექსტსაც ამოიკითხავთ: „გადავწყვიტე, გოშკა მენახა, იმან ყველაფერი იცოდა, ალბათ, ისიც, ტყვარჩელში რომ უნდა ჩავსულიყავი.**
**— ნუ, ბლიად, — მითხრა გოშკამ“.**
**ბატონო ბესო, მიზანშეწონილია მსგავსი ტექსტების შეტანა სასკოლო სახელმძღვანელოებში?**

— ენა აზროვნების საფუძველია. რაც თქვენ წარმოადგინეთ, არის ჩვეულებრივი ბილწსიტყვაობა. **ამ სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭება პირდაპირ მეტყველებს ჩვენი განათლების სისტემის ფუქსავატობასა და უნიათობაზე.** ეს არის სლენგი, რომლის ათვისებაც ძალიან იოლია, რადგან მისი დაუფლების აუცილებელი წინაპირობა მხოლოდ და მხოლოდ ქართული სალიტერატურო ენის უცოდინარობაა. ამ ენის ძირითადი მახასიათებელი აზრიან წერასა და მეტყველებაზე ტოტალური უარის თქმაა და დანიშნულებაც სწორედ ეს არის — ზუსტი აზროვნების, გამართულად მეტყველებისა და წერის განდევნა. **დანაშაულია, რომ განათლების რეფორმის მართვის ჯგუფებში წამყვან თანამდებობებზე ისეთი ოდიოზური ადამიანები არიან, რომლებიც მიზანმიმართულად ანგრევენ ჩვენი მომავალი თაობის აზროვნებას. თამამად ვიტყვი, რომ ეს არის ქვეყნის ღალატი, იმ მოზარდების ღალატი, რომლებსაც ამ სახელმძღვანელოებით უწევთ სწავლა.** ჩემთვის წარმოუდგენელია, ამ სისტემაში აღზრდილმა ბავშვებმა როგორ უნდა შექმნან ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება. მაგრამ სწორედ ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა იმისა, რომ დაბალი განათლების თაობა აღიზარდოს, რომელიც მართვადი მასა იქნება და მეტი არაფერი. ეს დანაშაულია არა მხოლოდ ამ კონკრეტული თაობის წინაშე, არამედ მთლიანად ერის წინაშე. **„რეფორმატორთა” ეს ლაშქრობა არა უბრალოდ ქართული ენის, არამედ, საზოგადოდ, აზროვნებისა და შემეცნების წინააღმდეგაა მიმართული. განათლების მინისტრმა უნდა გვითხრას, რომელი სტანდარტებით არჩევენ სახელმძღვანელოებს.**

**— VI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში კი ასეთი დავალებაა მოცემული: „გაესაუბრეთ თქვენს აფხაზ თანატოლს, რომელიც დღეს ქართველებისგან მიტოვებულ სოხუმში ცხოვრობს“. რას შეიძლება ემსახურებოდეს მსგავსი შინაარსის ტექსტი?**

— ამ შინაარსის ტექსტი მხოლოდ სამშობლოს ღალატს შეიძლება ემსახურებოდეს. ეს არის მტრის პოლიტიკის გატარება. ქართველებისგან მიტოვებული ნამდვილად არ არის სოხუმი, ქართველები ცხოვრობენ სოხუმში. **ის სუბიექტები, რომლებმაც ეს სახელმძღვანელო შეადგინეს, დაამტკიცეს და სკოლებში შეიტანეს, უნდა დაისაჯონ სახელმწიფოს ღალატის მუხლით. ეს არის თანამედროვე სტანდარტებით შუღლისა და ბოღმის გაჩენა მოძმე ერებს შორის.** ყველა უნდა დაისაჯოს, ვინც ამას მხარს უჭერს. ამ წიგნის განხილვის შემდგომ ვაპირებთ, სამართლებრივადაც ვიდავოთ განათლების სამინისტროსთან. თუ ჩვენ მოსწავლეებს ამ რიტორიკით ვესაუბრებით და ფარულად მივანიშნებთ ჩვენ მიერ სოხუმის მიტოვებაზე, გამოდის, თაობას ვზრდით ისე, რომ ჰქონდეთ გაუცხოება და სიძულვილი მოძმე ერის მიმართ და ეს უკვე ღალატია! განათლების სისტემის მესვეურები მიზანმიმართულად უშლიან ხელს დამოუკიდებლად და ნათლად მოაზროვნე თავისუფალი ახალგაზრდების აღზრდას, ამოუკიდებლად მოაზროვნე ახალგაზრდების აღზრდა კი სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა.



**— რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს სასკოლო სახელმძღვანელოები და მათ შექმნაში შესაბამისი დარგის სპეციალისტები თუ მონაწილეობენ?**

— მსგავსი სახელმძღვანელოების არსებობა უკვე ნიშნავს, რომ განათლების სამინისტროს არავითარი სტანდარტი არ აქვს. **განათლების სისტემა დაემსგავსა დიდ ნეშომპალას და ეს ინფუზორიები ვერ შეძლებენ ქვეყნის ამ მდგომარეობიდან გამოუყვანას, პირიქით — უფრო დიდი ქაოსისკენ მიათრევენ. განათლების სისტემა დღეს სავალალო მდგომარეობაშია და ამ ტენდენციებით კიდევ უფრო შემზარავია მომავალი. დღევანდელი განათლების სისტემა დგას უგუნურებისა და გონებასუსტობის საფრთხის წინაშე. ეს არის სეპარატისტების მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები და არა სპეციალისტების მიერ.** სისტემაში, რომელსაც ერთი უგუნური მართავს, განათლების მინისტრი, ყველაფერი არის ცენტრალიზებული, საჯარო სკოლებს არ აქვთ რეალური თვითმმართველობის განხორციელების უფლება. არ არსებობს არანაირი სტანდარტი და სახელმძღვანელოების შერჩევის ერთიანი სისტემა, გარდა მერკანტილური მიზნებისა.

**— რა სტანდარტებით ხდება გრიფის მინიჭება სამინისტროს მიერ?**

**— ამ უნიჭო „რეფორმატორებმა“ მათ მიერვე უნიჭოდ შეთხზულ სასწავლო გეგმებზე დაყრდნობით შეიმუშავეს სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენის წესები, შეფასების კრიტერიუმი და გრიფის მინიჭების პროცედურები. გრიფის მინიჭების ახალი წესი ვერ უზრუნველყოფს ჯანსაღ კონკურენციას და სახელმძღვანელოების ობიექტურ შეფასებას, ვინაიდან, ახალი დებულების თანახმად, სახელმძღვანელოებს აფასებენ არა დამოუკიდებელი, კომპეტენტური ექსპერტები, არამედ თვითონ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის თანამშრომლები, რომელთა კომპეტენციაც ზემოთ ნახსენებ სახელმძღვანელოზე აისახება.** შესაბამისად, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ასეთი სისტემა ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის კორუფციული გარიგებებისთვის გამომცემლებსა და შემფასებლებს შორის.

> **«განათლების სისტემა დაემსგავსა დიდ ნეშომპალას და ეს ინფუზორიები ვერ შეძლებენ ქვეყნის ამ მდგომარეობიდან გამოუყვანას, პირიქით — უფრო დიდი ჭაოსისკენ მიათრევენ»**

**— ერთ-ერთი გაზეთით გავრცელდა ინფორმაცია კონკრეტული მედიკამენტზე, რომლის მთავარი მიზანი მამაკაცის სასქესო ჰორმონ ტესტოსტერონის დონის ამაღლებაა ბუნებრივი გზით. გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციის მიხედვით, წამლის პრეზენტაცია უნდა გამართულიყო წნორის №1 საჯარო სკოლაში, სასწავლო პროცესის დროს — 10-დან 11 საათამდე. არის თუ არა ეს მოსწავლეების უფლებების დარღვევა?**

— ეს არის სრული მარაზმი. იქ, სადაც მომავალმა თაობამ განათლება უნდა მიიღოს, მსგავსი ღონისძიების გამართვა დანაშაულია, მით უმეტეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. ხაზგასმით ვამბობ: ეს ადამიანები უნდა დაისაჯონ, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული!

**— VII კლასის ისტორიის სახელმძღვანელოში (გვ. 60, 2012 წლის გამოცემა, გამომცემელი ბაკურ სულაკაური, ავტორები: სანიკიძე, გორდეზიანი, ფირცხალავა) მოცემულია რუკა, რომელზეც საზღვრები და მთელი რიგი ქალქებისა თუ სახელმწიფოებისა, მსუბუქად რომ ვთქვათ, არასწორად არის დატანილი...**

— ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია სამშობლოს ღალატის. ეს არის მომავალ თაობებზე განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება. წარმოუდგენელია, სიყალბეზე აღზრდილი თაობა ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელი იყოს.

**— რას იტყვით იმაზე, რომ მოსწავლეების გადამზადებისა და სერტიფიცირებისთვის შექმნილი სახელმძღვანელოები, რომლებიც დაწერილია უცხოელი ავტორების მიერ ევროკავშირისა და USAID-ის პატრონაჟით და, რომლის სწავლებასაც ჩვენს საჯარო სკოლებში აპირებენ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეიცავს ასეთ ტექსტებს: „დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში არსებულ ჰომოსექსუალთა ან ლესბოსელთა საზოგადოებას. მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება მოქმედებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზაა. მოიწვიეთ მათი წარმომადგენელი ჯგუფთან სასაუბროდ, რათა გაარკვიოთ, რომელი საკითხები და უფლებებია ყველაზე მწვავე თქვენს ქვეყანაში“?**

— ეს გაუნათლებლობის, დეფექტიანი აზროვნებისა და იდიოტიზმის ნაყოფია. საქართველოში, განათლება კი არა, ბავშვების სოციალური სტიგმატიზაცია და გაბოროტებაა პრიორიტეტი, რომელიც ძვირად დაუჯდება სახელმწიფოს და სრულიად საზოგადოებას. **განათლების სისტემა აზროვნების უნარს მოკლებული, უცოდინარი და ბნელმეტყველი ადამიანების აღზრდას ისახავს მიზნად. განათლების სისტემა არ არის არაორიენტირებული მოაზროვნე თაობის აღზრდაზე.**

**— თუ ასეთი სახელმძღვანელოებით წარიმართება სწავლება, ემუქრება თუ არა ჩვენს ბავშვებს ცნობიერების გადაგვარება თუ პირიქით — შეძლებენ ზნეობრივად მაღალი ღირებულებების ადამიანებად ჩამოყალიბებას?**

— ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა ეროვნებათა, კულტურათა, სარწმუნოებათა და სქესთა აღრევისა. ცდილობენ, მოსპონ ქართული ეთნოგენეზისი. ამით უარყოფენ ქართულ ეროვნულ იდენტობას, უარყოფენ მართლმადიდებლობას, თვითმყოფადობის განმსაზღვრელად უმცირესობათა არსებობას აღიარებენ და ამ უმცირესობების დომინაციის აღიარებას ბავშვებსაც აიძულებენ.

ესაუბრა **ნატა ხორავა**

მსოფლიო

## თურქეთის პარლამენტის დეპუტატმა მართლმადიდებლობა მიიღო

**თურქმა დეპუტატმა უდიდესი ოპოზიციური სახალხო-რესპუბლიკური პარტიიდან სელინ ბოკემ მართლმადიდებლობა მიიღო.**

თურქული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში კითხვაზე: „არის თუ არა ქრისტიანი“, დეპუტატმა ქალბატონმა ქალაქ იზმირიდან უპასუხა, რომ ნამდვილად მიიღო მართლმადიდებლობა.

სელინი წარმოშობით ხატაის პროვინციიდანაა, რომელიც მდებარეობს სამხრეთ თურქეთში. ამ რეგიონში სახლობენ ტრადიციული არაბულენოვანი მართლმადიდებლები, რომლებსაც თურქეთის ხელისუფლების ზეწოლისა და რეპრესიების გამო რელიგიური კუთვნილების დამალვა უწევთ.

ბოკემ, მიუხედავად მრავალრიცხოვანი კრიტიკული შენიშვნებისა და უარყოფითი რეაქციისა თანაპარტიელთა მხრიდან, არათუ მიიღო მართლმადიდებლობა, არამედ არც შეშინებია, საჯაროდ ეღიარებინა თავისი რწმენა.






**გამოდიხარ, დალოცვილო, გვარამია ხარ თუ ვიღაც, და აცხადებ, „აბესალომ და ეთერი“ ნაგავიაო. შენ გინდა წამიბილწო სარწმუნოებაც, ფოლკლორიც, კლასიკაც?! რომ აცხადებ, კლასიკური მუსიკა ფალიაშვილიდან დაწყებული, ყანჩელის ჩათვლით არაფერიაო, ვინ მოგცა ამის უფლება?! რომელი ყარსის ციხე აიღე მუსიკაში, ასეთი ვერდიქტი რომ გამოუტანო ქართულ ეროვნულ სიწმინდეებს?!**

გუშინ, დღეს, ხვალ...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჯემალ ბაღაშვილი: მოსკოვში რომ გამოვდიოდით, საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ ცხენოსანი მილიცია იცავდა წესრიგს

**ბატონ ჯემალ ბაღაშვილს — საქართველოს დამსახურებულ მსახიობს, საპატიო თბილისელს, ვსტუმრობ ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში. ქართული ესტრადის ამ ბერმუხასა და შემოქმედ კაცს სასამსახურო შესასვლიდან მეორე სართულზე ერთი მომცრო კაბინეტი უკავია — სამუშაო ოთახი. მსმენელსა და მაყურებელს, რომელიც მიჩვეულია სხვა განზომილებაში მის ხილვას, ეს „შეზღუდული სივრცე“ ცოტა ეხამუშება. საუბრის თემა — „ქართული ესტრადა გუშინ, დღეს, ხვალ“.**



**«დღეს ესტრადაზე მთავარ მიმართულებად ჩამოყალიბდა ამერიკულ-ინგლისური სიმღერები, იშვიათ შემთხვევაში — ქართულ-სიტყვადადებული»**

— „გუშინდელი“ პერიოდი, გნებავთ, წინარე დავარქვათ, უფრო მოწესრიგებული იყო. არსებობდა სახელმწიფო სისტემა, რომელსაც საფუძვლად გარკვეული პოლიტიკა ედო,— კარგი თუ ცუდი, ეს სხვა საკითხია,— აუცილებელი იყო რაიონებში კონცერტების გამართვა, არსებობდა ნება „ზემოდან“, გამოიყოფოდა ფინანსები.

პირველ წლებში კონცერტებში მონაწილეობდნენ ქართული თეატრის გამოჩენილი მსახიობები, რომლებიც მაღლა სწევდნენ ამ ღონისძიების ხარისხს. წარმოიდგინეთ, **კვანტალიანი** და **გომელაური, სტეფანე ჯაფარიძე** და **გიორგი საღარაძე** და სხვები. ასეთი დიდოსტატების რეპერტუარი თემატურად შეზღუდული იყო, პოლიტიკური სატირა— გამორიცხული. სამაგიეროდ, იუმორი სოციალურ საჭირბოროტო საკითხებზე — რამდენიც გნებავთ!

ეს ერთი პერიოდი წარსულის.

ახლა გადავიდეთ „გუშინ“-ის მეორე პერიოდზე: **გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან 80-იანებამდე. ეს იყო ჩვენი ესტრადის აღზევების ხანა.**

ე.წ. დიდმა რევოლუციამ, კინოფილმ „მზიური ველის სერენადის“ მეშვეობით ჩვენთან რომ შემოაღწია, პოლიფონიაზე აგებულმა **გლენ მილერის** ჯაზმა და, მათ შორის, კვარტეტმა საქართველოში იპოვა ნოყიერი ნიადაგი. დასტური ამისა არის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლეგენდარული ორკესტრი, რომლის გიტარისტიც, ბედნიერება მქონდა, ვყოფილიყავი 1961 წლიდან 1964 წლის ჩათვლით. **მოსკოვში რომ გამოვდიოდით, საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ ცხენოსანი მილიცია იცავდა წესრიგს. ქართულმა ნიჭიერებამ პოლიფონიურობაზე აგებული ეს ჯაზი არა მხოლოდ გაითავისა, არამედ გააქართულა კიდეც.**

**გურამ ბზვანელის უნიჭიერესი კვარტეტი — ბზვანელი, ცინცაძე, ბაქურაძე, ხარაბაძე — ევროპის დონის მოვლენა იყო. სწორედ მან დაუდო საფუძველი საქართველოში ჩამოყალიბებულ კვარტეტებს.**

ამათ კვალზე **რობერტ ბარძიმაშვილმა** შექმნა მაღალი დონის კვარტეტი, რომელიც შემდეგ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლად გადაკეთდა. ამ პერიოდში ჩნდება „დიელო“, **ამირან ებრალიძის** ხელმძღვანელობით: **ძმები ებრალიძეები, გოგი ლეონიძე** და **ბუბა კიკაბიძე.** პირველი შემადგენლობა ასეთი იყო. ამ ანსამბლმა სამღერად გაცილებით რთული, ე.წ. გაშლილი აკორდების სტილი აირჩია.

იმხანად ყველას ერთად აღებული გვქონდა გაქართულების გეზი. ქართულ ნიადაგზე უნდა განვითარებულიყო არა მხოლოდ სიტყვებით, ტექსტით, არამედ თვით მელოდია, ჰარმონია, გნებავთ, ხმათა წყობა, ქართული უნდა ყოფილიყო.

აი, ამ დროს ასპარეზზე გამოდის „ივერია“. მე, როგორც ამ ანსამბლის ერთ-ერთ დამაარსებელს **ალექსანდრე ბასილაიასთან, ვახტანგ ტატიშვილსა** და **გოგი ლეონიძესთან** ერთად, რომელიც „დიელოდან“ გადმოვიდა, კარგად მახსოვს, რომ ესტრადაზე ჩვენ გამოჩენას ბევრი სკეპტიკურად შეხვდა. გაქვთო კი რამე სათქმელი?!

„ივერია“ ჩვენი ანსამბლისთვის შემთხვევით არ დაგვირქმევია. ვიცოდით, ვგრძნობდით, რა დიდი ჯვარი იყო ამ სახელწოდების ზიდვა. მაგრამ ასეთი იყო ჩვენი შინაგანი მოთხოვნა, მოწოდებული ვიყავით, რათა ჩვენს პატარა „ივერიას“ დიდი ივერიისთვის ერთი აგური შეემატებინა.

**— რა გზა იყო ასეთი უვალი, ბატონო ჯემალ, რომელიც თქვენ გათელეთ?**

— ეს იყო მიუზიკლისკენ შეგნებული და მიზანმიმართული სვლა. როცა მივაღწიეთ მიზანს და შევქმენით ოთხი მიუზიკლი, დავრწმუნდით, რომ რაღაც მცირე წვლილი ჩვენც შევიტანეთ ქართული ესტრადის განვითარებაში.

**— დღევანდელ ესტრადას რა თვალით უყურებთ?**

— **დღეს ესტრადაზე მთავარ მიმართულებად ჩამოყალიბდა ამერიკულ-ინგლისური სიმღერები, იშვიათ შემთხვევაში — ქართულსიტყვადადებული.** ეს ერთი მიმართულება.

**მეორე — ჩვენდა სამარცხვინოდ, ფანოლური რეპერტუარია.** ამის ინიციატორებმა, მგონი, ფანოლის მნიშვნელობაც არ იციან. ნიშნავს კი დაბალი დონის მექორწილე დამკვრელს. **გარკვეული კატეგორიის ადამიანებს მოსწონთ უგემოვნო აღმოსავლური მუსიკის (ნამდვილი აღმოსავლური მუსიკა დიდებულია) რაღაც ნაზავი და ეს ფანოლი ამ ნაკლებად განვითარებული ყურის მქონე ადამიანების დაკვეთას არცთუ უანგაროდ ასრულებს. ფანოლობის აყვანა მეისტრიმამდე, ძირითად მუსიკალურ მიმართულებამდე, იქამდე, რომ კონკურსის მოწყობასაც კი აპირებენ, მისი ტირაჟირება და პროპაგანდა დანაშაულია.** „იუმორინის“ ერთ-ერთ ნომერში აისახა კიდეც ჩვენი დამოკიდებულება ამ მახინჯი მოვლენისადმი. იმათ სტილში ვმღერით:

**შენი ნაქსოვი თექა**
**გერჩივნოს,**
**სხვისგან მოპარულ**
**ფარდაგს და ნოხებს,**
**კოსმოსი უსმენს ქართულ**
**„ჩაკრულოს“,**
**საქართველო კი უსმენს**
**ფანოლებს.**

„იუმორინა“ არასოდეს ყოფილა სიცილი სიცილისთვის. ვცდილობთ, რომ ბერტოლდ ბრეჰტის უკვდავი ფორმულა — „დამოძღვრე გართობით“ — ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში განვახორციელოთ.

ჩვენი მუსიკალური პამფლეტი, რომელიც ამ სიმახინჯის წინააღმდეგაა მიმართული, ასე იწყება:

**როცა ინგლისურ სიმღერას**
**ვმღერით,**
**პროამერიკულს,**
**ღვთის სათაყვანოდ,**
**გულში მცირედი ღვივის**
**იმედი —**
**ეგებ, ნატოში ჩვენც**
**შეგვიყვანონ.**
**ის აღარ ვიცით,**
**ჩვენი სიმღერა**
**აზიას რატომ**
**დაუახლოვდა,**
**მამა-პაპური ჰანგი**
**ქართული**
**გაფანოლდა და**
**გაშალახოვდა.**

ბრძოლა ესთეტიკისთვის უფრო შორს მიმავალია, ვიდრე ესტრადა რომ ჰქვია, იუმორი და, თუ გნებავთ, საზოგადოდ, ხელოვნება; ბრძოლაა იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ზოგჯერ ჩვენი ხელშეწყობით ხორციელდება, ზოგჯერ, ჩვენ რომ არავინ გვეკითხება, იმ ძალების მიერ.

**— ისევ თქვენ და ისევ თქვენ, — ვბედავ ქართული რომანსის სტრიქონის პერიფრაზირებას. დღეს ასეა. ხვალინდელი დღე როგორი გესახებათ?**

— ესტრადა ისეთი სახელმწიფოს ფუფუნებაა, რომელშიც კეთილდღეობა სუფევს. ბანგლადეშისა და მოზამბიკის შოუბიზნესის წარმოდგენაც კი ძნელია. **საქართველოში მინიმალური კეთილდღეობა მაინც უნდა იყოს, ადამიანს რომ ემღერებოდეს და ეცეკვებოდეს, შეეძლოს ბილეთის ყიდვა ოჯახის წევრების კონცერტებზე წასაყვანად. თუ ეს კომპონენტები არ არსებობს, თანაც მას, ამ ადამიანს, სთავაზობენ იმ უგემოვნებას, რაზეც ვილაპარაკე და არა იმას, რაც მისი სულიერი მოთხოვნილებაა, მაშინ ესტრადის ღირსეულ მომავალზე ლაპარაკი ზედმეტია.**

ესტრადა დროის ადეკვატური უნდა იყოს — დღევანდელი სათქმელი დღეს უნდა თქვას, ხვალინდელი — ხვალ. ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ენას სრულყოფილად ფლობ, მაყურებლის ფსიქოლოგიაში წვდომაც უნდა შეგეძლოს, მახვილების სწორად დასმაც, და, რაც მთავარია, უნდა გქონდეს დიდძალი ფული, შენი იდეების რეალიზაცია რომ შეძლო.

**— მინდა, გთხოვოთ თქვენი მიუზიკლების არნახული წარმატებაც გაიხსენოთ.**

— ჩვენი პირველი მიუზიკლისთვის სახელწოდება „ჩხიკვთა ქორწილი“ შემთხვევით არ ავირჩიეთ. არ გვინდოდა, მაყურებლისთვის რებუსი შეგვეთავაზებინა. გაამართლა. შემდეგ დავდგით „არგონავტები.“ ესეც გამოგვივიდა.

მესამე მიუზიკლი კიდევ უფრო დიდი ექსპერიმენტი იყო: ბეწვის ხიდზე გავიარეთ და არ ჩავვარდით.

**ბუთხუზი — ალექსანდრე ბასილაია** მენდობოდა ლიბრეტოს შერჩევაში — ყოველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ახალი და მოულოდნელი. როგორც ცნობილი მუსიკათმცოდნე გივი ორჯონიკიძე ბრძანებდა, სიახლე თავად არის ფასეულობა. ამიტომ შევთანხმდით მე და ბუთხუზი, რომ ჩვენი მომდევნო დადგმა არ იქნებოდა აგებული ცნობილ პირველწყაროზე, საფუძვლად სოციალური გარემო ავიღეთ და აბსურდული სახელი დავარქვით — „თოვლის ბებოს ზღაპარი“. **ღვთის მადლით, ამ მიუზიკლმა ყველა რეკორდი მოხსნა — ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში 164 წარმოდგენა ზედიზედ ანშლაგით გაიმართა.** ასე ნელ-ნელა მივუახლოვდით „ფიროსმანს“, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო 10 წელიწადი ვეჭიდავებოდით. როცა ვიგრძენით, რომ სერიოზული მიუზიკლისთვის მზად ვიყავით, შევძელით კიდეც ამ ამოცანის წარმატებით დაძლევა, რაც დადასტურდა თუნდაც მოსკოვში ჩატარებული გასტროლებით.

**— მიუზიკლის პერსპექტივას თუ ხედავთ?**

— სამწუხაროდ, ვერ ვხედავ კომპოზიტორს, რომელსაც აქვს შესაძლებლობა დაძლიოს მიუზიკლის ჟანრი იმ დონეზე, როგორც ამას ბუთხუზი აკეთებდა, ალექსანდრე ბასილაია. არც ამ საქმეში სუბსიდიის ჩამდები ჩანს ვინმე.

**— „ივერია“ გაბედულებით ხასიათდებოდა ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. სათქმელს პირში ეუბნებოდა.**

— გაბედულების ერთ მაგალითად დაგისახელებთ რწყილისა და ჭიანჭველას უწყინარ ზღაპარს, ჩვენს ნახევარსაათიან რკოოპერას (როკოპერის ანალოგს), როცა მსოფლიო ჰიტებს მოვარგეთ ქართული სატკივარი, ხმა აღვიმაღლეთ კორუფციის წინააღმდეგ, რომელიც ღრღნიდა ჩვენს ქვეყანას. მომდევნო პერიოდში, რამდენჯერმე გავიმეორეთ იმ რეალობიდან გამომდინარე, რომელიც დრო და დრო საქართველოში იქმნებოდა. ერთ-ერთი ვარიაცია მალე „იმედის“ ეთერით გადაიცემა.

დღეს უტევენ ჩვენს ყველაზე ძვირფას პრინციპებს, უპირველეს ყოვლისა, ილიასეულს — „მამულს, ენას, სარწმუნოებას“...

გეკითხებით, რატომ უნდა იყოს მოწადინებული მავანი, მოგვიშალოს საძირკველი, რომელზეც ჩვენი ეროვნული კულტურა დგას?!

**სწორედ აქეთ მიდის წერტილოვანი დარტყმები — ეკლესიაზე, ჩვენს სულიერებაზე, ეროვნულ იდენტურობაზე. სურთ, შეუსაბამობაში მოიყვანონ იურიდიული კანონი ბიბლიურ მოძღვრებასთან, როცა ოჯახის, როგორც კაცისა და ქალის ერთობის წინააღმდეგ იბრძვიან.**

ასეთ წერტილოვან დარტყმებს წერტილოვანი დარტყმებითვე უნდა ვუპასუხოთ — ვისაც როგორ ხელგვეწიფება. ეს ომია!

**გამოდიხარ, დალოცვილო, გვარამია ხარ თუ ვიღაც, და აცხადებ, „აბესალომ და ეთერი“ ნაგავიაო. შენ გინდა წამიბილწო სარწმუნოებაც, ფოლკლორიც, კლასიკაც?! რომ აცხადებ, კლასიკური მუსიკა ფალიაშვილიდან დაწყებული, ყანჩელის ჩათვლით არაფერიაო, ვინ მოგცა ამის უფლება?! რომელი ყარსის ციხე აიღე მუსიკაში, ასეთი ვერდიქტი რომ გამოუტანო ქართულ ეროვნულ სიწმინდეებს?!**

**— უხამსობა და იუმორი...**

— ბილწსიტყვაობა, სამწუხაროდ, გაცილებით მეტია კინემატოგრაფიასა და, განსაკუთრებით, ტელესივრცეში. რაგინდ კარგი იყოს ქართული ტელესერიალი, ან, თუნდაც, კინოფილმი, გინების ისეთი კორიანტელი მოდის ეკრანიდან, კაცო, რომ ერთ ჩვენს საესტრადო მონოლოგში პაროდირებულ ბატონ **გრიშა ონიანს** ვათქმევინეთ: „ეს ორი ხელი ჩემს ექვს შვილიშვილს როგორ ავაფარო ყურებზე, არ ვიცი! შივა კი არ ვარ, გრიშა ვარ, გრიშა!“

ჩვენ შესულები ვართ ამ ომში. ჩემს ტელეგადაცემაში „სტუმრად იუმორინასთან“ მხოლოდ მიხოს და მაროს ანეკდოტებით რომ შემოვიფარგლო, არ ეკადრება ჩემი ასაკის კაცს. როცა გაქვს შესაძლებლობა დროზე მოახდინო რეაგირება კონკრეტულ ნაკლზე, სათქმელი შეაწიო მის გამოსწორებას, უკან არ უნდა დაიხიო:

**აწ რომ ავი არ ვაძაგო,**
**კარგი როგორ უნდა ვაქო?**
**ავს თუ ავი არ უწოდო,**
**კარგს სახელად რა**
**დავარქო?**

დიდებულად ბრძანებს დავით გურამიშვილი.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. „კარგ კაცს ვითარ დაუკარგო,**
**რაც რამ სიკარკაცე აქო?“**

**ესეც ნათქვამი აქვს დიდ პოეტს „დავითიანის“ ერთ-ერთ თავში — „სასწაულის მოწყვა ღვთისაგან“.**

**ეს ინტერვიუც ერთგვარი მცდელობაა ბატონ ჯემალ ბაღაშვილის კარგი კაცობის წარმოსაჩენად.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1956 წლის 7 მარტის საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, სტალინი უნდა გალანძღონ და მავზოლეუმიდან გამოასვენონო. ხალხის ტალღას, რომელიც უკვე 50 000 კაცს აღემატებოდა, დამანგრეველი ძალა ჰქონდა. მათი ემოცია და შეძახილი შიშის მომგვრელი იყო. თითოეული ჩვენგანი ვგრძნობდით, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. 1956 წლის 8 მარტს, დილით, მომიტინგეთა დიდი ნაწილი გაემართა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციისაკენ, სადაც დაბინავებული იყო ჩინეთის ერთ-ერთი სახელმწიფო მოღვაწე ჯუ დე.**

# 1956 წლის ტრაგიკული 9 მარტი

**1956 წელს მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი — 20 წლის ახალგაზრდა, და ვცხოვრობდი სტუდქალაქში — სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, რომლის 13 კორპუსში 3 000-მდე სტუდენტი ცხოვრობდა.**

1956 წლის 4 მარტს სტუდქალაქში მცხოვრებმა 25-მდე სტუდენტმა გადავწყვიტეთ, სტალინის გარდაცვალების ხსოვნის აღსანიშნავად ღამე გაგვეთენებინა მშრალ ხიდთან აღმართული სტალინის ძეგლის წინ მდებარე სკვერში. საღამოს 5 საათი იქნებოდა, სტუდქალაქიდან რომ გამოვედით და ილია ჭავჭავაძის გამზირს დავადექით. ერთი საათის შემდეგ სტალინის ძეგლს გარშემორტყმული სტუდენტთა მცირე ჯგუფი დუმილით მივაგებდით პატივს ბელადის ხსოვნას. უკან დაბრუნება არავის გვიფიქრია. ღამე თანდათან შედიოდა ძალაში და სიცივეც იმატებდა. მკაცრი პირობები წინააღმდეგობის გაწევის სურვილს უფრო გვიმძაფრებდა ახალგაზრდებს. გამწვანების ზოლში გამხმარი ტოტები მოვაგროვეთ და ცეცხლი დავანთეთ. გასათბობი მასალის დეფიციტმა ბაღში განლაგებული მერხების მოხმარებაზე გადაგვიყვანა და რამდენიმე კიდეც შეეწირა ამ საქმეს. სიცივის მიუხედავად, ღამის მთეველთა ჯგუფს არც ერთი სტუდენტი არ გამოკლებია. დილით, როდესაც სხვადასხვა სასწავლებლის წარმომადგენლებმა შეიტყვეს, რომ მათმა ამხანაგებმა ღამე სტალინის ძეგლთან გაათენეს, თანაც უკვე 5 მარტიც გათენდა — სტალინის გარდაცვალების დღე — მშრალი ხიდისკენ ათასობით სტუდენტი დაიძრა.

**სტალინის ძეგლის წინა მდებარე მოედანი თანდათან შეივსო. საჭირო შეიქნა საორგანიზაციო საკითხების მოგვარება — ტრიბუნა, სტუდენტებისადმი მიმართვის ტექსტისა და სამგლოვიარო განცხადების დაწერა და სხვა ათასი წვრილმანი. ცალკეული ინიციატივები საკმარისი არ იყო ხალხმრავალი შეკრების ორგანიზებისათვის, ამიტომ გადავწყვიტეთ, შეგვექმნა მობილური ჯგუფი, რომელიც ამ საქმიანობას თავმჯდომარის გარეშე წარუძღვებოდა.** სტუდენტებს ქალაქის მცხოვრებნიც შეუერთდნენ და მოედანზე უკვე ხალხის ტევა აღარ იყო. 5 მარტის საღამოს ძეგლის გარშემო 10 000 ახალგაზრდა პატივს მიაგებდა ბელადის ხსოვნას. შეუძლებელი იყო გამომსვლელთა სიტყვის მოსმენა უზარმაზარი აუდიტორიის გამო, ამიტომ აუცილებელი შეიქნა, ადგილზე რადიოკვანძის გამართვა. საორგანიზაციო ჯგუფის გადაწყვეტილებით, ორ აქტივისტს დაევალა, ეწარმოებიათ მოლაპარაკება კავშირგაბმულობის სამინისტროსთან რადიოკვანძის დროებით გადმოცემის თაობაზე. უარის შემთხვევაში დემონსტრანტთა ტალღა სამინისტროს მიადგებოდა. მუქარამ შედეგი გამოიღო. **უზარმაზარი სატვირთო მანქანა, რომლის ძარაზე დამონტაჟებული იყო გიგანტური მოწყობილობა, სტალინის ძეგლთან ახლოს ერთ-ერთ მყუდრო კუთხეში ჩააყენეს და კავშირგაბმულობის სპეციალისტებმა ჭადრის ხეებზე გამაძლიერებლის გამართვა დაიწყეს.** საორგანიზაციო ჯგუფი საორგანიზაციო კომიტეტად გარდაიქმნა. პირველი გამარჯვების შემდეგ უფრო გაბედულად ვმოქმედებდით. თუ აქამდე სტალინის ძეგლთან მიახლოება გვიჭირდა, გადავწყვიტეთ, ავსულიყავით კვარცხლბეკზე და იქიდან წაგვეყვანა მიტინგი. ფიცრებისაგან შევკარით სახელდახელო კიბე, რომლითაც გამომსვლელები კვარცხლბეკზე ადიოდნენ. **6 მარტს, საღამოს, სამუშაო საათების შემდეგ, მომიტინგეთა რაოდენობამ 50 000 კაცს გადააჭარბა. ხალხმრავალი შეკრება ორგანიზებულად მიმდინარეობდა. ადამიანთა სიმჭიდროვის გამო ძირს დავარდნილ ყელსახვევებს, შარფებს, ფეხსაცმელს (კალოშებს), მაჯიდან შეწყვეტილ საათებს, ხელჩანთებს ერთ ადგილზე ვაგროვებდით და არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს სხვისი ნივთი აეღო.**

ამ წესრიგმა კიდევ უფრო დააინტერესა ადამიანები, მოსულიყვნენ მიტინგზე.

ხალხმა დაიწყო გვირგვინებისა და თაიგულების მოტანა, რომლებსაც ჯერ იქვე, კვარცხლბეკის გარშემო ვდებდით, მაგრამ, როცა ველარ დაეტია, გადავწყვიტეთ, კვარცლბეკიდან თოკები ჩამოგვეშვა და მასზე დაგვემაგრებინა. **დამამახსოვრდა ერთი გვირგვინი, მშვენიერებით რომ გამოირჩეოდა. ყველა გვირგვინს ორგანიზაციის ან პიროვნების სახელი ეწერა, ამ გამორჩეულ გვირგვინს კი — „ღირსეულ მამას უღირსი შვილებისაგან“.** ყველა მივხვდით, რომ ეს გვირგვინი ეკუთვნოდა თბილისელ ქურდებს, რომელთა ძალისხმევითაც სტალინის ძეგლთან საოცარი დისციპლინა სუფევდა 5 დღის განმავლობაში. **ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მეცნიერები, სახელგანთქმული მსახიობები, სპორტსმენები, მწერლები, პოეტები. ასობით ადამიანმა გამოთქვა სიტყვით გამოსვლის სურვილი. ზოგიერთი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა ხრუშჩოვს. ასეთების გამოსვლა ხალხის უპატივცემულობად ჩავთვალეთ და გადავწყვიტეთ, ვიდრე გამომსვლელი ტექსტს არ წარმოგვიდგენდა კომიტეტში, მიკროფონთან არ დაგვეშვა.** გამომსვლელთა ტექსტებს კი მე ვამოწმებდი და ჯიბე სავსე მქონდა ხრუშჩოვის დედის გინების გამო დაწუნებული ტექსტებით.

10 000 კაცი ერთდროულად შესძახოდა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციას: „ჯუ დე, ჯუ დე!“, მაგრამ მომიტინგეებისათვის უცნობი დარჩა, ჩინელი რეზიდენციაში არ იმყოფებოდა თუ შეგნებულად არ გამოჩნდა. ჯუ დეს მძებნელთა ჯგუფი ახლა რუსთაველის



**რუსთაველის გამზირზე როცა ავედით, ქუჩები უკვე გადაკეტილი იყო, მაგრამ თითო-ოროლა კაცს ატარებდნენ. ვხედავდი, როგორ რეცხავდნენ სახანძრო მანქანები კავშირგაბმულობის შენობის კიბის საფეხურებსა და სასტუმრო «თბილისის» მიმდებარე ტერიტორიას, რომელიც სისხლის გუბეებით იყო სავსე. ტრანსპორტი არ მოძრაობდა, ქუჩაში, ტროლეიბუსის ყველა გაჩერებაზე ორ-ორი სამხედრო «ვილისი» იდგა, ტყვიამფრქვევდამაგრებული...**

პროსპექტზე მდებარე სასტუმრო „ინტურისტს“ მიადგა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს პირი ვიბრუნეთ ჩიტაძის ქუჩისკენ, სადაც იმჟამად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობები იყო განლაგებული. გაავებული ხალხი იქაც ჯუ დეს სახელს გაჰყვიროდა. **ადამიანებით სავსე იყო ქუჩა, სახლების სახურავები. ისმოდა გამაყრუებელი სტვენა და შეძახილები. ცენტრალური კომიტეტის ძირითადი შენობის მეორე სართულის აივანზე გამოვიდა ორი მამაკაცი თავზე ვერცხლისფერი სამხედრო ბოხოხით. ერთი ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე იყო, მეორე — ცეკას მეორე მდივანი მიხეილ გიორგაძე.**

ვასილ მჟავანაძის მიმართვის შემდეგ ხალხი არ დაწყნარდა. კვლავ გაისმოდა გამაყრუებელი შეძახილები. პირველმა მდივანმა ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდა, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ ამ მშვიდ და გაწონასწორებულ კაცს ისეთი ხმა ამოხდა, რომ აბოქრებული ხალხის მასაში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა:

**„არა გრცხვენიათ, ქართველებო, ჩვენო შვილებო! აქ ვართ თქვენი მამები, ბიძები, ახლობლები და თქვენ ჩინელ კაცს უხმობთ დასახმარებლად? მაშ, ჩვენ აქ რას ვაკეთებთ, ჩვენ ხომ თქვენი აზრის გამტარებლებად ვართ დანიშნულნი? მე სტალინის გაზრდილი ვარ, სტალინის ჯარისკაცი, სტალინისთვის მაქვს ფიცი მიცემული, მე ვინ უნდა მაჯობოს სტალინის სიყვარულში?!“**

ამ ამაღელვებელი სიტყვების შემდეგ ასიათასობით მომიტინგე მართული გახდა.

„ამ მრავალრიცხოვან საზოგადოებაში ჩვენ კონკრეტულზე ვერაფერს მოვილაპარაკებთ, — განაცხადა **ვასილ მჟავანაძემ,** — თქვენ თვითონ გამოყავით 10 წარმომადგენელი და ამოდით ჩვენთან, კაბინეტში. გვითხარით, რა არის თქვენი მოთხოვნები, ჩვენ მზად ვართ, მოვისმინოთ და შეძლებისდაგვარად შეგისრულოთ თქვენი სურვილები“.

საორგანიზაციო კომიტეტის რამდენიმე წევრი, რომლებიც იმ პერიოდში ჩიტაძის ქუჩაზე ვიყავით (ნაწილი მშრალ ხიდზე მიტინგს უძღვებოდა), ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის — ვასილ მჟავანაძის კაბინეტში შევედით.

საორგანიზაციო კომიტეტის 10 წევრმა მოთხოვნები წაუყენა ცეკას 2 მდივანს, რომლებიც სათათბირო მაგიდის მეორე მხარეს ისხდნენ.

მოთხოვნები არც ბევრი იყო და არც შესასრულებლად რთული:

**1. 9 მარტი უნდა გამოცხადებულიყო სამგლოვიარო, შესაბამისად, უქმე დღედ;**

**2. დილის 6 საათზე და ღამის 12 საათზე უნდა შესრულებულიყო სახელმწიფო ჰიმნი პოეტის სიტყვებთან ერთად, სადაც მოიხსენიებოდა დიდი სტალინი;**

**3. კინოთეატრებსა და თეატრებში აღდგენილიყო სტალინზე შექმნილი ფილმებისა და სპექტაკლების ჩვენება;**

**4. 9 მარტს ლენინის სახელობის მოედანზე უნდა ჩატარებულიყო სამგლოვიარო მიტინგი, რომელსაც დაესწრებოდა მთავრობა მთელი შემადგენლობით;**

**5. ქალაქ სამტრედიას დარქმეოდა სტალინის სახელი (დღესაც არ ვიცი, რატომ — გრ. ონიანი).**

ვასილ მჟავანაძემ გულისყურით მოუსმინა ჩვენს „პეტიციას” მოსაგვარებელი საკითხების შესახებ და, როდესაც მოთხოვნების ჩამოთვლა დავამთავრეთ, მამაშვილურად მოგვმართა: **9 მარტი უქმე დღედ გამოცხადდება, მაგრამ არა ყველგან, პური რომ არ გამოვაცხოთ და ძეხვი არ დავამზადოთ ან მარტენის ღუმელი გავაჩეროთ, ეს თქვენც დაგაზარალებთ და თქვენთან ერთად სახელმწიფოს, ამიტომ დაისვენებს მხოლოდ სტუდენტობა, მოსწავლე-ახალგაზრდობა, რომელიც არ არის ჩაბმული სტრატეგიულ ობიექტებში. ამასთანავე, აღდგება სახელმწიფო ჰიმნის პოეტის სიტყვებით შესრულება. ხვალ, 9 მარტს, დღის 12 საათზე, ლენინის სახელობის მოედანზე ჩატარდება გრანდიოზული სამგლოვიარო მიტინგი, რომელსაც მთავრობის ყველა წევრი დაესწრება; კინოთეატრები უწყვეტად უჩვენებენ სტალინზე შექმნილ კინოფილმებს და სპექტაკლებსო,** და თითქმის ყველა მოთხოვნის შესრულებაზე დაგვეთანხმა. ბოლოს ცეკას პირველმა მდივანმა მადლობა გადაგვიხადა, — თქვენ ხართ ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი ახალგაზრდობა, რომელიც ასე ძალიან სჭირდება დღევანდელ საქართველოსო.

ამ სიტყვებით გამოგვისტუმრა ქვეყნის პირველმა პირმა სტუდენტები სამუშაო ოთახიდან და ჩვენც, გახარებულები, ხალხით გაჭედილ ჩიტაძის ქუჩის დაღმართს სწრაფი ნაბიჯით დავუყევით, რადგან მეგაფონები არ გვქონდა და მჟავანაძის დაპირება რადიოთი უნდა გვეცნობებინა მიტინგის მონაწილეებისთვის.

მჟავანაძის დაპირებამ, რომელიც მშრალ ხიდზე სტალინის ძეგლის კვარცხლბეკიდან გავრცელდა, კიდევ უფრო ააფორიაქა და გაამხნევა მომიტინგენი. უკვე დაუფარავად გაისმოდა მოწოდება: **„ძირს ხრუშჩოვი! გაუმარჯოს მოლოტოვს, ლენინ-სტალინის ერთგულ მოწაფეს!“**

მთელი ღამე ამ შეძახილებში გავათენეთ იმ იმედით, რომ მეორე დღის 12 საათზე სამგლოვიარო მიტინგი გაიმართებოდა.

**9 მარტს, 12 საათზე, ლენინის მოედანი ხალხით იყო გადაჭედილი. ახალგაზრდები სახლების სახურავებსა და ხეების ტოტებზე ისხდნენ. რაოდენობა ქუჩაში გამოსული ადამიანებისა, რომელთა ნახევარზე მეტი რაიონებიდან იყო ჩამოსული, ნახევარ მილიონს აღემატებოდა.**

მიტინგი ვასილ მჟავანაძემ გახსნა. მან ღირსეულად ილაპარაკა სტალინის დიდ როლსა და ადგილზე მსოფლიოს ისტორიაში და იმ დამსახურებაზე, რომელიც მას ფაშიზმის განადგურების საქმეში მიუძღვის. ქება-დიდების გარდა, მჟავანაძეს სხვა არაფერი წამოსცდენია. სიტყ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 9 მარტს, 12 საათზე, ლენინის მოედანი ხალხით იყო გადაჭედილი. ახალგაზრდები სახლების სახურავებსა და ხეების ტოტებზე ისხდნენ. რაოდენობა ქუჩაში გამოსული ადამიანებისა, რომელთა ნახევარზე მეტი რაიონებიდან იყო ჩამოსული, ნახევარ მილიონს აღემატებოდა.

◀ვით გამოვიდნენ მთავრობის სხვა წევრებიც, აგრეთვე, სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლები, მათ შორის, მეც. პოეტმა **იოსებ ნონეშვილმა** წაიკითხა ლექსი „მამავ ძვირფასო“, რომელიც 1953 წლის 5 მარტს დაწერა და რომელიც თითქმის ზეპირად იცოდა სრულიად საქართველომ. ამ ლექსის წაკითხვით დასრულდა კიდეც სამგლოვიარო მიტინგი. ვასილ მჟავანაძემ შეკრებილებს დაშლისკენ მოუწოდა. გამარჯვებული ახალგაზრდობა ყიჟინითა და შეძახილებით თავქვე დაეშვა და მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე განლაგებულ მომიტინგეებს შეუერთდა.

სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად, რომლებიც მოვიდნენ სტალინის ძეგლთან, გამოჩნდა **აკაკი ხორავაც** — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, მან სიტყვით გამოსვლა ითხოვა. ათლეტური აღნაგობის უკვე ასაკოვანი მსახიობი ძლივს მივიყვანეთ კვარცხლბეკთან მდგარ მიკროფონთან. **აკაკი ხორავას გამოჩენას ხალხი ოვაციით შეხვდა. მსახიობმა ჩვეული ოსტატობით მოყვა მისი სტალინთან შეხვედრის რამდენიმე ეპიზოდი, რომელმაც ადამიანები უკიდურესად გაახარა.** ტრიბუნაზე გამოსვლის მსურველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა რიგს ბოლო არ უჩანდა. ხალხი მოსალოდნელ ბედნიერებაში დარწმუნდა, მაგრამ რა იყო ეს ბედნიერება, ჯერ გათვითცნობიერებული არ ჰქონდა.

**მიტინგის მონაწილეთაგან წინადადება შემოვიდა, კრემლში მოლოტოვის მხარდასაჭერი ტელეგრამა გაგვეგზავნა ქართველი ხალხის სახელით და გვეცნობებინა, რომ თბილისში გამართული ნახევარმილიონიანი მიტინგი არ ცნობს ხრუშჩოვის რევიზიონისტურ პოლიტიკას და სტალინისადმი ცილისმწამებლურ განცხადებებს, რის გამოც მას უნდობლობას ვუცხადებთ, ხოლო პარტიისა და ქვეყნის პირველ პირად ვაღიარებთ ვიაჩესლავ მოლოტოვს.** გასაგზავნი დეპეშის შინაარსი ნახევარმა მილიონმა ეგზალტირებულმა ადამიანმა აიტაცა, შემდეგ მშრალ ხიდზე მყოფი ხალხის ამ უზარმაზარ მასას ათასობით ადამიანი გამოეყო და რუსთაველის გამზირისაკენ გაემართა, რათა კავშირგაბმულობის სახლიდან ზემოხსენებული დეპეშა კრემლში გაეგზავნა. გავიყავით საორგანიზაციო კომიტეტის წევრებიც. მე, როგორც გამომსვლელთა ტექსტების შემმოწმებელი, ადგილზე დავრჩი.

დრო თითქოს გაჩერდა. მოძრაობდა მხოლოდ ხალხი და ისმოდა გამაყრუებელი გუგუნი და ყიჟინა. **ღამის 12 საათი იქნებოდა, როდესაც მონუმენტის წინ, მოედანზე, ჩოჩქოლი ატყდა — ადამიანების ჯგუფს გზას უხსნიდნენ და კვარცხლბეკისაკენ მოჰყავდათ. დაბლიდან ხელების ქნევით რაღაცას გვანიშნებდნენ, ხმა კი ჩვენამდე არ მოდიოდა. ბოლოს შევიტყვეთ, რომ გვეძახდნენ: „გვესვრიან! გვესვრიან!“. ერთმა ახალგაზრდამ ტრიბუნამდე მოაღწია და სასოწარკვეთილმა, მაგრამ ბრძოლის ჟინმორეულმა მიკროფონით ხალხს აუწყა, რომ კავშირგაბმულობის სახლის კიბესა და რუსთაველის პროსპექტზე წითელარმიელებმა სტუდენტები დახოცეს.**

მიუხედავად იმისა, რომ, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი გამოცხადდა, მოედნიდან ფეხი არავის მოუცვლია და პანიკას არ აჰყოლია, მაგრამ მოულოდნელად გაისმა გამაყრუებელი ხმები. მძიმე ტანკები მშრალ ხიდზე შემოდიოდნენ. ორმა ტანკმა პირდაპირ მოედანზე გრანიტის კიბეზე იწყო ჩამოსვლა. ხალხის ტალღა უცბად ვერ შემჭიდროვდა სამხედრო ტექნიკისთვის გზის გასახსნელად და რამდენიმე კაცი ტანკების მუხლუხოების ქვეშ მოექცა.

**ტანკები შუა მოედანზე შეჩერდნენ და დაელოდნენ მომიტინგეთა დაშლას. ადამიანები კი ტანკებზე შეხტნენ და მოუწოდებდნენ მომიტინგეებს, არ დაშლილიყვნენ — გმირულად შეეწირათ თავი საქართველოსა და სტალინისათვის.**

ეს ვითარება ხუთიოდე წუთს გაგრძელდა, შემდეგ ტანკები შეტრიალდნენ და მაღლა, გამავალი ქუჩიდან მომდგარი სამხედრო მანქანებიდან წითელარმიელებმა სროლა ატეხეს. მარმარილოს კვარცხლბეკს მოხვედრილი ფეთქებადი ტყვიები საშინელი ხმით გაიწივლებდა ხოლმე ყურთან. ვხედავდი, როგორ ეცემოდნენ ახალგაზრდა ბიჭები კვარცხლბეკთან. მახსოვს, **როდესაც ერთმა ქუთაისელმა გოგონამ ტანზე წითელი დროშა შემოიხვია და მიკროფონით მიმართავდა ხალხს, მასთან ხიშტმომარჯვებული ჯარისკაცი მივიდა, თოფის კონდახი თავში ჩაარტყა, შემდეგ კი ხიშტით იქვე დააწვინა...**



> **მოედნიდან ფეხი არავის მოუცვლია და პანიკას არ აჰყოლია, მაგრამ მოულოდნელად გაისმა გამაყრუებელი ხმები. მძიმე ტანკები მშრალ ხიდზე შემოდიოდნენ. ორმა ტანკმა პირდაპირ მოედანზე გრანიტის კიბეზე იწყო ჩამოსვლა. ხალხის ტალღა უცბად ვერ შემჭიდროვდა სამხედრო ტექნიკისთვის გზის გასახსნელად და რამდენიმე კაცი ტანკების მუხლუხოების ქვეშ მოექცა. ტანკები შუა მოედანზე შეჩერდნენ და დაელოდნენ მომიტინგეთა დაშლას. ადამიანები კი ტანკებზე შეხტნენ და მოუწოდებდნენ მომიტინგეებს, არ დაშლილიყვნენ — გმირულად შეეწირათ თავი საქართველოსა და სტალინისათვის**

კვარცხლბეკს მოფარებული რამდენიმე აქტივისტი მილიციამ დაგვაპატიმრა და „ჩორნი ვორონით“ ქალაქის სამორიგეო ნაწილის ერთსართულიან შენობაში სასწრაფოდ შეგვრეკა. უკვე რიჟრაჟი იყო, როდესაც მოსაცდელში მილიციის მაიორი შემოვიდა და წაგვიკითხა ქალაქის კომენდატის, გენერალ-მაიორ **გლადკოვის** ბრძანება ქალაქში პატრულირების შემოღების შესახებ.

სტუდენტებმა არც ვიცოდით, რას ნიშნავდა პატრულირება და კომენდანტის საათი, მაგრამ მილიციის სამორიგეოში ყველაფერში გაგვარკვიეს. იქვე გაგვაფრთხილეს, ორ-ორი გავსულიყავით მილიციიდან და პირდაპირ შინ წავსულიყავით, რათა მოსკოვიდან ადრევე ჩამოსულ უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლებს ჩვენთვის მილიციაში არ მოესწროთ.

**რუსთაველის გამზირზე როცა ავედით, ქუჩები უკვე გადაკეტილი იყო, მაგრამ თითო-ოროლა კაცს ატარებდნენ. ვხედავდი, როგორ რეცხავდნენ სახანძრო მანქანები კავშირგაბმულობის შენობის კიბის საფეხურებსა და სასტუმრო „თბილისის“ მიმდებარე ტერიტორიას, რომელიც სისხლის გუბეებით იყო სავსე. ტრანსპორტი არ მოძრაობდა, ქუჩაში, ტროლეიბუსის ყველა გაჩერებაზე ორ-ორი სამხედრო „ვილისი“ იდგა, ტყვიამფრქვევდამაგრებული...**



სანამ სტუდენტთა ქალაქამდე მივაღწიე, გათენდა კიდეც.

9 მარტის მოვლენებმა წარუშლელი კვალი დატოვა როგორც საქართველოს, ასევე, სრულიად საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ცხოვრებაში. ეს ტრაგედია ცნობილი შეიქნა მთელი მსოფლიოსთვისაც.

შემაძრწუნებელი იყო ის შედეგები, რომლებიც ქვეყნდებოდა ტრაგედიის შემდგომ დღეებში.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კიმიტეტის თავმჯდომარე, **ალექსი ინაურმა** ერთ-ერთი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაიღუპა 22 ახალგაზრდა.

მოგვიანებით **ედუარდ შევარდნაძემ** განაცხადა, რომ დაღუპულთა რაოდენობა 150 კაცს შეადგენდა. უცხოეთის ერთ-ერთი სააგენტოს მიერ გავრცელებული ცნობით, დაღუპულთა რაოდენობა 400 კაცს აღემატებოდა, ხოლო პროფესორ **ნოდარ ნათაძის** გამოკვლევით, რომელიც მან გაზეთ „სახალხო განათლებაში“ გამოაქვეყნა, დაღუპულთა რაოდენობა 500 დან 1200 კაცამდე უნდა ყოფილიყო.

გაზეთი „მამული“, რომელმაც გამოაქვეყნა ნინო კანდელაკი-შანიძის შვილთან ერთად სხვა 19 დაღუპულის ფოტოები, სვამს კითხვას — რამდენი ადამიანი დაიღუპა იმ საბედისწერო ღამეს? 400, 1000, 2000 თუ კიდევ მეტი?

გაზეთი „სოფლის ცხოვრება“ წერდა: „იმ შემზარავმა 9 მარტმა ერთ ღამეში შეიწირა ათობით და ასობით და, იქნებ, ვინ იცის, გაცილებით მეტი“.

თბილისის თითქმის ყველა სავადმყოფოში მიიყვანეს, როგორც დაჭრილები, ისე დახოცილები. დაინტერესებული ადამიანების მცდელობამ, საავადმყოფოებში მიყვანილთა მიხედვით დაედგინათ მოკლულთა რაოდენობა, შედეგი ვერ გამოიღო, რადგან ჟურნალი, რომელშიც უნდა ყოფილიყო შესაბამისი ჩანაწერები, საავადმყოფოში გაქრა.

ამან კიდევ უფრო გააძლიერა ეჭვი, რომ დაღუპულთა რაოდენობა გაცილებით აღემატებოდა ოფიციალურ მონაცემებს.

მკვლევარებს იმედი ჰქონდათ, რომ ადგილებიდან მაინც მიიღებდნენ ცნობებს დაღუპულთა შესახებ, მაგრამ სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა ასეთი შინაარსის ყველა ინფორმაცია დაბლოკა. ასე აღმოჩნდა საიდუმლოებით მოცული საშინელი ტრაგედია, რომელიც 1956 წლის 9 მარტს დატრიალდა.

---



## ფიფას პრეზიდენტი ჯანი ინფანტინო გახდა

**უეფას გენერალური მდივანი ჯანი ინფანტინო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ახალი პრეზიდენტია.** მან არჩევნების მეორე ტურში გაიმარჯვა. არჩევნები ფიფას საგანგებო კონგრესზე გაიმართა. ინფანტინომ მეორე ტურში საჭირო ხმებზე მეტი მოაგროვა და ორგანიზაციის ისტორიაში მე-9 პრეზიდენტი გახდა. მას 115-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. მეორე ადგილზე 88 ხმით შეიხი სალმან ბინ იბრაჰიმ ალ-ხალიფა გავიდა, მესამეზე — იორდანიის პრინცი ალი ბინ ალ-ჰუსეინი 4 ხმით. არც ერთი ხმა არ მიუღია მეოთხე კანდიდატ ჟერომ შამპანს, რომელიც ფიფას გენერალური მდივნის ყოფილი მოადგილეა.




## «ფილიპ მორისმა» მარიხუანის გაყიდვა დაიწყო

**Philips Morris-მა აშშ-ის 4 შტატში Marlboro M-ის ანუ ბრენდირებული მარიხუანის სიგარეტების გაყიდვა დაიწყო. ვაშინგტონში, ორეგონში, კოლორადოსა და ალასკაში, ამჟამად მიღებული კანონის თანახმად, ერთ მყიდველს მხოლოდ ერთი კოლოფის შეძენის უფლება აქვს. მყიდველის მინიმალური ასაკი 21 წელი უნდა იყოს, ხოლო მარიხუანის ფასი 89 დოლარიდან იწყება.** „ჩვენი კომპანია დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა კანაფის ბაზრის მონიტორინგს. საფუძვლიანი შესწავლების შედეგად გადაწყდა, რომ ჩვენ ამ ბაზარზე დავიმკვიდრებთ თავს, რითაც მარიხუანის ლეგალიზაციას დავუჭერთ მხარს“, — განაცხადა კომპანიის ვიცეპრეზიდენტმა მარკეტინგის საკითხებში. სერტიფიცირებული მაღაზიების გარდა, Marlboro M-ის ნებისმიერ სხვა ადგილას გაყიდვა-შეძენა კანონით იკრძალება, რაც ჯარიმასა ან/და თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებით თამბაქოსგან, კოლოფზე არ არის „მოწევა კლავს“ ან მსგავსი შინაარსის სხვა ტექსტი.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერაყსა და ავღანეთში აშშ-ის შეჭრამ, მტრული რეჟიმების ჩამოგდებითა და სამხედრო ჩარევის შენარჩუნებით, მსოფლიოს აშშ-ის მიმართ შიში და პატივისცემა ჩაუნერგა. ერაყისა და ავღანეთის ამერიკულმა მიღწევებმა გარკვეული დროით იმუშავა საერთო სტრატეგიული წარმატების სასიკეთოდ. მაგრამ შიშმა და პატივისცემამ გაქრობა დაიწყო, როდესაც 2009 წელს ობამას ადმინისტრაციამ ავღანეთიდან ჯარების გაყვანის გრაფიკი დააწესა და სრულიად გაქრა, როდესაც აშშ ერაყიდანაც წავიდა.**

# თეთრი სახლის შვიდი მომაკვდინებელი შეცდომა

**სტრატეგიული მარცხი ხშირად ტაქტიკური ჩავარდნების სერიის შედეგია. მარცხის გამეორება ანადგურებს მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს (როგორც ეს ნაპოლეონის საფრანგეთში იყო) ან მის ნებას (როგორც ეს ბრიტანეთში მოხდა დამოუკიდებლობისათვის აშშ-თან ომისას). მსგავს შემთხვევებში სამხედრო ხელმძღვანელობას ეკისრება, სულ მცირე, ნაწილობრივი პასუხისმგებლობა სტრატეგიული მარცხის გამო, რადგან, უმეტეს შემთხვევაში სარდლობა პასუხს აგებს შეიარაღებული ძალების მომზადებაზე, მომარაგებასა და მეთაურობაზე. ეს ყველაფერი აუცილებელია ტაქტიკური გამარჯვების მოსაპოვებლად. სამხედრო სტრატეგია კი პირიქით, როგორც წესი, სამოქალაქო ხელმძღვანელობის ხელშია. აშშ-ის შემთხვევაში კი ეს სამოქალაქო მთავარსარდლის კონსტიტუციური პრეროგატივაა.**



როდესაც ქვეყანა რეგულარულად აღწევს ტაქტიკურ საომარ წარმატებებს (როგორც აშშ), სტრატეგიულ წარმატებაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მათ, ვინც შეიმუშავა ეს სტრატეგია. ამერიკელი სამხედროების დადანაშაულება ბოლოდროინდელ მარცხებში შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი მათ სტრატეგიის შემუშავებაზე ექნებოდათ რაიმე გავლენა. სინამდვილეში **ბუშის ადმინისტრაციაზე სამხედროების გავლენა შეზღუდული იყო, ობამას ადმინისტრაცია მათ სტრატეგიულ რჩევებს სრულიად უგულებელყოფდა.**

2001 წლიდან დღემდე ამერიკის წარუმატებლობების შესწავლამ გამოავლინა **შვიდი დიდი შეცდომა**, რომლებიც იქცა მიზეზად იმისა, რომ ვაშინგტონმა ვერ მოახერხა ტაქტიკური გამარჯვებების სტრატეგიულ წარმატებად ქცევა. ეს შეცდომები ქვემოთაა ჩამოთვლილი. თითოეულ შემთხვევაში ეს იყო პოლიტიკურ ან სტრატეგიულ ასპექტში პრეზიდენტის გადაწყვეტილების პირდაპირი შედეგი. არმია შეიძლება დაადანაშაულო ცალკეულ შეცდომებში, მაგალითად, ერაყის ომის პირველ წლებში კონტრინსურგენტული ქმედებების იგნორირებაში ან ავღანეთის ომის შუა პერიოდში მოსახლეობაზე ორიენტირებული კონტრინსურგენტული დოქტრინის გატარებაში, მაგრამ, საერთო ჯამში, არმია ასწორებდა თავის შეცდომებს და ამ შეცდომათაგან არც ერთი არ გამხდარა სტრატეგიული წარუმატებლობის საბაბი.

**არაკომპეტენტურობამ, ცუდმა მსჯელობამ და დეზორგანიზაციამ დიდი როლი შეასრულა ობამასა და ბუშის ადმინისტრაციების მიერ მცდარი გადაწყვეტილებების მიღებაში. დემოკრატიზაციის თეორიებმა აიძულა ბუშიც და ობამაც, დაეჯერებინათ გარკვეულ ქვეყნებში სამხედრო ჩარევის წარმატებულობა.** პრეზიდენტი ობამა ისე გაიტაცა **ჯეიმს მაკგოვერის** დოქტრინამ, რომ გადამეტებულ ზიზღს განიცდიდა ამერიკული სამხედრო ძალის გამოყენების მიმართ. დაუთმო რა დიდი ყურადღება ქვეყნის საშინაო საქმეებს და გაიტაცა რა საკუთარმა პოპულარობამ, ობამამ სტრატეგიულ ჭრილში რამდენიმე მცდარი გადაწყვეტილება მიიღო.

## დემოკრატიზაციის გადაჭარბებული რწმენა

პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსი და მისი მრჩევლები იტყუებოდნენ, რომ ავღანეთისა და ერაყის მტრული რეჟიმები შეიცვლებოდა დემოკრატიული მმართველობით, შეძლებდნენ ქვეყნის შიგნით წესრიგის დაცვასა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ დამოუკიდებლად ბრძოლას. ამ მიზეზის გამო აშშ არ გზავნიდა აღნიშნულ ქვეყნებში იმდენ ჯარს, რამდენიც საკმარისი იქნებოდა რეჟიმის შეცვლის შემდეგ ამბოხების ჩასახშობას. ეს გადაწყვეტილება დაკავშირებული იყო იმ ძალების არსის შეუცნობლობასთან, რომლებიც ამ ქვეყნებში მოქმედებდნენ, ასევე იმ სირთულეების გაუაზრებლობასთან, რომლებიც ავტორიტარული ტრადიციების მქონე სახელმწიფოში ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობას მოჰყვებოდა. მოკლევადიანი სტრატეგიული წარმატება რეჟიმის შეცვლის სახით, რომელიც განპირობებული იყო სამხედრო ტაქტიკური გამარჯვებებით, გაცამტვერდა, რადგან ახალი დემოკრატიული ხელისუფლებები უუნარონი აღმოჩნდნენ ქვეყნის სტაბილიზაციისათვის აუცილებელი სამხედრო და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ობამას ორგანიზებით ჩამოაგდეს **მუამარ კადაფი** ლიბიაში, დემოკრატიზაციის მიმართ იგივე გადამეტებული რწმენიდან გამომდინარე. ბუშისგან განსხვავებით, მან რეჟიმის შეცვლას ლიბიაში სახმელეთო ჯარების შეყვანის გარეშე მიაღწია, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამერიკელი სამხედროების დასწრება ხელს შეუშლიდა ლიბიის სტაბილიზაციასა და პოლიტიკურ განვითარებას. **ლიბიის დემოკრატიულმა ექსპერიმენტმა კი უარესი შედეგები მოიტანა — ანტიდემოკრატიულმა ძალებმა დემოკრატიული ხელისუფლება სამ წელზე ნაკლებ დროში გამოცვალეს, რამაც ქაოსი და ძალადობა განაპირობა.**

**ამერიკის პრესტიჟი განადგურდა სირიის «წითელი ზოლების» სამარცხვინო ჩავარდნის, უკრაინის მოვლენებისა და «ისლამური სახელმწიფოს» აღზევების შემდეგ. შედეგად მნიშვნელოვნად შესუსტდა აშშ-ის სტრატეგიული პოზიციები ისეთ საკითხებში, როგორიცაა ირანის ბირთვული პროგრამა, ჩინეთის განვითარების ბანკი და სირიის სამოქალაქო ომი**

## ადგილობრივი მოკავშირეების წარუმატებელი შერჩევა

ბუში და ობამა ყოველთვის არასწორად ირჩევდნენ მოკავშირეებს, რომლებიც სათავეში უნდა ჩასდგომოდნენ ახალშექმნილ დემოკრატიულ საზოგადოებებს ზემოაღნიშნულ ქვეყნებში. აშშ-ს რომ სხვა მოკავშირეები აერჩია, შედეგი შეიძლებოდა გაცილებით უკეთესი ყოფილიყო. ბოტსვანას, ჩილესა და კოსოვოს მაგალითები ცხადჰყოფს, რომ ახალი ლიდერის არჩევა უკიდურესად მნიშვნელოვანია ჩანასახოვანი დემოკრატიის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობისთვის.

**ერაყში ბუშის ადმინისტრაციამ ახალი ხელისუფლებიდან გამორიცხა ბაასისტები და სამხედროები და ისინი ემიგრანტებით, გაძევებულებითა და შიიტი პოლიტიკოსებით ჩაანაცვლა.** ახალ ხელისუფლებას არ ჰყოფნიდა გუბერნატორები, პოლიციის უფროსები და სამხედროები მეამბოხეებთან საბრძოლველად. ამ მეამბოხეთაგან კი ბევრი ყოფილი ბაასისტი ან სამხედრო პირი იყო. ხელისუფლების არაეფექტურობამ ამერიკული არმიის ჩარევა მოითხოვა. **შემდგომმა გადაწყვეტილებამ, დაებრუნებინათ ბაასისტები და სამხედროები ხელისუფლებაში, 2007 და 2008 წლებში ერაყს სტაბილიზაცია დაუბრუნა.** პრემიერმინისტრმა **ნური ალ-მალიკიმ**, შიიტური თემის დიდმა მომხრემ, რომელსაც ობამას ადმინისტრაცია ხელისუფლებაში ტოვებდა 2010 წლის წინააღმდეგობრივი არჩევნების შემდეგ, ამ ყველაფერს ბოლო მოუღო, როდესაც ამერიკული ჯარების ქვეყნიდან გასვლის შემდეგ კვლავ გააძევა ხელისუფლებიდან სუნიტები. **მან დაასუსტა უსაფრთხოების ძალები და მოახდინა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ სუნიტების მტრული დამოკიდებულების პროვოცირება, რამაც განაპირობა კიდეც „ისლამური სახელმწიფოს“ წარმოშობა.**

ავღანეთში ბუშის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ხელისუფლების სათავეში დაეყენებინა **ხამიდ კარზაი**, რადგან გადაჭარბებულად შეაფასა მისი ლიდერული თვისებები. დაურიგა რა მთავარი თანამდებობები სასურველ ადამიანებსა და თემებს, ყარზაიმ მათ მოქმედების თავისუფლება მისცა, რომელსაც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების არნახული მასშტაბები მოჰყვა და ავღანელებს მეამბოხეებისკენ უბიძგა. **კარზაი თანამდებობიდან წასვლის მომენტისთვის აღიარებული იყო არაკომპეტენტურ და კორუფცირებულ ადამიანად.**

**ლიბიაში** ობამას ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა მეამბოხეებს, რომელთა შესახებაც არაფერი იცოდა და რომლებიც ძალზე სუსტი იყვნენ იმისათვის, რომ საკუთარი ქვეყანა ეკონტროლებინათ. აბედ რაბო მანსურ ჰადის, რომელიც ობამას ადმინისტრაციამ იემენის პრეზიდენტის პოსტზე დააყენა, არ შეეძლო ჰუსიტური ამბოხი შეეჩერებინა. სირიელი მეამბოხეები, რომელთაც ობამას ადმინისტრაცია დაუკავშირდა, ასევე არასაიმედო აღმოჩნდნენ, ზოგი სულაც ექსტრემისტების მხარეს გადავიდა.

## ნაჩქარევი ბრძოლა მეამბოხეებთან

2003 წლის ბოლოდან 2006 წლის ბოლომდე ბუშის ადმინისტრაცია ცდილ- ▶

---

მოკლედ



## დონალდ ტუსკი: ჩვენ უნდა აღვადგინოთ შენგენი

**ევროპული საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი 1-3 მარტს ევროპის რამდენიმე ქვეყანას ეწვევა.** ტუსკი შეეცდება, ვენაში, ზაგრებში, სკოპიესა და ათენში მიაღწიოს მიგრაციის საკითხებზე კონსენსუსს ამ ქვეყნებს შორის. ტუსკის ვიზიტი ასევე მიზნად ისახავს 7 მარტს თურქეთთან დაგეგმილი სამიტისთვის მზადებას და 17-18 მარტის ევროპის საბჭოს სხდომისთვის მომზადებას. დონალდ ტუსკი ასევე შეხვდება ნატოს გენერალურ მდივან **სტოლტენბერგსა** და ევროკავშირის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელობას 4 მარტს. დონალდ ტუსკმა 24 თებერვალს ევროპარლამენტში განაცხადა: „ჩვენ უნდა აღვადგინოთ შენგენი. ეს დაჯდება ბევრი ფული და კიდევ უფრო მეტი პოლიტიკური მონდომება. არსებობს ქვეყნები, რომელთაც უჭირთ ამ გამოწვევასთან გამკლავება, მაგრამ ევროპა მზადაა, მათ დაეხმაროს. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ინვესტირება შენგენში და არა მის კოლაფსში“.



# ობამას ადმინისტრაციის უუნარობას, ტაქტიკური წარმატებები სტრატეგიულ გამარჯვებად ექცია, კიდევ ერთი მიზეზი აქვს — ავღანელები დარწმუნებულნი არიან, რომ ობამა მათ მიტოვებას აპირებს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ობდა, რაც შეიძლება სწრაფად ჩაეხშო ამბოხი, ვინაიდან თვლიდა, რომ ერაყში ამერიკელი სამხედროების დიდი დროით დარჩენა ადგილობრივ მოსახლეობას ქსენოფობიურ გრძნობებს გაუღვივებდა და გაანადგურებდა ამ ომის მიმართ ამერიკელი საზოგადოების მხარდაჭერას. იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაეყვანა აშშ ომიდან, ბუშმა მოითხოვა ერაყული ძალების რიცხოვნების სწრაფად გაზრდა, მაგრამ ერაყული ძალები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ ცუდი ხელმძღვანელობის გამო. აშშ-ს შეეძლო ამ პრობლემის გადაჭრა, თუკი აიძულებდა ერაყის ხელისუფლებას, აეყვანა ძველი რეჟიმის სამხედროები და გამოცდილი მეთაურები დაენიშნა.

**ავღანეთში პირიქით:** არ მოიძებნა იმ რაოდენობის სამხედრო, რამდენიც საკმარისი იქნებოდა ხელისუფლების დასახმარებლად მდგომარეობის გაუარესებისას. **სამოქალაქო ომით განადგურებულმა ავღანეთმა დაკარგა ნიჭიერი და თავდადებული სამხედრო ლიდერები. ხელისუფლების დაშლის შემდეგ, 1990-იანი წლების შუა პერიოდში, მთელი თაობა გაიზარდა სამხედრო და პოლიციის მეთაურების გარეშე. პროფესიონალ ოფიცერთა ახალი კორპუსის შექმნას ათწლეულები დასჭირდებოდა. ბუშის ადმინისტრაციამ სცადა ავღანელი არმიის მეთაურების მომზადება, აშშ-მა პოლიციის სწავლება გერმანიას მიანდო, მათ კი ოფიცრების მცირე რაოდენობა მოამზადეს.** ავღანეთის პოლიციის განვითარების საქმე მდორედ მიდიოდა, ვიდრე 2008 წელს აშშ-მა არ დაიკისრა ამ ამოცანის გადაჭრა, მაგრამ ეფექტიანი პოლიცია, სულ მცირე, 2018 წლამდე ვერ ჩამოყალიბდება.

საპრეზიდენტო ვადის დასაწყისში ობამამ გადაწყვიტა, ავღანეთში მეამბოხეებთან ბრძოლა გაეაქტიურებინა და ხანმოკლე წარმატებებს ავღანეთიდან ამერიკული ჯარის გაყვანის შესაძლებლობა მოეცა. ეს სურვილი განპირობებული იყო იმით, რომ აშშ-ის პოლიტიკურ მომხრეებს შორის ეს ომი არაპოპულარული იყო და თან აშშ-ს სამხედრო მოქმედებები მეტისმეტად ძვირი უჯდებოდა. ავღანეთის დასაცავი სამხედრო ძალების რიცხოვნება სწრაფად გაეზარდა, აშშ-მა გაზარდა დაფინანსება და ამერიკელი ინსტრუქტორების რაოდენობა. მათ, ასევე, შეამცირეს მოთხოვნები არმიასა და პოლიციაში მსახურების მსურველთათვის და შეკვეცეს სწავლების პერიოდიც. შედეგად ავღანეთის მრავალრიცხოვანი არმია აღმოჩნდა არადისციპლინირებული და არაკომპეტენტური.

2011 წელს ობამამ შეამცირა ამერიკული წილი მეამბოხეებთან ბრძოლაში. კამპანიის არათანმიმდევრულმა ხასიათმა მეამბოხეებს აღმოსავლეთ რაიონებში ახალი მეომრების მობილიზების საშუალება მისცა. მათ შეუერთდნენ ყოფილი ტერორისტები, რომლებიც ავღანეთის ხელისუფლებისთვის საფრთხედ იქცნენ.

## წერტილოვანი დარტყმებით გატაცება

2002-დან 2008 წლამდე ავღანეთში ამერიკელთა მცირერიცხოვანი კონტინგენტი ძირითადად რეიდებს ატარებდა და ჩასაფრებებს აწყობდა, რათა მეამბოხეები და „ალ ქაიდადან" მათი მოკავშირეები დაესუსტებინა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები მათ დიდ ზიანს აყენებდნენ, არ შეეძლოთ მეამბოხეთა გაძლიერების შეჩერება. 2008 წელს ერაყში ძალადობის დონის შემცირებამ შესაძლებელი გახადა ძირითადი ყურადღების ავღანეთზე გადატანა. სამხედროებმა, მათ შორის წერტილოვანი დარტყმების პიონერმა, გენერალმა სტენლი მაკკრისტალმა, წამოაყენეს წინადადება, რომ ამგვარი ქმედებების სტრატეგია მეამბოხეების წინააღმდეგ ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ჩატარებული ოპერაციებით ჩაენაცვლებინათ. 2009 წელს ობამამ მიიღო ეს სტრატეგია და დამატებითი ჯარების გაგზავნის ნებართვა გასცა.

2011 წელს ობამამ შეწყვიტა ოპერაციები აღმოსავლეთ ავღანეთში და წერტილოვან დარტყმებს დაუბრუნდა. უპილოტო საფრენი აპარატების დარტყმები ბოევიკებს მძიმე დანაკარგებს განაცდევინებს, მაგრამ ეს დარტყმები მეამბოხეებს აკავებს მხოლოდ აღმოსავლეთ ოლქებში. ამერიკული ჯარის გაყვანის შემდეგ სიტუაცია ისე გაუარესდა, რომ 2014 წელს ცსს იძულებული შეიქნა, ბაზები დაეხურა და დაეშალა ავღანეთის კონტრტერორისტული ძალების საიდუმლო არმია დაეშალა,რომელიც წერტილოვანი ოპერაციების უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო.

2008-ში ბუშმა უპილოტო დარტყმების მიყენება დაიწყო პაკისტანელი ექსტრემისტების წინააღმდეგ, მაგრამ იმ დროისთვის „ალ ქაიდამ" გამონახა ეფექტიანი კონტრზომები და თავისი ლიდერები გადაიყვანა ქალაქებში, სადაც უპილოტო საფრენი აპარატების მოქმედება აკრძალული იყო. ობამამ ბევრი დაბალი რანგის მეთაური გაანადგურა პაკისტანის „თალიბანში", მაგრამ ეს ექსტრემისტული ორგანიზაცია პაკისტანისთვის ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე აშშ-ისთვის.

ამერიკელები ამბობენ, რომ წერტილოვანმა დარტყმებმა „ისლამური სახელმწიფოს" ათასობით ბოევიკი გაანადგურა სირიასა და ერაყში, მაგრამ თვით ეს ტერორისტული ორგანიზაცია იმაზე მეტად არ დასუსტებულა, ვიდრე საჰაერო კამპანიის დაწყებისას იყო. მან სათანადო ზომები მიიღო ხელმძღვანელების დასაცავად და გადაიბირა ათასობით ახალი მებრძოლი. ჰაერიდან დარტყმებმა მათ ხელი ვერ შეუშალა დიდი ნადავლის — ერაყული რამადის მიტაცებაში.



**არაკომპეტენტურობამ, ცუდმა მსჯელობამ და დეზორგანიზაციამ დიდი როლი შეასრულა ობამასა და ბუშის ადმინისტრაციების მიერ მცდარი გადაწყვეტილებების მიღებაში. დემოკრატიზაციის თეორიებმა აიძულა ბუშიც და ობამაც, დაეჯერებინათ გარკვეულ ქვეყნებში სამხედრო ჩარევის წარმატება**



## მიზნების მიღწევა მხოლოდ საჰაერო დარტყმებით

2011 წელს, ეხმარებოდნენ რა ამბოხებულებს კადაფის ჩამოგდებაში, აშშ-მა და მისმა ევროპელმა მოკავშირეებმა მისი სიკვდილი იმის მტკიცებულებად მოიტანეს, რომ მიზნების მიღწევა მხოლოდ საჰაერო დარტყმებითაც შეიძლება. სინამდვილეში ჯარების არარსებობა გრძელვადიანი სტრატეგიული წარმატების შეუძლებლობის მიზეზად იქცა. ამერიკული ჯარები ლიბიაში სტრატეგიულ ობიექტებს არ იცავდნენ, როგორც ეს ერაყში ხდებოდა 2003 წელს. კადაფის ციხეები გაიხსნა და უამრავი ექსტრემისტი თავისუფალი აღმოჩნდა. **ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს ლიბიის არმიის საწყობები და ხელში ჩაიგდეს როგორც მძიმე შეიარაღება, ასევე „მიწა-ჰაერის" ტიპის რაკეტები. როდესაც ამბოხებულებმა ახალი ხელისუფლების მიმართ მორჩილებაზე უარი განაცხადეს, ვერავინ შეძლო მათი იძულება, როგორც ეს ერაყსა და ავღანეთში გააკეთა ამერიკულმა ჯარმა.**

ობამა კატეგორიულ უარს აცხადებს ამბოხებულების დასახმარებლად სირიაში სახმელეთო ჯარის გაგზავნაზე, თუმცა ამერიკელი სამხედრო ექსპერტები ეუბნებიან, რომ აშშ-ის დახმარების გარეშე ისინი წარმატებას ვერ მიაღწევენ. სავარაუდოდ, ობამა იმედოვნებდა, რომ ამერიკელების მიერ მხარდაჭერილი მეამბოხეები საკმარისად გაძლიერდებოდნენ საიმისოდ, რომ მოლაპარაკებათა მაგიდასთან კონფლიქტის სასურველი გადაწყვეტისთვის მიეღწიათ, მაგრამ სირიაში ამ ამბოხებულებს ხოცავდნენ, იტაცებდნენ ან გადაიბირებდნენ ხოლმე.

## ობამამ ერაყიდან ჯარი გაიყვანა

ერაყში 2007 და 2008 წლებში ტაქტიკური გამარჯვებები რამდენიმეწლიანი სტაბილურობის საფუძველი გახდა. ერაყელებმა შეწყვიტეს ხელისუფლებასთან ომი და სულ უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ დემოკრატიულ პროცესებში. 2011 წელს ობამამ ერაყიდან ჯარი გაიყვანა იმის იმედად, რომ მასშტაბური ამერიკული სამოქალაქო ჩართულობა სტაბილურობას გაამყარებდა. მაგრამ ამან ვერ ჩაახშო თემთაშორისი კონფლიქტები იმ დონით, რა დონითაც ამერიკული არმია აკეთებდა ამას. როგორც კი ამერიკული ჯარი წავიდა, ალ-მალიკიმ გაყარა სუნიტი პოლიტიკოსები ხელისუფლებიდან და სუნიტი ოფიცრებისგან გაწმინდა არმია. მან ასევე ბოლო მოუღო ამერიკის სადაზვერვო საქმიანობას, რომელმაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას გამოუთხარა ძირი და გზა გაუხსნა „ისლამური სახელმწიფოს" აღორძინებას 2014 წლისთვის.

გაგზავნა რა ერაყში ჯარები 2014 წელს, ობამამ მკვეთრად შეამცირა მათი ეფექტიანობა, რადგან ბაზებზე გამოკეტა ისინი. ამერიკელი სამხედროები ვერ ახერხებენ იმ გავლენის მოპოვებას, რომელიც ირანის პერსონალს და ირანის მიერ გაწვრთნილ 100 ათას ერაყელ შიიტ ამბოხებულს აქვს. შედეგად აშშ-ს არ შეუძლია აღადგინოს ერაყის ნაციონალური უსაფრთხოების ძალები ან სუნიტების ნდობა დაიბრუნოს.

## სიგნალები შემცირებების შესახებ

**ობამას ადმინისტრაციის უუნარობას, ტაქტიკური წარმატებები სტრატეგიულ გამარჯვებად ექცია, კიდევ ერთი მიზეზი აქვს — ავღანელები დარწმუნებულნი არიან: ობამა მათ მიტოვებას აპირებს.** ჯარების გაყვანის თაობაზე ობამა ხომ განცხადებებს ხშირად აკეთებს. მისი სიტყვები კი გამყარებულ იქნა ქმედებითაც — საბრძოლო კონტინგენტების რაოდენობა 2011 წლიდან თანდათან მცირდება. ავღანელი ოპორტუნისტები მხარს უჭერენ მეამბოხეებს, რადგან თვლიან, რომ ამერიკელები მანამდე წავლენ, სანამ ხელისუფლება საკმარისად მოძლიერდება ამბოხის დამოუკიდებლად ჩასახშობად. პაკისტანი, რომელიც თვლის, რომ ამერიკელების ადგილს ინდოეთი დაიკავებს, აძლიერებს „თალიბანის" მხარდაჭერას.

**ერაყსა და ავღანეთში აშშ-ის შეჭრამ, მტრული რეჟიმების ჩამოგდებითა და სამხედრო ჩარევის შენარჩუნებით, მსოფლიოს აშშ-ის მიმართ შიში და პატივისცემა ჩაუნერგა. ერაყისა და ავღანეთის ამერიკულმა მიღწევებმა გარკვეული დროით იმუშავა საერთო სტრატეგიული წარმატების სასიკეთოდ.**

**მაგრამ შიშმა და პატივისცემამ გაქრობა დაიწყო, როდესაც 2009 წელს ობამას ადმინისტრაციამ ავღანეთიდან ჯარების გაყვანის გრაფიკი დააწესა და სრულიად გაქრა, როდესაც აშშ ერაყიდანაც წავიდა.** ამერიკული პრესტიჟი განადგურდა სირიის „წითელი ზოლების" სამარცხვინო ჩავარდნის, უკრაინის მოვლენებისა და „ისლამური სახელმწიფოს" აღზევების შემდეგ. შედეგად მნიშვნელოვნად შესუსტდა აშშ-ის სტრატეგიული პოზიციები ისეთ საკითხებში, როგორიცაა ირანის ბირთვული პროგრამა, ჩინეთის განვითარების ბანკი და სირიის სამოქალაქო ომი.

hoover.org

მოკლედ



## გერმანიამ მიგრაციული კანონმდებლობა გაამკაცრა

**ბუნდესტაგმა მიიღო კანონების ახალი პაკეტი, რომლის თანახმად, მიგრანტების გარკვეული ჯგუფის განაცხადი თავშესაფრის მიღების შესახებ სასწრაფოდ განხილული იქნება განხილული.**

ცვლილება, ძირითადად, შეეხება „უსაფრთხო ქვეყნებიდან" ჩასულ მიგრანტებს. კიდევ ერთი ცვლილების თანახმად, ასეთ მიგრანტებს სპეციალურ დაწესებულებებში გადაიყვანენ და მათ არ ექნებათ უფლება, გერმანიაში საცხოვრებელი ადგილი თავად შეარჩიონ. ახალი საკანონმდებლო ნორმები შეეხება იმ მიგრანტებსაც, რომლებსაც ლტოლვილის სტატუსი არ აქვთ, მაგრამ სამშობლოში ვერ ბრუნდებიან. ასეთი ადამიანები გერმანიაში ოჯახის წევრების ჩაყვანას, ერთის ნაცვლად, ორ წელიწადში შეძლებენ. გარდა ამისა, დაჩქარებული წესით მოხდება იმ მიგრანტების გაძევება, რომლებსაც თავშესაფრის მიღების უფლება არ აქვთ.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გავლენიანმა ფრანგულმა გაზეთმა LE MOND-მა ბრიუსელის სამიტი ასე შეაფასა: „ეს იყო ევროპის მარცხი და ინგლისური ეგოიზმის გამარჯვება“; „სამწუხარო ფაქტია! ერთი-ორი წლის შემდეგ კომედია განმეორდება. ევროპის გადარჩენა შეუძლია მხოლოდ BREXIT-ს“.**

# საფრანგეთის საიდუმლო ოპერაცია და ბრიტანეთის BREXIT-ი



**ფრანგულმა გამოცემა Le Monde-მა რამდენიმე დღის წინათ მკითხველს აცნობა, რომ საფრანგეთი მაღალი სიზუსტის დარტყმებს ახორციელებს „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებზე ლიბიაში. დარტყმების კოორდინირება ხორციელდება საიდუმლო ოპერაციის საშუალებით. ოფიციალურად საფრანგეთის ხელისუფლებას ლიბიაში სამხედრო ოპერაციის თაობაზე არ გამოუცხადებია, მაგრამ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაზე პროტესტიც ჯერჯერობით არავის გამოუთქვამს.**



როგორც გამოცემა წერს, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ პრეზიდენტ ოლანდის ტაქტიკა ეფუძნება არაოფიციალურ საომარ მოქმედებებს. ფრანგული სპეცრაზმი ლიბიის ტერიტორიაზე თებერვლის შუა რიცხვებში შენიშნეს. მასთან ერთად საფრანგეთში მოქმედებენ საგარეო დაზვერვის ძალებიც ამოსაცნობი ნიშნების გარეშე.

ოფიციალურად საფრანგეთის ხელისუფლება ლიბიაში სამხედრო ჩარევის პირობად აყენებდა ქვეყანაში კოალიციური ხელისუფლების ჩამოყალიბებას და ამ ხელისუფლებისგან ნაციონალური ერთობის ოფიციალურ მოთხოვნას. გარდა ამისა, პარიზში, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრს, ასევე გენშტაბს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ფრანგი მებრძოლები, რომლებიც უკვე მონაწილეობდნენ რამდენიმე უცხოურ ოპერაციაში, ველარ იმოქმედებდნენ ლიბიაშიც.

**LE MOND-ის მიერ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა გასცა განკარგულება, ჩატარდეს გამოძიება „ნაციონალური უსაფრთხოების საიდუმლოებათა გამჟღავნების“ გამო. ამის შესახებ კიდევ ერთი ფრანგული გამოცემა — LE POINT-ი თავდაცვის უწყების მეთაურის გარემოცვიდან საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით წერდა. ფრანგული კანონმდებლობის თანახმად, გაზეთის წყაროს, შესაძლოა, სისხლის სამართლის დევნა დაემუქროს.**

ევროკავშირის ბოლო სამიტის შედეგად დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირში განსაკუთრებული სტატუსი მიიღო და ახალი პრეფერენციებიც მოიპოვა. ბრიტანელმა პრემიერმა **დევიდ კემერონმა** წარმატებით გადალახა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და საფრანგეთის წინააღმდეგობა და გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის მხარდაჭერა მოიპოვა. ევროკავშირის ლიდერები ლონდონთან დათმობებზე წავიდნენ, რადგან შიშობდნენ, რომ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა ევროკავშირის დეზინტეგრაციის დასაწყისად იქცეოდა. დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ კემერონმა მოხერხებულად მიმართა შანტაჟს ევროკავშირის სისუსტის დროს, რომელიც მიგრაციული კრიზისით იყო განპირობებული.

რა იყო კემერონის მთავარი მოთხოვნები ევროკავშირთან ბოლო მოლაპარაკებებზე?

**ბრიტანეთმა ორი ძირითადი პირობა წამოაყენა: პირველ რიგში, ძირითადად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჩასული შრომითი მიგრანტებისთვის გულუხვ სოციალურ დახმარებებზე უარის თქმა; და მეორეც — ევროპული ინტეგრაციის შემდგომ გეგმებში მონაწილეობისგან გათავისუფლება.**

**Le Mond-ის მიერ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა გასცა განკარგულება, ჩატარდეს გამოძიება «ნაციონალური უსაფრთხოების საიდუმლოებათა გამჟღავნების» გამო. ამის შესახებ კიდევ ერთი ფრანგული გამოცემა — Le Point-ი თავდაცვის უწყების მეთაურის გარემოცვიდან საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით წერდა. ფრანგული კანონმდებლობის თანახმად, გაზეთის წყაროს, შესაძლოა, სისხლის სამართლის დევნა დაემუქროს**



შედეგად კემერონმა თანხმობა მიიღო, შეკვეცოს სოციალური დახმარება შრომითი მიგრანტების ბავშვებისთვის. ეს უფლება ბრიტანეთმა შვიდი წლით მოიპოვა. მან ასევე მოიპოვა უფლება, არ მიიღოს მონაწილეობა ევროკავშირში ინტეგრაციის გაღრმავების პროცესში. დიდი ბრიტანეთი დამოუკიდებლად გადაწყვეტს, ქვეყნის იუსტიციის სფეროსა და შინაგან საქმეებში ევროკავშირის რომელი კანონები გამოიყენოს. ამასთან, ლონდონმა ვერ მიიღო ვეტოს უფლება ევროზონის ფინანსურ პოლიტიკაზე.

**ინგლისელები იხსენებენ, რომ, 40 წლის წინათ, როდესაც ქვეყანა ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობაში შედიოდა, საუბარი იყო საერთო ეკონომიკურ ბაზარზე, ახლა კი ევროკავშირი იხრება პოლიტიკური კავშირისკენ ინტეგრაციის მაღალი ხარისხით და ბრიუსელის დიქტატი არღვევს ბრიტანული სუვერენიტეტის საფუძვლებს. მრავალი ევროპელი ევროსკეპტიკოსი ბრიტანული არგუმენტების სისწორეს აღიარებს.**

მაგალითად, ფრანგული „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა სიამოვნებით მიიღო დევიდ კემერონის გამარჯვება ბრიუსელში გამართულ მოლაპარაკებებზე. მან განაცხადა, რომ ლონდონმა შეძლო, ევროკავშირისთვის წაერთმია აუცილებელი დათმობები, რადგან ძალის პოზიციიდან მოქმედებდა. ეს მაგალითია ევროპაში ყველა ევროსკეპტიკოსისთვის, მათ შორის „ნაციონალური ფრონტისთვისაც“.

კომპრომისი ორივე მხარეს აძლევს ხელს: ევროკავშირიდან **გასვლა ბრიტანეთისთვის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის დაკარგვის ტოლფასი იქნებოდა, ევროკავშირისთვის კი — ინგლისურ სამყაროსა და აშშ-თან კავშირის.** ბრიუსელის შეთანხმებები კემერონს უფლებას აძლევს, ევროკავშირის წევრობის შესახებ რეფერენდუმი 23 ივლისს ჩაატაროს. მან განაცხადა, რომ კმაყოფილია მიღწეული კომპრომისით და რეფერენდუმზე ხმას მისცემს ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენას.

ამ ყველაფრის პარალელურად, ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ **ბრიუსელში მიღწეული შედეგები ევროკავშირისთვის შენელებული მოქმედების ნაღმია. კემერონმა საჯაროდ დაამცირა ევროპა და პრაქტიკულად გააძლიერა ევროკავშირის დაშლის ტენდენცია, რადგან ბრიტანეთის მაგალითს (ევროკავშირის წევრობა A LA CARTE — შერჩევით) ახლა სხვა ქვეყნებიც მიმართავენ.** ნაციონალური ეგოიზმი დომინირებულ ფაქტორად იქცევა ევროპულ პოლიტიკაში, სრულად მივიწყებულია ომის შემდგომი ევროპის „მამა-დამაარსებლების“ იდეალები. დანიელებმა უკვე მოსინჯეს ნიადაგი, შეძლებენ თუ არა, გამოიყენონ იგივე პრინციპები, რომლებსაც ბრიტანეთმა მიმართა, ანუ შეკვეცონ დახმარება მიგრანტების შვილებისთვის მათი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნების, მაგალითად, რუმინეთის დონემდე. ანალოგიურ გეგმებს განიხილავს გერმანიის წამყვანი კონსერვატიული პარტიაც.

ბელგიელი პოლიტოლოგისა და პოლიტიკოსის — **პოლ მანიეტას** აზრით, სავარაუდოდ, ეს ევროკავშირის ფრაგმენტაციის დასაწყისია. რა შეუშლის ხვალ ხელს პოლონეთს ან უნგრეთს, ჩაატარონ რეფერენდუმები, თუკი ბრიუსელი ამ ქვეყნებს დემოკრატიული ნორმების დაცვისკენ მოუწოდებს? ევროპარლამენტის დეპუტატი **დომინიკ რიკე** კიდევ უფრო მკაცრად გამოთქვამს საკუთარ აზრს: „დიდმა ბრიტანეთმა წამოიწყო არაღირსეული სპექტაკლი Brexit-ის გამო, მაშინ, როდესაც ევროპული სახლი ცეცხლშია გახვეული. შედეგად, ბრიუსელის სამიტზე ევროკავშირის მეთაურები ყველანაირად აკმაყოფილებდნენ მას, ნაცვლად იმისა, რომ მიგრაციული და ეკონომიკური კრიზისებისთვის მიეხედათ.

ბრიუსელის სამიტმა არასასიამოვნო განცდა დაუტოვა მის ყველა მონაწილეს. მისი დასრულების შემდეგ კემერონმა შოკისმომგვრელი გულახდილობით განაცხადა: **„მე არ მიყვარს ბრიუსელი, არ მიყვარს ევროკავშირი, მაგრამ მიყვარს დიდი ბრიტანეთი“.** მან სიმართლე თქვა: ბრიტანული აზრი ტრადიციულად ანტიევროპულადაა განწყობილი. ევროკავშირში ბრიტანეთის წევრობა სერიოზული კრიტიკის ობიექტია ჯერ კიდევ 1980-იანი წლების დასასრულიდან როგორც კონსერვატიული პარტიის მნიშვნელოვანი ნაწილის, ასევე პრესის მხრიდან. განსაკუთრებით აქტიურად იბრძვის ევროკავშირიდან ქვეყნის გასვლისთვის „გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია“.

კონსერვატორები იძულებულნი არიან, გაითვალისწინონ ევროსკეპტიკოსების განწყობა. კემერონმა ბრიტანეთს პირობა მისცა, რომ გადახედავს ევროკავშირში ქვეყნის წევრობის პირობებს და 2016 წლის 23 ივნისს ამ საკითხზე რეფერენდუმს ჩაატარებს. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეთა უმეტესობა Brexit-ს (ბრიტანეთის გასვლა ევრო-

▶

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი ჯოზეფ დანფორდი აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ რუსეთი აშშ-ის არსებობისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. უორკმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ვინაიდან აშშ-მა 2001 წლიდან მთელი ყურადღება ახლო აღმოსავლეთისკენ მიმართა, მისი პროგრამა ძალზე ნელი ტემპით ადაპტირდება მაღალი ტექნოლოგიური დონის ახალ საფრთხეებთან, რომლებმაც ბოლო ხანს იჩინა თავი.**

◀ კავშირიდან) მისცემს ხმას, ევროკავშირიდან ქვეყნის გასვლა რეალური გახდება.

**ევროკავშირის შემადგენლობაში ბრიტანეთის დარჩენის მომხრენი არიან ლეიბორისტები, ლიბერალური დემოკრატები, შოტლანდიური ნაციონალური პარტია და მწვანეები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შოტლანდიელების პოზიციაა, მათ განაცხადეს, რომ BREXIT-ის შემთხვევაში დიდი ბრიტანეთის შემადგენლობიდან გავლენ.**

მართალია, ახლა დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლით იმუქრება, მაგრამ 60-იან წლებში ლონდონი მთელი ძალებით ცდილობდა ევროპულ ეკონომიკურ საზოგადოებაში გაერთიანებას. **დე გოლმა** ორჯერ (1963-ში და 1967-ში) დაადო ვეტო, რადგან თვლიდა, რომ ალბიონი ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების ტროას ცხენად იქცეოდა. იგი ბრიტანეთის მიღებას სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში თავისუფალ პოლიტიკასთან შეუთავსებლად მიიჩნევდა. 1963 წელს დე გოლმა ცნობილი გამოსვლისას განაცხადა, რომ „თავისი ბუნებით, სტრუქტურითა და წყობით ინგლისი განსხვავდება ევროპის ქვეყნებისგან“.

დიდი ბრიტანეთის კანდიდატურას ვეტო მხოლოდ მას შემდეგ მოეხსნა, რაც გენერალი გადადგა 1969 წელს და 1973 წელს ის ევროპის ეკონომიკური საზოგადოების წევრი გახდა.

**დე გოლი მართალი აღმოჩნდა: ექვსი წელიც არ გასულა, რომ 1979 წელს ბრიტანეთის პრემიერმა მარგარეტ ტეტჩერმა ევროპის ეკონომიკური საზოგადოებისგან განსაკუთრებული შეღავათები მოითხოვა და წარმოთქვა თავისი სახელგანთქმული ფრაზა: „დამიბრუნეთ ჩემი ფული!“.**

კონფლიქტი 1984 წლამდე გაგრძელდა და ევროპის ეკონომიკური საზოგადოება დაშლის პირას მიიყვანა. საბოლოო ჯამში, იძულებულები გახდნენ, ბრიტანეთის გამო შეეცვალათ ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც საფუძვლად ედო ევროპის ეკონომიკურ საზოგადოებას. 1992 წელს დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირისგან მორიგ დათმობებს მიაღწია — ქვეყანამ ხელი არ მოაწერა ევროკავშირის სოციალურ ქარტიას და არ შევიდა ევროზონაში.

**ლონდონის მიმართ ევროკავშირის მრავალი ამჟამინდელი დათმობა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელოდ გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. ევროკავშირისთვის სახიფათო პრეცენდენტი შეიქმნა, რადგან სხვა ქვეყნებიც დაიწყებენ თავიანთთვის განსაკუთრებული პირობებისთვის ვაჭრობას.**

შეცდომა კემერონმაც დაუშვა, როდესაც ევროკავშირის წევრობაზე რეფერენდუმი დანიშნა: „არას“ შემთხვევაში იგი იძულებული იქნება, გადადგეს, დიდი ბრიტანეთი კი სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.

ლონდონი სითი კატეგორიულად უარზეა ევროკავშირიდან ქვეყნის გასვლის. ბრიტანეთის უდიდესი ბანკის — HSBC-ს პრეზიდენტმა **დუგლას ფლინმა** განაცხადა, რომ Brexit-ის შემთხვევაში მზადაა, უმალ გადაიყვანოს ათასი თანამშრომელი პარიზში. ბირჟებს ნეგატიური რეაქცია ჰქონდათ ევროკავშირიდან ქვეყნის შესაძლო გასვლის ხმებზე. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ბრიტანული ფუნტი-სტერლინგის კურსი დოლარის მიმართ 4%-ით დაეცა, ხოლო მას შემდეგ, რაც Brexit-ის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა ლონდონის მერმა ბორის ჯონსონმა, კიდევ — 1,2%-ით.

**ყველასათვის ნათელია, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი ბრიტანეთი წააგებს, სამაგიეროდ, როგორც BREXIT-ის მომხრეები თვლიან, მოიგებს სოციალური სტაბილურობის თვალსაზრისით: ევროკავშირის ქვეყნებიდან იაფფასიანი მუშახელი ვეღარ ისარგებლებს იმავე სოციალური და იურიდიული უფლებებით, რომლებითაც ბრიტანელები სარგებლობენ.**

ისტორია მეორდება.

ინგლისელები დიდი ევროპული პოლიტიკიდან გავიდნენ საფრანგეთთან ასწლიანი ომის შემდეგ (მე-15 საუკუნის შუა პერიოდი). ამის შემდეგ ინგლისი ყურადღებას ამახვილებდა ზღვის გაღმა ექსპანსიებზე, ევროპაში კი ატარებდა „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკას — მხარს უჭერდა სხვადასხვა მოქიშპე მხარეს, რათა არ დაეშვა ევროპული ჰეგემონის გაჩენა.

როდესაც ასეთი ჰეგემონები გაჩნდნენ (ლუდოვიკო მე-14, ნაპოლეონი, ჰიტლერი), ინგლისი მოწინააღმდეგე კოალიციაში შედიოდა.

ეს პოლიტიკა არც ახლა შეცვლილა. ლონდონი არ არის დაინტერესებული ევროპული პროექტის წარმატებით. სწორედ ბრიტანეთი იყო ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების ინიციატორი, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა დამაარსებელი სახელმწიფოების პოზიციები (საფრანგეთი და გერმანია). არადა, თავდაპირველად ფრანგული გეგმა ითვალისწინებდა ევროკავშირის რუმინულ-გერმანული ბირთვის გაძლიერებას. ახლა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სახით ლონდოს სტრატეგიული მოკავშირეები ჰყავს შემდგომი ევროინტეგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საფრანგეთთან ისტორიული დაპირისპირება კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინგლისის კოლექტიურ ცნობიერებაში. დღემდე ინგლისელების საყვარელი თემა 1425 წელს (ასწლიანი ომისას) აზენკურთან ბრძოლაში ფრანგების დამარცხებაა. თავის მხრივ, ფრანგებს ძალიან უყვართ ფრაზა „ვერაგი ალბიონი“. ეს ბრძოლა ორივე ქვეყანაში ბევრად უფრო კარგად ახსოვთ, ვიდრე გერმანიასთან ბოლოდროინდელი ომები.

გავლენიანმა ფრანგულმა გაზეთმა Le Mond-მა ბრიუსელის სამიტი ასე შეაფასა: „ეს იყო ევროპის მარცხი და ინგლისური ეგოიზმის გამარჯვება“; „სამწუხარო ფაქტია! ერთი-ორი წლის შემდეგ კომედია განმეორდება. ევროპის გადარჩენა შეუძლია მხოლოდ Brexit-ს“.

**inosmi**

# პენტაგონის ახალი ეგზოტიკური იარაღი



**პენტაგონის წარმომადგენლები უკვე საჯაროდ საუბრობენ, რომ აპირებენ გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტის უახლესი საშუალებები რობოტიზებული იარაღის — „ადამიანი-მანქანების რაზმების,“ აგრეთვე, გაძლიერების ელემენტების შემცველი მძლავრი სუპერჯარისკაცების შესაქმნელად.**

ამ რევოლუციური სისტემების შესახებ რამდენიმე დღის წინათ ინტერვიუში ისაუბრეს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **რობერტ უოკერმა** და შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალმა **პოლ სელვამ.** მათი კომენტარები მორიგი განცხადება იყო ძალზე უჩვეულო სიახლეების სერიაში იმ კვლევების შესახებ, რომლებსაც აქამდე სამხედროები უმკაცრეს საიდუმლოდ ინახავდნენ.

„აი, როგორც ვიმედოვნებ, ასე გავხდით ჩვენს საბრძოლო ქსელს უფრო მძლავრს და გაურკვევლობას დავთესავთ რუსებისა და ჩინელების ტვინში, თუკი ისინი ოდესმე ჩვენთან წაჩხუბებას გადაწყვეტენ. ასე ჩვენ შევძლებთ, გამარჯვება მოვიპოვოთ ომში ჩვეულებრივი საშუალებების გამოყენებით. ჩემი შეხედულებით, სწორედ ესაა არაბირთვული საშუალებებით შეკავება“, — განმარტა უორკმა.

**პენტაგონში ამ მაღალტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების შესახებ კონცეფციამ „მესამე საკომპენსაციო სტრატეგიის“ სახელი მიიღო იმ წინამორბედი ორი სტრატეგიის მსგავსად, რომლებიც ხელს უწყობდა რუსეთის შეკავებას ცივი ომის პერიოდში.** პირველი საკომპენსაციო სტრატეგიის საფუძველი იყო ოპერატიულ-ტაქტიკური ბირთვული იარაღი, მეორის — მაღალი სიზუსტის არაბირთვული იარაღი. საკომპენსაციო სტრატეგიის ბოლო ვერსიაში ფსონი კეთდება იმაზე, რომ რობოტიზებული იარაღი ხელს შეუწყობს რუსეთისა და ჩინეთის მხრიდან სამხედრო საქმეში პროგრესის გამო დასუსტებული შეკავების პოზიციების აღდგენას.

შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი **ჯოზეფ დანფორდი** აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ რუსეთი აშშ-ის არსებობისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. უორკმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ვინაიდან აშშ-მა 2001 წლიდან მთელი ყურადღება ახლო აღმოსავლეთისკენ მიმართა, მისი პროგრამა ძალზე ნელი ტემპით ადაპტირდება მაღალი ტექნოლოგიური დონის ახალ საფრთხეებთან, რომლებმაც ბოლო ხანს იჩინა თავი.

პენტაგონის 2017 წლის ბიუჯეტში ამგვარი მაღალი ტექნოლოგიებისათვის გათვალისწინებულია გარკვეული სახსრების გამოყოფა: სამი მილიარდი დოლარი შორი მანძილიდან ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალებზე ჩინეთის თავდასხმის საწინააღმდეგოდ, სამი მილიარდი დოლარი წყალქვეშა სისტემების მოდერნიზაციისთვის, სამი მილიარდი დოლარი ერთობლივი ადამიანურ-მანქანური რაზმების შემნისა და უპილოტო მინიდრონების გამოყენებით ოპერაციებისთვის, 1,7 მილიარდი დოლარი კიბერნეტიკული და ელექტრონული სისტემებისთვის, რომლებშიც გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი; 500 მილიონი დოლარი სამხედრო თამაშებისა და ახალი გამოგონებებისა და კონცეფციების სხვა შემოწმებებისთვის.

**ობამას ადმინისტრაცია, რომელსაც ხშირად სდებენ ბრალს, რომ ძალზე ნელა რეაგირებს რუსეთისა და ჩინეთის მხრიდან საფრთხეებზე, როგორც ჩანს, მივიდა დასკვნამდე, რომ ამერიკისთვის საუკეთესო სტრატეგია მისი ყველაზე დიდი უპირატესობის — ტექნოლოგიების გამოყენებაა. ეს კონცეფციები რაღაცით წააგავს რეიგანის „ვარსკვლავურ ომებს“, ოღონდ 30 წლის შემდეგ.**



სამხედრო სფეროში უახლესმა ტექნოლოგიებმა გასულ წელს განვითარების ახალი ბიძგი მიიღეს თავდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოსგან, რომელმაც ზაფხულში ჩაატარა ავტონომიური რობოტიზებული იარაღის ანალიზი.

უოკერი მზადაა, ახალი ეგზოტიკური იარაღის სისტემების განსახილველად. ინტერვიუს მიმდინარეობისას მან წარმოადგინა 30 სანტიმეტრზე ნაკლები ზომის უპილოტო საფრენი აპარატი Perdix-ი, რომელიც გასულ ზაფხულს ასეთივე დრონებთან ერთად გაფრინდა თვითმფრინავის ბორტიდან. ამგვარი მაღალორგანიზებული უპილოტო საფრენი აპარატები პენტაგონის სამომავლო ომების კონცეფციის ნაწილია.

ინტერვიუშიც და სხვა ბოლოდროინდელ გამოსვლებშიც უორკმა დეტალურად ისაუბრა რუსეთის მიღწევებზე სამხედრო სფეროში. „გულახდილად რომ ითქვას, ჩვენი მოწინააღმდეგეები სრულყოფენ საბრძოლო მოქმედებებს ადამიანის მონაწილეობით და ეს ჩვენ ძალზე გვაშინებს, სავსებით რეალურად“, — განაცხადა უორკმა კონფერენციაზე, რომელიც ახალი ამერიკული უსაფრთხოების ცენტრში შარშან, დეკემბერში გაიმართა.

**The Washington Post**

მოკლედ

## ევროკავშირს შენგენის სისტემის გადასარჩენად 10 დღე აქვს



**ევროკავშირის მიგრაციის კომისრის — დიმიტრის ავრამაპოულოსის განცხადებით, ევროკავშირს შენგენის სისტემის გადასარჩენად 10 დღე აქვს.** „ევროკავშირს 10 დღე აქვს დარჩენილი 7 მარტს თურქეთთან დაგეგმილ სამიტამდე, რათა საემიგრაციო ნაკადის მართვა მოახერხოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენგენისა და საემიგრაციო სისტემა ევროკავშირში მთლიანად დაემხობა“, — აღნიშნა **ავრამაპოულოსმა.** მისივე განმარტებით, მომდევნო 10 დღეში ევროკავშირს სჭირდება არსებითი და ეფექტური ზომების მიღება, რათა სისტემა მთლიანად არ ჩამოიქცეს.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მხოლოდ იქ, სადაც დაცულია ჯარის პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების წესი, სადაც სამხედრო იმყოფება სახელმწიფოს მუდმივი მზრუნველობისა და კონტროლის ქვეშ, საბრძოლო ამოცანები გადაიჭრება წარმატებით და მინიმალური დანაკარგებით; იქ კი, სადაც ყურადღება არ ექცევა ოფიცრების ცოდნასა და გამოცდილებას, ხელმძღვანელობის პროფესიონალიზმსა და მორალურ-ზნეობრივ თვისებებს, გამარჯვება ნაკლებად მოსალოდნელია.**

# როგორ ყალიბდებიან ნამდვილი სამხედრო ოფიცრები

**ოფიცრები ხდებიან მოწოდებით. ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ბავშვები ინტერესდებიან სამხედრო ისტორიით, გეოგრაფიით, გამოჩენილი მხედართმთავრების ცხოვრებით, შემდგომ ოცნებას ისრულებენ სამხედრო სასწავლებელში შესვლით.**

მოზარდები უკვე გათვითცნობიერებულნი არიან, რომ სამხედრო სამსახური მოითხოვს მკაცრ დისციპლინას, უფროსისადმი უყოყმანო დამორჩილებას, საქმისადმი ერთგულებას, სამშობლოსადმი თავგანწირვას. იციან, რომ სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში მათ შეხვდებათ ისეთი სიძნელეები, რომლებიც მათგან მოითხოვს დიდ ფიზიკურ და მორალურ დატვირთვას.

ამასთანავე, მათ კარგად იციან, რომ სახელმწიფოც კისრულობს გარკვეულ ვალდებულებებს სამხედრო მოსამსახურის წინაშე: მისცეს ჯამაგირი, შემოსოს, საცხოვრებელი პირობებით დააკმაყოფილოს, მის ჯანმრთელობაზე იზრუნოს, უზრუნველყოს ღირსეული საპენსიო პირობებით და გაწვრთნას საბრძოლო მოქმედებებში ჩასაბმელად.

სამხედრო სასწავლებლებში, ნაწილებსა და დაწესებულებებში ცხოვრების წესი მკაცრად რეგლამენტირებულია წესდებით და მეცნიერულად დასაბუთებული დღის განრიგით, რომლის თვითნებურად დარღვევის უფლება არავის აქვს, რადგან მისი დარღვევის შემთხვევაში ირღვევა პირადი შემადგენლობისთვის გათვალისწინებული აუცილებელ ღონისძიებათა ჩატარების ციკლი: კვებისა და ძილის რეჟიმი, მეცადინეობებისა და თვითმომზადების ჩატარების დრო და სხვა ღონისძიებები.

**სამხედრო წესდება** არეგულირებს ურთიერთობებს უფროსებსა და უმცროსებს, მეთაურებსა და ხელქვეითებს შორის, განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს სამსახურის გავლის სხვადასხვა პირობებში. წესდებაზე აგებული ცხოვრების წესი იძლევა საშუალებას, განმტკიცდეს დისციპლინა, ამაღლდეს ბრძოლისუნარიანობა, დამყარდეს კოლექტივში ჯანსაღი ურთიერთობები სამხედრო მოსამსახურეთა შორის, ჩამოყალიბდეს ღირსეული ტრადიციები; იზრდება პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი.



სამხედრო ნაწილებსა და შტაბებში 15-20 წლის განმავლობაში **მსახურება** ოფიცრებს უვითარებს ბევრ კარგ თვისებას, ამცირებს ან, საერთოდ, აღმოფხვრის ნაკლოვანებებს. მათ უვითარდებათ ნებისყოფა, თავმოყვარეობა, ამტანობა, ინიციატივა, სწავლისადმი და სამართლიანობისადმი მიდრეკილება, სპეციალობის სიყვარული, სამხედრო ფორმის პატივისცემა, მუშაობის საშტაბო კულტურა, ვითარების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ხშირი ვარჯიშითა და წესდების მოთხოვნების მკაცრი შესრულებით ყველაფერი ეს, საბოლოოდ, ჩვევებად ყალიბდება და აზროვნებისგან დამოუკიდებლად ვლინდება. ოფიცერი ხდება კეთილშობილი, ეროვნული ტრადიციებისა და მაღალი იდეების მქონე — ნამდვილი სამხედრო ინტელიგენტი. მას უვითარდება მეთაურის ხასიათი: შეუძლია, მართოს კოლექტივი ნებისმიერ ვითარებაში და პირადი მაგალითით გავლენა მოახდინოს ქვეშევრდომებზე.

**პიროვნებას, რომელსაც ჭაბუკობის ასაკში ჯარში არ უმსახურია, სამხედრო სასწავლებელში არ უსწავლია, 25 და მეტი წლის მიღწევისას გაუჭირდება სამხედრო ცხოვრების წესების წვრილმანების გაგება, სამხედრო წესდების მოთხოვნებთან შეგუება, მას უკვე ველარ განუვითარდება მეთაურის თვისებები, მისგან ველარ დადგება საბრძოლო და საბრძოლო უზრუნველყოფის ნაწილებისა და შტაბების ნამდვილი სამხედრო სპეციალისტი**



ახალგაზრდისგან სრულფასოვანი ოფიცერი რომ ჩამოვაყალიბოთ, მან თანამიმდევრობით უნდა გაიაროს სამხედრო ცხოვრების გარკვეული საფეხურები, წვრილმანებში შეისწავლოს ისინი, შეიცნოს ამ საფეხურების საიდუმლოებები. ამას კი სჭირდება არანაკლებ 15-20 წელიწადი — თავდაპირველად სამხედრო ნაწილებში, შემდგომ კი მართვის ორგანოებში სამსახურის აუცილებელი გავლით.

**შეიარაღებული ძალებისთვის მიუღებელია სამხედრო ნაწილებისა და შტაბების ხელმძღვანელი თანამდებობების დაკომპლექტება გამოუცდელი ან სხვა უწყებებიდან გადმოსული პირებით, განსაკუთრებით სახიფათოა, თუ ისინი ინიშნებიან სამეთაურო თანამდებობებზე. ასეთ ადამიანებს, ძირითადად, არ აქვთ სამხედრო სფეროში თავიანთი შესაძლებლობების, ცოდნისა და გამოცდილების გამოვლენის უნარი, სამაგიეროდ აქვთ დიდი ამბიციები და წარმოდგენა საკუთარ თავზე**

სამხედრო ხელოვნების ისტორია ადასტურებს, რომ მხოლოდ იქ, სადაც დაცულია ჯარის პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების წესი, სადაც სამხედრო იმყოფება სახელმწიფოს მუდმივი მზრუნველობისა და კონტროლის ქვეშ, საბრძოლო ამოცანები გადაიჭრება წარმატებით და მინიმალური დანაკარგებით: იქ კი, სადაც ყურადღება არ ექცევა ოფიცრების ცოდნასა და გამოცდილებას, ხელმძღვანელობის პროფესიონალიზმსა და მორალურ-ზნეობრივ თვისებებს, გამარჯვება ნაკლებად მოსალოდნელია.

ამას ჩვენი უახლოესი ისტორიაც ადასტურებს.

**პიროვნებას, რომელსაც ჭაბუკობის ასაკში ჯარში არ უმსახურია, სამხედრო სასწავლებელში არ უსწავლია, 25 და მეტი წლის მიღწევისას გაუჭირდება სამხედრო ცხოვრების წესების წვრილმანების გაგება, სამხედრო წესდების მოთხოვნებთან შეგუება, მას უკვე ველარ განუვითარდება მეთაურის თვისებები, მისგან ველარ დადგება საბრძოლო და საბრძოლო უზრუნველყოფის ნაწილებისა და შტაბების ნამდვილი სამხედრო სპეციალისტი.**

შეიარაღებული ძალებისთვის მიუღებელია სამხედრო ნაწილებისა და შტაბების ხელმძღვანელი თანამდებობების დაკომპლექტება გამოუცდელი ან სხვა უწყებებიდან გადმოსული პირებით, განსაკუთრებით სახიფათოა, თუ ისინი ინიშნებიან სამეთაურო თანამდებობებზე.

ასეთ ადამიანებს, ძირითადად, არ აქვთ სამხედრო სფეროში თავიანთი შესაძლებლობების, ცოდნისა და გამოცდილების გამოვლენის უნარი, სამაგიეროდ აქვთ დიდი ამბიციები და წარმოდგენა საკუთარ თავზე.

ასეთი მეთაურები და ხელმძღვანელები უგულებელყოფენ კანონებს, ფიცისა და სამხედრო წესდების მოთხოვნებს და მართავენ ნაწილს თავიანთი შეხედულებისამებრ, ადრე მიღებული გამოცდილების საფუძველზე.

და თუ ზემდგომი ორგანოებიდან მოთხოვნები შესუსტებულია და კონტროლი არ არსებობს, მაშინ ასეთი უფროსები უწყებას თუ სამხედრო ნაწილს უყურებენ, როგორც საკუთრებას. იქმნება ახლო მდგომ პირთა პრივილეგირებული წრე, მკვიდრდება უსამართლობა და მლიქვნელობა, ყალიბდება დაუსჯელობის სინდრომი.

ჯარის არაპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების ასეთი პრაქტიკა ბევრ გამოცდილ ოფიცერს სამართლიანობისა და მომავლის რწმენას უკარგავს. მათ ეჭვი ეპარებათ, რომ პატიოსანი და ერთგული სამსახურით შესაძლებელია თანამდებობრივი და წოდებრივი წინსვლა. მათი ბედი მთლიანად დამოკიდებული ხდება უფროსის განწყობაზე.

ყოველივე ეს კი უარყოფითად მოქმედებს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობაზე, დისციპლინაზე, მორალურ მდგომარეობაზე, სამხედრო უწყების ავტორიტეტზე მოსახლეობის თვალში.

**პატივისცემით,**

**ალექსანდრე ტოლსტოი**

---

მსოფლიო

## სირიის ომში 5 წლის განმავლობაში 370 ათასი ადამიანი დაიღუპა

**ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში სირიის სადამკვირვებლო საბჭოს მონაცემებით, სირიის ომში, რომელიც ხუთი წელი გრძელდება, დაღუპულთა რაოდენობამ 370 ათას ადამიანს გადააჭარბა.** ოფიციალურად მსხვერპლის რაოდენობა 270 ათასი ადამიანია, რომელთაგან 123 ათასი მშვიდობიანი მოსახლეა. უფლებადამცველების ინფორმაციით, 2014 წლის სექტემბრიდან დღემდე ამერიკის ანტიტერორისტული კოალიციური ძალების მიერ სირიაში განხორციელებული ავიადარტყმების შედეგად 4435 ადამიანი დაიღუპა, რომელთა შორის 366 მშვიდობიანი მოქალაქეა. სირიის სადამკვირვებლო საბჭო ამ ინფორმაციას სირიაში საკუთარი ინფორმატორების ინფორმაციაზე დაყრდნობით ავრცელებს.



**დიდმა ბრიტანეთმა თავდაცვის ხარჯები 62-დან 52,2 მილიარდამდე შეამცირა. ნატოს წევრი 28 ქვეყნიდან კი მხოლოდ 4 დათანხმდა, შეიარაღებაზე დაეხარჯა საერთო შიგა პროდუქტის 2%. შედეგად დაგეგმილ თანხას თითქმის 100 მლრდ აკლდება. სამხედრო ბიუჯეტის შემცირებასთან ერთად მცირდება სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობაც — 2016 წელს, 2001 წელთან შედარებით, ნატოს წამყვანი წევრი ქვეყნების არმიებში ბატალიონების რაოდენობა 649-დან 185-მდე შემცირდება.**

პარა ბელუმ!

# დასავლეთი სწრაფად კარგავს უპირატესობას სამხედრო ტექნოლოგიებში. ძალთა ბალანსი იცვლება

**სამხედრო კონფლიქტების კვლევის ცენტრმა „სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტმა“ (IISS), რომლის შტაბ-ბინაც ლონდონში მდებარეობს, რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა შედეგები კვლევისა „სამხედრო ბალანსი 2016“. კვლევის მთავარი დასკვნა არის ის, რომ სამხედრო სფეროში წამყვანი ქვეყნების უპირატესობა სწრაფი ტემპით ქრება.**





კვლევის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატები შეიარაღებაზე ხარჯავს დაახლოებით 600 მლრდ დოლარს, ანუ თითქმის იმდენივეს, რამდენსაც 14 ქვეყანა, რომლებიც მას მოსდევენ ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტის მქონე ქვეყნების ჩამონათვალში. **სამხედრო ბიუჯეტის მიხედვით, აშშ-თან ყველაზე ახლოს არის ჩინეთი, რომლის სამხედრო ბიუჯეტი 146 მილიარდია, ანუ 4-ჯერ ნაკლები(!).**

აშშ-ს თითქოს შეშფოთების საბაბი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ, შეიარაღებაზე ასტრონომიული თანხების ხარჯვის მიუხედავად, აშშ და, საერთოდ, დასავლეთი სამხედრო ტექნოლოგიების თვალსაზრისით სწრაფად კარგავენ უპირატესობას მეტოქეებზე. სამხედრო სფეროში აშშ-ის მთავარი მოწინააღმდეგეების — რუსეთისა და ჩინეთის — უახლესი ტექნოლოგიებით დამზადებული იარაღი მკაფიოდ მიუთითებს, რომ ძალთა ბალანსი იცვლება.

„სამხედრო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა მატულობს, — განაცხადა კვლევის შედეგების პრეზენტაციაზე IISS-ის დირექტორმა ჯონ ჩიპმენმა, — ტექნოლოგიურ სფეროში გათანაბრება მთავრობებს აიძულებს, არა მხოლოდ ფეხი აუწყონ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას, არამედ რეაგირებაც მოახდინონ შემტევი და თავდაცვითი სამხედრო სისტემებისა და შეიარაღების რაოდენობისა და ხარისხის ზრდაზე. **დასავლეთის უპირატესობა სამხედრო ტექნოლოგიებში, რომელიც მთავარი ფაქტორი იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში, სწრაფად და განუხრელად მცირდება“.**

იცვლება ბალანსი სამხედრო სფეროში დახარჯული თანხების მხრივაც. IISS-ის გასული წლის კვლევაში აღნიშნული იყო, რომ აზიის ქვეყნებში მნიშვნელოვნად მოიმატა სამხედრო ხარჯმა. 2016 წელს ეს ტენდენცია შენარჩუნდება, მაგრამ დაემატება ახალი ნიუანსი: **ირანისთვის სანქციების მოხსნამ და ნავთობზე ფასის დაცემამ სპარსეთის ყურის ქვეყნებში სამხედრო დანახარჯების ბალანსის შეცვლა გამოიწვია. სამხედრო ბიუჯეტის მხრივ საუდის არაბეთი მხოლოდ აშშ-სა და ჩინეთს ჩამორჩება, ამ ქვეყნის მიერ შეიარაღებაზე გამოყოფილი თანხა 81,9 მლრდ დოლარია.**

რაც შეეხება ევროპას, **ვაშინგტონის ძალისხმევის მიუხედავად, „გამოაღვიძოს“ მოკავშირეები და დარწმუნოს, რომ უფრო მეტი თანხა უნდა დახარჯონ თავდაცვაზე, რათა სათანადო პასუხი გასცენ რუსეთის „აგრესიას“, ევროპის ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტები ძალიან ნელა იზრდება, ზოგი კი პირიქით — მცირდება.** მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა თავდაცვის ხარჯები 62-დან 52,2 მილიარდამდე შეამცირა. ნატოს წევრი 28 ქვეყნიდან კი მხოლოდ 4 დათანხმდა, შეიარაღებაზე დაეხარჯა საერთო შიგა პროდუქტის 2%. შედეგად დაგეგმილ თანხას თითქმის 100 მლრდ აკლდება. სამხედრო ბიუჯეტის შემცირებასთან ერთად მცირდება სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობაც — 2016 წელს, 2001 წელთან შედარებით, ნატოს წამყვანი წევრი ქვეყნების არმიებში ბატალიონების რაოდენობა 649-დან 185-მდე შემცირდება.

ანალოგიური სურათია სამხედრო ტექნიკის თვალსაზრისითაც. მაგალითად, საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალებში ბოლო 25 წლის განმავლობაში თვითმფრინავების რაოდენობა 579-დან (1991 წ.) 271-მდე (2015 წ.) შემცირდა, დიდ ბრიტანეთში — 475-დან (1991 წ.) 194-მდე (2015 წ.).

ამჟამად დღის წესრიგში დგას თავდაცვის სფეროში ინვესტიციების ეფექტიანად ჩადების საკითხი. თუ პენტაგონი, მიუხედავად უზარმაზარი სამხედრო ბიუჯეტისა, მაინც სწრაფად კარგავს უპირატესობას რუსეთსა და ჩინეთზე, გამოდის, რომ ამერიკელი სამხედროები გაცილებით უეფექტოდ ხარჯავენ მილიარდებს, ვიდრე მათი ჩინელი და რუსი კოლეგები.

## დაჯავშნილი მანქანა «კარატელი»

**რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს რამდენიმე დღის წინათ წარუდგინეს სპეცსამსახურებისათვის განკუთვნილი ახალი ტექნიკური საშუალება, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში. ეს არის ჯავშნიანი მანქანა „კარატელი“, რომლის მონაცემებსაც ჯერჯერობით გრიფი „საიდუმლო“ ადევს.**

არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ჯავშნიანი მანქანა აგებულია „კამაზ მასტერის“ საბრძოლო მანქანების ვერსიის მიხედვით.

„კარატელს“ აქვს 8-ცილინდრიანი დიზელის ძრავა (ან 4 ცილინდრიანი შიგაწვის), დაფარულია ძალიან მტკიცე ჯავშნით და აღჭურვილია უახლესი ელექტრონული მოწყობილობებით. მისი სიჩქარე საათში 200 კმ-ია. მანქანაში თავსდება 10-12 მებრძოლი, რომლებსაც შეუძლიათ ცეცხლი გახსნან ყველა მიმართულებით.



## «ბუმერანგი» — უახლესი ტექნოლოგიებით შექმნილი ჯავშანტრანსპორტიორი

**ტექნიკური მახასიათებლები:**
- **წონა (საბრძოლო მასალების) — 20 ტ-მდე**
- **ძრავა — დიზელის**
- **ძრავის სიმძლავრე — 510 ცხ. ძ.**
- **სიჩქარე — 100 კმ/სთ**

**შეიარაღება:**
- **30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი 2A42 (500 ყუმბარით)**
- **7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი (2000 ვაზნით)**
- **ორი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი „კორნეტი“**
- **ავტომატური ყუმბარსატყორცნი**

უახლესი რადიოელექტრონული მოწყობილობის მეშვეობით „ბუმერანგს“ შეუძლია დამოუკიდებლად მოძებნოს მიზანი და გაანადგუროს.



**რუსეთმა დაიწყო ახალი ჯავშანტრანსპორტიორის — „ბუმერანგის“ გამოცდა, რომელიც პირველად 2015 წლის 9 მაისის სამხედრო აღლუმზე წარმოადგინეს.**

„ბუმერანგი“, რომლის შექმნის პროცესში რუსეთის 40 წამყვანი საწარმო მონაწილეობდა, ახალი თაობის დაჯავშნილი მანქანაა, უფრო ეფექტიანი შეიარაღებისა და დაცვის, აგრეთვე, მართვის სისტემებით.

სამხედრო სპეციალისტების აზრით, ეს არის თითქმის უნაკლო საბრძოლო მანქანა, რომელიც გამოირჩევა მაღალი სიჩქარით, მანევრირებულობით, მძლავრი ცეცხლის გახსნის შესაძლებლობით, დაცვის (კერამიკული ჯავშანი), აგრეთვე, მართვის თანამედროვე სისტემებითა და ბევრი მონაცემით სჯობს უცხოურ ანალოგებს.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1963 წლის 22 ნოემბერი, 12 საათი და 35 წუთი, ქალაქი დალასი, შტატი ტეხასი, პრეზიდენტ კენედის მკვლელობა. ალბათ, ყველაზე ცნობილი და ყველაზე საიდუმლოებით მოცული. 45 წელზე მეტი გავიდა და დღემდე არ არის პასუხი კითხვაზე: ვინ მოკლა თეთრი სახლის 35-ე მეთაური?**

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-7 (330-336)

## 5. რატომ მოკლეს პრეზიდენტი ჯონ კენედი, ხოლო პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი – არა

**„ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ, თორემ უეჭველად სათითაოდ ჩამოგვახრჩობენ“**
**ბენჯამინ ფრანკლინი**

**სამწუხაროდ, ფსს-ს დამოუკიდებლობა არ არის ურყევი. საოპერაციო კომიტეტის მოქმედებათა თავისუფლება ღია ბაზარზე გარანტირებულია კანონით და შეიძლება შეიზღუდოს სხვა კანონით.**
**ალან გრინსპენი, ფსს-ს თავმჯდომარე**

პრეზიდენტი, ტეხასის შტატის გუბერნატორი და მათი მეუღლეები ღიმილით ხელს უქნევდნენ მათ შესახვედრად გამოსულ ამერიკელებს. მზიანი დღე, მშვენიერი ამინდი. ოტელ „ლინკოლნ კონტინენტალიდან“ მშვენიერი ხედი იშლებოდა. შეიძლებოდა კარგი კადრების გადაღება, ამიტომ ნელა მიმავალ კორტეჟს ათობით ფოტოგრაფი და ოპერატორი იღებდა, რომელთა შორის ბევრი იყო მოყვარული. **ავტომანქანის უკანა სავარძელზე — პრეზიდენტი და მისი მეუღლე, წინა გადმოსაწევ სავარძლებზე — გუბერნატორი მეუღლითურთ. შესანიშნავი განწყობა, დალასი სადღესასწაულოდაა მორთული. ხმაური, მისალმებები. სწორედ ამიტომ ვერ გაიგონა ჟაკლინ კენედიმ მშრალი, ავტომობილის გამონაბოლქვის მსგავსი ხმა. ყურადღება ხალხზე გადაიტანა, ხელს იქნევდა და მხოლოდ სალონის მხარეს შემობრუნებისას დაინახა, რომ მეუღლის სხეული მისი მხარისკენ ვარდებოდა. პრეზიდენტს სახე დაემანჭა, მარჯვენა ხელი კისერზე იტაცა, რომლიდანაც სისხლი მოჩქეფდა.**

ღმერთო ჩემო, რა ჩაიდინეს? — განწირული ყვიროდა ჟაკლინი. — ღმერთო ჩემო, ჯეკი მოკლეს! ჩემი ქმარი მოკლეს! ჯეკ! ჯეკ!

**უცნობმა, რომელიც სარეკლამო აბრის წინ იდგა, ის წუთია, თავისი ქოლგა გახსნა. ცაში ღრუბელიც კი არ ჩანს, 20 გრადუსი სითბოა, ანუ არ ცხელა. რისთვის გახსნა მან ქოლგა? რატომ აკეთებს ქოლგით გაუგებარ მოძრაობებს? ამის შესახებ იმ მომენტში არავის უფიქრია...**

წინ ცოლის ხელებზე დაეცა გუბერნატორი ჯონ კანელი: სისხლიანი ლაქა მის ტანსაცმელზე იზრდებოდა. კარგ დროს დაეცა! მეორე ტყვიამ აშშ-ის პრეზიდენტი განგმირა. ჟაკლინ კენედიმ დაინახა, რომ მისი ქმრის თავის ქალის ნაწილი უკან, „ლინკოლნის“ წაგრძელებულ ბამპერზე დავარდა. იმის გაუცნობიერებლად, რას აკეთებდა, პრეზიდენტის ცოლმა მომაკვდავი ქმარი მიატოვა და მანქანის საბარგულზე გადავიდა ქმრის სისხლიანი თავის ქალის ნაწილის ასაღებად...

სასიკვდილოდ დაჭრილი პრეზიდენტი ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც იგი თავდასხმიდან 35 წუთის შემდეგ გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა...

**1963 წლის 22 ნოემბერი, 12 საათი და 35 წუთი, ქალაქი დალასი, შტატი ტეხასი, პრეზიდენტ კენედის მკვლელობა. ალბათ, ყველაზე ცნობილი და ყველაზე საიდუმლოებით მოცული. 45 წელზე მეტი გავიდა და დღემდე არ არის პასუხი კითხვაზე: ვინ მოკლა თეთრი სახლის 35-ე მეთაური?**

არსებობს ოფიციალური ვერსია, რომლის მიხედვით ჯონ კენედი იტალიური წარმოების „მანლიჰერ-კარკანოს“ სნაიპერული შაშხანით მოკლა **ლი ჰარვი ოსვალდმა,** მარტოხელა მკვლელმა. ქილერმა გაისროლა სკოლის წიგნსაცავის მეექვსე სართულიდან, სადაც იგი მუშაობდა. რადგან გამოცანათა რაოდენობა ამ ისტორიაში ყველა საზღვარს სცდება, ამერიკელთა უმრავლესობას თავისი პრეზიდენტის სიკვდილის ოფიციალური ვერსიის არ სჯერა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამისთვის საფუძველიც აქვთ.

უცნაურობები ტრაგედიის კვალზევე დაიწყო. პოლიციამ ალყა შემოარტყა მკვლელობის ადგილს და მაშინვე მიხვდა, რომ სნაიპერმა სწორედ წიგნსაცავის შენობიდან ისროლა, სადაც **პოლიციელებმა ღია ფანჯარასთან სამი მასრა და შაშხანა იპოვეს, რომელიც ლი ჰარვი ოსვალდის სახელზე იყო რეგისტრირებული. მოგვიანებით გაირკვა, რომ თოფზე მისი თითის ანაბეჭდებიც კი იყო.** კენედის სიკვდილიდან 40 წუთში პოლიციამ შეიტყო სავარაუდო მკვლელის სახელი, გარეგნული ნიშნები და საცხოვრებელი ადგილი. არანაირი სირთულე საუკუნის დანაშაულის გახსნისას არ ყოფილა. მკვლელს არ შეუცვლია გარეგნობა, არ დამალულა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ იცოდა ოსვალდის სახლის მისამართი, რატომღაც არ გაგზავნა მის ბინაში აგენტები. ოსვალდი დაინახეს ქუჩაში. პოლიციის სერჟანტმა ჯონ ტიპიტმა შეამჩნია აღწერილობით მსგავსი ადამიანი და მისი დაკავება სცადა. ოსვალდმა ამოიღო პისტოლეტი, პოლიციელს ესროლა და მოკლა. დალასის საპოლიციო წესების დარღვევა გამაოგნებელია: **პოლიციის მანქანაში ორი პოლიციელი უნდა ყოფილიყო, არადა, ტიპიტი მარტო იყო.** შემდეგ კინოთეატრ „ტეხასის“ შენობას, რომელშიც ლი ჰარვი ოსვალდი იმალებოდა, პოლიციამ ალყა შემოარტყა, იგი დააპატიმრეს, მაგრამ უკვე სროლების გარეშე: ოფიციალური ვერსიით, ოსვალდის პისტოლეტმა არ გაისროლა. მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არ არის. **არსებობს მკვლელობის მომენტის ამსახველი 26-წამიანი სამოყვარულო კინოფირი, რომელიც აბრაჰამ ზაპრუდერმა გადაიღო და რომლის წყალობითაც კენედის სიკვდილის სცენა გამოწვლილვით შეისწავლეს.**



**ავტომანქანის უკანა სავარძელზე — პრეზიდენტი და მისი მეუღლე, წინა გადმოსაწევ სავარძლებზე — გუბერნატორი მეუღლითურთ. შესანიშნავი განწყობა, დალასი სადღესასწაულოდაა მორთული. ხმაური, მისალმებები. სწორედ ამიტომ ვერ გაიგონა ჟაკლინ კენედიმ მშრალი, ავტომობილის გამონაბოლქვის მსგავსი ხმა. ყურადღება ხალხზე გადაიტანა, ხელს იქნევდა და მხოლოდ სალონის მხარეს შემობრუნებისას დაინახა, რომ მეუღლის სხეული მისი მხარისკენ ვარდებოდა. პრეზიდენტს სახე დაემანჭა, მარჯვენა ხელი კისერზე იტაცა, რომლიდანაც სისხლი მოჩქეფდა**

**ოფიციალური ვერსიით, სამი ტყვია გაისროლეს (პირველი — აცილება, მეორე — პრეზიდენტის კისერში, რიკოშეტით — გუბერნატორის მკერდში, მაჯასა და მენჯში, მესამე კი კენედის თავში მოხვდა). ფირზე აშკარად ჩანს, რომ პრეზიდენტის სხეული მეორე გასროლის მომენტში უკან ვარდება. ხოლო წიგნსაცავი კორტეჟის უკან მდებარეობდა და ტყვიას, რომელიც იქიდან გაისროლეს, სხეული წინ უნდა გადაეგდო. ეს ფიზიკის კანონებია და მათი გაუქმება პრეზიდენტების გამოც კი შეუძლებელია.**

ზაპრუდერის ფირის ანალიზისას კიდევ უფრო უხერხული კითხვები ჩნდება. გამოდის, რომ **ყველა გასროლაზე მკვლელს დაახლოებით ხუთი წამი დასჭირდა. ნახევრადავტომატური ტელესკოპური სამიზნის მქონე შაშხანისთვის**



**ეს სრულიად შეუძლებელია, რადგან ყოველი გასროლის შემდეგ იარაღის გადატენვაა საჭირო.** სამი გასროლის განსახორციელებლად მინიმალური დრო ოსვალდის „ნორმატივს“ აღემატება. სპეციალურად მომზადებულმა სნაიპერებმაც კი ვერ შეძლეს ხუთ წამში სამი ტყვიის გასროლა. ეს შედეგი გინესის რეკორდების წიგნს იმსახურებს. მოძრავ სამიზნეში სროლა ამგვარი სისწრაფითა და სიზუსტით ნებისმიერ ოსტატს შეშურდებოდა, მაგრამ **ყველა, ვინც ოსვალდს იცნობდა, ამბობდა, რომ, მიუხედავად საზღვაო ქვეითებში ნამსახურობისა, იგი ცუდი მსროლელი იყო.**

მაგრამ რა ექნა გამოძიებას, თუ წიგნსაცავში სამი მასრა იყო? ამ უცნაურ შეუსაბამობაზე თვალი დახუჭეს, როგორც ბევრ სხვაზე. ჩვენ ხშირად მოგვისმენია „ფარაონის წყევლის“ შესახებ, რომლის წყალობითაც ყველა, ვინც ტუტანხამონის აკლდამის აღმოჩენაში მონაწილეობდა, სწრაფად და იდუმალებით მოცულ ვითარებაში დაიხოცა. **ჯონ ფიცჯერალდ კენედის არ ჰქონია აკლდამა, მაგრამ ყველა, ვისაც არ გაუმართლა და ტერაქტთან ჰქონდა შეხება, საკმაოდ უცნაურ გარემოებაში დაიხოცა. ერთმა ცნობისმოყვარე მეცნიერმა გამოთვალა, რომ გარდაცვალებათა ამ ჯაჭვის მათემატიკური ალბათობა შეადგენდა 1/100 ათას ტრილიონზე.** ეს კი ნიშნავს, რომ მომხდარი ფაქტი მოვლენათა ბუნებრივი განვითარების შედეგი ვერ იქნებოდა.

„კენედის წყევლის“ პირველი მსხვერპლი მისი „ოფიციალური“ მკვლელი ლი ჰარვი ოსვალდი გახდა. ცხელ კვალზე დაკავებული უარყოფდა თითქოსდა აშკარა მტკიცებულებებს.

**„მე არ მომიკლავს პრეზიდენტი კენედი. მე არავინ მომიკლავს. არ ვიცი, ეს ყველაფერი რას ნიშნავს...“** — ამბობდა იგი. ადვოკატის გამოძახების უფლება მას არ მისცეს. ოსვალდმა კენედის მკვლელობა არ აღიარა, ხოლო პრეზიდენტის სიკვდილიდან ორ დღეში, ერთი ციხიდან მეორეში გადაყვანისას, ოსვალდი მოკლეს, მკვლელი იყო ჯეკ რუბინშტეინი (ჯეკ რუბი).

დაფიქრდით: **ადამიანთან, რომელიც პრეზიდენტის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი, მიუშვეს ქუჩიდან მოსული პირი, რომელმაც იგი მოკლა!**

ესროლა ახლოდან: 38-ე კალიბრის რევოლვერი ნეკნებქვეშ მიადო. და ეს მოხდა გამოძიების საწყის ეტაპზე, ქვეყანაში, სადაც მკვლელობის მოწმის ან თავად მკვლელის დაცვის მკაცრი წესებია დადგენილი.

არარეალურია, წარმოუდგენელი, მაგრამ ნამდვილად ასე მოხდა.

ლი ჰარვი ოსვალდი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა სასწრაფოდ გადაიყვანეს ციხეში. საიდუმლო სამსახურის მთავარმა აგენტმა **ფორესტ სორელზმა** დაინახა სისხლში მცურავ ოსვალდთან „უცნობი პოლიციელი სამოქალაქო ტანსაცმელში“, რომელიც მუხლებზე იდგა. იგი დაზარალებულს ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა. აგენტი სორელზი არ იცნობდა ამ ადამიანს. ხელოვნური სუნთქვის ▶




**მთავარი ნივთმტკიცება კენედის მკვლელობის საქმეში თვით გამოძიებაა, მისი დასკვნები, არაკომპეტენტურობა და აჩქარება. და თანაც, მარტოხელა მოხუცი ქალი ხომ არ მოუკლავთ, მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის პრეზიდენტი მოკლეს. მოკლულის ძმა კი იმ მომენტში აშშ-ის გენერალური პროკურორი (იუსტიციის მინისტრი) იყო. მისი ძალაუფლებაც კი არ აღმოჩნდა საკმარისი, სრულყოფილი და პატიოსანი გამოძიება რომ უზრუნველეყო.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რამდენიმე მცდელობის შემდეგ დაჭრილის მუცლიდან სისხლმა იფეთქა, რამაც ლეტალური შედეგი დააჩქარა. ლი ჰარვი გარდაიცვალა...

იქნებ აშშ-ში არასდროს მოუკლავთ პრეზიდენტი?

შესაძლოა, ეკონომიკასა და პოლიტიკაში უმძლავრეს ზესახელმწიფოს მნიშვნელოვანი პერსონების დაცვასა და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაში არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა?

არა! შეერთებული შტატების ისტორია სავსეა სამწუხარო თარიღებით. **ჯონ კენედი აშშ-ის მეოთხე პრეზიდენტია, რომელიც მკვლელის ხელმა იმსხვერპლა. კენედიმდე მოკლეს აბრაჰამ ლინკოლნი, ჯეიმს გარფილდი და უილიამ მაკკინლი. ამერიკულმა სპეცსამსახურებმა პრეზიდენტის დაცვა რომ ვერ შეძლეს, მის ხელთ ჩავარდნილი ეჭვმიტანილის სიცოცხლეს თვალის ჩინივით უნდა გაფრთხილებოდა.**

თუმცა საშინელი სასწაულები ერთმანეთის მიყოლებით ხდებოდა. **ორი წლის განმავლობაში უცანურმა გარემოებებმა სამოცდაორი მნიშვნელოვანი მოწმის სიცოცხლე შეიწირა** — იმ ადამიანებისა, რომლებსაც ამ საქმის გარშემო ბევრი რამის თქმა შეეძლოთ.

აი, მხოლოდ ზოგიერთი ფაქტი:

* **ჯეკ ჰანტერი**, პოლიციელი, რომელიც ოსვალდის მკვლელობისთანავე მის ბინაში მივიდა, მოკლულია პოლიციის განყოფილებაში. პოლიციელს თითქოს შემთხვევით გაუვარდა იარაღი.

* **ჯემ კოსერი**, ჟურნალისტი, რომელმაც ჰანტერთან ერთად ოსვალდის ბინა დაათვალიერა, საკუთარ სახლში მოკლეს.

* **ტაქსისტი**, რომელმაც ოსვალდი პრეზიდენტის მკვლელობის დღეს წიგნსაცავიდან სახლამდე მიიყვანა, ერთი კვირის შემდეგ ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

* საკვანძო მოწმე **ლი ბაუერსი**, რომელმაც დაინახა, როგორ გაისროლა ღობის მეორე მხრიდან „ორმა მამაკაცმა“, ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

* მეძავი **როუზ შერამი**, რომელმაც ღამე მთვრალ ცსს-ის აგენტთან გაატარა და რომელმაც მას აუწყა, რომ „ორ დღეში პრეზიდენტ კენედის მოკლავენ“, ასევე ავარიაში მოყვა; მძღოლი, რომელიც მას დაეჯახა, ვერ იპოვეს.

* **ქირურგი**, რომელმაც პრეზიდენტის გვამი გაკვეთა და ეს ოპერაცია ფირზე გადაიღო, საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს. ცაცია ექიმ-თვითმკვლელს იარაღი მარჯვენა ხელში ედო. ჩანაწერიანი ფირი გაქრა.

საუბედუროდ, ბედისწერას ვერც ოსვალდის მკვლელი **ჯეკ რუბინშტეინი** გაექცა. კენედის გარდაცვალებიდან ოთხ თვეში, 1964 წლის 14 მარტს, მას სიკვდილით დასჯა შეუფარდეს, მაგრამ მან სააპელაციო სარჩელი შეიტანა და სასამართლო მოიგო. 1967 წლის დეკემბერში, როდესაც რუბი ახალი სასამართლოს თარიღის დანიშვნას ელოდებოდა, უეცრად კიბო აღმოუჩინეს. 1967 წლის 3 იანვარს იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ჯეკ რუბის სიკვდილთან ერთად საეჭვო უცნაურობებისა და წარმოუდგენელი დამთხვევების გორგალის გახსნის შესაძლებლობაც გაქრა.

ხოლო „სასწაულები“ სრული სვლით გრძელდებოდა.

* გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე ჯეკ რუბენშტეინმა ინტერვიუ მისცა ჟურნალისტ **დოროთი კალოგენს**. პირისპირ საუბარი საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა, მაგრამ კალოგენმა რატომღაც არ გამოაქვეყნა ინტერვიუ, თუმცა ეს ასპროცენტიანი სენსაცია იქნებოდა. თვითონ იგი უეცრად დაიღუპა ნარკოტიკული საშუალებების გადაჭარბებული დოზის მიღებისგან, თუმცა მანამდე ნარკოტიკები არასოდეს მოუხმარია.

* **ნელი კონელიმ**, ტეხასის გუბერნატორის ცოლმა, საკუთარი თვალით იხილა, რომ ტყვია, რომელიც კენედის მანქანაში მის მეუღლეს მოხვდა, „სრულიად სხვა მხრიდან“ იყო ნასროლი. მისი ჩვენება არც კი ჩაწერეს.

* ამ **„მეორე“ ტყვიის ფრენის ტრაექტორია** გამოძიებამ ისე ჩახლართულად დახატა, რომ პრესაში მას „ჯადოსნური ტყვია“ შეარქვეს. თავად განსაჯეთ: პრეზიდენტის კისერში მოხვედრის შემდეგ, ტყვია რიკოშეტით გუბერნატორს მკერდში, მაჯასა და ბარძაყში მოხვდა.

* კენედის **სიკვდილის მოწმეთა სამი მეოთხედი** — ქალაქის მცხოვრებნი, პოლიციელები, ექიმები — ყველა ამტკიცებდა: **გასროლა სამზე მეტი იყო**, სროლები ხორციელდებოდა წინიდან და არა უკნიდან, როგორც ჩანს, სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა მიმართულებიდან ისროდა, მაგრამ გამოძიება ჯიუტად ეჭიდებოდა მარტო ოსვალდის სამი გასროლის ვერსიას.

* **ფირებზე,** რომლებზეც მკვლელობის მომენტია ასახული, ჩანს, რომ კორტეჟის მოტოციკლისტები სროლის ხმის გაგონებისთანავე გაეშურნენ არა უკან, სადაც ის წიგნსაცავია, საიდანაც, გამოძიების მტკიცებით, ოსვალდი ისროდა, არამედ წინ, ხიდისკენ, სადაც დაინახეს (ან გაიგონეს) მთავარი საშიშროება.

* ექიმმა **რობერტ მაკლილანდმა,** რომელმაც პირველმა დაათვალიერა კენედის სხეული, ჩაწერა: „ტყვია მოხვდა კისერში, გამომავალი ხვრელი — კეფაზე“. გფბ-სთან საუბრის შემდეგ მან განაცხადა, რომ შეცდომა დაუშვა.

* **კენედის ტვინი,** რომელიც ერთ ხანს შენახული იყო და რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა დადგენა, საიდან მოფრინდა ტყვიები, უცნაურად გაქრა.

* ასევე უცნაურად **გაქრა ტყვიებიც**, რომლებითაც მოკლეს აშშ-ის პრეზიდენტი. სისხლის სამართლის საქმეში არაფერი იყო. როგორც ხელისუფლების პრესსამსახური ამტკიცებდა, ტყვიები... „პრეზიდენტის სხეულში გაიწოვა“. ეს სრული სერიოზულობით ითქვა, თითქოს მოკლული კენედი ტერმინატორი იყო და არა ჩვეულებრივი მოკვდავი.

1963 წლის 29 ნოემბერს მეთაურად ავტომატურად გამოცხადებულ ვიცეპრეზიდენტ **ლინდონ ჯონსონის** ბრძანებით, შეიქმნა პრეზიდენტ კენედის მკვლელობის გარემოებების საგანგებო საგამოძიებო კომისია. შვიდწევრიანი კომისიის (ორი სენატორი, წარმომადგენელთა პალატის ორი წევრი, ცსს-ს ყოფილი ხელმძღვანელი **ალენ დალასი** და ბანკირი **ჯონ მაკლოი**) ხელმძღვანელად აშშ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **ერლ უორენი** დაინიშნა. კომისიამ 550 მოწმე დაკითხა, მიიღო სასამართლო და სამართალდამცველი ორგანოებისგან სამი ათასზე მეტი ანგარიში, რომლებმაც, თავის მხრივ, დაახლოებით ოცდაექვსი ათასი გასაუბრება ჩაატარეს. მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები ოცდაექვს ტომს შეადგენდა. მაგრამ ანგარიში, რომელსაც ნათელი უნდა მოეფინა „საუკუნის დანაშაულის“ საიდუმლო გარემოებებისთვის, მხოლოდ მკვეთრად აკრიტიკებდა ცსს-ს, გფბ-სა და დალასის პოლიციას იმის გამო, რომ მათ ვერ მოახერხეს პრეზიდენტის დაღუპვის თავიდან აცილება, რომელიც მარტოხელა მკვლელმა ლი ჰარვი ოსვალდმა სისტემა „კატკანოს“ ტიპის შაშხანიდან განხორციელებული სამი გასროლით მოკლა...

თუმცა საკითხი ამით არ დაიხურა. გამოძიების დასკვნების აშკარა უცნაურობა, უამრავი ფაქტის უგულებელყოფა, თითქმის ყველა მოწმის სიკვდილი ისე ალმაშფოთებელი იყო, რომ 1979 წელს აშშ-ის კონგრესმა კენედის საქმეზე ახალი სპეციალური კომისია შექმნა. მან გამოიტანა ვერდიქტი: **„კენედი შეთქმულების შედეგად დაიღუპა“. კიდევ სამი წლის შემდეგ ამ გამოძიების შედეგები გაუქმდა — სპეცსამსახურების მოთხოვნით, ისინი „არაკომპეტენტურად“ გამოცხადდა.**

1997 წელს კომისიის ბოლო ცოცხლად დარჩენილმა წევრმა **უორენ ჯერალდ ფორდმა** აღიარა, რომ კომისიის მიერ განგებ იქნა შეტანილი არასწორი მონაცემები გვამის გაკვეთის ანგარიშში. „შესწორებულ“ იქნა ტყვიის ფრენის ტრაქეტორიაც. ცსს და გფბ საზეიმოდ დებენ ფიცს, „კენედის დოსიეს“ მოხსნან გრიფი საიდუმლო 2003 წელს.

დანაშაულის გამოძიება დედუქციაა. დედუქცია — ლოგიკა. ეს ეჭვმიტანილთა, ნივთმტკიცებათა და მოტივების ძიებაა. **მთავარი ნივთმტკიცება კენედის მკვლელობის საქმეში თვით გამოძიებაა, მისი დასკვნები, არაკომპეტენტურობა და აჩქარება. და თანაც, მარტოხელა მოხუცი ქალი ხომ არ მოუკლავთ, მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის პრეზიდენტი მოკლეს. მოკლულის ძმა კი იმ მომენტში აშშ-ის გენერალური პროკურორი (იუსტიციის მინისტრი) იყო. მისი ძალაუფლებაც კი არ აღმოჩნდა საკმარისი, სრულყოფილი და პატიოსანი გამოძიება რომ უზრუნველეყო.** არადა, ის, რაც ჩვენთვის, საქმის თუნდაც ზედაპირული შესწავლის შემდეგ, ერთმნიშვნელოვანია, გასაგები იყო მოკლული პრეზიდენტის ოჯახისთვისაც: ბინძური საქმეა. ჩვეულებრივი ამერიკელებისთვის შეიძლება ყველაფრის ჩვენება და მოყოლა, მაგრამ მეუღლემ, ჟაკლინ კენედიმ თვითონ დაინახა, როგორ გახეთქა მკვლელის ტყვიამ ქმრის თავის ქალა. მან დაინახა, რომ ტყვია წინიდან მოფრინდა და არა უკნიდან, სადაც, პოლიციის ვერსიის თანახმად, ოსვალდი იმყოფებოდა.



**1968 წლის 4 ივნისს შტატ კალიფორნიაში წინასწარ არჩევნებში მოპოვებული გამარჯვების აღნიშვნისას, რობერტ კენედი, როდესაც ის საპრეზიდენტო არჩევნებზე დემოკრატების კანდიდატი გახდა, სასტუმრო Ambassador -ში მოკლეს**

**კენედის ოჯახს ვერ მოატყუებდნენ. სწორედ რობერტ კენედის ჩარევის ეშინოდათ პრეზიდენტის მკვლელობის ორგანიზატორებს, რომლებმაც ასე სასწრაფოდ გაიმეტეს ტყვიისთვის ლი ჰარვი ოსვალდი. პრეზიდენტის ძმამ ჩარევა ვერ მოასწრო, მას გამოძიების მსვლელობის შეცვლის შანსი რომ არ დარჩენოდა, მთავარი ეჭვმიტანილი „ხელოვნური სუნთქვის“ წყალობით საიქიოს გაისტუმრეს.**

რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ პრეზიდენტის მკვლელობის ორგანიზატორები არ იყვნენ უბრალოდ შეთქმულთა ან მაფიოზთა ჯგუფის წევრები, ისინი დიდ სახელმწიფო ძალაუფლებას ფლობდნენ, იმდენად დიდს, რომ შეძლეს, აეძულებინათ აშშ-ის სამართალდამცავი მანქანა, გაეკეთებინა ყველაფერი, რათა ეს დანაშაული არ გახსნილიყო, ხოლო კენედის ოჯახს ამ ყველაფერზე თვალი დაეხუჭა.

ვის შეეძლო ამის გაკეთება? მაფიას, კუბელ ემიგრანტებს? სასხლეტზე თითის დაჭერა ყველას შეეძლო, ხოლო გამოძიების იძულება, არ შეემჩნია აშკარა ფაქტები, არ დაენახა ის, რისი დანახვაც ფირებსა და ფოტოებზე ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია, არ შეეძლოთ, ისევე, როგორც ჩვენს სუკ-ს. ასეთი ძალაუფლება არ ჰქონდა არც ცსს-ს, არც გფბ-ს. ეს სტრუქტურები ხომ თვითონ წყვეტენ, ვინ ჩამოიშორონ და ვინ დატოვონ ცოცხალი, თუნდაც საზღვარგარეთ, არაფერს ვიტყვი შეერთებულ შტატებზე. ამგვარ სტრუქტურებს ყოველთვის ჰყავს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ისინი არ მუშაობენ თავისით, ისინი მხოლოდ ხელები არიან, ყოველთვის არსებობს თავი და ბრძანებებსაც სწორედ ის გასცემს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. **იუსტიციის მინისტრმა რობერტ კენედიმ ვერ გაბედა გამოძიების შედეგებისა და უორენის კომისიის დასკვნების უარყოფა. რატომ? იმიტომ, რომ მან იცოდა, ვინ მოკლა მისი ძმა, და ესმოდა, რომ იუსტიციის მინისტრიც კი ვერაფერს გააწყობდა.** „აპატიეთ, მაგრამ არ დაივიწყოთ“, — თქვა ერთხელ ჯონ კენედიმ. მისმა ძმამ არც აპატია და არც დაივიწყა არაფერი. რობერტ კენედიმაც გადაწყვიტა, პრეზიდენტი გამხდარიყო. და აი, მაგალითად, კიდევ ერთი მიზეზი, რომლითაც აშშ-ში პრაიმერიზი საჭირო და სასარგებლო რამაა. სანამ ეს წინასწარი არჩევნები მიდის, შეიძლება არასასურველი ფიგურისთვის ძალაუფლებისკენ მიმავალი გზის დაბლოკვა. იმის მერე, რაც ჯონ კენედიმ გააკეთა (და ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ), ამ კლანის არც ერთი წარმომადგენელი აშშ-ის პრეზიდენტი არ უნდა გამხდარიყო. რობერტ კენედიმ სცადა. იგი იყო ერთ-ერთი შესაძლო კანდიდატი, რომელიც დემოკრატიული პარტიის სახელით პრაიმერიზში მონაწილეობდა და, ფაქტობრივად, მოიგო კიდეც. და ამით საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. **1968 წლის 4 ივნისს შტატ კალიფორნიაში წინასწარ არჩევნებში მოპოვებული გამარჯვების აღნიშვნისას რობერტ კენედი, როდესაც ის საპრეზიდენტო არჩევნებზე დემოკრატების კანდიდატი გახდა, სასტუმრო AMBASSADOR -ში მოკლეს.**

რობერტ კენედის სიკვდილი არანაკლებ იდუმალებითაა მოცული. „ლოს-ანჯელესში, რობერტ კენედის (რომელთანაც მე საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაკავშირებდა) მკვლელობასთან დაკავშირებით, დანაშაულის კვალი ასევე არეული იყო. მე შემიძლია ამის მტკიცება, რადგან ვიყავი პრესკონფერენციაზე ჰოსპიტალში, სადაც რობერტი გარდაიცვალა. ჟურნალისტების მცირე ჯგუფს გვაჩვენეს დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რობერტ კენედის კეფაზე დენთისგან დამწვრობა აღენიშნებოდა. ეს დამწვრობა მხოლოდ მიბრჯნით სროლისას იყო შესაძლებელი. **სერჰან სერჰანმა**, რომელსაც აშშ-ის ხელისუფლებამ რობერტის მკვლელობაში დასდო ბრალი, მას წინიდან ესროლა, ხოლო სასიკვდილო გასროლა უკნიდან განხორციელდა. ეს საკვანძო დოკუმენტი ფიგურირებდა მკვლელობის საქმეში და მხოლოდ სამი დღე ხდებოდა მისი დემონსტრირება პრესისთვის. შემდგომი გამოძიების პროცესში გაქრა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ რობერტი მისმა მცველმა მოკლა, რომელიც უკან ედგა, და მიბრჯნით ესროლა“, — ამგვარი თვალსაზრისი გამოთქვა საბჭოთა პერიოდის ცნობილმა მიმომხილველმა **ვალენტინ ზორინმა.**

კვლავ საოცარ რაღაცას ვხედავთ: როდესაც ამერიკის ხელისუფლება რატომღაც აყალბებს გამოძიების შედეგებს და მალავს ჭეშმარიტებას, ანუ რობერტის მკვლელობის შესახებ სიმართლის თქმა არ შეიძლებოდა ისევე, როგორც ჯონ კენედის სიკვდილის შესახებ...

ასეთი ძლიერი სახელმწიფოს მეთაურის სიკვდილი ყოველთვის ისტორიული მასშტაბის მოვლენაა, განსაკუთრებით, ძალადობრივი სიკვდილი. ბევრი ქვეყნის ხელმძღვანელი ბუნებრივი სიკვდილით როდი გარდაცვლილა საკუთარ ლოგინში. მმართველის ძალადობრივი სიკვდილი ყოველთვის სახელმწიფო გადატრიალებაა, განსაკუთრებით, როდესაც თვითონ ხელისუფლება, რომელიც მისი მეთაურის სიკვდილის შემდეგ რჩება, ყველანაირად ცდილობს, რაღაც დამალოს.

**გაგრძელება იქნება**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინტერნეტის ფენომენი თანამედროვე სამყაროში განსაკუთრებულია. ინტერნეტში არის ბიბლიოთეკები და სამხატვრო გალერეები, სტატიები და წიგნები, პოლიტიკა და ნებისმიერი სიახლე მეცნიერების, ტექნიკის, ისტორიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის და ადამიანის მოღვაწეების ყველა სფეროში. ინტერნეტი არის ელექტრონული ფოსტა, ლექსიკონი და ნებისმიერი სახის ინფორმაციის საძიებელი, კავშირგაბმულობის სისტემა, სატელევიზიო გადაცემა და ასე შემდეგ. და ყველაფერი ეს 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად.**

# ზოგი რამ ინტერნეტის შესახებ

**ინტერნეტი ერთმანეთზე მიერთებული უამრავი კომპიუტერის საჯაროდ ხელმისაწვდომი ქსელია, რომელიც ქმნის გლობალურ საინფორმაციო სივრცეს და წარმოადგენს მსოფლიო ქსელის საფუძველს. 2000 წელს საქართველოში ინტერნეტით მხოლოდ 20 ათასი ადამიანი სარგებლობდა, 2010 წლისთვის მათმა რაოდენობამ 1.3 მილიონს მიაღწია. 2011 წლის 31 მარტის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით 2 მილიარდ 95 მილიონი ადამიანი მოიხმარდა ინტერნეტს. თუ აღნიშნულ მაჩვენებელს 2010 წლის მდგომარეობას შევადარებთ (360 985 492), დავინახავთ, რომ ერთ წელიწადში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობამ 480%-ით მოიმატა.**



1991 წელს CERN-მა (ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია) მსოფლიოსთვის ინტერნეტქსელის შეთავაზებით, პირველი ვებსერვერის შექმნით, კაცობრიობას მეორე სიცოცხლისკენ უბიძგა. სწორედ ამ დღეს ასახელებენ თანამედროვე გლობალური ქსელის, ანუ ყოვლისმომცველი ინტერნეტის დაბადების დღედ, მაგრამ კომპიუტერებს შორის კავშირის დამყარების ისტორია გაცილებით ადრე დაიწყო.

**მას შემდეგ, რაც რუსეთმა კოსმოსში პირველი ხელოვნური თანამგზავრი გაუშვა (1957 წელს), ამერიკის მთავრობა სერიოზულად დაფიქრდა თავის უსაფრთხოებაზე. ქვეყნის თავდაცვის უწყება მივიდა დასკვნამდე, რომ საჭირო იყო, შეექმნათ ახალი დეცენტრალიზებული საკომუნიკაციო სისტემა. აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ჩათვალა, რომ ომის შემთხვევაში მათ დასჭირდებოდათ ინფორმაციის გადამტანი საიმედო სისტემა.**

ამერიკის თავდაცვის კვლევის სააგენტომ განაცხადა, რომ საჭირო იყო, შეექმნათ საიმედო კომპიუტერული ქსელი. ამგვარი ქსელის შემუშავება გადაწყვიტა კალიფორნიის უნივერსიტეტის კვლევითმა ცენტრმა. **ინტერნეტის შემქმნელად და ფუძემდებლად ARPA (ADVANCED RESEARCH PROJECTS AGENCY) ითვლება. იგი 1969 წელს ამერიკის თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით შეიქმნა. თავდაპირველად მასში ოთხი საუნივერსიტეტო კვანძი გაერთიანდა. ერთი წლის შემდეგ კი მათი რაოდენობა უკვე 16-ს შეადგენდა. შექმნილ კომპიუტერულ ქსელს ეწოდა ADVANCED RESEARCH PROJECTS AGENCY NETWORK, შემოკლებით — ARPANET.**

სამუშაო ფინანსდებოდა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მიერ. სულ მალე Advanced Research Projects Agency Network-მა დაიწყო ზრდა და მას მეცნიერებიც იყენებდნენ სხვადასხვა სფეროში. Advanced Researc Projects Agency Network-ის პირველი სერვერი 1969 წლის 2 სექტემბერს შეიქმნა კალიფორნიის უნივერსიტეტში. კომპიუტერ Honeywell DP-516-ს გააჩნდა 24 კბ ოპერატიული მეხსიერება.

ინტერნეტის ისტორია ისევე საინტერესო და ჩახლართულია, როგორც ცეცხლის წარმოშობის ამბავი. მეოცე საუკუნის პრომეთემ ეს განძი ხალხს 1969 წლის 29 ოქტომბერს, 21:00 სთ-ზე გადასცა, როდესაც ლოს-ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტმა (UCLA) და სტენფორდის კვლევითმა ინსტიტუტმა (SRI) ARPANET-ის ქსელის ორ კვანძს შორის პირველებმა დაამყარეს ქსელური კავშირი.

1969 წლის 29 ოქტომბერს, 21:00 საათზე შედგა კავშირი ARPANET-ის ქსელის პირველ ორ კვანძს შორის. დაშორების მანძილი იყო 640 კილომეტრი. **ჩარლი კლაინი** ცდილობდა ლოს-ანჟელესიდან სტენფორდის მიმართულებით ორ კომპიუტერს შორის პირველი დაშორებული ჩართვა განეხორციელებინა. მისი კოლეგა **ბილ დიუვალი** სტეტფორდიდან ადასტურებდა თითოეული შეყვანილი სიმბოლოს წარმატებულ გადაცემას.

თავდაპირველად მხოლოდ სამი სიმბოლოს — LOG-ის გაგზავნა მოხერხდა, შემდეგ კი ქსელმა ფუნქციობა შეწყვიტა. LOG-ი ბრძანების ტერმინის ნაწილი იყო. მთლიანობაში უნდა ყოფილიყო სიტყვა LOGIN (სისტემაში შესვლის ბრძანება). სამუშო მდგომარეობაში სისტემა მოგვიანებით — 23:30 სთ-ზე დააბრუნეს. დაკავშირების ხელახალი მცდელობა წარმატებული გამოდგა. ინტერნეტის დაბადების დღედაც სწორედ ეს თარიღი შეგვეძლო ჩაგვეთვალა, მაგრამ ყველაფერი არც ისე იოლადაა.

*** 1971 წელს შეიქმნა პროგრამა, რომელიც პასუხისმგებელი იყო ელექტრონული ფოსტის გადაგზავნაზე. ეს სისტემა მალე გახდა პოპულარული.**

*** 1973 წელს ქსელში დაკავშირების საშუალება გახდა ტრანსატლანტიკური სატელეფონო კაბელები. 1970-იანებში ქსელი გამოიყენებოდა ელექტრონული შეტყობინებების გასაგზავნად. 1970-იანი წლების ბოლოს გაიზარდა მონაცემის გადაცემის სისწრაფე.**

ARPANET-ის მიზანი სხვადასხვა კვლევაში მეცნიერების ოპერატიული ჩართვა იყო. 80-იან წლებამდე ინტერნეტის განვითარებას ქსელთა არათავსებადობა და პროტოკოლების სხვადასხვაგვარობა უშლიდა ხელს.

**ინტერნეტის ისტორია ისევე საინტერესო და ჩახლართულია, როგორც ცეცხლის წარმოშობის ამბავი. მეოცე საუკუნის პრომეთემ ეს განძი ხალხს 1969 წლის 29 ოქტომბერს, 21:00 სთ-ზე გადასცა, როდესაც ლოს-ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტმა (UCLA) და სტენფორდის კვლევითმა ინსტიტუტმა (SRI) ARPANET-ის ქსელის ორ კვანძს შორის პირველებმა დაამყარეს ქსელური კავშირი**



სტანდარტული პროტოკოლების ქსელის შექმნაში დიდი წილი მიუძღვის **ჯონ პოსტელს.** 1983 წლის 1 იანვრიდან ARPANET-ი გადავიდა TCP / IP პროტოკოლზე და სწორედ ამ წლიდან დამკვიდრდა ტერმინი „ინერნეტი“.

1984 წელს შეიქმნა Domain Name System (DNS).

1990 წელს ინტერნეტის წინამორბედმა ARPANET-ის ქსელმა NSF Net-თან კონკურენტული ბრძოლა წააგო და არსებობა შეწყვიტა. NSF Net შედგებოდა შედარებით მცირე ქსელებისგან და უფრო გამტარუნარიანი იყო, ვიდრე ARPANET. ქსელს წელიწადში შეემატა ათი ათასი მომხმარებელი.

იმავე წელს მოხდა ინტერნეტთან პირველი ჩართვაც სატელეფონო ხაზის მეშვეობით. **1991 წელს მსოფლიო ქსელის ინტერნეტი საყოველთაო გახდა, ხოლო 1993 წელს პირველი ვებბრაუზერი — NCSA MOSAIC-ი შეიქმნა. მსოფლიო ინტერნეტქსელს კიდევ უფრო მეტი პოპულარულობა მოუხვეჭა.**

შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ Web-ის ისტორიაში არსებობს ორი აშკარად განსხვავებული ერა: **მარკ ანდრისენის** (Mosaic ვებბრაუზერამდე) და შემდგომი. მხოლოდ **ტიმ ბერნერს-ლის** ვებპროტოკოლმა, რომელიც უზრუნველყოფდა კომუნიკაციას და მარკ ანდრისენის ვებბრაუზერმა (მისი ფუნქციონალურად სრულყოფილი სამომხმარებლო ინტერფეისით) შექმნა წინაპირობა, Web-ის მიმართ მომავალში ასეთი განსაკუთრებული ინტერესისა.

ქსელის განვითარებას www-ის (Word Wide Web — ინტერნეტ თანამგზავრი) შექმნა მოჰყვა. მსოფლიო მასშტაბით გავრცელებულ ქსელს „მსოფლიო აბლაბუდა“ ეწოდა. ეს სისტემა რამდენიმე სიახლეს მოიცავდა, მათ შორის HTML (Hyper Text Markup Language) — ენას, რომელიც ვებგვერდების დაკაბადონების საშუალებას იძლეოდა. შეიქმნა შესაბამისი პროგრამა Web Browser-ი, რომელიც ამ ენაზე დაწერილ გვერდებს კითხულობდა და ეკრანზე აჩვენებდა.

**პირველი ბრაუზერი ილინოისის უნივერსიტეტის NCSA ჯგუფმა 1993 წელს შექმნა, მას სახელად MOSAIC ეწოდა. ამავე წელს ეს პროგრამა ორ მილიონზე მეტმა ადამიანმა დააყენა თავის კომპიუტერზე. მომხმარებლებმა საკუთარი გვერდების განთავსება დაიწყეს. ამ დროისთვის უკვე 130 რეგისტრირებული საიტი იყო, ხოლო წლის ბოლოს მათი რაოდენობა 600-მდე გაიზარდა.**

Mosaic ბრაუზერის გამოჩენიდან პირველი 24 თვის განმავლობაში Web-მა გაიარა სტადია სრულიად უცნობიდან (როდესაც ამის შესახებ მხოლოდ მეცნიერთა და სპეციალისტთა ვიწრო წრემ იცოდა) ყველასათვის ნაცნობამდე და მსოფლიოში მისი გავრცელების აბსოლუტურობამდეც კი.

მომდევნო წელს Netscape Communications Corporation-მა შექმნა ახალი ბრაუზერი Netscape Navigator. იგი მოსახლეობაში უფასოდ ვრცელდებოდა და თავის წინამორბედთან შედარებით სრულყოფილი იყო. 1995 წელს კი კომპანია Microsoft-მა შექმნა ახალი ბრაუზერი — ყველასათვის კარგად ნაცნობი Internet Explorer.

მსოფლიო საინფორმაციო კომპიუტერულ ქსელში დომენი SU და შემდგომში RU 1990 წლის 19 სექტემბერს დარეგისტრირდა. მას მოჰყვა პოსტსაბჭოეთის ქვეყნების საინფორმაციო სივრცის აღმნიშვნელი დომენებიც, მათ შორის საქართველოს დომენი GE-ც.

**დომენების სახელმწიფოების მიხედვით დაყოფამდე არსებობდა ექვსი დომენი, რომლებიც დღემდე ასრულებენ პირვანდელ ფუნქციებს. COM — კომერციული ორგანიზაციები, EDU — სასწავლო და სამეცნიერო ოგანიზაციები, GOV — სახელმწიფო ორგანიზაციები, MIL — სამხედრო ორგანიზაციები, NET — სხვადასხვა ქსელური ორგანიზაციები, ORG — სხვა ორგანიზაციები. 1997 წელს უკვე დარეგისტრირებული იყო 1 მილიონი დომენი.**

1995 წელს კომპანია Netcraft-მა ინტერნეტსივრცის განვითარებაზე დაკვირვება დაიწყო. ამ დროისთვის საიტების რაოდენობა 18 ათასი იყო, 2004 წელს კი მათმა რაოდენობამ 50 მილიონს მიაღწია.

იმავე წელს დაიწყო ინტერნეტის პრივატიზაცია — დამოუკიდებელ ორგანიზაციებს შეეძლოთ გამხდარიყვნენ ინტერნეტის პროვაიდერები. ინტერნეტის ზრდის ტემპმა აჩვენა, რომ მიერთებისა და დაფინანსების საკითხების რეგულირება არ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ NSF-ის ხელში. 1995 წელს მოხდა რეგიონული ქსელებისთვის და ქსელების ნაციონალური მაგისტრალებისთვის მრავალრიცხოვანი მიერთების გადასახადების გადაცემა. **ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა, ვითარდებოდა სხვადასხვა სერვისი, რომელთა მიღებაც მომხმარებელს ონლაინ სივრციდან შეეძლო, ამან საბოლოოდ მიგვიყვანა WEB 2.0-ის შექმნამდე, რომელიც გულისხმობს, რომ მომხმარებელს თვითონ შეუძლია, შექმნას საკუთარი სივრცე ინტერნეტში, მიიღოს სხვადასხვა სერვისი და თავად გახდეს ახალი ვირტუალური სივრცის შემქმნელი.**

დღეს, ტექნიკური თვალსაზრისით, ინტერნეტი არის ერთმანეთთან დაკავშირებული საკუთარი უნიკალური მისამართების მქონე კომპიუტერების ფართო ქსელი. ეს კომპიუტერები შეერთებულია ერთმანეთთან მარშრუტიზატორებით (კვანძებით, რომელთაც აქვთ ორ არხზე მეტი). ჰუმანიტარული თვალსაზრისით, ინტერნეტი ▶

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს, ტექნიკური თვალსაზრისით, ინტერნეტი არის ერთმანეთთან დაკავშირებული საკუთარი უნიკალური მისამართების მქონე კომპიუტერების ფართო ქსელი. ეს კომპიუტერები შეერთებულია ერთმანეთთან მარშრუტიზატორებით (კვანძებით, რომელთაც აქვთ ორ არხზე მეტი). ჰუმანიტარული თვალსაზრისით, ინტერნეტი არის კულტურის ახალი განზომილება, ცოდნის, ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების ხერხი, კაცობრიობის არსებობის ახალი ერა.**

◀ არის კულტურის ახალი განზომილება, ცოდნის, ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების ხერხი, კაცობრიობის არსებობის ახალი ერა.

საქართველოში ინტერნეტიზაციის პირველი ეტაპი დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში. მაშინ პრაქტიკულად ყველა პროვაიდერი დაკავშირებული იყო რუსეთთან. საიტი იყო მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. მეორე ეტაპზე ინტერნეტი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. საქართველოში ინტერნეტის პიონერები იყვნენ კომპანია „ხეთა“ და „გუდვილკომი“, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა კომპანია. სააბონენტო გადასახადი შეადგენდა 300 დოლარს თვეში, ერთი საათით სარგებლობა კი 3 დოლარი ღირდა.

შემდეგ გამოჩნდნენ სხვა პროვაიდერები და ფასებიც დაეცა. პროვაიდერები იყენებდნენ თანამგზავრულ და საკაბელო შეღწევას. გადაცემის სიჩქარე პირდაპირ არხში შეადგენდა 64 კბტ/წმ.

მესამე ეტაპზე გამოჩნდა ბოჭკოვან-ოპტიკური საკაბელო მაგისტრალების ქსელი.

**2003 წლის აგვისტოდან თბილისში აბონენტებისათვის დაიწყო ADSL-ტექნოლოგიების ჩართვა. ინტერნეტის მომსახურების ფასი კიდევ უფრო შემცირდა, სიჩქარე გაიზარდა. პროვაიდერების უდიდესი ნაწილი თანამგზავრულ არხებს იყენებდა. 2000-2007 წლების პერიოდში ინტერნეტის ქსელით მომსახურების ბაზრის სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების შემოსავლები 3,15 მილიონი ლარიდან გაიზარდა და 2007 წლის ბოლოსთვის 30 მილიონ ლარს გადაჭარბა.** 2006 წელს საერთო შემოსავლების მოცულობის (26,15 მილიონი ლარი) მატებამ წინა წელთან შედარებით 32% შეადგინა. საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე ინტერნეტით ქსელის მომსახურება მობილური საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ ყველაზე მზარდი სეგმენტია.

ინტერნეტის გამოყენებამ კაცობრიობას დაანახვა ადრე არნახული შესაძლებლობები, მაგრამ წარმოშვა ახალი პრობლემებიც.

**განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, დასავლეთი ევროპა, იაპონია) ინტერნეტი ორიენტირებულია უპირატესად კომერციაზე — საქონლის მოძრაობაზე, მაშინ, როდესაც განვითარებად ქვეყნებში (დსთ, სამხრეთ ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნები და სხვ.) ინტერნეტი უპირატესად ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას (პოლიტიკა, ახალი ამბები). ეს დაკავშირებულია არა მხოლოდ ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობასთან, არამედ ქსელური რესურსების მომხმარებელთა ჯგუფების ერთმანეთისაგან განსხვავებასთან, სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის მენტალურ თავისებურებებთან.**

ინტერნეტის ფენომენი თანამედროვე სამყაროში განსაკუთრებულია. ინტერნეტში არის ბიბლიოთეკები და სამხატვრო გალერეები, სტატიები და წიგნები, პოლიტიკა და ნებისმიერი სიახლე მეცნიერების, ტექნიკის, ისტორიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის და ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში. ინტერნეტი არის ელექტრონული ფოსტა, ლექსიკონი და ნებისმიერი სახის ინფორმაციის საძიებელი, კავშირგაბმულობის სისტემა, სატელევიზიო გადაცემა და ასე შემდეგ. და ყველაფერი ეს 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად.

## საფრთხე და თავდაცვა

გლობალურ ქსელს ბევრ სიკეთესთან ერთად აქვს უარყოფითი მხარეებიც, რომლებსაც ინტერნეტმომხმარებლები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ინტერნეტსაფრთხეებს შეუძლია, სერიოზული ზიანი მიაყენოს როგორც კონკრეტულ პიროვნებას, ასევე ადამიანთა ჯგუფს, ორგანიზაციას, დაწესებულებას ან მთლიანად ქვეყანას.

**ინტერნეტის გამოყენებისას მომხმარებელი ზოგიერთ საიტზე განათავსებს პირად მონაცემებს: სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომრები, ინტერესის სფეროები, მეგობართა წრე, ფოტოები და სხვა. ასევე ონლაინ შესყიდვების დროს პირადი ინფორმაცია საბანკო ბარათებისა და საიდუმლო სიტყვის, პაროლების შესახებ გადაეცემა ინტერნეტ-მაღაზიების საიტებს. ეს ინფორმაცია შეიძლება მოიპოვოს არაკეთილმოსურნე პიროვნებამ, რომელიც შემდგომ გამოიყენებს მომხმარებლის ფინანსების ხელში ჩაგდების, შანტაჟის, უცხო პიროვნების რეკვიზიტებით ინტერნეტთაღლითობის ან სხვა ტიპის კიბერდანაშაულისთვის.**

ამიტომ საჭიროა, ინტერნეტმომხმარებელი სიფრთხილით მოეკიდოს საკუთარი პრივატულობის დაცვას და პირადი ინფორმაცია მხოლოდ სანდო და სერიოზული რეპუტაციის მქონე საიტებს ანდოს ან მაქსიმალურად შეზღუდოს ასეთი ინფორმაციის გასაჯაროება. ზოგ შემთხვევაში **ინტერნეტში თუნდაც პრივატულად განთავსებული ინფორმაცია, შესაძლებელია, ხელში ჩაიგდოს სხვა, მესამე პირმა, არასანქცირებული წვდომის მოპოვების (HACKING) ან კიბერდანაშაულის სხვადასხვა მეთოდის გამოყენების გზით.**

ვინაიდან ინტერნეტი, ისევე, როგორც მობილური და რადიო კავშირგაბმულობა, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით იმართება, შესაძლებელია, ინტერნეტაქტივობის მონიტორინგი, ჩაწერა, გაანალიზება, როგორც საჭირო და აუცილებელი, ასევე არასასურველი ბოროტი მიზნებით.

**იმისათვის, რომ ინტერნეტმომხმარებლის კომუნიკაცია და აქტივობა მაქსიმალურად პრივატული იყოს, საჭიროა, ინტერნეტ მომხმარებელმა დაიცვას ინტერნეტუსაფრთხოების ნორმები, წესები და შეძლებისდაგვარად გამოიყენოს უსაფრთხო კავშირის საშუალებები და ინტერნეტგადაწყვეტილებები. მაგალითად ანტივირუსები, FIREWALL-პროდუქტები, სანდო და მაღალი რეპუტაციის მქონე პროგრამები და საიტები, პაროლით დაცული უსაფრთხო კავშირის პროტოკოლები და ა.შ.**



მრავალი ქვეყნისა და ორგანიზაციის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კომპიუტერული სისტემებისა და ინტერნეტის გამოყენებას, შესაბამისად, მათი მუშაობის შეფერხება ან რაიმე სახის დაზიანება, სერიოზულად იმოქმედებს ნებისმიერ პროცესზე, რომლებსაც აღნიშნული ორგანიზაცია, კომპანია თუ სახელმწიფო სტრუქტურა ახორციელებს.

**აღწერილია მრავალი შემთხვევა, როდესაც კომპიუტერული სისტემების დაზიანებამ სერიოზული ეკონომიკური ზიანი და ზოგჯერ მუშაობის სრული შეჩერებაც გამოიწვია.**

ინტერნეტი და კომპიუტერული სისტემები გამოიყენება მრავალი ინფრასტრუქტურის სამართავად. სამხედრო და სატელიტური სისტემები, კომუნიკაციის არხები, წყლის, გაზის, ელექტრო და ატომური ენერგიის, ნავთობმომპოვებელი და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის ელემენტები ინტერნეტის საშუალებით ფუნქციონირებს. რომელიმე მათგანის დაზიანება ან მწყობრიდან გამოსვლა სერიოზული ზიანის მომტანია როგორც კომპანიის, ასევე სახელმწიფოსთვის.

**ინტერნეტში გავრცელებულია მილიონობით ვირუსული, მავნე კოდი, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი კომპიუტერული სისტემების დასაზიანებლად. არსებობს მრავალი ფუნქციის მქონე ვირუსი: ზოგიერთ ვირუსს შეუძლია კომპიუტერის მართვა და არასანქცირებული მონიტორინგი, თვალთვალი ინტერნეტმომხმარებლის საქმიანობაზე, ასევე საიდუმლო დოკუმენტაციის, ფინანსური მასალების, საბანკო ბარათების ინფორმაციის ხელში ჩაგდება და გადაგზავნა ვირუსის ავტორისთვის, სხვადასხვა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის წინააღმდეგ ინტერნეტმომხარებლის კომპიუტერიდან შეტევის განხორციელება.**

ვირუსები ვრცელდება ელექტრონული ფოსტით (Spam, Phishing), ასევე USB მოწყობილობებით, დისკებით, სხვადასხვა საიტზე განთავსებული უფასო პროგრამული პროდუქტების სახით და ა.შ.

ინტერნეტში, მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან საიტთან ერთად, განთავსებულია არასასურველი შინაარსის მქონე საიტებიც. ზოგიერთ მათგანზე აქვეყნებენ კომპრომატებს, ორგანიზაციის ან პიროვნების დამამცირებელ განცხადებებს და მასალებს. ასევე მრავლადაა პორნოგრაფიული, რასიზმისა და ძალადობის შინაარსის მქონე საიტები. სასურველია ინტერნეტმომხმარებელმა მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინოს და არ ეწვიოს მსგავსი შინაარსის საიტებს, რადგან მრავალი მათგანი გამოიყენება ინტერნეტშეტევებისთვის და ვიზიტორების ვირუსული პროგრამებით დასაინფიცირებლად.

მნიშვნელოვანია სპეციალური პროგრამების გამოყენებაც, რომლებიც ყოველდღიურად ქმნის „ცუდი რეპუტაციის“ საიტების სიას, ბლოკავს მასზე შესვლისა და მონახულების მცდელობებს და ამ გზით იცავს ინტერნეტმომხმარებელს.

**ინტერნეტთან დაკავშირებული ყველაზე დიდი საფრთხე კი მაინც ინტერნეტდამოკიდებულებაა. დამოკიდებულების ყველა ფორმას, ისევე როგორც ჩვენ მიერ განსახილველ ინტერნეტდამოკიდებულებას, ახასიათებს კმაყოფილების შეგრძნების ძიება. შედეგად იზრდება დრო, რომელიც ამ შეგრძნების მისაღწევად იხარჯება. ამასთანავე, ინტერნეტის უქონლობა, შესაძლოა, სტრესული სიტუაციის ტოლფასი იყოს.**

ადამიანის ინტერნეტდამოკიდებულებაზე სპეციალისტთა კვლევები ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო, საუბარია ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. მაგრამ ტერმინთან „ინტერნეტდამოკიდებული“, დიაგნოსტიკის კრიტერიუმებსა და მეთოდებთან დაკავშირებით თანხმობა ჯერაც არაა მიღწეული.

**ადამიანის ინტერნეტზე დამოკიდებულების არსებობა ეჭვს არ იწვევს. დამოკიდებულება არსებობს იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანის მოქმედება, რომელიც მიმართულია სიხარულის გრძნობის მისაღწევად და რაიმე ფსიქოლოგიური ტვირთისგან გასათავისუფლებლად, მისი კონტროლიდან გამოდის. ადამიანი თანდათანობით კარგავს თავისი მოქმედებისა და ინტერნეტისკენ ლტოლვის კონტროლს, მიუხედავად მისი ზემოქმედების უარყოფითი შედეგისა.**

კონტროლის ამგვარი დაკარგვა, რომელიც ინტერნეტდამოკიდებულებაში ჩავარდნილ ადამიანს ემართება, უდავოა. ევროპის ქვეყნებში ბოლო გამოკვლევების სტატისტიკური მონაცემების შესწავლით და იმ თანამედროვე სოციალური რეალობის გახსენებით, რომელშიაც ჩვენ ყველანი ვიმყოფებით, ვრწმუნდებით, რომ თანამედროვე გარემოში ინტერნეტის გამოყენება შეეზარდა მოზარდთა ყოველდღიურ ცხოვრებას და კოლოსალური მასშტაბები მიიღო. ნათქვამის სამართლიანობაში რომ დავრწმუნდეთ, მოვიყვანთ ფსიქიკური ჯანმრთელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის სტატისტიკურ მონაცემებს. კვლევამ აჩვენა, რომ ოთხიდან ერთი მოზარდი დღეში, სულ ცოტა, სამ საათს ატარებს კომპიუტერთან და ინტერნეტთან, ხოლო დასვენების დღეებში ეს პროცენტი თითქმის ორმაგდება და აღწევს 41%-ს.

**საშუალო და მაღალი კლასის მოსწავლეები დიდ დროს უთმობენ ინტერნეტიდან მუსიკისა და ფოტოების ჩამოტვირთვას, თამაშებს და სოციალურ ქსელებში (ფეისბუქი, ტვიტერი და ა.შ.) მეგობრებთან ურთიერთობას. გარდა ამისა, სულ ცოტა, ექვსიდან ერთი თხუთმეტი წლის მოზარდი ავლენს ინტერნეტდამოკიდებულების ნიშნებს.** მოზარდთა 5,5%, განსაკუთრებით ბიჭები, ავლენენ კომპიუტერული თამაშების მიმართ დამოკიდებულების ნიშნებს. ხუთიდან სამი, თხუთმეტი წლის მოწაფეთაგან, (59,4%) ინტერნეტში იმაზე მეტ დროს ატარებს, ვიდრე თავიდან გეგმავს; ხუთიდან ორი (42,3%) აღიარებს, რომ მუდმივად ინტერნეტზე ფიქრობს; სამიდან ერთი (30,8%) ინტერნეტს იყენებს პრობლემებიდან გასაქცევად და ნეგატიური ემოციებისგან თავდასაღწევად.

ამას გარდა, ოთხიდან ერთი მოზარდი გრძნობს, რომ კმაყოფილების მისაღწევად კომპიუტერთან უფრო მეტი დრო უნდა გაატაროს. ამდენივე უმალავს თავის ოჯახს ან სხვას, თუ რამდენი დრო გაატარა კომპიუტერთან. ხუთიდან ერთი მოზარდი (19,7%) აღიარებს, რომ უძლურია, გააკონტროლოს, შეზღუდოს ან შეაჩეროს ინტერნეტის გამოყენება, ხოლო ექვსიდან ერთმა (16,8%) ინტერნეტის ზღვარგადასული მოხმარების გამო საშიშროების ქვეშ დააყენა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელი (ახლობლებთან ურთიერთობა, სამსახური, სწავლა).

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვიდრე ექსპრესდიეტის დაცვას გადაწყვეტთ, უნდა გქონდეთ გაცნობიერებული, რომ წონას ძირითადად ორგანიზმის გაუწყლოვნების ხარჯზე კარგავთ და დროთა განმავლობაში ის აუცილებლად აღდგება. სწრაფი გახდომა კანზეც მოქმედებს: ლოყები და მკერდი რბილდება, რისკის ქვეშ ექცევა კუჭი, თირკმელი, ღვიძლი და ნაწლავები. ასევე, ექსპრესდიეტას შეუძლია, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესები არიოს, რომელთა აღდგენისთვის არა ერთი კვირის დახარჯვა მოგიწევთ.**

# ექსპრესდიეტები

**ხშირად ხდება, რომ სასწრაფოდ გჭირდებათ თავის წესრიგში მოყვანა და წონის დაკლება. გინდათ პირველი პაემნის, შვებულების ან კორპორატიული ღონისძიების დროს კარგად გამოიყურებოდეთ, სრულფასოვანი დიეტისთვის კი დრო აღარ გყოფნით, ამიტომაც მოგიწევთ ექსპრესდიეტისთვის მიმართვა. ექსპრესდიეტები ზედმეტ კილოგრამებს დროის მცირე მონაკვეთში გაუმკლავდება.**



ექსპრესდიეტები შეიძლება იოლი მოგეჩვენოთ, მაგრამ მისი მკაცრი მოთხოვნების შესრულება ზოგჯერ სრულფასოვანი დიეტის დაცვაზე რთულია, სამაგიეროდ წონა ოპერატიულად იწევს დაბალი ნიშნულისკენ.

ვიდრე ექსპრესდიეტის დაცვას გადაწყვეტთ, უნდა გქონდეთ გაცნობიერებული, რომ წონას ძირითადად ორგანიზმის გაუწყლოვნების ხარჯზე კარგავთ და დროთა განმავლობაში ის აუცილებლად აღდგება. სწრაფი გახდომა კანზეც მოქმედებს: ლოყები და მკერდი რბილდება, რისკის ქვეშ ექცევა კუჭი, თირკმელი, ღვიძლი და ნაწლავები. ასევე, ექსპრესდიეტას შეუძლია, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესები არიოს, რომელთა აღდგენისთვის არა ერთი კვირის დახარჯვა მოგიწევთ.

თუ წონის პრობლემა უმნიშვნელოა, ექსპრესდიეტას შედეგი არ ექნება, ის მხოლოდ მაშინ არის მაქსიმალურად ეფექტიანი, როცა ნორმიდან გადახრა 15-20 კილოგრამია.

## ოთხდღიანი დიეტა

ეს ოთხდღიანი დიეტაა, რომლის დაცვის შემდეგაც დაახლოებით 2 კილოგრამს დაიკლებთ.

**პირველი დღის მენიუ** მხოლოდ ცოცხალი ხილისა და ბოსტნეულის წვენია. თუ შედეგის მიღწევა მართლა გინდათ, არ დაუმატოთ შაქარი ან რძე. შეგიძლიათ ნებისმიერი ოდენობის მწვანე ჩაი დალიოთ, წვენის რაოდენობა კი 1.5 ლიტრით უნდა შემოიფარგლოს.

**მეორე დღეს** 1.5 ლიტრი ერთპროცენტიანი ცხიმიანობის კეფირი და 500 გრამი ცხიმგამოცლილი ხაჭო ხუთ ულუფად გაყავით და დღის განმავლობაში 2,5-3 საათიანი შუალედით მიირთვით. ამ დღესაც, როგორც დიეტის დასაწყისში, მნიშვნელოვანია დიდი ოდენობით სითხის მიღება.

**ბოლოს წინა** დღემ უნდა ჩაიაროს დევიზით: „მხოლოდ სალათი!“. მიღებული სალათის ფურცლების წონამ არ უნდა გადააჭარბოს კილო-ნახევარს, ხოლო მასზე მოსხმული ზეითუნის ზეთის მოცულობამ — ორ კოვზს. დღის განმავლობაში უნდა დალიოთ ბევრი წყალი ან უშაქრო მწვანე ჩაი.

დიეტა ფრეშდღით მთავრდება. მიიღეთ მხოლოდ ახალგამოწურული წვენები, მწვანე ჩაი და წყალი. პირველი დღის მსგავსად, წვენი 1.5 ლიტრზე მეტი არ უნდა იყოს, ჩაი და წყალი კი იმდენი შეიძლება, რამდენსაც მოისურვებთ.

დიეტოლოგები დაჟინებით გირჩევენ, რომ ამ ექსპრესდიეტით ბოროტად არ ისარგებლოთ, რადგან მისი უფრო ხანგრძლივი ვადით დაცვამ წონის დაკლებასთან ერთად, ნივთიერებათა ცვლის დარღვევაც შეიძლება გამოიწვიოს.

უკუჩვენება: ეს დიეტა არ არის რეკომენდებული მათთვის, ვისაც კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და შიგა ორგანოების დაავადებები აწუხებს.

## სამდღიანი დიეტა

თქვენ დაახლოებით 2 კილოგრამს დაიკლებთ. **უზმოზე** დალიეთ ერთი ჭიქა წყალი 1 სუფრის კოვზი თაფლითა და 5-6 წვეთი ახალი ლიმნის წვენით, 15 წუთის შემდეგ კი უშაქრო მწვანე ჩაის ერთი ფინჯნით „ისაუზმეთ“.

**სადილი** უფრო ნოყიერი იქნება — ინდაურის შემწვარი ხორცი და მოხარშული ბოსტნეული, მაგრამ ულუფის წონა 500 გრამს არ უნდა აჭარბებდეს.

**ივახშმეთ** 200 გრამი თეთრი კომბოსტოთი, რომელიც დაახლოებით 150 მლ წყალში მარილის გარეშე უნდა მოხარშოთ. მიიღეთ ნახარშიც. ძილის წინ კი დალიეთ ერთი ჭიქა ცხიმგამოცლილი კეფირი.

ეს ექსპრესდიეტა საკმაოდ მშიერი დიეტაა, სამაგიეროდ ეფექტურია და წონის დაკლებაში ნამდვილად დაგეხმარებათ. მისი დაცვა არ არის რეკომენდებული მათთვის, ვისაც საკვების გადამამუშავებელი სისტემის დაავადება აწუხებს.

## კეფირის დიეტა

ამ დიეტის შედეგი 3-დან 6 კილოგრამამდე წონის დაკარგვაა.

პირველი სამი დღე უნდა მიიღოთ 1.5-2 ლიტრი კეფირი და 200 გრამი უცხიმო და უმარილო ბრინჯი, მომდევნო 3 დღე კვლავ იმავე ოდენობით კეფირი და 300 გრამი მოხარშული ქათმის ხორცი. დამატებითი პროდუქტის სახით კეფირის ნაცვლად ექსპრესდიეტის დროს ნებისმიერი ოდენობით ვაშლი შეგიძლიათ მიირთვათ.

კეფირის ექსპრესდიეტის უპირატესობა, სხვა იმავე ტიპის დიეტებთან შედარებით, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობის გაუმჯობესებაა, რომელიც საბოლოოდ წონის დაკლებაზე მნიშვნელოვანია.

დიეტას კატეგორიული უკუჩვენებები არ აქვს. კეფირის დიეტას მხოლოდ ისინი უნდა მოერიდონ, ვისაც რძის პროდუქტებზე ალერგია აქვს.

## წვნიანის დიეტა

ამ ერთკვირიანი დიეტით წონის 5-6 კილოგრამით შემცირებაა შესაძლებელი.

დიეტის ძირითადი პროდუქტი ბოსტნეულის წვნიანია, ოღონდ მასში ხახვი უნდა დომინირებდეს. მას ხარშავენ მაქსიმალურად დარბილებამდე, შემდეგ უმატებენ კომბოსტოს, მწვანე ბულგარულ წიწაკას და ნიახურს. ყოველდღიური რაციონი შეიძლება გაამრავალფეროვნოთ 200 გრამი შემწვარი კარტოფილით ან ამავე რაოდენობის უცხიმო და უმარილო ბრინჯით, ნებისმიერი მწვანე ბოსტნეულით ან 1.5 კილოგრამი ვაშლით. შასურველია, სვათ ბევრი წყალი ან უშაქრო მწვანე ჩაი.

**უკუჩვენება:** დიეტა არ არის რეკომენდებული პანკრეატიტით დაავადებულებისთვის.



## წიწიბურის დიეტა

მისი შედეგი 3-4 კილოგრამის სწრაფად დაკლებაა.

წიწიბურას მოხარშვა საჭირო არ არის, შეგიძლიათ ის საღამოს მხოლოდ დამდუღროთ ერთ ჭიქა ბურღულზე ორი ჭიქა მდუღარე წყლით. დღიური ნორმა მხოლოდ უმარილო და უცხიმო წიწიბურაა და ასევე მწვანე ჩაი შეუზღუდავი ოდენობით.

თუ ძილის წინ მიღებულ წიწიბურას ცხიმგამოცლილი კეფირის ერთ ჭიქას დააყოლებთ, ორგანიზმს შეიძლება მეტად ბობოქარი რეაქცია ჰქონდეს, თუმცა ეს წონის სწრაფად დაკლებაში დაგეხმარებათ.

**უკუჩვენება:** ხსენებული პროდუქტის მიღებისადმი ინდივიდუალური გართულებები.

## 4 კილო 4 დღეში

ამ დიეტის ხანგრძლივობა 4 დღეა და შეიძლება წონაში 4 კილოგრამამდე დაიკლოთ.

სასურველი შედეგის მისაღებად მკაცრად უნდა დაიცვათ მენიუ:

პირველი საუზმე – 1 მოხარშული კვერცხი და უშაქრო მწვანე ჩაი.

მეორე საუზმე – 100 გრამი უცხიმო ხაჭო და ნაკლებცხიმიანი კეფირის 1 ჭიქა.

სადილი – 150 გრამი მოხარშული ხორცი (სურვილის მიხედვით: ქათამი, თევზი ან ძროხის ხორცი), 150 გრამი ბოსტნეულის სალათი ლიმნის წვენით და ვაშლი ან მსხალი.

ვახშამი – მწვანე ან რაიმე ბალახეულის ჩაი უშაქროდ.

**უკუჩვენება: თუ კუჭი გაწუხებთ, ეს ექსპრესდიეტა არ უნდა დაიცვათ.**

## მათემატიკური დიეტა

ექსპრესდიეტის სამი დღე და 2 კილოგრამით მსუბუქი გახდებით. ამ დიეტის საფუძველი უმარტივესი მათემატიკური გათვლაა — დღიურად 1300 კალორიაზე მეტი არ უნდა მიიღოთ. ამასთან, მნიშვნელოვანია ბევრი სითხის მიღება, ხილთან შედარებით უპირატესობის ბოსტნეულისთვის მინიჭება და ყოველგვარ ცომეულზე უარის თქმა.

ექსპრესდიეტის მენიუ შეიძლება ყოველდღე სხვადასხვაგვარი იყოს.

# გაი ლარამის ბუქარტი

**კანადელი ხელოვანი გაი ლარამი წიგნებისგან საინტერესო სკულპტურებს ქმნის — ლამაზი ლანდშაფტები, გამოქვაბულები, ციხესიმაგრეები წიგნებზე არაჩვეულებრივი ოსტატობითაა ამოჭრილი.**










ლარამი თავისი ბუქარტისთვის ძველ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებს იყენებს. ყველაზე ხშირად იგი მთიან ლანდშაფტებს ჭრის და შემდეგ ბუნებრივი ფერებით ღებავს.

„დროთა განმავლობაში სახლში მოძველებული და უსარგებლო წიგნების მთები დგება. მეც ასეთ წიგნებს ფუნქციას ვუბრუნებ — სწორედ მთის ფორმას ვაძლევ და ხელოვნების ნიმუშად ვაქცევ“, — ამბობს გაი ლარამი.

ლარამი საკმაოდ მრავალმხრივი პიროვნებაა — იგი წერს სცენარებს, ქმნის მუსიკას, მუსიკალური ინსტრუმენტების დიზაინს, დგამს სპექტაკლებს თეატრში, მღერის, იღებს დოკუმენტურ ფილმებს და ხატავს. თავისი 30-წლიანი კარიერის განმავლობაში კანადელ ხელოვანს 30 პრიზი აქვს მიღებული.



**OCEAN CLEANUP-ის გაშვება 2016 წელს კუნძულ ცუსიმასთან იგეგმება, რადგან იგი მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებულ მონაკვეთად ითვლება. ამ ტექნოლოგიის გამოყენებით მსოფლიო ოკეანის გაწმენდას 10 წელიწადი დასჭირდება.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჯადოსნური სასმელი «ოქროს რძე»

**„ოქროს რძე“ ისეთი სასარგებლო სასმელია, რომ შეგიძლიათ ყოველ საღამოს მიირთვათ. ამ ჯადოსნური სასმლის მთავარი ინგრედიენტი კურკუმაა. მისი ანთებსაწინააღმდეგო მოქმედება იმდენად ძლიერია, რომ კიბოს უჯრედებსაც კი ებრძვის.**



სასმელის მომზადებისათვის მეოთხედ ჭიქა კურკუმის ფხვნილს დაუმატეთ ნახევარი ჩაის კოვზი დაფქული შავი წიწაკა და ნახევარი ჭიქა გაფილტრული წყალი, კარგად აურიეთ და ცოტა ხანს დაბალ ცეცხლზე ადუღეთ ისე, რომ მორევა არ შეწყვიტოთ. მიღებული მასა შეგიძლიათ გადაიტანოთ ქილაში და მაცივარში შეინახოთ. ასე რომ, სამკურნალო სასმელისთვის ყოველ ჯერზე ახალი ნაზავის მომზადება არ დაგჭირდებათ.

ოქროს რძის მოსამზადებლად საჭიროა 1 ფინჯანი ნუშის რძე (ან ქოქოსის), 1 ჩაის კოვზი ქოქოსის ზეთი, მეოთხედი ჩაის კოვზი ან ოდნავ მეტი კურკუმის ნაზავი, რომელიც უკვე მომზადებული გექნებათ, და თაფლი.

თაფლის გარდა, ყველა ინგრედიენტი ერთმანეთში აურიეთ და გააცხელეთ, ოღონდ არ აადუღოთ. გადმოდგით და დაამატეთ ცოტაოდენი ცივი რძე და თაფლი გემოვნების მიხედვით. თაფლის ადუღება არ შეიძლება, რადგან ის თავის სასარგებლო თვისებებს კარგავს.

სასმელს აქვს ანტისეპტიკური და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, ამაღლებს იმუნიტეტს, აქვს ანტიკანცეროგენური მოქმედება, არეგულირებს ქოლესტერინს, ეხმარება საჭმლის მომნელებელ სისტემას, აუმჯობესებს ღვიძლის მუშაობას და დეტოქსიკაციის პროცესს, აწესრიგებს წონას და ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს ორგანიზმში ნორმალური წნევის შენარჩუნებას, აუმჯობესებს მეხსიერებას და თავის ტვინის მუშაობას, ხელს უწყობს კანისა და ნევროპათოლოგიური დაავადებების მკურნალობას.

# 3D პრინტერის მეშვეობით ადამიანის სხეულის ნაწილები დაბეჭდეს

**რეგენერაციული მედიცინის ინსტიტუტის — Wake Forest-ის მეცნიერებმა შექმნეს სპეციალური ბიოპრინტერი, რომელიც ცოცხალი უჯრედებისგან ადამიანის ქსოვილებსა და ორგანოებს ბეჭდავს.**



მეცნიერების თქმით, ცხოველის ორგანიზმში იმპლანტირების შემდეგ დაბეჭდილი ქსოვილი ნორმალურ ფუნქციონირებას განაგრძობდა.

ახალი 3D პრინტერის შესაძლებლობების დემონსტრირების მიზნით, მკვლევარებმა მისი საშუალებით უკვე შექმნეს ადამიანის ქვედა ყბა, კუნთი და ყური. ბიოპრინტერის შექმნაზე ისინი 10 წელიწადზე მეტს მუშაობდნენ. თუ დამტკიცდა, რომ დაბეჭდილი ქსოვილების იმპლანტაცია ადამიანისთვის უსაფრთხოა, მედიცინაში მისი ფართოდ გამოყენება გახდება შესაძლებელი.

ეს კი ინოვაციური გარღვევა იქნება დაზიანებული ორგანოების აღსადგენად, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ხელოვნურად შექმნილი ცოცხალი ქსოვილების გამოყენებას შევძლებთ.

ტექნოლოგია წარმოადგენს ინტეგრირებულ სისტემას, რომლის ნაწილი პასუხისმგებელია ქსოვილების ზრდაზე, ნაწილი კი — საჭირო ორგანოს შემცვლელი ასლის დამზადებაზე. ამისთვის გამოიყენება ბიოხრწნადი მასალა, რომლის საშუალებითაც ორგანოს გარე სტრუქტურა და ფორმა იქმნება. ასევე გამოიყენება სპეციალური გელი, რომელიც უჯრედებს შეიცავს და მათ გამრავლებას უზრუნველყოფს.

„წარმოიდგინეთ, რომ მივიღეთ პაციენტი დაზიანებული ყბით. ჩვენ მას ტომოგრაფიას ვუტარებთ, მონაცემებს პრინტერს გადავცემთ და ის დაზიანებული ორგანოს საჭირო ნაწილს ბეჭდავს“, — ამბობს Wake Forest-ის ინსტიტუტის მკვლევარი, პროფესორი ენტონი ატალა.

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ უკვე ათ წელიწადში ქირურგიაში 3D პრინტერით დაბეჭდილი ორგანოებისა და ქსოვილების ფართოდ გამოყენება დაიწყება.

# მსოფლიოს ოკეანე ნაგვისგან გაიწმინდება

**ყოველწლიურად დაახლოებით 8 მილიონი ტონა პოლიეთილენი აბინძურებს ოკეანეს, რომლის შედეგად ზღვის დაახლოებით 1 მილიონი ფრინველი და წყლის 100 ათასი ბინადარი იღუპება.**



ამ პრობლემის გადასაჭრელად 20 წლის ბოიან სელტმა გამოიგონა ტექნოლოგია Ocean Cleanup (ოკეანის გამწმენდი), რომელიც ოკეანეებს მარტივად გაასუფთავებს ნაგვისა და პოლიეთილენის ნარჩენებისგან.

გამოგონების საშუალებით, ოკეანე თავისით შეძლებს დაგროვილი ნაგვისგან წყლის დასუფთავებას.

ლათინური V-ის ფორმის მოტივტივე ბარიერების მწკრივი, რომელიც მიმაგრებულია ზღვის ფსკერზე, დაიჭერს ოკეანის ბუნებრივი დინებების მიერ მოგროვილ ნაგავს. ორკილომეტრიანი მოწყობილობა ზღვის ბინადრებს მის ქვეშ ცურვის საშუალებას მისცემს, აგრეგატში კი დარჩება ნაგავი, რომელიც წყალზე მსუბუქია და ზედაპირზე დაცურავს.

Ocean Cleanup-ის გაშვება 2016 წელს კუნძულ ცუსიმასთან იგეგმება, რადგან იგი მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებულ მონაკვეთად ითვლება. ამ ტექნოლოგიის გამოყენებით მსოფლიო ოკეანის გაწმენდას 10 წელიწადი დასჭირდება.



# ყველაზე ძვირად ღირებული ჩანთები



**ცნობილი დიზაინერების მიერ შექმნილი ზოგიერთი ჩანთა სტილის, ფუფუნებისა და სტატუსის სიმბოლოდ იქცა. ერთ-ერთი საპატიო ადგილი ამ სიაში, ალბათ, ჩანთა Birkin-ს ეკუთვნის, რომელსაც სახელი მსახიობისა და მომღერლის — ჯეინ ბირკინის პატივსაცემად დაერქვა. ამ ჩანთის ფასები 7 400 დოლარიდან 150 ათას დოლარამდეა და დამოკიდებულია მასალასა და ზომაზე. კომპანია „ჰერმესი“ ამ ჩანთებს ხბოს, ნიანგის, ხვლიკის და სირაქლემას ტყავისგან ამზადებს. ყველაზე ძვირადღირებული ვარიანტი ზღვის ნიანგის ტყავის ჩანთაა.**



ასევე ძალიან პოპულარულია ფრანგული ბრენდის — Louis Vuitton-ის ჩანთები, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ფერითა და დიზაინით, მაგრამ ხარისხი და კლასიკური გადაწყვეტა ყველასთვის საერთოა. Louis Vuitton ერთ-ერთი უდიდესი მოდის სახლია ევროპაში.

რამდენიმე ხნის წინათ Chanel-ის სახლმა გამოუშვა დახვეწილი ჩანთების — Diamond Forever შეზღუდული პარტია, რომელიც ნიანგის თეთრი ტყავისგანაა დამზადებული და მორთულია 334 ბრილიანტის თვლით. მიუხედავად ამ შედევრის მაღალი ფასისა (261 ათასი დოლარი), პარტია ელვის სისწრაფით გაიყიდა, თანაც ყიდვის შესახებ ყოველი განაცხადი საგულდაგულოდ განიხილებიდა მოდის სახლში — ასეთი გამორჩეული ჩანთების ტარება მხოლოდ გამორჩეულების ხვედრი უნდა ყოფილიყო.

იაპონელი დიზაინერის — **გინზა ტანაკას** შექმნილი პლატინის ხელჩანთა 2 მილიონი დოლარი ღირს, ის 2 000-ზე მეტი ბრილიანტითაა გაფორმებული.

**ლანა მარქსის** ჩანთა „კლეოპატრა“, რომლის ფასიც 100 ათასი დოლარია, შექმნილია ალიგატორის ვერცხლისფერი ტყავისგან და შემკულია 1500 შავი და თეთრი ბრილიანტით.

**ჯუდით ლიბერის** ხელჩანთა „ძვირფასი ვარდია“. მისი ღირებულება 92 ათასი დოლარია. ჩანთა ყვავილის ფორმისაა, მას 1016 ცალი 42,56 კარატი ბრილიანტი და 1169 ვარდისფერი საფირონი ამშვენებს.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1475 წლის 6 მარტს კაპრეზეში დაიბადა იტალიელი სკულპტორი, მხატვარი, არქიტექტორი, პოეტი და მოაზროვნე აღორძინების ეპოქისა და ადრეული ბაროკოს უდიდესი წარმომადგენელი მიქელანჯელო ბუანაროტი (მიქელანჯელო დი ლოდოვიკო დი ლეონარდო დი ბუანაროტი სიმონი).**

მიქელანჯელოს შექმნილი შედევრებია: „დავითი", „კენტავრების ბრძოლა", „სიქსტის კაპელა", „პიეტა", „მადონა ჩვილით", „ადამის შექმნა", „წარღვნა", „ევას შექმნა", „ცოდვა", „საშინელი სამსჯავრო", „ბახუსი" და სხვ.

გარდაიცვალა 1564 წლის 18 თებერვალს.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში" გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.

*** 1917 წლის 2 მარტს თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქარში დაიბადა პოეტი მირზა გელოვანი.**



1936-39 წლებში ცხოვრობდა თბილისში. მისი ლექსები 1935 წლიდან იბეჭდებოდა სხვადასხვა გამოცემაში. პოეტს აღიარება მოუტანა ლექსებმა: „თუშის ქალი წყაროზე", „შავლეგო", „ცხრაკარა", „მთვარე", პოემამ „შავნაბადა".

დაიღუპა დიდ სამამულო ომში, 1944 წლის ივლისში, დაკრძალულია ბელარუსში, ვიტებსკის ოლქის ბეშენკოვიჩის რაიონის სოფელ სანიკის საძმო სასაფლაოზე.

*** 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის" პირველი ნომერი.**




თავდაპირველად გამოიცემოდა, როგორც ყოველკვირეული გაზეთი; 1879-1885 წლებში — როგორც ჟურნალი; 1886 წლიდან — როგორც ყოველდღიური გაზეთი. დამაარსებელი და რედაქტორი იყო **ილია ჭავჭავაძე.** მასთან ერთად გაზეთში მუშაობდნენ **ივანე მაჩაბელი, სერგი მესხი, ფილიპე გოგიჩაიშვილი**. გაზეთი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებაში, დაიხურა 1906 წლის 27 აგვისტოს.

*** 1925 წლის 3 მარტს სამტრედიაში დაიბადა გამოჩენილი მსახიობი და სპორტული რეპორტაჟების პირველი კომენტატორი ეროსი მანჯგალაძე.**



1947 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი. 1948 წლიდან რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი იყო. ნათამაშევი აქვს როლები სპექტაკლებში: „პეპო" (ზიმზიმოვი); „ესპანელი მოდელი" (ლოპესი); „ხანუმა" (თავადი ვანო); „ყვარყვარე თუთაბერი" (ყვარყვარე); „ოიდიპოს მეფე" (ოიდიპოსი); „ჭინჭრაქა" (დათვი); „კავკასიური ცარცის წრე" (აზდაკი) და სხვ.

მონაწილეობდა ფილმებში: „წარსული ზაფხული" (ალექსანდრე); „ქვევრი" (მილიციის რწმუნებული სამჭკუაშვილი); „ნატვრის ხე" (ჩორეხი); „თოჯინები იცინიან" (სევერიან წივწივაძე); „ლონდრე" (მღვდელი); სატელევიზიო ფილმებში: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" (ვასიკო კეჟერაძე); „გვადი ბიგვა" (გვადი) და სხვ.

გახმოვანებული აქვს ფილმები „არაჩვეულებრივი გამოფენა" (პიპინია ერისთავი), „შერეკილები" (ქრისტეფორე მგალობლიშვილი) და სხვ.

გარდაიცვალა 1982 წლის 26 იანვარს.



*** 1931 წლის 5 მარტს სიღნაღში დაიბადა მწერალი, პოეტი და დრამატურგი თამაზ ჭილაძე.**

არის რუსთაველის, სახელმწიფო, ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლისა და გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიების ლაურეატი.

აღსანიშნავია თამაზ ჭილაძის პოეტური კრებულები: „ღია სარკმელი", „მზის საათი", „ივლისი", „მზე დეკემბერში"; პროზაული კრებულები: „მდგმურები", „აუზი", „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?" (რომანი); პიესები: „ბუდე მეცხრე სართულზე", „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის", „არაბეთის სურნელოვანი ბაღები", „ნადირობის სეზონი" და სხვ.




*** 1899 წლის 6 მარტს გერმანელმა ქიმიკოსმა ფელიქს ჰოფმანმა დააპატენტა ასპირინი — უნივერსალური თვისებების სამკურნალო პრეპარატი, რომელსაც მე-20 საუკუნის მთავარ წამალს უწოდებენ.** „ასპირინი" — ეს სახელწოდება ორი ნაწილისგან შედგება: „ა" — აცეტილი, „სპირ" — ეს არის ლათინური სახელწოდება მცენარისა (spirea), რომლისგანაც პირველად მიიღეს სალიცილის მჟავა.



*** 1927 წლის 6 მარტს არაკატაკაში დაიბადა კოლუმბიელი მწერალი-პროზაიკოსი, ჟურნალისტი, გამომცემელი და პოლიტიკური მოღვაწე, ნეიშტადტისა და ნობელის ლიტერატურული პრემიების ლაურეატი გაბრიელ გარსია მარკესი (გაბრიელ ხოსე დე ლა კონკორდია „გაბო" გარსია მარკესი).**

მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „მარტოობის ასი წელიწადი", „პატრიარქის შემოდგომა", „სიყვარული უამინდობისას", „გენერალი თავის ლაბირინთში", „ფოთოლცვენა", „პოლკოვნიკს არავინ სწერს", „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა", „ძალიან მოხუცი კაცი უზარმაზარი ფრთებით" და სხვ.

გაბრიელ გარსია მარკესი გარდაიცვალა 2014 წლის 17 აპრილს მეხიკოში.



*** 1877 წლის 4 მარტს ამერიკელმა გამომგონებელმა ემილ ბერლინერმა დააპატენტა მიკროფონი.** მანამდე, ერთი წლით ადრე, ალექსანდრე ბელმაც წარადგინა თხევადი (კონდესატორული) გადამცემი. ბელმა სასამართლოში უჩივლა ბერლინერს, მაგრამ მოსამართლემ ბერლინერი გაამართლა. მოგვიანებით ბელმა პატენტი 50 ათას დოლარად გამოისყიდა, ბერლინერი კი თავის კომპანიაში დაასაქმა.



*** 1678 წლის 4 მარტს ვენეციაში დაიბადა იტალიელი კომპოზიტორი, ვირტუოზი მევიოლინე, პედაგოგი და დირიჟორი ანტონიო ვივალდი (ანტონიო ლუციო ვივალდი).** იგი ავტორია 500-ზე მეტი საინსტრუმენტო კონცერტის, სონეტისა და სიმფონიის.

ვივალდის პოპულარული ნაწარმოებია ციკლი: 4 კონცერტი ვიოლინოსათვის — „წელიწადის დროები".

გარდაიცვალა 1841 წლის 28 ივლისს.




*** 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა.**

გაერო ყოველწლიურად აღნიშნავს, როგორც ქალთა უფლებების დაცვისა და საერთაშორისო მშვიდობის დღეს. ისტორიულად კი დაარსდა, როგორც მშრომელი ქალების თანასწორობისა და ემანსიპაციისთვის ბრძოლის დღედ. პირველად აღინიშნა აშშ-ში 1909 წლის 28 თებერვალს.

*** 1876 წლის 7 მარტი ტელეფონის დაბადების დღეა.**

ამ დღეს ამერიკელმა მეცნიერმა **ალექსანდრე ბელმა** დააპატენტა თავისი გამოგონება — ტელეფონის აპარატი („ტელეგრაფის გაუმჯობესებული მოდელი, რომელიც ელექტრული რხევების შედეგად გადასცემს ბგერებს", — ასე წერია დოკუმენტში).



**ამ პერიოდში ბევრს მიეცემა შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შანსი. წარმატებას მიაღწევენ კირჩხიბის, მორიელისა და თევზების ნიშნით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**2 – 8 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი – 20 აპრილი**

გამოგიჩნდებათ საქმეები, რომელთა დასრულებაც ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. თუ დაინახავთ, რომ საქმეს თავს ვერართმევთ, დახმარება კოლეგებსა და ახლობლებს სთხოვეთ.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

ამა თუ იმ პრობლემის მხოლოდ თქვენი ძალისხმევით მოგვარების მცდელობამ შეიძლება ოჯახის წევრების განაწყენება გამოიწვიოს. ურთიერთპრეტენზიები კი კიდევ უფრო დაძაბავს ურთიერთობებს.

იმუნიტეტის გასამაგრებლად ჩაიტარეთ ვიტამინოთერაპია და დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 3 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 7 მარტი.**

## კურო
**21 აპრილი – 21 მაისი**

მოგიწევთ სტრატეგიული გეგმების გადახედვა და მათში ცვლილებების შეტანა. თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და გარიგებებში მონაწილეობას.

შეიძლება გამოგიჩნდეთ გავლენიანი მფარველი, რომლის მხარდაჭერითაც დასახულ მიზნებს იოლად მიაღწევთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მის თხოვნას გაითვალისწინებთ და ოჯახის საყოფაცხოვრებო პრობლემებს მოაგვარებთ.

იმ კუროებს, რომლებსაც ქრონიკული დაავადება აწუხებთ, ექიმის რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა პრობლემებს შეუქმნის.

**დადებითი დღე: 5 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 7 მარტი.**

## ტყუპი
**22 მაისი–21 ივნისი**

საუკეთესო პერიოდია ახალი ცოდნის შესაძენად. იოლად შეძლებთ დიდი მოცულობის ინფორმაციის დამახსოვრებას.

სამსახურში შეეცადეთ, გულმოდგინედ შეასრულოთ დავალებები და კოლეგებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა შეინარჩუნოთ.

შესაძლოა, მოგიწიოთ უცხოეთში გამგზავრება და ხელშეკრულების გაფორმება თქვენთვის ძალიან სასარგებლო პირობებით.

დაოჯახებული ტყუპები უნდა მოერიდონ უცხო ადამიანთან ფლირტს, რადგან ამან შეიძლება მეუღლის ეჭვიანობა და კონფლიქტი გამოიწვიოს.

მაღალია ტრამვირების ალბათობა, გაუფრთხილდით ფეხებს.

**დადებითი დღე: 2 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 5 მარტი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი–22 ივლისი**

იოლად შეძლებთ ფინანსური და საგადასახადო პრობლემების მოგვარებას. საზოგადოდ, ყველა საქმეს წარმატებით დაასრულებთ, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ, ოღონდ გადაწყვეტილებების მიღებისას არ უნდა აჩქარდეთ, რადგან დაშვებული შეცდომების გამოსწორება ძალიან გაგიჭირდებათ.

მარტოხელა კირჩხიბებს გაუჩნდებათ საწინააღმდეგო სქესის საინტერესო წარმომადგენლის გაცნობისა და მასთან რომანტიკული ურთიერთობის დაწყების შანსი. რაციონში შეზღუდეთ მაღალკალორიული და ცხიმიანი საკვები. დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 4 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 6 მარტი.**

## ლომი
**23 ივლისი –22 აგვისტო**

სასიამოვნო სიურპრიზთან ერთად სირთულეებიც გელით, მაგრამ, თუ შეუპოვრად, ყურადღებით და ყველა დეტალის გათვალისწინებით იმოქმედებთ, პრობლემებს აუცილებლად მოაგვარებთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი შეიკავეთ შენიშვნებისა და კრიტიკისგან — ამან შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს.

დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო შეიძლება თავი შეუძლოდ იგრძნოთ. შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

თუ ჭარბი წონა გაწუხებთ, მიდით დიეტოლოგთან და შეარჩიეთ თქვენთვის საჭირო დიეტა.

**დადებითი დღე: 3 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 5 მარტი.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

თუ გსურთ კარიერაში წინსვლა, ურთიერთობები უნდა მოაგვაროთ როგორც ხელმძღვანელობასთან, ისე ხელქვეითებთან თუ კოლეგებთან. ამ პერიოდში მთავარი ამოცანა მიზნებისკენ მიმავალი გზების განსაზღვრა იქნება.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ — მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

მარტოხელა ქალწულებს პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებები ელით. ახალდაწყებული ურთიერთობა საწინააღმდეგო სქესის ადამიანთან, შესაძლოა, მგზნებარე რომანში გადაიზარდოს.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება, თუმცა ქალწულები, რომლებსაც ჭარბი წონა აწუხებთ, მეტად უნდა დაიტვირთონ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 5 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 3 მარტი.**

## სასწორი
**24 სექტ. – 23 ოქტ.**

მოსაწყენმა სამუშაომ შეიძლება გული აგიცრუოთ და ახალი სამსახურის ძებნა დაიწყოთ, მაგრამ დაწყებული საქმეები აუცილებლად უნდა დაასრულოთ. პრობლემების მოგვარებაში დახმარება კოლეგებს სთხოვეთ.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ. თავქარიანული საქციელი არ ჩაიდინოთ, დარჩით იმ ადამიანის გვერდით, რომელთანაც დიდი ხანია, გაქვთ ურთიერთობა.

მაღალია ფარისებრი ჯირკვლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 3 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 5 მარტი.**

## მორიელი
**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

სასიკეთო პერიოდია. იაქტიურეთ, სრულად გამოავლინეთ შესაძლებლობები და დასახულ მიზნებს აუცილებლად მიაღწევთ. ერთადერთი, რამაც შეიძლება ხელი შეგიშალოთ, არათანმიმდევრულობა და ნაჩქარევი გადაწყვეტილებები იქნება.

მიიღებთ სასიხარულო ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებული იქნება ოჯახის წევრებთან ან ნათესავთან.

შეეცადეთ, საყვარელ ადამიანს შეუქმნათ მეტი კომფორტი — შეცვალოთ სახლის ინტერიერი ან შეიძინოთ ახალი ავეჯი.

მაღალია კუჭ-ნაწლავთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 6 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 3 მარტი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. – 21 დეკ.**

ბევრ მშვილდოსანს მიეცემა პროფესიულ სფეროში წარმატების მიღწევის შესაძლებლობა და ეს შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაუშვან, რადგან ასეთი შანსი კარგა ხანს აღარ ექნებათ.

დაოჯახებულ მშვილდოსნებს შეიძლება უთანხმოება შეექმნათ მეუღლესთან, რადგან დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო ოჯახის წევრებთან ურთიერთობისთვის ნაკლები დრო დარჩებათ.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 4 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 6 მარტი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. – 20 იან.**

შეამცირეთ გასავლები — მხოლოდ ასე შეძლებთ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროფესიულ სფეროში წარმატებას კოლეგების დახმარებით მიაღწევთ, ამიტომ ყველასთან უნდა გქონდეთ კეთილგანწყობილი ურთიერთობა.

ამ პერიოდში მთავარია, შეინარჩუნოთ ჰარმონიული ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან, რისთვისაც მას გულწრფელად უნდა დაელაპარაკოთ თქვენს გრძნობებსა და პრობლემებზე.

ახლა თქვენი ორგანიზმის ყველაზე სუსტი წერტილი სასუნთქი გზების სისტემაა, როგორც კი გამოგივლინდებათ გაცივების პირველი სიმპტომები, მაშინვე მიმართეთ ექიმს და დაიწყეთ მკურნალობა.

**დადებითი დღე: 6 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 7 მარტი.**

## მერწყული
**21 იან. – 19 თებ.**

შესაძლოა, მოგიწიოთ რამდენიმე საქმის ერთდროულად შესრულება, რაც, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, სხვების დაუხმარებლად არ გამოგივათ. მოგეცემათ დამატებითი შემოსავლის მიღების შანსი.

მარტოხელა მერწყულებმა უნდა გამოავლინონ თავიანთი უნარები და შესაძლებლობები, თუკი სურთ, რომ მათი პერსონით დაინტერესდნენ საწინააღმდეგო სქესის ის წარმომადგენლები, რომლებიც მოსწონთ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ, თუ ჭარბი წონის პრობლემა გაქვთ, რაციონში შეზღუდეთ მაღალკალორიული საკვები.

**დადებითი დღე: 2 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 4 მარტი.**

## თევზები
**20 თებ. – 20 მარტი**

თქვენს ცხოვრებაში შეიძლება გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დაშვებული შეცდომის გამოსწორებასა და პრობლემების გადაჭრის გზების მოძებნაში დაგეხმარებიან. ახლა მთავარია, დაწყებული საქმეები დაასრულოთ.

შესაძლოა, მოგიწიოთ უცხოეთში გამგზავრება სამსახურებრივ საქმეებზე.

მარტოხელა თევზებმა, რომლებიც საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობენ, არჩევანი ინტუიციით უნდა გააკეთონ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებსა და კამათს ამა თუ იმ საკითხზე. შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებასა და სხეულის გაკაჟების პროცედურებს.

**დადებითი დღე: 6 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 3 მარტი.**

# იგნორირებულ რეჟისორს ბოდიშს კი მოუხდიან, მაგრამ მკითხველმა რა დააშავა?!

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში" ახლახან გამოვაქვეყნე კრიტიკული სტატია „ვინ დადგა „დეზერტირკა" — მარჯანიშვილმა და ახმეტელმა თუ მხოლოდ მარჯანიშვილმა?" და რას წარმოვიდგენდი, რომ ზუსტად ერთი თვის თავზე კვლავ მომიწევდა ანალოგიურ საკითხზე საუბარი, კერძოდ, ვინ დადგა „პიკის ქალი" — გიზო ჟორდანიამ და თეიმურაზ აბაშიძემ თუ მხოლოდ გიზო ჟორდანიამ?**


პიკის ქალი

მკითხველს ემახსოვრება, რომ ნ. აზიანის „დეზერტირკას" სცენური ვარიანტის ავტორობის საკითხი ჯერ კიდევ წინა საუკუნეში გადაწყვიტა ქ-ნმა ეთერ დავითაიამ, როცა 1981 წელს შესანიშნავი თეატრმცოდნის, ქ-ნ ნათელა ურუშაძის რედაქციით გამოსცა მეტად ღირებული მონოგრაფია, მარჯანიშვილისა და ახმეტელის ერთობლივ დადგმებზე და დაამტკიცა, რომ რუსთაველის თეატრში 1925 წელს დადგმული „დეზერტირკა" მარჯანიშვილისა და ახმეტელის ერთობლივი ნამუშევარია... მაგრამ გამოჩნდნენ თეატრმცოდნეები, რომლებიც ძველ ვერსიას (რომ იგი მხოლოდ მარჯანიშვილის დადგმაა) მიუბრუნდნენ... მაშინ თქვენი მონა-მორჩილი იძულებული შეიქნა, ჩარეულიყო ამ საქმეში და **ელემენტარული გზით** აღედგინა 90 წლის წინანდელი სიმართლე. ეს ელემენტარული გზა კი იმაში გამოიხატა, რომ მივედი ჩვენი სახელოვანი რუსთაველის თეატრის მუზეუმში, სადაც თავაზიანად გამაცნეს ე.წ. წარმოდგენის დღიური, რომელიც, ტრადიციულად, ყოველი სპექტაკლის შემდეგ იწერება ხოლმე და მასში, ისევე როგორც ჩვეულებრივ მეტრიკაში, ყველაფერია ნათქვამი: ვინ არის სპექტაკლის ავტორი, კომპოზიტორი, ქორეოგრაფი, როლების შემსრულებლები და ა.შ.

ასეთი მცირე ექსკურსით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ, როცა რომელიმე სპექტაკლზე წერ რაიმეს, უპირველეს ყოვლისა, იმ თეატრის მუზეუმში უნდა მიხვიდე, რომელშიც სპექტაკლი დაიდგა და მაშინ აღარ ჩავარდები უხერხულ მდგომარეობაში...

ახლახან კი გამოვიდა ცნობილი თეატრმცოდნის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ბ-ნ ნ. გურაბანიძის ახალი მონოგრაფია — „რეჟისორი გიზო ჟორდანია", რომელშიც 1976 წელს ჩვენს საოპერო თეატრში განხორციელებული „პიკის ქალი" გამოცხადებულია მხოლოდ გიზო ჟორდანიას დადგმად და საერთოდ არაა ნახსენები მისი თანადამდგმელი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბ-ნი თეიმურაზ აბაშიძე...

მკითხველი დამეთანხმება, რომ შეიქმნა მეტად უხერხული მდგომარეობა და ყველაზე მეტად ეს, ცხადია, ბ-ნ გიზო ჟორდანიას შეაწუხებს, მაგრამ რა მისი ბრალია, თუ თეატრმცოდნეობაში, სამწუხაროდ, ასეთი უპასუხისმგებლობა ხდება ხოლმე და არავინ აქცევს ყურადღებას – ამ წიგნზე ერთი წლით ადრე გამოვიდა „ქართული დრამატურგიის ისტორიის" I ტომი, რომელშიც, მაგალითად, კინოფილმ „ქეთო და კოტეს" ავტორად მარტო ვახტანგ ტაბლიაშვილია მითითებული (გვ. 209) და შ. გედევანიშვილი ნახსენებიც არაა, იგივე ითქმის „სამანიშვილის დედინაცვლის" პირველ ეკრანიზაციაზე, როცა ფილმის ავტორად მხოლოდ კოტე მარჯანიშვილია გამოცხადებული (გვ. 362) და ზ. ბერიშვილი – მიჩქმალული... ეს ყოველივე იმიტომ ხდება, რომ დაიკარგა ტრადიცია, როცა წიგნებს ე.წ. სპეციალური რედაქტორებიც, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, სპეციალისტებიც ჰყავდათ, მაგრამ რაზეა საუბარი, როცა ბ-ნ ნ. გურაბანიძის ახალ წიგნს საერთოდ არ აწერია რედაქტორი...

ცხადია, ყველაფერს რაღაც ეშველება, იგნორირებულ რეჟისორს ბოდიშს მოუხდიან, აუჰ, ეს რა მოგვსვლიაო და ა.შ., მაგრამ მკითხველმა რა დააშავა, როდემდე უნდა ითმინოს ასეთი განუკითხაობა?

**გოგი დოლიძე,**
**პროფესორი**




## ევროპოლის დირექტორი ევროპას ახალი ტერორისტული საფრთხეების შესახებ აფრთხილებს

**ევროპოლის ხელმძღვანელის — რობ ვაინრაიტის განცხადებით, ევროპას ტერორისტული საფრთხე „ისლამური სახელმწიფოსგან" ემუქრება.**

„ევროპის ნებისმიერ წერტილში მოსალოდნელია ისეთი ტერაქტები, რომლებიც მასობრივ მსხვერპლზე იქნება გათვლილი", — განაცხადა ევროპოლის ხელმძღვანელმა.

მისივე მონაცემებით, 3000-დან 5000-მდე ევროპელი, რომელთაც, სავარაუდოდ, შესაბამისი წვრთნები „ისლამურ სახელმწიფოში" აქვთ გავლილი, ევროპაში დაბრუნდა.

**„ეს პირები უკან არა ლტოლვილების ნაკადთან ერთად, არამედ ევროკავშირის ტერიტორიაზე ჩვეულებრივი გზით შემოვიდნენ",** — აღნიშნა რობ ვაინრაიტმა.

## თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გიორგი მიქაუტაძის კანდიდატურა წარადგინეს



**იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა დაასახელა.** მან აღნიშნულ თანამდებობაზე კანდიდატად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე გიორგი მიქაუტაძე წარადგინა.


## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი, ქართული ფიტოთერაპიის შემქმნელი და დამაარსებელი ᲘᲣᲠᲘ ᲑᲣᲠᲓᲘᲚᲐᲫᲔ მცენარეული პრეპარატებით სრული განკურნების გარანტიით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, წყლულოვანი კოლიტი, პიელონეფრიტი, ნეფრიტი, გლომელურონეფრიტი. ქრონიკული ბუასილის ყველა ფორმა, ყურებში შუილი და ხმაური, გაციებითი ასთმა, კოქსართროზი, ართროზი, ქრ. ქოლეცისტიტი. ბ–ჰეპატიტი, პროსტატა, ადენომა, შარდის ბუშტის ანთება, საკვერცხის კისტა, კისტომა, ჰაიმორიტი, მოტეხილობის ყველა ფორმა, ქრონიკული ტუბერკულოზი და სხვა.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე) თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3 (დედათა და ბავშვთა მონასტერი)**






## ყურადღება!

ამა წლის 1 მარტიდან წიგნის მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი", რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## ს ი ა ხ ლ ე !

## ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



- გასტრიტი, წყლული, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ბუასილი, ჭიებით ინვაზია
- იმპოტენცია, პროსტატიტი, გაძნელებული შარდვა, შარდ-კენჭოვანი დაავადება.
- ფიბრომა, მენსტრუალური ციკლის მოშლა, უშვილობა, მასტოპათია, გართულებული კლიმაქსი.
- უძილობა, მეხსიერების და შრომის უნარის დაქვეითება, ნევროზი, შიშები, დეპრესია.
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, ოსტეოპოროზი, ართროზები, სკოლიოზი.
- წონაში დაკლება, სიმაღლეში ზრდა
- ალერგია
- ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია
- ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

მკურნალობის შერჩევა ინდივიდუალურად გენეტიკის, სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

599-54-18-30, 0790-98-63-33

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია



http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲝᲓᲣᲐ
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894